avtoris stili daculia

ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ირმა ყრუაშვილი

ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო ორიენტაციის საკითხი XVIII ს-ის 70-80-იან წლებში

ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ვაჟა კიკნაძე ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

დიმიტრი შველიძე ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2015

შესავალი

საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა
წარმოადგენს ყველაზე დიდ ხიფათს და დაბრ-
კოლებას ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის გზაზე.
რემონ დიუგე

აზია-ევროპის შესაყარზე მდებარე საქართველოსთვის ყოველთვის აქტუალური იყო საგარეო ორიენტაციის საკითხი. აგრესიულ სახელმწიფოთა გარემოცვაში მყოფი პატარა ქვეყნის პოლიტიკის დღის წესრიგში მუდმივად იდგა აღნიშნული პრობლემა. საგარეო კურსის შედეგები ხშირად არსებითად ცვლიდა და განსაზღვრავდა საქართველოს შემდგომ ისტორიას. თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე საქართველო არაერთხელ მდგარა საგარეო ორიენტაციის პრობლემის განსაზღვრის წინაშე, იმ იშვიათი გამონაკლისების გარდა, როცა ახერხებდა გაერთიანება-გაძლიერებას და თავად განაგებდა საკუთარ ბედს. იყო უბრალო ლავირების და იყო დიდი ისტორიული მოსაბრუნის მომენტებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთზე და დასავლეთიდან აღმოსავლეთზე – ძველ თუ ახალ, წარმართულ თუ ქრისტიანულ ხანაში. საქართველოს ასეთ ხვედრს გარკვეულწილად მისი უნიკალური ადგილმდებარეობაც განსაზღვრავდა. აღმოსავლეთთანაც და დასავლეთთანაც საქართველოს ურთიერთობის მდიდარი და ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება ჰქონდა. ამ ურთიერთობით იგი ივსებდა, გარდაქმნიდა და კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა თავის კულტურას (ითვისებდა და ირგებდა აღმოსავლურსაც და დასავლურსაც) და, რაც მთავარია, ამ მრავალმხრივ ურთიერთობათა მიუხედავად, ახერხებდა შეენარჩუნებინა თვითმყოფადობა და თავისთავადობა, რაშიც გადამწყვეტ როლს თამაშობდა მისი მაღალი სულიერი კულტურა, სწორედ ეს განაპირობებდა ქართული კულტურის მდგრადობას და სიცოცხლისუნარიანობას.

მართალია, ისტორიის ბედუკუღმართობა რთულ გარემოებაში აგდებდა საქართველოს, მაგრამ საბოლოო ჯამში იგი მაინც ყოველთვის ახერხებდა თავის გადარჩენას. მეზობელ სახელმწიფოთა აგრესიულობა ხშირად საქართველოს არჩევანის წინაშე აყენებდა. მათ შორის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც კი ქართველობამ გადადგა საერთაშორისო ასპარეზზე, იყო ირანიდან რომზე მკვეთრი შემობრუნება IV საუკუნის დასაწყისში. როგორც პოლიტიკური, ისე სულიერი თვალსაზრისით მსგავსი მნიშვნელობის მოვლენა ქარ-

თულ პოლიტიკურ სინამდვილეში არ მოიძევება. IV-V საუკუნეები, მართლაც, რომ დიდი ისტორიული მოსაბრუნია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში (ს. ჯანაშია). ამიერიდან ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად საქართველო ქრისტიანულ რომს (დასავლეთს) დაუკავშირდა. ამიერიდან ქართლის სულიერი და პოლიტიკური „მოქცევაᲐ“ აღმოსავლეთიდან დასავლეთზე განსაზღვრავდა შემდგომი საუკუნეების საგარეო კურსს. თუმცა ქრისტიანულ ბიზანტია-რომთან დაკავშირება სულაც არ ნიშნავდა მარადიული მშვიდობის მოპოვებას. ისიც დასაპყრობად უმზერდა მოკავშირეს და საამისოდ როგორც აქამდე, ისე მერეც გაუთავებელ ბრძოლებს აწარმოებდა. ისე, რომ ერთმორწმუნე მეზობლისგან მიმძლავრებულ საქართველოს ხშირად დასახმარებლად იგივე ირანისათვის მიუმართავს. საქართველოს ისევ და ისევ საკუთარი ძალისხმევით უწევდა თავდაცვა, მეობისათვის ბრძოლა. აი, აქ კი მას დიდ დახმარებას უწევდა სულიერი (სარწმუნოებრივი) „მოქცევაᲐ“, ქრისტეს სჯული, რომელიც ესოდენ მოირგო და გაითავისა ქართველმა ერმა და რომელიც თვითონ იქცა ქართველობისათვისაც ფარად. ამგვარად, მნიშვნელოვანი იყო თავისი არსით არა იმდენად ქართველთა პოლიტიკური, არამედ სულიერი მოქცევა. სარწმუნოებრივი ერთიანობა პოლიტიკაში არაფერს ცვლიდა. რომზე ორიენტირებამ, პირიქით, სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა. გაიზარდა ირან-ბიზანტიის ურთიერთდაპირისპირება და ქიშპი და შესაბამისად, საქართველოს მდგომარეობაც გაურესდა. გამძვინვარებული ირანი მეტი მონდომებით შეუდგა ქართლის დამორჩილებას. ეს ჭიდილი, მალე, VI საუკუნის დასაწყისში (523 წელს) ქართველთა მარცხით – ქართლში მეფობის გაუქმებით დასრულდა. ერთმორწმუნე ბიზანტიამ კი 532 წლის ზავით სცნო ქართლის დაპყრობა ირანელთაგან, მისი დახმარება მარტოოდენ პოლიტიკურ დევნილთა თავშეფარებით ამოიწურა.

ამდენად, რომზე ორიენტაცია დადებითი აღმოჩნდა არა თავისი პოლიტიკური შედეგებით, არამედ იმით, რომ სპარსეთთან (აღმოსავლეთთან) შედარებით უფრო განვითარებული ბერძნულ-რომაული (ბიზანტიური) ცივილიზაციის არეალში მოქცევა გაცილებით კეთილსასურველი იყო. მართლაც, როგორც კი საგარეო გართულებათა (არაბთა, სელჩუკთა, მონღოლთა, ოსმალთა, სპარსელთა შემოტევების) გამო ირღვეოდა ერთიანი კულტურულ-იდეოლოგიური სივრცე დასავლეთთან, საქართველო განმარტოებული რჩებოდა ხოლმე. ხოლო მოგვიანებით ამ სივრცის დაკეტვა – ბიზანტიის დაცემა-განადგურება (ოსმალთა მიერ 1453 წელს) მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ამის შემდეგ იწყება შეუნელებელი ბრძოლა ამ დახშუ-

ლი სივრცის გასარღვევად, გზების ძიება მაჰმადიანურ-ბარბაროსული გარემოცვიდან თავის დასაღწევად, ძიება მოკავშირისა (პირველ რიგში ისევ დასავლეთის პოლიტიკურ სივრცეში). საბოლოოდ ამ ძიებამ საქართველო რუსულ ორიენტაციამდე მიიყვანა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველომ ცალსახად გეზი აიღო ქრისტიანულ რუსეთზე ირან-თურქეთის საწინააღმდეგოდ. ამ შემთხვევაშიც განმეორდა იგივე ისტორია, ოღონდ საქართველოსათვის კიდევ უფრო მძიმე და სავალალო შედეგებით. ერთმორწმუნე რუსეთმა საქართველოს შთანთქმა დაისახა მიზნად და, იმდენად, რამდენადაც იგი ტერიტორიულად ახლომდებარე იმპერია იყო, ხოლო იმპერიალისტური მიზანდასახულობით და მართვის მექანიზმებით ყველაზე უხეში და სასტიკი, ვიდრე რომელიმე ევროპული იმპერია, მოახერხა კიდეც თავისი იმპერიალისტური ამბიციების რეალიზება. სულ მოკლე დროში მან მოსპო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, გააუქმა ეკლესიის ავტოკეფალია და ორასწლოვანი კოლონიური უღლის ქვეშ მოაქცია იგი.

XXI ს-ის საქართველოც იგივე პოლიტიკური სირთულეების წინაშე დგას. განსხვავება მხოლოდ დროშია, ხოლო არსი ამ პრობლემისა უცვლელი დარჩა, რამდენადაც ოდნავაც არ შეცვლილა მართლმადიდებელი მეზობლის დამპყრობლური დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. თანამედროვეობაშიც ისევე მწვავედ დგას საგარეო ორიენტაციის განსაზღვრის საკითხი, როგორი სიმძაფრითაც იგი დაისვა XVIII ს-ის ბოლოს. ისე, რომ ორიენტაციის საკითხი საქართველოს თანამდევი პრობლემაა და დღესაც უაღრესად აქტუალურია.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა პირველი დიპლომატიური კავშირის დამყარებიდან (1483 წ.) დღემდე ხუთსაუკუნოვან ისტორიას მოითვლის.

XVIII ს-ის II ნახევარში ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა ახალ ფაზაში შევიდა. მეფის რუსეთის მზარდ იმპერიულ მისწრაფებათა ფონზე ხდება რუსეთის საფუძვლიანი დაინტერესება კავკასიის რეგიონით. ახლო აღმოსავლეთში გაბატონების სურვილშეპყრობილმა საიმპერატორო კარმა ახლა კი მიაპყრო ყურადღება ქართველ მეფეთა სათხოვარ პუნქტებს და იმთავითვე შეეცადა იგი საკუთარ ინტერესთა განსახორციელებლად გამოეყენებინა. ამ გზაზე ცარიზმის პირველი დიდი გამაჯვება იყო სწორედ 1783 წ-ის გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის ძალითაც კავკასიის პლაცდარმის დაუფლებისათვის საგარეო ძალთა – ერთის მხრივ რუსეთის, მეორეს მხრივ ირან-თურქეთისა და მათ ზურგს უკან მდგომი ინგლისსაფრანგეთის ჭიდილში რუსეთმა დიდი უპირატესობა მოიპოვა. ამიერიდან ცარიზ-

მი დაჟინებული მიზანდასახულობით ცდილობს ამ პლაცდარმის განმტკიცება-გაფართოებას, რაც, სულ მალე, 1801 წ-ის მანიფესტით – საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებით დააგვირგვინა.

მიღწევად თვლიდა 1783 წლის ტრაქტატს, ერთმორწმუნეობის პოლიტიკას მინდობილი რუსული ორიენტაციის მომხრე ქართველი თავკაცობაც, რომელიც იმედოვნებდა, რომ ერთმორწმუნე, ძლიერი მართლმადიდებლური რუსეთი დაიფარავდა მაჰმადიანურ გარემოცვაში მოხვედრილ ქრისტიანულ ქვეყანას. რუსეთზე ორიენტაციას იმთავითვე ჰყავდა მოწინააღმდეგე დასიც, რომელიც, სრულიად სამართლიანად, XVIII ს-ის II ნახევრის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებას რუსეთზე ორიენტირების ნაყოფად თვლიდა. ხსნას ისინი ქვეყნის გაერთიანებაში, შინაგან ძალებზე დაყრდნობასა და ყოველმხრივ მოჯარული მტრის მიმართ მანევრირებადი საგარეო პოლიტიკის წარმოებაში ხედავდნენ. რუსეთის სახით ძლიერი მესამე ძალის გამოჩენა ამიერკავკასიაში არსებითად ცვლიდა აქ არსებულ სიტუაციას – საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ქართველთათვის ავბედითი წონასწორობა – აღმოსავლეთ საქართველო – ირანს, დასავლეთ საქართველო – ოსმალეთს, დაირღვა. ქართველ პოლიტიკოსებს ახალი დიდი ასპარეზი გაეხსნათ დაპირისპირებულ ძალთა ჭიდილში საკუთარი თვითმყოფადობა გადაერჩინათ და საგარეო სიტუაცია ქვეყნის სასარგებლოდ წარემართათ. ეს გახლდათ ქვეყნის მხსნელი ერთადერთი საღი პოლიტიკური გეზი, რომლის განხორციელებაც, ვფიქრობთ, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ ერის მესვეურებს რუსეთზე მაინცდამაინც სწორხაზოვანი ორიენტაციის მცდარი და დამღუპველი გზა არ აერჩიათ. მისი მცდარობა ხომ საფუძველშივე ცხადზე ცხადი იყო, რაც სულ მოკლე ხანში, ტრაქტატის მე-18 წლისთავზე, ყველასათვის ნათელი შეიქნა.

<u>**პრობლემის აქტუალობა.**</u> XVIII საუკუნე ერთ-ერთი ურთულესი პერიოდია ჩვენი ქვეყნისა და სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. სამწუხაროდ, გარკვეულ გარემოებათა გამო, სწორედ ამ დროს წამოიჭრა პრობლემები, რომლებმაც წარმოუდგენელი საფრთხე შეუქმნეს საქართველოს დამოუკიდებლობას. დრომ და გარემოებამ საქართველოს ბედ-იღბალზე პასუხისმგებლობა ქართლ-კახეთს დააკისრა. მისი მმართველების შორსგამჭვრეტ პოლიტიკაზე დიდად იყო დამოკიდებული მოვლენების შემდგომი განვითარება. საშინაო და საგარეო ურთიერთობების ყველაზე რთული კვანძი XVIII საუკუნეში გაინასკვა და იმ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმაში იჩინა თავი, რომლის შედეგებმაც საბოლოო არჩევანის აუცილებლობის წინაშე დააყენა ქვეყანა.

საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-ის მიერ ერთმორწმუნე მეზობელთან კავშირის დასამყარებლად გადადგმულმა სარისკო ნაბიჯმა სავალალო შედეგები გამოიღო. შეიძლებოდა ყველაფერი ასე არ განვითარებულიყო, უფრო მეტი სიღრმით რომ განეჭვრიტათ ის შედეგები, რაც შეიძლება მოჰყოლოდა მუსულმანური ქვეყნებიდან მკვეთრი შემობრუნების პოლიტიკას. ვახტანგის საგარეო ორიენტაციით მიღებულმა შედეგებმა დაღი დაასვა მთელი XVIII საუკუნის ისტორიას. საბედისწერო ნაბიჯმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მომდევნო მმართველთა საგარეო ორიენტაციის კურსი. საუკუნის დასაწყისში დატრიალებული „ქართლის ჭირი“ საუკუნის დასასრულს ზოგადქართულ ჭირში გადაიზარდა.

ნაშრომის მიზანიც ეს არის – აჩვენოს, რომ XVIII ს-ის II ნახევრის საქართველოს სწორი საგარეო პოლიტიკის წარმოების შემთხვევაში ყოველგვარი გარეგანი ძალის დახმარების გარეშე გააჩნდა ქვეყნის ხსნის პერსპექტივა. ის ძნელბედობა-უბედურობანი, რაც თავს დაატყდა საქართველოს XVII-XVIII სს-ში, შედეგი იყო არა მხოლოდ შექმნილი რთული საგარეო სიტუაციისა, არამედ მმართველი წრის არასწორი პოლიტიკისაც. აღნიშნული პერიოდის სინამდვილეში ცალსახოვანი ორიენტაციის აღება რუსეთზე არ იყო მიზანშეწონილი.

მსოფლიოს უძლიერეს მაჰმადიანურ იმპერიებს (არაბთა, თურქ-სელჩუკთა, მონღოლთა, ოსმალთა, ყიზილბაშთა) საუკუნეების განმავლობაში დაძაბული ურთიერთობის მიუხედავად არ გაუუქმებიათ საქართველოს სახელმწიფოებრიობა, მაშინ როცა ერთმორწმუნეობის ნიღბით მოსულმა ქრისტიანულმა რუსეთმა თავისი ცბიერი და შეფარული პოლიტიკით კავკასიაში ფეხის შემოდგმისთანავე მოსპო საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობა. გეორგიევსკის ტრაქტატი არ შეიძლება ხანგრლივ სიცოცხლისუნარიანი ყოფილიყო. ისტორიის შემდგომ დროინდელმა მსვლელობამ ეს სრულებით დაადასტურა.

რა გზა განვლო ვიდრე აქამდე მოვიდოდა ქვეყანა? რა იყო გამომწვევი მიზეზები? არსებობდა თუ არა სხვა გამოსავალი? ეს თემა დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. პრობლემატურია თუნდაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის გადაფასებისა და ისტორიოგრაფიაში ჭეშმარიტების დამკვიდრების თვალსაზრისით. თითქმის საუკუნის მანძილზე ამ პროცესების ობიექტური შეფასება არ ხდებოდა. თანამედროვე პირობებში, მართალია, ინტერესით ეკიდებიან ჩვენს მიერ დასმულ პრობლემებს, იწერება მეცნიერული გამოკვლევები, მაგრამ საბჭოთა ეპოქის პროპაგანდისტული მანქანის მიერ ისე გამრუდებულად იყო წარმოდგენილი ყველაფერი, რომ ალბათ, რამდენიმე ათეული წელი იქნება საჭირო ნორ-

მალური ვითარების აღსადგენად. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თანადროულობის ბევრი მწვავე პრობლემის ფესვები სწორედ XVIII საუკუნის მოვლენებიდან იღებს სათავეს, აშკარა გახდება ჩვენს მიერ საკვლევად შერჩეული თემის აქტუალობა. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამჟამად საკმაოდ ხელსაყრელი პირობებია მოვლენებისა და ფაქტების ობიექტური შეფასებისათვის. ბუნებრივია, ეს ყველაფერი დაგვეხმარება საკვლევი საკითხის ირგვლივ ობიექტური დასკვნების გაკეთებაში. მით უფრო, რომ საგარეო ორიენტაციის პრობლემები თავისი აქტუალობით გამოირჩევა თანამედროვე პირობებშიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. როგორც მაშინ, ახლაც დგას საკითხი სწორი პოლიტიკური არჩევანის შესახებ. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, წარსულის სწორად გააზრება და გათვალისწინება აუცილებელი პირობაა თანადროულობის ურთულესი პრობლემების გადასაჭრელად. ისე, რომ ჩვენს მიერ დასმული საკითხი ისეთივე აქტუალურია დღეს, როგორც ამ ორი საუკუნის წინ იყო.

<u>ქრონოლოგიური ჩარჩოები.</u> დისერტაციაში განხილული საკითხი XVIII საუკუნეს მოიცავს, რადგან სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა მთელი სიმძაფრით საგარეო ორიენტაციის პრობლემა, თუმცა ნაშრომში გარკვეულწილად მიმოხილულია ადრეული პერიოდის საქართველოს საგარეო ურთიერთმიმართებანი ევროპულ თუ აზიურ ქვეყნებთან. მიზეზ-შედეგობრივი კავშირის წარმოჩენის მიზნით, განხილულია ის ძირითადი ისტორიული მოვლენები, საიდანაც სათავეს იღებს ჩვენთვის საინტერესო პერიოდის პრობლემები.

<u>მეცნიერული სიახლე.</u> ნაშრომი იმ ტრადიციული სტანდარტული იდეოლოგიური მარწუხებისაგან გათავისუფლების მცდელობაა, რომელიც ყალიბდებოდა 200 წლის განმავლობაში ცარისტულ თუ საბჭოურ ეპოქებში და ერთგვარ დოგმად მკვიდრდებოდა ისტორიოგრაფიაში, ხოლო შემდეგ ადამიანთა ცნობიერებაში. ხდებოდა განზრახ შელამაზება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისა და შეთხზვა სხვადასხვა თეორიებისა. მაგალითად, საქართველოს დამხმარე ძალის გარეშე „უეჭველი დაღუპვის“, „სამი მტრიდან ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობის“ თეორიები მოგონილია ცარიზმის ისტორიკოსების მიერ თვითმპყრობელური პოლიტიკის გასამართლებლად. ჩვენის აზრით, ასეთი არჩევანის გაკეთება საჭირო არ იყო და თუ არჩევანი გააკეთა ერეკლე მეფემ, ეს იძულებითი ნაბიჯი იყო. პოლიტიკურ გულუბრყვილობათა გამოვლენის მიუხედავად, ერეკლე და მისი მომხრენი ხედავდნენ საქართველოს უბედურებანი რუსეთთან დაახლოების შედეგი რომ იყო, საყვედურობდნენ კიდეც რუსეთის მთავრობას, იმასაც ცდილობდ-

ნენ როგორდაც აემოქმედებინათ იგი დასახმარებლად, მაგრამ ამაოდ, ყველაფრის მიუხედავად კურსი არ შეცვლილა, რუსეთზე ორიენტაცია ერეკლეს სახელმწიფოებრივ პოლიტიკას შეადგენდა. არსებულ საერთაშორისო ვითარებათა გათვალისწინებით ორიენტირი უდავოდ სწორი იყო, მაგრამ ტაქტიკა მცდარი – მკვეთრი პოლიტიკური ნაბიჯები არ იყო საჭირო. საბოლოოდ ამ პოლიტიკამ ქვეყანა სახელმწიფოებრიობის სრულ დაკარგვამდე მიიყვანა. საბჭოურ და ცარისტულ ისტორიოგრაფიაში რუსეთის მოქმედება (დამპყრობლური პოლიტიკა) გამართლებულია იმ მოტივით, რომ საქართველო რუსეთის ფაქტორის გარეშე უეჭველად დაიღუპებოდა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ 1801 წ-ის მანიფესტის დადებისთანავე წარმოიშვა თეორია – „საქართველოს რუსეთის გარეშე არსებობა არ შეუძლია“, და „საქართველოს შემოერთება ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით გარდაუვალი იყო“**(10,22; 29-30).** აქედან გამომდინარე, 1801 წლის აქტი პროგრესული მნიშვნელობის მოვლენად და საუკეთესო გამოსავლად იყო მიჩნეული: „საქართველოს პროგრესის საქმე ამიერიდან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა წარმართულიყო. შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი ახლა ეს იყო“ **(64,139)**. ყველაზე საშინელ და განსაცდელიან მომენტებს გაუძლო საქართველომ მაჰმადიან მეზობლებთან ურთიერთობაში სხვების დაუხმარებლად (შაჰ თამაზი, შაჰ-აბასის შემოსევები) და არ დაცემულა, და ახლა, როცა ირან-ოსმალეთი მისუსტებული იყო, როცა საკუთარ თავს ძლივსღა იცავდნენ, საქართველოს, თუნდაც დაშლილს და დაუძლურებულს, შეეძლო მათ გვერდით თანაარსებობა. საბჭოური ისტორიოგრაფია (მარქსისტული სკოლის წარმომადგენლები: გ. ნათაძე, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი და სხვ.) აგრძელებდა ამ თეორიების დაცვას, და თავის მხრივ ახალსაც უმატებდა – ისეთი, როგორიცაა „ნაკლები ბოროტების, უმცირესი ბოროტების“ თეორიები (დღესდღეობითაც მსგავსი საეჭვო თეორიები ჯერ კიდევ მყარად ზის ქართულ ცნობიერებაში). ეს იყო სტალინის დაკვეთილი თეორია, რომელსაც იგი კარნახობდა ისეთ დიდ ისტორიკოსებს, როგორებიც იყვნენ ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი (საუბრები სტალინთან – ნ. ბერძენიშვილის დღიური). „მართალია, ბოროტება იყო, მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში უმცირესი“ **(65,104;75,64)** – ასე ფიქრობდა დიდი ბელადი. აი, როგორ ცდილობდა საბჭოური იმპერიის შემოქმედი თავისი დიდმპყრობელური პოლიტიკის იდეოლოგიურ გამართლებას: „ერეკლეს ანდერძის გამრუდება იქნებოდა, ბურჟუაზიას რომ გაემარჯვა: „ნამდვილი დამოუკიდებელი ბურჟუაზიული საქართველო ვერ იქნებოდა და

თავისი შემოქმედებითი ძალების გაშლას ქართველი ხალხი ვერ შესძლებდა“... „ბურჟუაზიას რომ გაემარჯვა, მივიღებდით ბურჟუაზიულ საქართველოს, პროლეტარიატმა გაიმარჯვა და მივიღეთ დამოუკიდებელი სოციალისტური საქართველო საბჭოთა კავშირში“ **(75,64).**

ესაა თვალსაჩინო და ცოცხალი მაგალითი ისტორიის გაყალბებისა. ასეთი აზროვნება გაგრძელებაა იმ იმპერიული იდეოლოგიისა, რომელმაც XVIII ს-ში წარმოშვა „სამუდამო მფარველობა“ რუსეთისა საქართველოზე. ისე, რომ საბჭოთა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მარწუხებში ძალაუნებურად მახინჯდებოდა მოვლენათა შეფასება-ანალიზი. მით უფრო, თუ საქმე ეხებოდა ქართველი ხალხის ორიენტაციას, პოლიტიკურ არჩევანს, მოწინავე ევროპულ განმანათლებლურ იდეებს და ა.შ. მეტად მოკრძალებულად გამოიყენებოდა ისეთი ტერმინები და ცნებები, როგორიცაა „ეროვნული“, „დაპყრობა-ანექსია“, „რუსეთის რეაქციული როლი“, „რუსეთი დამპყრობელი“. ყველა აზრი და მიზანი მყარად იყო მორგებული მარქსიზმ-ლენინიზმს. მარქსისტული სკოლის წარმომადგენლები (რომლებიც ისტორიულ პროცესებს მატერიალიზმის კანონებითა და კატეგორიებით ხსნიდნენ) ერთის მხრივ, აკრიტიკებდნენ და აძაგებდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, მაგრამ მეორეს მხრივ, რუსი და ქართველი ხალხების ურყევ მეგობრობას ხოტბას ასხავდნენ, პროპაგანდას უწევდნენ „ორი რუსეთის“ იდეას; მაგალითისათვის მოვიყვანთ ამ სკოლის საუკეთესო წარმომადგენლის ნ. ბერძენიშვილისეულ შეფასებას: „პროგრესისათვის მებრძოლმა საქართველომ თავის დამხმარედ (მფარველად) პროგრესული რუსეთი მოიწვია... ეს იყო საუკეთესო გამოსავალი, რომელსაც ერთადერთს შეეძლო ქვეყანა პროგრესის გზით ახალი ცხოვრებისაკენ წაეყვანა“**(64,138-39)**. მისივე თქმით, 1783 წ-ის ტრაქტატი იყო უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი საქართველოს ისტორიაში, „ეს იყო ამავე დროს საქართველოს დიდი ისტორიული დამსახურება ამიერკავკასიის ხალხთა წინაშე“ **(61,II,248).** ტრაქტატს ქვეყნისათვის სასიკეთო არაფერი მოუტანია, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი იყო უდიდესი მნიშვნელობის პროგრესული მოვლენა. იგივე ავტორი სხვა შემთხვევაში წერს: „ქართველი ერის (ისევე როგორც სხვა ერების) გაქრობის მიზნით რუსეთი ყოველ ღონეს მისაღებად სთვლიდა: ფიცისტეხა, მდაბალი მოსყიდვა, უტიფარი სიცრუე, მზაკვრული პროვოკაცია, ულმობელი სიმკაცრე, ღალატით მკვლელობა - ყველა ეს და სხვა ასეთი „სათნოებანი“ რუსეთის თანდაყოლილი თვისება იყო დამორჩილებულ ხალხთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ამ ხალხთა გასაქრობად“**(61,III;348).** ასეთი გაორებული, ურთიერთგამომრიცხავი

აზროვნებისა და შეფასების უამრავი ნიმუში გვხვდება იმდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს ზოგადი სურათია და იგი საბჭოური იდეოლოგიის წნეხის შედეგს წარმოადგენს. ისე, რომ როგორც ვხედავთ, ჟამთა სიავის გამო ისტორიკოსებსაც მეტ-ნაკლებად უწევდათ ხარკის გადახდა საბჭოური იდეოლოგიისადმი.

ნაშრომში ახლებური ინტერპრეტაციითაა წარმოჩენილი რუსეთის დიდმპყრობელური მიზნები, რომლებიც იზრდება და ძლიერდება მის იმპერიულ ზრდასთან ერთად, ნაჩვენებია, თუ როგორ ვლინდებოდა ეს ზრახვები სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმით. ასე მაგალითად, რუსეთის იმპერიალისტურმა მიზნებმა XVIII ს-ის 20-იან წლებში ვახტანგ VI-ე და მისი სამეფო ფაქტიურად შეიწირა. პეტრე I-ის მიერ დაპირებებით წაქეზებული და რუსეთ-სპარსეთის ომში ჩაბმული ქართლის მეფე გაწბილებული და მოტყუებული დარჩა. მოკავშირემ სამი თვის განმავლობაში, ვიდრე ვახტანგი განჯაში იდგა და ელოდა მას, ისიც კი ვერ „მოახერხა“ დროულად ეცნობებინა მეფისათვის, რომ ლაშქრობა არ შედგებოდა; ამის შემდეგაც ბევრი ატყუეს რუსეთს თავშეფარებულ ვახტანგს, ვითომცდა მტერთაგან გასათავისუფლებლად ჯარით დაეხმარებოდნენ, მაგრამ ისე განუტევა სული ქართლის მეფემ ემიგრაციაში, რომ ნანატრი დახმარება ვერ მიიღო. ფაქტიურად, პეტრემ ვახტანგი ქართლიდან „გაიტყუა“ და შემდეგ უპატრონოდ დარჩენილი ქვეყნის პოლიტიკურ ბედზე „ზრუნვას“ შეუდგა თურქეთთან ერთად.

ნაშროში ნაჩვენებია, ასევე რუსეთის როლი ერეკლე მეორის წინააღმდეგ „ლეგიტიმიზის“ ფორმით განხორციელებულ დაპირიპისპირებაში. საიმპერატორო კარი ხშირად თავის სასარგებლოდ იყენებდა ქართლელ და კახელ ბაგრატიონებს შორის ტახტის გარშემო წარმოქმნილ დაპირისპირებებს – „ლეგიტიმისტებს“ – ქართლის ტახტის კანონიერ მემკვიდრეებს აქეზებდა ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლების საწინააღმდეგოდ.

კიდევ უფრო მძაფრად გამოვლინდა ჩრდილოელი მეზობლის დამპყრობლური ზრახვები 1768-74 წწ-ის რუსეთ-თურქეთის ომში, როცა საქართველოში გამოიგზავნა გენ. ტოტლებენი საიდუმლო დავალებით – გაენადგურებინა ქართველი მეფე და დაპატრონებოდა ქვეყანას. ისტორიულ ლიტერატურაში ტოტლებენის „უცნაური“ და „უთავბოლო“ მოქმედებანი შეფასებულია, როგორც თვითნებობა და ავანტიურიზმი. თუ ეს ასეა, მაშ რატომ არ დაისაჯა თავნება გენერალი?! პირიქით, რუსეთს ჩასული ტოტლებენი დააჯილდოვეს კიდეც.

ხოლო 80-იანი წლების დასაწყისში, მაშინ, როცა გადაწყვეტილია ტრაქ-ტატის დადება, ითხზვება ამიერკავკასიელ მმართველთა გულისმისაზიდი პროექ-ტები. ასე მაგალითად, ე.წ. „საბერძნეთის პროექტი“, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა კარგად მოფიქრებული სატყუარა. მისით ქართველ მეფეს (ამიერკავ-კასიაში ლიდერს) თვალს უბამენ, რომ იგი იქნება მეზობელ სახანოთა მბრძანე-ბელი, ერთიანი ამიერკავკასიის მონარქი (მაშინ, როცა ერეკლეს ერევნის სახა-ნოს შემოერთება ჩაუშალეს ბევრი სხვა მსგავსი მნიშვნელოვანი წამოწყებების მსგავსად). ეს უკანასკნელიც დიდი შემართებით იბრძოდა რუსეთ-თურქეთის ომ-ის დროს რუსთა მიერ წამოწყებულ ყველა საბრძოლო კამპანიაში, რომელთაც საქართველოსთვის სასიკეთო არაფერი მოუტანია. იმპერია საზღვრებს იფართო-ებდა კავკასიაში და ამას მისივე პოლიტიკური ერთეულების და, პირველ რიგში, ძლიერი ქართლ-კახეთის სამეფოზე დაყრდნობით ცდილობდა.

ტრაქტატის დადების შემდეგ რუსეთის იმპერიალისტური ფანტაზია კიდევ უფრო მრავალსახოვანი გახდა. იყენებდა რა დაპყრობა-მითვისების ნაირნაირ ფორ-მებს და ხერხებს – იგი ხან დაყვავების, ხანაც იძულების ტაქტიკას მიმართავდა. ქართლის მემკვიდრეობის მშვიდობიანი გზით მისათვისებლად, გ. პოტიომკინმა ერეკლეს სიძეობა მოისურვა, ასევე ქალაქ ანანურის და დარიალის სამხედრო გზის გადაცემა. 1784 წ-ის 19 სექტემბერს კი ერეკლეს უკვე პირდაპირ და აშკარ-ად მოსთხოვეს (გენ. პოტიომკინმა) მართვა-გამგეობა ჩვენ, რუსებს გადმოგვეციო **(30,30; 39,156).**

XVIII ს-ის საგარეო ორიენტაციის პრობლემა ნაშრომში განხილულია, როგორც იძულებითი არჩევანი, ხოლო გეორგიევსკის ტრაქტატი – მკაცრი ისტო-რიული რეალობის შედეგი – ქართლ-კახეთის სამეფოს ყველა გზა გადაუკეტა ჩრდილოურმა იმპერიალიზმმა – მეფე ერეკლე ფაქტის წინაშე დააყენეს.

ნაშრომში უარყოფილია საქართველოს გარეგანი ძალის დახმარების გა-რეშე დაღუპვის თეორია. მფარველ-მოკავშირის ძიება ბოლო საუკუნეებში ერთგ-ვარ ტრადიციად დამკვიდრდა და მაშინაც კი, როცა გარემოება ამის საჭიროებას გამორიცხავდა, ქართველი მეფე-მთავრები მაინც დაჟინებით ეძიებდნენ მხსნელს. ასეთად მიიჩნიეს კავკასიაში მოვლენილი მართლმადიდებელი რუსეთი. მასთან დაახლოების მთავარი ფაქტორი ერთმორწმუნეობა გახდა. ქართველი მეფეები აშ-კარად გაიტაცა იმ იმედებმა, რომ ძლიერი მართლმადიდებლური ქვეყანა უანგა-როდ დაეხმარებოდა მუსულმანური ქვეყნების მიერ დაჯაბნილ ქრისტიანებს. სწო-რედ ამ ზედმეტ ნდობაში გამოეპარათ უმთავრესი, რომ ძლიერ თანამოძმესაც შე-

იძლებოდა საკუთარი მიზნები გასჩენოდა პატარა მეზობელთან მიმართებაში. რუსეთ-საქართველოს დაახლოების საქმეში ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, ქართველი მეფეები რამდენად ზუსტად განსაზღვრავდნენ რუსეთთან ურთიერთობის პრობლემებს. ქართველ დიპლომატებს წარსულის მაგალითებით შეეძლოთ განეჭვრიტათ, რომ ერთმორწმუნეობა პოლიტიკაში არაფერს ცვლიდა, რომ იგი ასეთ შემთხვევაში უმნიშვნელო ფაქტორია. ისე, რომ ცალსახად რუსეთზე გეზის აღება ტაქტიკურად მცდარი ნაბიჯი იყო – მკვეთრი ორიენტაციის საჭიროებას გარემოება არ ითხოვდა. სამწუხაროდ, ბოლო 300 წლის მანძილზე, სხვადასხვა დროის ხელისუფლებს ხშირად აბნევდა ის გარემოება, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, რუსეთი, მართლმადიდებელია და არასწორი დასკვნების გამოტანისკენ უბიძგებდა.

რაც შეეხება თავად ხელშეკრულების შინაარსობრივ მხარეს, ის ნაშრომში შეფასებულია კრიტიკული თვალთახედვით; მართალია მას „მეგობრული“ ხელშეკრულება ეწოდა შემომქმედთა მიერ, მაგრამ თავისი არსიდან გამომდინარე ჭირს მისი ზუსტი იურიდიული სტატუსის განსაზღვრა. ერთი რამ ცხადია, ფაქტიურად, რუსეთმა ამ დოკუმენტით (თავისი სეპარატული მუხლებითურთ) იურიდიული საფუძველი შეიქმნა ქართლ-კახეთის სამეფოს შემდგომი დაპყრობისათვის. საზოგადოდ, მთლიანობაში დოკუმენტი ორაზროვანია და მისი მუხლები – წინააღმდეგობრივი. ბუნდოვანება და ორაზროვნება საერთოდ რუსული დიპლომატიის სტილი გახლდათ (გავიხსენოთ თუნდაც ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 23-ე მუხლი და საქართველოს საკითხი). დიდ საშიშროებას შეიცავდა განსაკუთრებით ქართლ-კახეთის მეფის რუსეთის იმპერატორისაგან დამტკიცების მუხლი, რაც შემდეგ წარმატებით გამოიყენა კიდეც ცარიზმმა, როცა დავით გიორგის ძე აღარ დაამტკიცა მეფედ; ასევე პირდაპირ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ მიმართულ მახვილს წარმოადგენდა ქართული ავტოკეფალური ეკლესიის ტობოლსკის საეპისკოპოსოს შემდეგ მერვე ადგილზე დასახელება, რასაც ქართული მხარე ტრაქტატის დადებისას არ თანხმდებოდა.

ნაშრომში ხაზგასმული და წარმოჩენილია ის მომენტი, რომ ერეკლე მეფე არასოდეს დადებდა ასეთ ხელშეკრულებას რუსეთთან, გამოყენებული რომ არ ყოფილიყო მის მიმართ იძულების ბერკეტები. ერეკლეს „სათხოვარი პუნქტები“ (იგულისხმება 1771 წლის თხოვნის წიგნი) პრინციპულად განსხვავებულია 1783 წლის ხელშეკრულებისაგან. თხოვნის წიგნი, რომლის საფუძველზეც ვითომცდა აიგო ტრაქტატი, მხოლოდ სამხედრო კავშირს გულისხმობდა რუსეთთან, რომლი-

თაც ერეკლე მტრისაგან მიტაცებული მიწების დაბრუნებას ისახავდა მიზნად. ასე, რომ ერეკლე სამხედრო ურთიერთკავშირს ესწრაფვოდა და არა თავსმოხვეულ ე.წ. „სამუდამო მფარველობას“, რაც რუსული იმპერიალიზმის ენაზე, ფაქტიურად, მითვისებას და დაპყრობას ნიშნავდა.

ასეთი დაძაბული საგარეო ურთიერთობის ფონზე მიმდინარეობდა შიდა პროგრესული ძალების ბრძოლა და წინააღმდეგობის გაწევის დიდი უნარი, რაც ქვეყნის გაერთიანებისაკენ მიმართულ ძალისხმევაში ვლინდებოდა, თუმცა ეს მაცოცხლებელი ძარღვიც გადაჭრეს ჩრდილოელმა დამპყრობლებმა.

რუსეთის მთავრობისათვის ცნობილი იყო რა ერეკლეს ყოველი აზრი, მიზანი, განზრახვა, რაც არ უნდა მოემოქმედნა მას, საიმპერატორო კარი კონტრზომებით წინ ედობებოდა. კავკასიაში პოზიციების მომაგრებამდე რუსეთი პოლიტიკური მოსაზრებით „თანახმა“ იყო და „ითმენდა“ ძლიერ პოლიტიკურ ერთეულებს ამ რეგიონში, ტრაქტატის დადების შემდეგ, შემოდგა თუ არა მყარად ფეხი ამიერკავკასიაში, ტაქტიკა შეცვალა. დამოუკიდებელი და მით უფრო გაერთიანებული სამეფო-სამთავროები მისთვის სრულიად მიუღებელი იყო. იგი თვითონ ცდილობდა მათ მიტაცებას. მას, როგორც თვითმპყრობელს, სხვა ენაზე საუბარი არც შეეძლო. საქართველოს გაერთიანებისა და საგარეო ორიენტაციის პრობლემები მჭიდროდ გადაეხლართა ერთმანეთს და საბოლოო ჯამში შიდა ეროვნული ძალების მარცხით დასრულდა XVIII ს-ის 80-იანი წლების ბოლოს.

ამის შემდეგ უკვე იოლი იყო „ველიკორუსული“ წადილის აღსრულება: აღა-მაჰმად-ხანის მიერ დაუძლურებული და წელში გატეხილი ქართლ-კახეთის სამეფოს დაპატრონება. კრწანისის ტრაგედიიდან საბოლოო მიზნამდე, 1801 წ-ის მანიფესტამდე (აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობამდე), ერთი ნაბიჯიღა დარჩენილიყო.

წყაროები და ისტორიოგრაფია

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდის ამსახველი საისტორიო წყაროები ნაკლებად მოგვეპოვება. XVIII საუკუნის წყაროებს, ისევე როგორც მისი წინარე ეპოქისას, არ ასცდა სამწუხარო ბედი. გამუდმებულმა ომიანობამ წერილობითი თუ ნივთიერი ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიწირა. ასე მაგალითად, 1795 წელს ირანელმა დამპყრობლებმა ცეცხლს მისცეს სამეფო ბიბლიოთეკა და არქივი, რის შედეგადაც მეცნიერება სამუდამოდ გამოეთხოვა მდიდარ საისტორიო მასალათა მნიშვნელოვან ნაწილს.

წერილობითი მასალების სიმცირით და ზოგჯერ მათი ცალმხრივობითაც აიხსნება ის გარემოება, რომ აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური თუ სოციალ-ეკონომიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხის სათანადო სისრულით გაშუქება ჯერ კიდევ ვერ ხერხდება.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის, შესახებ მნიშვნელოვანი დოკუმენტური წყაროები მოიპოვება მარი ბროსეს 1861 წ-ს გამოცემულ დოკუმენტების კრებულში, სადაც დაცულია ქართველ მეფეთა წერილები რუსი ხელმწიფეებისადმი, მასში შესულია დოკუმენტები 1639 წლიდან მოყოლებული 1770 წლამდე.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველ მასალას უხვად გვაწვდის რუსეთის მთავრობის მოხელეთა ინიციატივით 1864 წელს შექმნილი კავკასიის საარქეოგრაფიო კომისიის ნამოღვაწარი – დოკუმენტების 12 ტომეული, რომლებიც 1866-1904 წლებში გამოიცა. დოკუმენტების ამ უზარმაზარ ტომებში შესულია ქართული, რუსული და უცხოური დოკუმენტები X საუკუნიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. დოკუმენტების უდიდესი ნაწილი განეკუთვნება 1762-1862 წლებს. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთის მთავრობის წინაშე მწვავედ იდგა კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს კოლონიური ათვისების პრობლემა, ამიტომ დოკუმენტების გამოცემას მიზნად დაესახა ცარიზმის კოლონიური სისტემის გამართლება კავკასიაში. მასალების შერჩევაც ამ თვალსაზრისით წარმოებდა, რაც დიდი ნაკლია ამ გამოცემისა, მაგრამ მიუხედავად აღნიშნული ხარვეზისა, მასში საყურადღებო ცნობებს ვხვდებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხის ირგვლივ.

XVIII საუკუნის დოკუმენტების შეგროვებასა და გამოცემაში დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს, რომელმაც 1890 წ-ს გამოაქვეყნა

საქართველოს მეფე-მთავართა და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა მიმოწერა რუსეთის იმპერატორებთან XVIII საუკუნეში. მისივე გამოცემული რუსულ-ქართული სიგელ-გუჯრები და სხვა ხასიათის წყაროები დღემდე ფასდაუდებელ განძს წარმოადგენს XVIII საუკუნის ისტორიის და კერძოდ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად. მასში შესულია დოკუმენტები 1768 წ-დან 1801 წ-მდე. გამომცემლის მიერ შესავალში გამოთქმული კრიტიკული დამოკიდებულება დოკუმენტებისადმი მეტად საყურადღებო და მისაღებია. უდიდესია ალ. ცაგარელის დამსახურება საისტორიო მეცნიერების წინაშე. პირველხარისხოვანი დოკუმენტების პუბლიკაციით მან ახალ საფეხურზე აიყვანა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლის საქმე.

საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროების შესწავლა-პუბლიკაციის საქმე კიდევ უფრო გაღრმავდა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გარშემო არსებული საარქივო დოკუმენტების შესწავლა თვალსაჩინოდ გააღრმავეს პროფესორებმა მ. პოლიევქტოვმა, ი. ცინცაძემ, ვ. მაჭარაძემ. საინტერესო საბუთები ერთვის ი. ცინცაძის წიგნს „1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი“. ვალერიან მაჭარაძის „მასალები XVIII საუკუნის II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის“ და „ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე“ გაჯერებულია დოკუმენტური წყაროებით.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად ცნობებს გვაწვდიან საკანონმდებლო ძეგლები: „საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წელს დადებული ტრაქტატი“ და „ერთობის ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართა“, რომლებიც გამოსცა ი. დოლიძემ 1965 წელს.

საკვლევი თემის ირგვლივ მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევიან XVIII ს-ის ისტორიკოსები: ვახუშტი ბაგრატიონი, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე.

ვახუშტი ბატონიშვილი (1676-1755 წწ) ფეოდალური ხანის საქართველოს უდიდესი ისტორიკოსი იყო. მან დაგვიტოვა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მოყოლებული თავის ეპოქამდე. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი თხზულების მეორე ნაწილი, რომელიც XV-XVIII საუკუნეების ამბებს მოიცავს. მისი კვლევის საგანს უმთავრესად პოლიტიკური ისტორია წარმოადგენდა. XVIII ს-ის ამ სწორუპოვარმა ისტორიკოსმა მეცნიერულ-კრიტიკული მეთოდის გამოყენებით ბევრი შეცდომა გაასწორა და მრავალი ისტორიული ფაქტი მართებულად დაადგინა.

სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ აღწერს 1653-1739 წლების ამბებს. ეს ნაშრომი მეტისმეტად მოკლე და ერთფეროვანია. აქ თითქმის მხოლოდ მეფეთა საქმიანობაა მოთხრობილი. თხზულებაში გაზვიადებულია აღნიშნული პერიოდის მეფეთა ძლიერება და ავტორი ვერ ამჩნევს მისი დროის ქართლ-კახეთის უმწეო მდგომარეობას. მიუხედავად ამისა, ეს ნაშრომი, როგორც წყარო, მნიშვნელობას მოკლებული არაა. იგი გამოირჩევა ქრონოლოგიური ცნობების სიუხვით.

ს. ჩხეიძის ნაშრომთან შედარებით გაცილებით უფრო ღირებულია პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“, რომელიც 1739 წ-დან იწყება და მთავრდება 1758 წ-ით. პ. ორბელიანი ეხება ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ნიჭიერ დამკვირვებელს შეუმჩნეველი არ დარჩენია მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირიც. უმეტეს შემთხვევაში ავტორი თვით-მხილველი და მონაწილეა მის მიერ აღწერილი ამბებისა, ზოგ შემთხვევაში მას გამოუყენებია „სარწმუნოთა კაცთაგან მონათხრობიც“. სამშობლოსათვის გულ-შემატკივარი ისტორიკოსი მთელი სიღრმით ითვალისწინებს ქვეყნის მძიმე მდგო-მარეობას და თეიმურაზ-ერეკლეს მოღვაწეობას მის გამოსასწორებლად.

ერეკლე II-ის პერიოდს ეხება ომან ხერხეულიძის ნაშრომი „მეფობა ირაკ-ლი მეორისა, მეფისა თეიმურაზის ძისა“. იგი 1722 წ-დან იწყება და მთავრდება XVIII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისით. მის ერთ-ერთ წყაროს ს. ჩხეიძის და პ. ორბელიანის შრომები წარმოადგენს. ნაშრომი მოკლე, მშრალი მატიანეა და მდი-დარია თარიღებით.

1850 წ-ს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა დავით ბატონიშვილის (1767-1819 წწ.) საქართველოს მოკლე ისტორია. მასში მოთხრობილია საქართვე-ლოს წარსული უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე. დავით ბატო-ნიშვილის მეორე ნაშრომი „ახალი ისტორია“ და ბაგრატ ბატონიშვილის „ახალი მოთხრობა“ ქრონიკის წესზე აგებული მიმოხილვებია. პირველი 1744 წ-ით იწყება და ამბების თხრობა მოყვანილია 1812 წ-მდე, მეორე 1753-1819 წლების ისტორიულ მოვლენებს ასახავს.

მრავალმხრივ საინტერესოა იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიური ხა-სიათის ნაშრომი „კალმასობა“, იგი იმ პერიოდის საზოგადებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების საკითხებს არკვევს.

ერეკლე მეორის პოლიტიკური აზროვნებისა და საგარეო ორიენტაციის საკითხების სათანადო შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს XVIII ს-ის ქარ-თველი მოაზროვნის ალექსანდრე ამილახვარის (1750-1801 წწ.) პოლიტიკურ შეხე-

დულებებს. მისი თხზულება „გეორგიანული ისტორია“ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ქართლის სამეფო ტახტზე ბაგრატიონთა კახეთის შტოს დამკვიდრების შესახებ. აქ გადმოცემულია იმ წინააღმდეგობების არსი, რომელიც თეიმურაზ-ერეკლესა და ამილახვართა გვარის წარმომადგენლებს შორის სუფევდა. მის ნაშრომს საბჭოთა ხელისუფლების წლებში სათანადოდ არ აფასებდნენ (გ. აკოფაშვილი). მცდარია შეხედულება, თითქოს ალ. ამილახვარი „თავადური იდეოლოგიის მესვეური, იდეალისტი და უტოპისტია“ (გ. აკოფაშვილი). ალ. ამილახვარის შეხედულებების გააზრება-შეფასება უნდა მოხდეს მთელი მისი შემოქმედებისა და ცხოვრების გათვალისწინებით. არ არის მართებული ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, თითქოს ალ. ამილახვარი ტენდენციურია ერეკლე მეორისადმი და მის ნაშრომებს მხოლოდ ამის გათვალისწინებით უნდა ვიყენებდეთ (გ. აკოფაშვილი, ივ. სურგულაძე და სხვები). პირიქით, იგი არ ღალატობს ისტორიულ სინამდვილეს.

არაობიექტურია ის შეფასებაც, რომელიც ეხება ერეკლე მეორისადმი ალ. ამილახვრის პრეტენზიას მამის, დიმიტრი ამილახვრის, მემკვიდრეობის დაბრუნების შესახებ. ფაქტი ისაა, რომ თვით ერეკლემაც შეიცვალა თავისი დამოკიდებულება ამილახვრის ოჯახისადმი იმის დასტურად, რომ თავის დროზე, ზომაზე მეტი სიმკაცრე გამოიჩინა მის მიმართ (პ. ცხვილოელი – პ. კარბელაშვილი).

ალ. ამილახვრის ნაშრომების მიმართ ტენდენციური დამოკიდებულება იცვლება XX ს-ის ბოლოდან, როცა დრომ და გარემოებამ გაზარდა ინტერესი იმ ეპოქის მიმართ, რომელსაც აღნიშნული ავტორის თხზულებები ეხება. ამ პერიოდიდან იწყება ძველ ავტორთა შეხედულებების გადაფასება. ამ თვალსაზრისით საყურადრებოა 1997 წ-ს ვ. კიკნაძის მიერ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ალ. ამილახვრის ორი თხზულების - „ბრძენი აღმოსავლეთისა“ და „გეორგიანული ისტორიის“ გამოცემა, რომელსაც დართული აქვს შენიშვნები და ბიოგრაფიული ნარკვევი (პირველად იგი გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა 1902 წ-ს, მეორედ – პეტრე გელეიშვილმა 1936 წ-ს). ავტორს კარგად აქვს გათვითცნობიერებული ამ თხზულებათა მნიშვნელობა XVIII ს-ის საქართველოს სინამდვილის წარმოჩენის საქმეში. იგი ცდილობს შეიტანოს შესწორებები ძველ მკვლევართა შეფასებებში. ავტორი თავისუფალია ტენდენციური მიდგომისაგან და ალ. ამილახვარი წარმოჩენილი ჰყავს იმ სახით როგორითაც ის წარმოსდგება თავად მისივე თხზულებებიდან – ალექსანდრე გახლდათ უაღრესად განათლებული, ევროპელ განმანათლებელთა იდეებით აღჭურვილი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული პიროვ-

ნება, რომლისთვისაც მიუღებელია ძალადობა, დესპოტიზმი და სხვა უბედურებანი. მას ამოძრავებს არა პირადი სიძულვილი და ანგარიშსწორების სურვილი ერეკლესადმი, არამედ უსამართლობის განცდა.

XIX ს-ში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი (1809-1875 წწ.) მის მრავალრიცხოვან შრომებში ასახულია XVI-XIX საუკუნეების ისტორიის ბევრი საკითხი. იგი უხვად სარგებლობს ქართული და უცხოური წყაროებით. პლატონ იოსელიანის ნაშრომთაგან ამჯერად ჩვენს ყურადღებას იპყრობს „ცხოვრება გიორგი XIII-სა“. მასში საინტერესოდაა მოთხრობილი ერეკლე II-ისა და მისი ძის – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის, დროინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს ამბები, მამა-შვილის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები.

საქართველოს და კერძოდ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესახებ მდიდარი და მრავალმხრივი ცნობები მოეპოვებათ რუს მოგზაურებს, ელჩებს.

ადრეული საუკუნეების (XVI-XVII) რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი ცნობები მოცემული აქვთ მოსკოვის მეფის ელჩებს კახეთში – ზიკინს, ზვენიგოროდსკის, სოვინს (XVI ს-ის 80-90-იანი წწ.), ტატიშჩევს (XVII ს-ის დასაწყისი), ვოლკონსკის (1637-1639 წწ.), მიშეცკის და კლიუჩოვს (1641-1643 წწ.). დასახელებულ ელჩობათა აღწერილობებში არის ცნობები შეიარაღებული ძალების, სამეფო-სამთავროთა შორის დამოკიდებულების, ირან-თურქეთთან ურთიერთობების შესახებ. ერთი სიტყვით, ისინი მდიდარ ცნობებს იძლევიან ქართულ სამეფო-სამთავროთა პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

XVIII საუკუნის II ნახევრის შესახებ ცნობებს გვაწვდიან რუსეთის სამსახურში მყოფი კაპიტანი იაზიკოვი (1770 წ.), ბურნაშოვი, გერმანელი რაინეგსი, მუსინ-პუშკინი (1799 წ.).

XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოს ისტორიის შესასწავლად ცალკე აღნიშვნის ღირსია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის გიულდენშტედტის ორტომიანი ნაშრომი. გიულდენშტედტმა საქართველოში იმოგზაურა 1771-1772 წლებში. იგი საქართველოს იმდროინდელი ცხოვრების ყველა მხარეს ეხება.

აღსანიშნავია გერმანელ ავტორთა ი. დ. გენსტერბერგის (1797 წ-ს გამოცემული დ-რ იაკობ რაინეგსის ბიოგრაფიული ნარკვევი), იულიუს ფონ კლაპროთის (1814 წ-ს ბერლინში გამოქვეყნებული „კასპიისა და შავ ზღვებს შორის მდებარე

რუსეთის პროვინციათა აღწერა“), კარლ ფრიდრიხ ნოიმანის (1840 წ-ს გამოცემული „რუსეთი და ჩერქეზეთი“) ნაშრომები, რომლებიც ეხებიან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ჩვენთვის საინტერესო მომენტებს; კერძოდ, რაინეგსის პიროვნებას, მის მოღვაწეობას და საქმიანობას ერეკლეს სამეფო თუ ეკატერინეს საიმპერატორო კარზე. გერმანული წყაროები გამოსცა დ. კანდელაკმა ნაშრომში „საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხები გერმანულ წყაროებში“(2003წ).

ასევე უაღრესად ძვირფასი და ყურადსაღები ცნობები მოეპოვებათ საქართველოს შესახებ ბუტკოვსა და დუბროვინს.

ბუტკოვის 1869 წელს გამოცემულ ვრცელ ნაშრომში „Материалы для новой истории Кавказа“ მოთხრობილია, საერთოდ, კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს ამბები XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე. მის წიგნში ბევრია ისეთი მასალა, რომლებიც სხვაგან არ გვხვდება; ამაშია ბუტკოვის ნაშრომის, როგორც საისტორიო წყაროს ერთ-ერთი ღირსება.

ნ. დუბროვინის კალამს ეკუთვნის ექვსტომიანი ნაშრომი - „История войны и владычества русских на Кавказе“, რომელიც უმთავრესად კავკასიაში რუსეთის გაბატონების ისტორიას ეხება. სპეციალურად ნარკვევში „ამიერკავკასია 1803-1806 წლებში“ განიხილა მან საქართველო გიორგი XII-ის დროს და ამიერკავკასიის ვითარება XIX საუკუნის დამდეგს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენთვის დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მოგზაურთა, ელჩთა თუ მისიონერთაგან დანატოვარი ცნობები.

მნიშვნელოვანი ღირებულებისაა ის მასალა და მსჯელობა, რომლებიც ეხება XVII ს-ის მიწურულისა და XVIII ს-ის პირველი მეოთხედის საქართველოს წარსულს. პოლონელი იეზუიტი თადეუშ იან კრუსინსკი, ინგლისელი ჰანვეი და სხვ. გამოხატავენ იმ დროის ირანის სახელმწიფოში მიმდინარე შინაომების ისტორიას, რომლებშიც ქართველები ხშირად წამყვან როლს ასრულებდნენ; გვამცნობენ XVIII ს-ის 20-იანი წლების ქართლის ტრაგიკულ ამბებს, პეტრე დიდის ამიერკავკასიაში ლაშქრობას რომ მოჰყვა.

საყურადღებო მასალაა XVII-XVIII საუკუნეების საქართველოზე „კარმელიტების ქრონიკაში“. იგი მოგვითხრობს საქართველოს დაუფლებისათვის მებრძოლი სახელმწიფოების იმ ხშირ ომებზე, რომელთაც ქართველი ხალხისათვის საბედისწერო შედეგები მოქონდა. „ქრონიკა“ გვაუწყებს არაერთ საინტერესო ამბებს შაჰ-აბასის მიერ კახელთა აყრა-გადასახლების, ვახტანგ VI-ის სახელმწი-

ფოებრივი საქმიანობის, თეიმურაზ II-ის თუ ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკისა და სხვათა შესახებ.

ქართლ-კახეთის სამეფოს ამბებს მოგვითხრობს იტალიელი მისიონერი მონსინიორე ლეონი, რომელიც 31 წელიწადი ცხოვრობდა საქართველოში (1742-1773 წწ.). ძვირფასია მისი ცნობები თეიმურაზ-ერეკლეს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის, მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წწ-ის ომთან დაკავშირებულ საქართველოს ამბებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის კაპიტანი დე გრაი დე ფუას ვრცელი მოხსენება. იგი მაშინ საქართველოში იმყოფებოდა და კრიტიკული თვალითაც უყურებდა ხილულ ამბებს.

საქართველოს შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება სომხურ, სპარსულ და თურქულ წყაროებსა და ლიტერატურაში, რამდენადაც საქართველოს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ამ ქვეყნებთან.

სომეხი ისტორიკოსების ნაშრომებში ხშირად ვხვდებით საინტერესო მსჯელობას საქართველოს XVIII ს-ის ისტორიის ცალკეულ მოვლენებზე. მათთან გაშუქებულია საქართველოს ურთიერთობა ირანთან, ოსმალეთან, რუსეთთან, ამიერკავკასიის სახანოებთან.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე სომხურ ენაზე დაიწერა რამდენიმე მცირე მოცულობის ისტორიული ქრონიკა, სადაც უმთავრესად ერეკლე II-ის მოღვაწეობაა აღწერილი. დიდი ადგილი უჭირავს ამ ქრონიკებში აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წ-ს თბილისის აღებისა და აოხრების ამბებს.

მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ლეოს (არაქელ ბაბახანიანის) სამტომიან ნაშრომში „სომხეთის ისტორია“, რომლის მესამე ტომი მთლიანად XVI-XVIII საუკუნეებს ეძღვნება. ისტორიკოსი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს საქართველოს ისტორიის საკითხებს, განსაკუთრებით კი გაძლიერებული ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს და მის პოლიტიკას.

რამდენადაც საქართველოს დიდი ადგილი ეჭირა ირანისა და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ განსახილველი საკითხის ისტორიისათვის ირან-ოსმალურ წყაროებსა და ლიტერატურას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენთვის საკვლევი პერიოდის შესახებ მეტად საინტერესო ისტორიკოსია აჰმედ ჯევდეთ-ფაშა. მისი 12 ტომიანი ისტორია მოიცავს პერიოდს 1774 წ-დან 1825 წ-მდე.

ა. ჯევდეთ-ფაშას ისტორიის სხვადასხვა ტომებში უხვადაა გაბნეული ცნობები XVIII ს-ის საქართველოს შესახებ: დაწვრილებით აქვს აღწერილი რუსეთ-თურქეთის ომები, ამ ომებში კავკასიის ხალხთა მონაწილეობა, საქართველოს საკითხი. საინტერესო ფაქტები აქვს მოტანილი ერეკლე II-ის და ოსმალეთის სულთნის ურთიერთობის შესახებ. ავტორი ეხება ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების მუხლებს, ფართოდ მიმოიხილავს ერეკლე II-ის რუსეთის მფარველობაში შესვლის საკითხს, დაწვრილებით ჩერდება აღა-მაჰმად-ხანის საქართველოში შემოსევაზე, თბილისის დანგრევაზე და სხვა. ისე, რომ ჯევდეთის ისტორიის სხვადასხვა ტომებში უხვადაა მიმობნეული ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.

ჩვენთვის საინტერესო საკითხი ფართოდ არის გაშუქებული ისტორიოგრაფიაში.

ჯერ კიდევ XIX ს-ის ხანის ისტორიოგრაფია დიდ ინტერესს იჩენდა XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხთა კვლევაში.

1888 წელს გამოვიდა ანტონ ფურცელაძის ვრცელი მონოგრაფია გიორგი სააკაძის შესახებ. ავტორის აზრით, სააკაძე საქართველოს გაერთიანების თავდადებული მოღვაწე იყო, რომელმაც სამშობლო მოსპობისაგან იხსნა. სააკაძის პოლიტიკური ფიგურის ფონზე საინტრესოდაა განხილული საქართველოს საგარეო ურთიერთობის საკითხები.

ერეკლე II-ის ეპოქას ეხებიან ისტორიკოსები მ. ჯანაშვილი თავის 1898 წელს გამოცემულ თხზულებაში „ერეკლე II“, ლ. ოყროშიძე (საქართველო და რუსეთი XVIII-XIX სს-ის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, 1918), გ. წერეთელი (მეფე ერეკლე II, ჟურნალი „კვალი“ 1893წ. №29-30) და იმ დროის სხვა ავტორთა ნაშრომები, რომლებიც უფრო პოპულარულობითა და გმირული საქმეების აღწერით გამოირჩევიან, ვიდრე რომელიმე ისტორიული პრობლემის შესწავლით.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხის მეცნიერული შესწავლის საქმეში ალ. ცაგარელი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც მოგვცა საქართველო-რუსეთთან დაკავშირებით მიზეზთა ძირითადად სწორი ახსნა.

აღნიშნულ საკითხებზე წარმატებით მუშაობდა ივ. ჯავახიშვილი. მისი ნაშრომები ამ თემაზე დღემდე რჩება ავტორიტეტულად. მათში სრული ისტორიული სიმართლითაა მოვლენები გაშუქებული.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები გაშუქებულია აგრეთვე ნ. ბერძენიშვილის, გ. ქიქოძის, ს. კაკაბაძის, ი. ცინცაძის, ო. მარკოვას, ვ. გაბაშ-

ვილის, ვ. მაჭარაძის, გ. პაიჭაძის, შ. ბურჯანაძის, ქ. ჩხატარაიშვილის, მ. დუმბაძის და სხვათა ნაშრომებში.

ი. ცინცაძის ბევრი ნაშრომი ეხება XVIII საუკუნის შუა წლების და მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას. მის ნაშრომებში ძირითადად ყურადღებას იპყრობს პირველწყაროთა სიუხვე.

ნ. ნაკაშიძემ სპეციალურ მონოგრაფიაში გააშუქა საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის პირველ ნახევარში. გ. პაიჭაძეს შესწავლილი აქვს იგივე ურთიერთობა XVIII საუკუნის I ნახევარში.

მრავალი დღემდე უცნობი დოკუმენტური მასალა გამოავლინა, შეისწავლა და გამოსცა ვ. მაჭარაძემ; მის ნაშრომებში ასახულია XVIII ს-ის II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამბები.

XVIII საუკუნეში ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის პრობლემების კვლევის საქმეს დიდი ღვაწლი დასდო პროფესორმა ი. ტაბაღუამ. მის ნაშრომებში მეცნიერული სიღრმითა და ევროპის ქვეყნებთან დაკავშირების დიდი სურვილით არის გადმოცემული ქართველ პოლიტიკოსთა მისწრაფება. განსაკუთრებით საინტერესო სიახლეს შეიცავს პროფ. ი. ტაბაღუას მიერ 1999 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელიც 1783 წლის ტრაქტატს მიეძღვნა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომი ამ დოკუმენტის მეცნიერული შეფასების ერთ-ერთი პირველი ცდაა.

ისტორიკოსთა დიდ ყურადღებას იპყრობდა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს ისტორიაში, როგორიცაა 1783 წ-ის გეორგიევსკის ტრაქტატი.

ისტორიოგრაფიაში გეორგიევსკის ტრაქტატისადმი არ ყოფილა ერთგვაროვანი დამოკიდებულება. სამწუხაროდ, მისი შეფასების საკითხი იცვლებოდა პოლიტიკურ ცვლილებათა კვალდაკვალ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ისტორიკოსები მის მიმართ კრიტიკულად იყვნენ განწყობილი (მ. ხელთუფლიშვილი, ზ. ავალიშვილი). საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც, განსაკუთრებით 30-იან წლებში, აღნიშნული დოკუმენტის მიმართ იყო საკმაოდ მწვავე შეფასების შემთხვევები (პ. გელეიშვილი, ფ. მახარაძე). საბჭოთა ხელისუფლების წლებში არსებითად შეიცვალა დამოკიდებულება მისი შეფასებისადმი (განსაკუთრებით 200 წლისთავის საიუბილეო დღეებში), სათავე დაედო ისტორიული ფაქტების გაყალბებას. დასმულ საკითხთან დაკავშირებით, „მცირე ბოროტების“ ცნებაც კი განიდევნა ისტორიის სარბიელიდან, ეს ცნება მეტნაკლები სიზუსტით მაინც ასახავდა იმ ობიექტურ რეალობას, რომელიც რუსეთთან საქართველოს შეერ-

თების შედეგად დამკვიდრდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1991 წ.) იწყება ტრაქტატის ობიექტური შეფასების პროცესი.

1783 წლის ტრაქტატის მომზადება-განხორციელების საკითხს ჯერ კიდევ 1919 წელს შეეხო ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“. ავტორმა სწორად დაახასიათა მეფის რუსეთის პოლიტიკური მიზნები საქართველოს მიმართ XVIII ს-ის 80-იან წლებში და გვიჩვენა, რომ თვითმპყრობელობა მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური გეგმების რეალიზაციისათვის იბრძოდა. მისივე დახასიათებით, აღნიშნული აქტი ამავე დროს ორივე მხარის ინტერესებს უპასუხებდა და „მფარველობით მოკავშირეობას“ გამოხატავდა, მაგრამ რუსეთმა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი და საბოლოო ანგარიშში ქართლ-კახეთის სამეფომ დამოუკიდებლობა დაკარგა. ამ მარცხის ერთ-ერთ მიზეზად იგი თვლიდა არა მარტო მეფის რუსეთის ცბიერ პოლიტიკას, არამედ ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურთა გულუბრყვილობას, რაც სარწმუნოებრივ-ქრისტიანულ ნიადაგზე დამყარებულ „დაუშრეტელ ნდობაში“ გამოიხატებოდა.

1783 წ-ის ტრაქტატზე ვრცელი მონოგრაფია გამოაქვეყნა (1960 წ.) ი. ცინცაძემ. მონოგრაფიას ერთვის დოკუმენტური მასალები, რომელთა დიდი ნაწილი თვით ავტორმა გამოავლინა მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ არქივში.

1983 წელს ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცა ვ. მაჭარაძის მონოგრაფია „გეორგიევსკის ტრაქტატი“, სადაც დაწვრილებითაა განხილულ-გადმოცემული ხელშეკრულების გაფორმების საკითხები.

„გეორგიევსკის ტრაქტატი“-ს შეფასებისადმი ობიექტური მიდგომა საქართველოს დამოუკიდებლობის (1991 წ.) მოპოვების შემდეგ იწყება. ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა მიერ რ. გორდეზიანი, ვ. ბოჭორიშვილი, ნ. კირთაძე, გ. ლორთქიფანიძე, ნ. ნათაძე სათანადოდ არის ეს დოკუმენტი შეფასებული გაზეთში „ახალი ქართული გაზეთი“ (№6, 1998 წ. 30 ივლისი).

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხები საერთაშორისო სამართლის ნორმების თვალსაზრისით განხილული აქვთ მ. ხელთუფლიშვილს „საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიაში“, ზურაბ ავალიშვილს - „საქართველოს შეერთება რუსეთთან“, ასევე გრ. ვეშაპელს, აკ. სურგულაძეს, ივ. სურგულაძეს. ეს უკანასკნელნი ზოგჯერ იძულებულნი არიან დასკვნები იმ იდეოლოგიური მოთხოვნების შესატყვისად გააკეთონ, რომელიც ყოველთვის როდი იძლეოდა სინამდვილის ობიექტური ასახვის საშუალებას. ისე,

რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში XVIII საუკუნის პრობლემებისადმი მიძღვნილი მეცნიერული გამოკვლევების სიმცირე კი არ იგრძნობა, არამედ დასმული პრობლემებისადმი ობიექტური შეფასება.

XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის პრობლემები განხილულია პროფესორ მ. სამსონაძის წიგნში „საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია მეთვრამეტე საუკუნეში“. პროფ. მ. სამსონაძე ქვეყნის საგარეო ორიენტაციას შეისწავლის როგორც ერეკლე მეფის სამოქმედო გეგმას. მისი ყურადღების ცენტრში მოქცეულია „საქართველოს ისტორიულ საზღვრებში გაერთიანება“ და მისი მნიშვნელობა „ქვეყნის საგარეო ორიენტაციის ჩამოყალიბებაში“. ამ მიმართებით პროფ. მ. სამსონაძე რუსული ორიენტაციის პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას და მისი სიმპათიებიც აქეთ არის მიმართული, „საჭირო იყო გარეშე ძალის გამონახვა“, – აღნიშნავს იგი. ამგვარ ძალად, რომელსაც შეეძლო დახმარება გაეწია და თვითონაც ამით დაინტერესებული იქნებოდა, მხოლოდ რუსეთი ჩანდა. წიგნში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი იმ პრობლემებს, რომლებიც ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო ურთიერთობათა თვალსაზრისით განაპირობებდა ბრძოლას მისი გაერთიანებისათვის. პროფ. მ. სამსონაძის გამოკვლევა გამოირჩევა პრობლემის ორიგინალური დაყენებითა და დასაბუთებით, მას ერეკლე მეორის რუსეთზე ორიენტაცია წარმოჩენილი აქვს როგორც ერთგვარი სახელმწიფოებრივი პროგრამა, ქვეყნის გაერთიანებისათვის საჭირო პრაქტიკული მოღვაწეობა.

თანამედროვე ქართულ-რუსულ დამოკიდებულებათა პრობლემის აქტუალურობამ გაზარდა ინტერესი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მიმართ. ამის დასტურია ის უამრავი ლიტერატურა – ესეები, სტატიები, კრებულები, ნარკვევები თუ ცალკეული წიგნები, რომელიც ამ ბოლო, ორი ათწლეულის, მანძილზე გამოიცა. ხდება მთელი რიგი საკითხების გადაფასება, რაც მართლაც, საშური საქმეა. ჩვენ შევეხებით მხოლოდ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან და ჩვენთვის საინტერესი ნაშრომებს.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ცალკეული საკითხები განხილულია მ. ვაჩნაძე, ვ. გურულის ნაშრომებში: „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. ისტორია. შედეგები. გაკვეთილები“ (2001 წ.), „რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ“ (2007 წ.); აღნიშნულ პრობლემებს ეხება ასევე ა. სილაგაძე, ვ. გურულის ნაშრომები – „სამი ისტორიულ-პოლიტიკური ესე“ (1996 წ.), „ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევი“ (2001 წ); საინტერესო ნაშრომია პროფ. ვ. გურულის „ეროვნუ-

ლი ცნობიერება, სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური ორიენტაცია“ (2008 წ.); ბოლოდროინდელ ნაშრომებს შორის აღსანიშნავია ასევე 2007 წელს გამოცემული წიგნი – „საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიის ნარკვევები“ (2007 წ.), რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა ავტორთა სტატიები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მთელ რიგ საკითხებზე. საყურადღებოა აგრეთვე პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამოცემული სტატიების კრებული – „რუსეთი და საქართველო, აგრესიის გაკვეთილები“ (2008 წ.). კრებულში ავტორთა მიერ საინტერესოდაა წარმოდგენილი რუსულ-ქართული ურთიერთობები. ასევე ყურადღებას იპყრობს ამავე წელს გამოცემული სქელტანიანი წიგნი „რუსული კოლონიალიზმი საქართველოში“, სადაც ავტორთა კოლექტივის – ალ. ბენდიანიშვილის, ალ. დაუშვილის, მ. სამსონაძის, ხ, ქოქრაშვილის, დ. ჭუმბურიძის, ო. ჯანელიძის ნაშრომებია თავმოყრილი (2008 წ.). ამავე წელს გამოიცა ასევე ვ. ფერაძისა და ლ. მუმლაძის ნაშრომი „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიის ნარკვევები(X-XXI საუკუნეები). გვერდს ვერ ავუვლით აგრეთვე, ახალგაზრდა მკვლევარის აპ. თაბუაშვილის წიგნს „ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისთვის“, რომელიც 2010 წ-ს გამოიცა. ავტორი იკვლევს რა ქვეყნის საშინაო მდგომარეობის ყველა ნიუანსს, საინტერესო დასკვნებამდე მიდის – სამეფო კარის მიერ XVIII ს-ის მეორე ნახევარში გატარებულმა ფართომასშტაბიანმა გარდაქმნებმა ქართული სახელმწიფოებრიობა გაამყარა და აღმოსავლეთ საქართველო უწყვეტი პროგრესის გზაზე დააყენა. სამწუხაროდ, მისი შემდეგი განვითარება შეწყვიტა გარეშე ძალამ 1801 წ-ის აქტით. მეცნიერის მართებული დასკვნით, რასაც ძნელია არ დაეთანხმო, აღმოსავლეთ საქართველო სულაც არ იყო ისე დაკნინებული, თუნდაც 90-იან წლებში (აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ), რომ დამოუკიდებლად არსებობა აღარ შეეძლო და დასაღუპად იყო განწირული, როგორც ამას ცარისტული, შემდეგ საბჭოური) ისტორიოგრაფია ღაღადებდა საკუთარი დამპყრობლური პოლიტიკის გამართლების მიზნით. ყურადსაღებია პროფ. დ. შველიძის ახლახანს გამოცემული ნაშრომი „საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ“ (2014). ეს ნაშრომი კიდევ ერთი მცდელობაა ისტორიოგრაფიაში ორი საუკუნის მანძილზე დაგროვილი ყალბი და მცდარი ფორმულირებებისაგან გათავისუფლებისა. წიგნში საინტერესოდაა წარმოდგენილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკვანძო ეპიზოდი – საქართველოს მფარველობისა და დაპყრობის ისტორია.

საქართველოს ისტორიის წარსულს სწავლობენ თანამედროვე დასავლეთ-ევროპელი მკვლევარებიც. მათ შორის აღსანიშნავია ინგლისელი მეცნიერები უ. ალენი, დ. ლენგი.

1932 წ-ის ინგლისელმა მეცნიერმა უ. ალენმა გამოაქვეყნა „საქართველოს ისტორია“, სადაც დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ჩვენთვის საინტერესო XVI-XIX საუკუნეებს. იგი ემყარება რა ქართულ-უცხოურ წყაროებს და ზეპირგადმოცემებს, თანმიმდევრობით გადმოცემს ფაქტებს და მოვლენებს. მის ნაშრომებში XVIII ს-ის II ნახევრის ქართლ-კახეთის სახელმწიფო საერთო-ამიერკავკასიული მნიშვნელობის სამეფოდაა დახასიათებული.

განსაკუთრებით საინტერესოა დ. ლენგის მონოგრაფია – „საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები“ (2003 წ). რომელშიც ავტორი ცდილობს გააშუქოს ქართველი ხალხის ისტორია 1658-1832 წლებში. იგი კარგად იცნობს ჩვენი ქვეყნის ისტორიის წყაროებსა და ლიტერატურას. უხვად სარგებლობს აგრეთვე საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში საქართველოს შესახებ დაცული მასალებით. დ. ლენგი საკმაოდ ფართო გეგმითა და მასშტაბით უდგება აღნიშნული პერიოდის ისტორიულ მოვლენათა შესწავლას. იგი იკვლევს როგორც სოციალურ-ეკონომიურ, ისე პოლიტიკური თუ კულტურული წარსულის საკითხებს და ხშირად ორიგინალურ მოსაზრებებსაც გვთავაზობს.

ავტორი ცდილობს ობიექტურად შეაფასოს ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის. ლენგის მიხედვით, რუსეთის შეღწევა კავკასიაში დაიწყო XVI-XVII სს-ის მიჯნაზე და XVII ს-ში მშვიდობიანად ვითარდებოდა. შემდგომი პერიოდი ხასიათდება ცარიზმის „საგანგებო მერყევი“ პოლიტიკით, რომლის მიზანი საქართველოს დასუსტება და მისი დაპყრობის მომზადება იყო.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ასახულია ასევე იტალიელი ქართველოლოგის ლუიჯი მაგაროტოს ახლახანს გამოცემულ ნაშრომში „საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ “(2008 წ.). ნაშრომში განხილულია მოვლენები 1783 წ-დან 1801 წ-მდე – ტრაქტატიდან ანექსიამდე.

I თავი. საგარეო ურთიერთობათა ძირითადი შტრიხები საქართველოს დაშლიდან XVIII ს-ის II ნახევრამდე

§1. საგარეო ორიენტაციის პრობლემები XV ს-დან XVIII ს-ის I ნახევრამდე

XIII ს-დან, თათარ-მონღოლთა შემოსევების დროიდან მოყოლებული, ვიდრე XVIII ს-მდე ახლო აღმოსავლეთის და, კერძოდ, კავკასიის პოლიტიკური რუკა ძირფესვიანად შეიცვალა. ოქროს ხანა წარსულს ჩაბარდა, დაიშალა საქართველო და მასთან ერთად კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც. გვიანი შუა საუკუნეები მახლობელ აღმოსავლეთში მომთაბარე ველური ტომების მოძალებითა და კულტურულ სახელმწიფოთა ნგრევით აღინიშნა. მსგავს პროცესს დასავლეთ ევროპაში ადგილი ჰქონდა V ს-ში, როცა ბარბაროსთა შემოსევების შედეგად არსებობა შეწყვიტა რომის იმპერიამ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბარბაროსთა დამკვიდრებამ იქ ერთგვარად ხელიც კი შეუწყო ფეოდალური წარმოების წესის განვითარებას, ახლო აღმოსავლეთში კი მათმა მოსვლამ ხელოვნურად გაახანგრძლივა ფეოდალური ურთიერთობის არსებობა და იგი საზოგადოებრივი განვითარების შემაფერხებლად აქცია. მთელ ახლო აღმოსავლეთში ბარბაროსულ-ფეოდალური ურთიერთობა გაბატონდა.

მონღოლთა უღლისაგან განთავისუფლებულ საქართველოს ვერც კი მოესწრო ნორმალური ამოსუნთქვა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით თითქმის ერთსადაიმავე დროს, ორი უაღრესად აგრესიული სახელმწიფო გაუმეზობლდა ირანისა და ოსმალეთის სახით. თემურ-ლენგის იმპერიის დაშლის შემდეგ ირანის ტერიტორიაზე რამდენიმე თურქმანული სახელმწიფო წარმოიქმნა; ცოტა მოგვიანებით, XVI ს-ის დასაწყისში ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ, თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს ნანგრევებზე ახალი, კიდევ უფრო ძლიერი და აგრესიული ყიზილბაშთა სახელმწიფო ჩამოყალიბდა სეფიანთა დინასტიით სათავეში. თუ სპარსეთსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დიდ ნაწილს, ასევე სომხეთს თურქმანები დაეპატრონენ, მცირე აზიასა და ბალკანეთში ოსმალო-თურქები გაბატონდნენ, რომლებმაც თავიანთი სახელმწიფოს დაარსებიდან (XIVს.) სულ ცოტა ხანში დაპყრობითი ომების შედეგად უზარმაზარი იმპერია შექმნეს. 1453 წ-ს ოსმალებმა აიღეს ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი – შავი ზღვის გასაღები და ევროპას ბარბარიზაციით დაემუქრნენ; მაგრამ ბიზანტიური ტრაგიზ-

მი – ეს მსოფლიო მნიშვნელობის ტრაგედია - ყველაზე სავალალო საქართველოსთვის აღმოჩნდა - დაიკეტა დასავლეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელი ერთადერთი კარი, საქართველო მოწყდა კულტურულ მსოფლიოს და იგი ბარბაროსულ სახელმწიფოთა გარემოცვაში აღმოჩნდა. ბიზანტიის განადგურებით საქართველოს ირგვლივ საბოლოოდ შეიკრა მუსულმანური გარემოცვის რკალი – სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კარიბჭეებთან ოსმალები გაბატონებულიყვნენ, სამხრეთ-აღმოსავლეთით – სპარსელები; ცოტა უფრო ადრე XVს-ის დასაწყისში ჩრდილოეთის ბუნებრივი საზღვარი – კავკასიის მთიანეთიც, რომელიც საუკუნეების მანძილზე საქართველოს საიმედო მოკავშირეს წარმოადგენდა, გამაჰმადიანდა და ამიერიდან საქართველოსადმი დაპირისპირებულ ძალთა დასაყრდენად იქცა.

XVI ს-დან მოყოლებული წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოებს ირანსა და ოსმალეთს შორის გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა. დავის მთავარ ობიექტს კავკასია, კერძოდ, ამიერკავკასია წარმოადგენდა, ამიტომ ამ ორი ვეშაპის ურთიერთჭიდილში ყოველთვის საქართველოც ისრისებოდა. 1453 წ-ს ბიზანტიის დაცემამ კიდევ უფრო გააუარესა საქართველოს ისედაც მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ქვეყნის მესვეურები შეეცადნენ გაერღვიათ ეს მტრული რკალი. რომის პაპთან შეთანხმებით შემუშავდა კიდეც „ჯვაროსნული ლაშქრობის“ მოწყობის გეგმა მცირე აზიიდან თურქ-ოსმალთა განდევნისა და ბიზანტიის აღდგენის მიზნით, მაგრამ ანტიოსმალურ კოალიციაში, რომის პაპის დიდი მცდელობის მიუხედავად ვერ მოხერხდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ჩაბმა, (რომელთათვისაც კონსტანტინოპოლის დაცემა უმთავრესად სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესების შეზღუდვას ნიშნავდა), რის გამოც ეს წამოწყება უშედეგოდ დამთავრდა. საქართველო ბედის ანაბარა დარჩა აგრესიულ სახელმწიფოთა გარემოცვაში, რომელიც შექმნილ არახელსაყრელ საგარეო მდგომარეობას, პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულად დაკნინებული და დამცრობილი შეხვდა.

XV ს-ის ბოლოსათვის საქართველო, რომლის ერთიანობასაც ბზარი ჯერ კიდევ მონღოლთა შემოსევების დროიდან გაუჩნდა, ქართლის, იმერეთის და კახეთის სამეფოებად და სამცხის დამოუკიდებელ სამთავროდ დაიშალა. საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს დაქუცმაცება სამეფო-სამთავროებად გამოწვეული იყო ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლების მოშლით, სათავადოთა სისტემის აღმოცენებით, მეფის ხელისუფლების პოლიტიკური ძალაუფლების შესუსტებით. ქართლის სამეფო კარის არაერთგზის მცდელობა ქვეყნის კვლავ გაერთიანებისა მარცხით მთავრდებოდა, განკერძოებული სამეფო-სამთავროები ყოველ-

ნაირად ცდილობდნენ (უცხო ძალის გამოყენებითაც) საკუთარი შეუვალობის შენარჩუნებას. ფეოდალური პარტიკულარიზმი, ურთიერთშუღლი და მტრობა ღრღნიდა ქვეყანას, რაც ყოველმხრივ მოძალებული მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს.

საქართველო იმედის თვალით შესცქეროდა დახშულ კარს მიღმა დარჩენილ დასავლეთ ევროპას, სამწუხაროდ, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მცდელობანი ევროპიდან პოლიტიკური დახმარების მიღებისა უშედეგოდ მთავრდებოდა, „მათი დახმარება“ გამოიხატებოდა მოწოდებებით, მანუგეშებელი სიტყვებით, მარტოოდენ მორალური მხარდაჭერით.

ოსმალურ პრობლემამდეც და მერეც, რომის პაპების მხრიდან აქტიურობას განაპირობებდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკლესიების უნიისადმი სწრაფვა და პაპისადმი დაქვემდებარება. ქართველებს პოლიტიკური დახმარების სანაცვლოდ ეკლესიათა გაერთიანებას და გაკათოლიკებას თხოვდნენ. ამ მიზანს ემსახურებოდა კათოლიკე მისიონერთა აქტიური მოღვაწეობა საქართველოში.

მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეული საქართველო და მისი პოლიტიკური მესვეურნი რომის პაპთან ურთიერთობაში კომპრომისებზე მიდიან და ზოგი მათგანი კათოლიკობასაც იღებს (ლევან II დადიანი – პირველი ქართველი გაკათოლიკებული პოლიტიკოსია), თანახმაა ეკლესიათა უნიაზე (თუმცა თანასწორობის პრინციპით და არა დაქვემდებარების), რამეთუ კათოლიკობაში ხედავდნენ პროგრესს, შესაძლებელი იყო ეროვნულობის შენარჩუნება. ამ შემთხვევაში ეს იყო საშუალება ევროპასთან დასაკავშირებლად. ქართველობა ასეთ კომპრომისებს თანხმდებოდა პირველ რიგში პოლიტიკური, შემდეგ კი რელიგიურ-კულტურული და ეკონომიური მოტივით. მიუხედავად ქართველთა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მთლიანობის დარღვევისა, მისი აქტიური კულტურულ-იდეოლოგიური ფენომენი მაინც უსწრებდა დროისა და ობიექტურ პირობათა ვითარებას.

ძლიერმა კულტურულმა ტრადიციებმა სასოწარკვეთის ჟამს ისევ ინერციით იჩინეს თავი და აზიის პოლიტიკური ქაოსიდან საქართველომ პირი იბრუნა ევროპისაკენ. ევროპა-საქართველოს ურთიერთობის ნათელსაყოფად საკმარისია ის დიდი ფაქტი, რომ „კათოლიკობა მიიღეს ისეთმა დიდმა ქართველებმა, როგორებიც იყვნენ ვახტანგ მეექვსე, სულხან-საბა ორბელიანი და ანტონ კათალიკოსი“ **(97,81)**. ამას გარდა დასავლეთის კულტურა არ შეიძლება არ შემოეტანათ იტალიაში სწავლამიღებულ ქართველებს. ევროპასთან დაახლოების მაჩვენებელია

ქართველ დიპლომატთა და სწავლულთა მოგზაურობა ევროპის ქვეყნებში. „ევროპა გაეცნო ჩვენს ენასა და ლიტერატურას... ბევრ ქართველ შვილებს გაეხსნა გზა ევროპაში, რომლებმაც მაღალ სასწავლოში სწავლა მიიღეს“ **(97,298).**

XVIII საუკუნის I მეოთხედში ევროპულმა ორიენტაციამ ფიასკო განიცადა. უშედეგოდ დასრულდა სულხან-საბას ევროპული მოგზაურობა. ქართულ-ევროპული ურთიერთობანი მხოლოდ მიწერ-მოწერაში გრძელდებოდა. ამის მერე კი იგი კარგა ხნით შეწყდა კავკასიაში პეტრე I-ის პოლიტიკის გააქტიურების შედეგად. მან ვახტანგ VI-ის ევროპულ ორიენტაციას წერტილი დაუსვა. ამიერიდან, მაჰმადიანური სახელმწიფოების გარდა, ევროპისაკენ სავალ გზაზე საქართველოს რუსეთის იმპერიაც გადაეღობა და, ფაქტიურად, მას არჩევანის საშუალება აღარ დაუტოვა. ისე წარმართა პოლიტიკური ვითარება, რომ ქართველ მეფე-მთავრებს სხვა მხარეს გახედვის საშუალება მთლად მოუსპო და იძულებითი არჩევანის წინაშე დააყენა.

ისე, რომ ვიდრე რუსეთს მიაპყრობდნენ მზერას ქართველი პოლიტიკოსები, ტერიტორიული სიშორის მიუხედავად, ევროპასთან დაკავშირებას ცდილობდნენ, რადგან ეს იყო მათთვის ის ბუნებრივი სივრცე, ორგანული ნაწილი, რომელსაც ხელოვნურად მოსწყვიტეს მაჰმადიანმა მეზობლებმა. ხოლო გეოგრაფიულად ახლომდებარე რუსეთი ჯერ კიდევ რჩებოდა „ტერიტორიულ ევროპად“, რომელიც თვითონ ცდილობდა „გაევროპელებას“–პროგრესის გზაზე გამოსვლას (პეტრე I-ის დროს) და რამდენადაც არ უნდა ცდილიყო წარმოეჩინა თავი მართლმადიდებლური ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრედ, იგი მაღალგანვითარებული ბიზანტიური ცივილიზაციის მხოლოდ გარეგნულ მემკვიდრედ თუ ჩაითვლებოდა, ხოლო კულტურული მემკვიდრეობის გამგრძელებლად დასავლეთ ევროპა რჩებოდა. გაძლიერებული „მოსკოვის სამთავროს მესვეურები ახალი პოლიტიკურ-იდეოლოგიური საფუძვლების ძიებას იწყებენ.“ ჯერ კიდევ XVI-საუკუნის 20-30-იან წლებში „მოხდა ბერი ფილოთეის ცნობილი იდეის „მოსკოვი-მესამე რომი“-ს წარმოჩენა“**(143,32-33).** ამ კონცეფციის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ „მოსკოვის მესვეურებმა ბიზანტიელ იმპერატორთაგან მემკვიდრეობით მიიღეს ქრისტიანულ-მართლმადიდებლური იმპერია. ამ უკანასკნელთ კი ეს იმპერიული ძალაუფლება რომის იმპერატორთაგან ერგოთ“**(143,22).**

სწორედ ამ შექმნილმა უაღრესად მძიმე ისტორიულმა გარემოებებმა აიძულა საქართველო ეძებნა გარეშე დამხმარე ძალა, რამაც იგი საბოლოოდ იმპერი-

ული სულისკვეთებით შეპყრობილ ჩრდილოელ მეზობელს გადაჰყარა. დასავლეთ ევროპის ქვეყნების ყურადღების მიპყრობის არაერთი მცდელობის უშედეგოდ დამთავრების შემდეგ ქართველმა მეფე-მთავრებმა მზერა პოლიტიკურად მზარდ რუსეთის სახელმწიფოს მიაპყრეს, თუმცა დასავლეთზე ორიენტაციის იდეა, როგორც სწრაფვა კულტურულ სამყაროსთან კავშირის აღდგენისა და არა მხოლოდ ფიზიკური მოკავშირე ძალის ძიებისა, კვლავაც ცოცხლობდა. ახალგაზრდა მართლმადიდებელი რუსეთის სახელმწიფოში ქართველი მეფე-მთავრები გარკვეულწილად ბიზანტიის ხატებას ხედავდნენ. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კულტურული და რელიგიური თვალსაზრისით, ბიზანტია ბევრად მაღლა იდგა რუსეთზე. ეს კარგად ესმოდათ ქართველ პოლიტიკოსებსაც – რომ რუსეთი არ იყო შუაგული ევროპა – ცივილიზაციის აკვანი. ის ეს ესაა იდგამდა ფეხს და უფრო მეტად იზრდებოდა ჰორიზონტალურად (ტერიტორიულად), ვიდრე ვერტიკალურად (კულტურულად). ამიტომ იყო, რომ ქართველი პოლიტიკოსები, პირველ რიგში, ევროპასთან კავშირს ეძიებდნენ. ისმის შეკითხვა: შეეძლო კი რუსეთს რეალურად ეტვირთა რომის მემკვიდრეობა, რომლის ამბიციასაც ის ასე აშკარად გამოხატავდა? „ყოფილიყო ის ჭურჭელი, რომელიც უნივერსალურის შემცველი იქნებოდა? შეეძლო მას უნივერსალური იდეისთვის მსხვერპლად მიეტანა თავისი ეროვნულობა (ველიკორუსობა)? მას ჰყავდა მრავალრიცხოვანი მორწმუნე ხალხი, მას ჰქონდა აღებული ქანი საზღვრების განსავრცობად ქვეყნის ოთხივე კუთხით, ჰქონდა სამხედრო ძლევამოსილება და სხვ. მაგრამ მას არ ჰქონდა ის საფუძველი, რამაც ბიზანტიის ქრისტიანული სახელმწიფოს ფუნდამენტი შექმნა. ის ჯერ კიდევ ეროვნულად უნდა მომწიფებულიყო, რათა უნივერსალურის ტვირთვა შეძლებოდა. ის ჯერ უნდა დამდგარიყო, როგორც ნაცია“**(114,4)**. სავსებით მართებულად შენიშნავდა კირიონ ეპისკოპოსი, რომ ბიზანტიის დაცემის შემდეგ მართლმადიდებლობის დაცვის ფუნქცია რეალურად საქართველომ შეასრულა – ხოლო გავრცელებული თვალსაზრისი, XV ს-ში კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ქრისტიანული აღმოსავლეთის რელიგიურ-კულტურულ ცენტრად მოსკოვის აღიარების შესახებ, რუს ისტორიკოსთა პატრიოტულ გაზვიადებას წარმოადგენს **(92,77)**. ვიდრე პატარა ივერია რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში მარტო, გმირულად უმკლავდებოდა მოზღვავებულ მაჰმადიანებს და სისხლისაგან იწრიტებოდა, ვიდრე იგი აგრესორთა შემდგომ დაპყრობებს წინაღობას უქმნიდა კავკასიაში, რუსეთი მშვიდობიანად ვითარდებოდა და ძალებს იკრებდა; ხოლო როცა კავკასიას მოადგა მისი „პოლიტიკური უბედურებით“ ისარგებლა და მზაკვრულად დაეპატრონა დასუს-

ტებულ ქვეყანას. „მუსლიმანურ გარემოცვაში მარტოდ დარჩენილმა საქართველომ სასიცოცხლო ენერგია შეალია ისლამურ სახელწიფოებთან ბრძოლას. აღმოსავლეთ ევროპისათვის საქართველომ ერთგვარი ბუფერიის როლი ითამაშა. რუსეთის შემდგომი პოლიტიკური წარმატებები გარკვეულწილად განაპირობა ქრისტიანული აღმოსავლეთის პოლიტიკურმა უბედურებამ“**(92,82).** რეალურად, სწორედ რომ საქართველო წარმოადგენდა ქრისტიანობის დამცველ ბურჯს აღმოსავლეთში. რუსეთის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის შემდეგ, ქრისტიანული ბიზანტიის სულიერი და პოლიტიკური - (შინაგანი და გარეგანი) მემკვიდრეობის ფუნქციები საქართველო-რუსეთს შორის გადანაწილდა. სულიერ მემკვიდრედ საქართველო აღიქმებოდა, ხოლო პოლიტიკურ მემკვიდრედ - რუსეთი. ერთის მიერ შინაგანი, ხოლო მეორეს მიერ გარეგანი მემკვიდრის ფუნქციის შეთავსება მათ მიზან-სწრაფვათა შეუსაბამობის საშიშროებას ჰქმნიდა და იმთავითვე გამორიცხავდა ორ ქვეყანას შორის თანასწორობის პრინციპზე დამყარებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

რუსეთმა 1480 წ-ს გაითავისუფლა რა თავი მონღოლთა ბატონობისაგან, იგი თვითონ გადაიქცა უდიდეს აგრესორად. რუსეთი თანდათანობით ძლიერდებოდა ერთის მხრივ ბალტიისპირეთის, ხოლო მეორეს მხრივ ვოლგისპირეთისა და დასავლეთ ციმბირის წინააღმდეგ წარმოებული დაპყრობითი ომების ხარჯზე და ნელა, მაგრამ მტკიცედ მოიწევდა სამხრეთისაკენ. თათართა დამარცხებამ და ერთმორწმუნე რუსეთის გაძლიერებამ იმედი ჩაუსახა ქართველ მეფე-მთავრებს; ისინი რუსეთისაგან, როგორც მართლმორწმუნე ქრისტიანებისაგან უანგარო დახმარებას მოელოდნენ. გარკვეულწილად მასში ბიზანტიის ხატებასაც ხედავდნენ: „ძველთა შინა დროთა, ოდესცა მართმადიდებელნი იმპერატორნი კონსტანტინოპოლისა ფლობდნენ აღმოსავლეთსა და დასავლეთსა... მეფენი საქართველოსანი ბაგრატოვანნი იღებდნენ მათგან ნიჭს ურიცხვსა, აქუნდათცა სახლისა მათისა კურაპალატობა, რომელ არს სახლთუხუცესობა და შეწევნითა მათითა ჰფლობდნენ კასპიის ზღვიდან ვიდრე შავს ზღვამდენ“**(1,II,156).** როცა ბიზანტიის იმპერია დაეცა და მის ნანგრევებზე მუსლიმური სახელმწიფოები გაჩნდა „შევიდა ქუეყანა განუსევენებლობასა შინა. რაჟამს უკუე განავრცნა ხელმწიფება როსსიისა იმპერიისა, მომგონებელთა მეფეთა საქართველოსათა ძველთა მათ მფარველობათა მოინებეს, რათა შეავედრონ თავი თვისი ქრიასტიანესავე იმპერატორსა და რომელიცა საფარველი სდებიესთ ძველთა მათ იმპერატორთა მიერ, მოენიჭოთცა იმპერატორის მიერვე მზგავსისა მათისა მართლმადიდებლისა“ **(1,II,156).** ახლადმოვლენილი ჩრდი-

ლოელი მეზობელი მაჰმადიანური აგრესიისაგან მხსნელად და მფარველად მიიჩნიეს ქართველმა მეფეებმა და რუსეთთან ჯერ კიდევ XV ს-დან დაამყარეს ინტენსიური დიპლომატიური კავშირ-ურთიერთობანი. „ქართველ პოლიტიკოსთა არჩევანი განპირობებული იყო იმით, რომ, რუსეთი პერსპექტივაში აუცილებლად შეეჯახებოდა ირანსა და თურქეთს; ამიტომ ერთმორწმუნე რუსეთის გამოყენება ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ ქართველ მეფეებს რეალურად ესახებოდათ. მაგრამ მათი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ XVI-XVII სს-ში რუსეთი არ წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც წინ აღუდგებოდა ირანისა და თურქეთის დამკვიდრებას საქართველოში“**(93,12).**

XVIII ს-ში იმპერიადქცეული და კიდევ უფრო გაძლიერებული რუსეთის აქტიურობა კავკასიის რეგიონში ახალი იმედებით აღავსებდა მართლმორწმუნე მმართველებს. მათი წარმოსახვით, რუსეთი უანგაროდ დაიცავდა ქრისტიანებს, პოლიტიკურად და სარწმუნოებრივად. სამწუხაროდ, მოლოდინი და შედეგები განსხვავებული აღმოჩნდა. მართებულად შენიშნავს მიტროპოლიტი ა. ჯაფარიძე: ,,XVI-XVIII სს-ში ცხადი გახდა, რომ მართლმადიდებლობას განშორებული ქართველები ეროვნებასაც კარგავდნენ, გრიგორიანი ქართველების არმენოფილური ცნობიერება, კათოლიკე ქართველების „ფრანგობა“ და მაჰმადიანი ქართველების „თათრობა“ ჩვენს მოსახლეობასა და პოლიტიკურ წრეებს არწმუნებდა, რომ ქართველობის ერთადერთი საყრდენი მართლმადიდებლობა იყო. ამიტომ ეგონათ, ქართველობის შესანარჩუნებლად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მაჰმადიანური თურქეთისა და სპარსეთისაგან განსხვავებით რუსეთი, სურდა თუ არ სურდა, თავისი მართლმადიდებლობის გამო „ქართველობას“ საფუძველს არა თუ ვერ გამოაცლიდა, არამედ განამტკიცებდა კიდეც. მაგრამ რუსეთის იმპერიამ 1801 წ-ს საქართველოს სახელმწიფო გააუქმა და მეფობა მოსპო“ **(210,228).**

რუსეთთან ურთიერთობა ყველაზე ადრე კახეთის სამეფომ დაამყარა, რამდენადაც იგი უფრო ახლო იყო იმ გზებთან, რომლითაც მაშინ საქართველო ჩრდილოეთს უკავშირდებოდა. რუსული ორიენტაციის დამწყებად კახთა მეფე ალექსანდრე I (1476-1511 წწ.) ითვლება. მან პირველმა აიღო გეზი ერთმორწმუნე რუსეთზე. ალექსანდრეს კურსს მტკიცედ გაჰყვნენ დაქუცმაცებული საქართველოს ყველა მომდევნო მეფე-მთავრები. მიუხედავად ამ ორიენტაციით გამოწვეული დამღუპველი შედეგებისა, საქართველოს მესვეურები 1491 წ-დან 1801 წ-მდე ე.ი. 300 წ-ზე

მეტი ხნის მანძილზე ერთხელ აღებულ გეზს მიჰყვებოდნენ, ვიდრე 1801 წ-ს საქართველო არ მიიყვანეს დაღუპვამდე.

1483 წ-ს კახეთის მეფე ალექსანდრემ ელჩები გააგზავნინა მოსკოვის დიდ მთავარ ივანე III-სთან მოსალაპარაკებლად. ეს იყო რუსეთ-საქართველოს პირველი დიპლომატიური ურთიერთობა. აქედან მოყოლებული კიდევ უფრო გაძლიერდა როგორც კახეთის, ასევე საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროების დაახლოება რუსეთთან. XVI ს-სათვის რუსეთმა დაუქვემდებარა რა თავის ბატონობას ყაზანელი და ასტრახანელი თათრები, აგრეთვე ბაშკირები, მორდოველები, მარელები, უდმურტები და დას. ციმბირის ხალხები, კავკასიაც თანდათანობით მოექცა მისი მხედველობის არეში; ყაზან-ასტრახანის თათრულ სახანოთა დაპყრობით რუსეთმა გაათავისუფლა ვოლგის დიდი სავაჭრო გზა და უშუალოდ კავკასიას გაუმეზობლდა. „მას შემდეგ, რაც რუსეთსა და კახეთს შორის ელჩების მიმოსვლა დაიწყო, რუსთა ქვეყნის შესახებ საქართველოში ზოგადად დადებითი შეხედულება ჩამოყალიბდა. ქართველთა ცნობიერებაში იგი ძლევამოსილ მართლმადიდებელ სახელმწიფოდ აღიქმებოდა, რომელსაც შეეძლო მფარველობის ხელი გაეწვდინა მუსლიმთა ურდოებით შევიწროებული ქრისტიანი თანამოძმეებისათვის. მაშინ არავის მოსვლია აზრად, ეფიქრა საფრთხეზეც, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა რუსეთის კავკასიურ ორბიტაზე გამოჩენას“ **(208,6).**

რუსეთი გაბატონდა თუ არა ვოლგა-ასტრახანის გზაზე, კავკასიის ხელში ჩაგდებაც განიზრახა. ამ მიზნით რუსეთის მეფე (ივანე მრისხანე) კახეთის მეფე ლევანს დაუკავშირდა და „მფარველობა“ შესთავაზა. ამ უკანასკნელმა სიამოვნებით მიიღო იგი. 1564 წ-ს ივანე მრისხანემ მდ. თერგისა და სუნჯის შესართავთან ციხე-სიმაგრე ააგო და შიგ ჯარი ჩააყენა. „ამ დროიდან რუსეთის ისტორიაში კავასიაზე გაბატონების ფიქრი ხდება თითქოსდა მემკვიდრეობითი. თვით მშვიდობიანი მეფე თევდორეც აგრძელებს მამის პოლიტიკას, მან აღადგინა ციხესიმაგრე სუნჯასთან და ფიქრობდა ახალი ციხის ყოისუს საფუძველის ჩაყრას, თვით სულაყთან... რათა პირდაპირ შამხალს დამუქრებოდა“**(42,8-9).** კავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე რუსეთის გამოჩენამ კიდევ უფრო დაძაბა ორ ვეშაპს, ირანს და ოსმალეთს შორის მოქცეული საქართველოს მდგომარეობა. ირანი და თურქეთი შიშით ადევნებდნენ თვალს რუსეთის გაძლიერებას და მის აგრესიულ სვლას სამხრეთისაკენ. ცხადია, ისინი კარგად ხედავდნენ იმ დიპლომატიურ ძაფებს, რომელიც რუსეთ-საქართველოს შორის იბმებოდა. 1501 წ-ს ირანის შაჰი ისმაილი პი-

რობით შეეკრა თურქეთის სულთანს, რომ საშიშროების თავიდან ასაცილებლად გაეწყვიტათ მთელი საქართველო. „შაჰ ისმაილი აფრთხილებდა სელიმს, რომ საქრისტიანო საქართველოსაგან ცუდი ბოლო მოელის სამაჰმადიანო ოსმალეთსაც და სპარსეთსაცო“ **(174,53).** რუსეთის კავკასიაში დამკვიდრებით შეშფოთებულმა თურქეთმა გადამწყვეტ ღონისძიებას მიმართა. მან ომის მუქარით აიძულა რუსეთი გაეყვანა ჯარები თერგის ციხიდან.

რუსეთის სახით, საქართველოს, ჩრდილოეთის მხარიდანაც მესამე ძლიერი და აგრესიული სახელმწიფო გაუმეზობლდა. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ საქართველოს მაშინდელი და შემდგომ დროინდელი მესვეურებიც სამი მტრიდან მხოლოდ ორს ხედავდნენ. მესამე კი, ყველაზე ულმობელი მეგობრად და მფარველად ეჩვენებოდათ სარწმუნეობრივი ერთიანობისა გამო. სწორედ ეს სარწმუნოებრივი პრინციპით ხელმღვანელობა შეიქნა საქართველოს დამღუპველი. ქართველმა მეფე-მთავრებმა სარწმუნოება პოლიტიკურ სახელმღვანელოდ აქციეს და ერთმორწმუნეობის იმედით შეპყრობილნი ხშირად თვითონვე ხდებოდნენ საკუთარი ერისა და ქვეყნის უბედურების მიზეზი. საგარეო პოლიტიკაში სარწმუნოებრივი ფაქტორის წამყვანობა ერთგვარ დოგმად დამკვიდრდა. რუსეთის ცბიერი პოლიტიკაც სწორედ ქართველთა მხურვალე სარწმუნოებრივ გრძნობაზე, მათ გულუბრყვილობაზე იყო აგებული თავიდანვე. რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა იცოდნენ რა საქართველოს გაჭირვებული მდგომარეობა, ისე წარმოუდგინეს ქართველებს საქმის ვითარება, რომ თითქოს რუსეთის ერთადერთი მიზანი ქრისტიანი ქართველების შველა ყოფილიყოს. ამ მოჩვენებითი თანაგრძნობით 1585 წ-ს რუსეთის მთავრობამ კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს მფარველობა შესთავაზა. ცხადია, ალექსანდრემ სიამოვნებით მიიღო „ღვთით მოვლენილი მფარველის“ წინადადება. 1587 წ-ს მეფე ალექსანდრემ რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცი მიიღო. 1589 წ-ს კი რუსეთის მეფემ ალექსანდრეს წყალობის სიგელი გამოუგზავნა. კახეთის მაგალითით შეგულიანებული რუსეთს დაუკავშირდა აგრეთვე, ქართლის მეფე გიორგი X. რაც უფრო წინ მოიწევს რუსეთი, რაც მეტ წარმატებას აღწევს მისი პოლიტიკა კავკასიაში, მით უფრო იძაბება საქართველო-ირანსა და საქართველო-თურქეთს შორის დამოკიდებულება. „რუსეთთან დაახლოების გამო კახეთის მეფე განსაკუთრებულ რთულ მდგომარეობაში მოექცა: ერთი მხრით მას მოსკოვთან კავშირისა და ოსმალეთის „ორგულობისათვის“ სულტანი ემუქრებოდა, მეორე მხრივ, ირანის შაჰიც „მოღალატედ“ სთვლიდა. ამავე დროს ხელშე-

სახები რამ სანუგეშო კახეთისათვის მოსკოვის მეფესთან კავშირს არ მოჰყოლია“ **(154,326).** როგორც თავად რუსი ისტორიკოსები აღნიშნავენ, რუსეთის სახელმწიფოს XVI ს-ში არ შეეძლო დახმარება აღმოეჩინა მისგან ასე დაშორებული სამფლობელოებისათვის, მით უფრო დაეცვა იგი. თუმცა ამის მიუხედავად, მეფე თევდორემ მაშინვე მოირგო ახალი ტიტულატურა: „მეფე ივერიის მიწებისა, ქართლისა და საქართველოს მეფეებისა, ყაბარდოს მიწებისა, ჩერქეზეთისა და მთიელთა სათავადოებისა“ **(42,11)**.

კახეთმა მალე იგემა თავის მმართველთა არამართებული პოლიტიკის ნაყოფი – შაჰ-აბასის გამანადგურებელი შემოსევები. ეს იყო რუსული ორიენტაციით გამოწვეული პირველი ყველაზე ტრაგიკული შედეგი, რომლის შედეგადაც საქართველოს ეს აყვავებული მხარე, აქამდე თურქ-ოსმალთა შემოსევებისაგან ასე თუ ისე დაცული, მიწასთან გასწორდა. შაჰ-აბასმა სწორად შეაფასა სპარსეთისათვის მოსალოდნელი საფრთხე თუ რუსეთი კავკასიაში დამკვიდრდებოდა. პირველ ხანებში საფრთხის თავიდან ასაცილებლად მან ქართველ თავკაცთა განადგურება სცადა. 1605 წ-ს საკუთარი შვილის ხელით სიცოცხლეს გამოასალმა ალექსანდრე II ... ბოლო მოუღო აგრეთვე რუსეთის მოტრფიალე ქართლის მეფეს გიორგი X-ს. მაგრამ ამ ხერხმა არ გასჭრა, ქართლისა და კახეთის მომდევნო მეფეები თეიმურაზ I და ლუარსაბ II კვლავ რუსულ ორიენტაციას მიჰყვებიან და რაც დრო გადის, მით უფრო მეტად უახლოვდებიან რუსეთს. ხოლო ამ უკანასკნელს მათი დახმარების არც შესაძლებლობა ჰქონდა და, არც სურვილი. რუსეთი მხოლოდ დიპლომატიური შუამდგომლობით კმაყოფილდებოდა და ისიც ხანდახან. მისი მომრიგებლის როლში გამოსვლა ირანის გაღიზიანებას იწვევდა და საქართველოსთვის მეტი ზიანი მოჰქონდა, ვიდრე სარგებლობა. „ეს დაამტკიცა 1619 და 1623 წწ-ში მოსკოვში გაგზავნილმა ელჩობებმა. სამოქალაქო ომიდან ახლად გამოსული ქვეყანა, რომელიც თვითონ მიისწრაფოდა ირანთან შეწყვეტილი სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობის აღდგენისაკენ, მხოლოდ დიპლომატიური გზით თუ შეძლებდა გამოქომაგებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ საქართველოს. ეს რა თქმა უნდა, არამც თუ საკმარისი იყო, არამედ ხანდახან ზიანის მომტანიც ხდებოდა ხოლმე“**(165,72).** ერთ-ერთ ასეთ შუამდგომლობას ის მოჰყვა შედეგად, რომ 1622 წელს შაჰმა დაასაჭურისებინა თეიმურზის ვაჟები – ლევანი და ალექსანდრე, ხოლო 1624 წელს საშინელი წამებით ამოხადეს სული ქეთევან დედოფალს. „ამის უკან რის მომლოდინე უნდა ყოფილიყო ყოველი გონიერი ხელმწიფე სპარსეთისა საქართველოსაგან? რა ღონისძიებაღა დარჩენილიყო, რომ სპარ-

სეთი ასცდენოდა იმ საშინელ მომავალს, რომელიც მოელოდა ამგვარი მძლავრი სახელმწიფოს დამეზობლებით?! ერთადერთი ღონე იყო... ან მოსპობა ქართველთ სახელისა, ან გაწირვა სპარსთა საბოლოოსი. რაღა თქმა უნდა, როდესაც სხვა მეცადინეობა არ გაუვიდა, აბასმა არჩია, თავის სახელმწიფოს დაღუპვას ბოლოს მოღება საქართველოსი. ამას არა ჰხედავდნენ დღევანდლამდისაც ჩვენი მემატიანე და მწერალნი, რომელთაც ყველა უბედურებაში ხელი ჩამოაწმინდეს სააკაძეს“ **(174,56-57).** ხოლო რაც შეეხება რუსეთის „დახმარებას“ საქართველოს მიმართ, იგი იმაში გამოიხატა, რომ მოციქულები გააგზავნეს ირანში შაჰ-აბასთან თხოვნით ლუარსაბ მეფის, თეიმურაზის დედისა და შვილების ტყვეობიდან გასათავისუფლებლად, შაჰ-აბასი ისედაც შეშფოთებული იყო საქართველოში რუსეთის დამკვიდრების საშიშროებით და ახლა რუსთა მოციქულების აშკარა გამოსვლამ ქართველთა „მფარველის“ როლში მთლად გააცოფა იგი. ეს ფაქტი გახდა ერთერთი მიზეზი შაჰ-აბასის მიერ ლუარსაბისა და ქეთევანის მოკვლისა **(174,66).** მართლაც, მაჰმადიან მეზობელთა აგრესიის ხარისხი პირდაპირ კავშირში იყო კავკასიაში რუსეთის გააქტიურებასთან: **„**კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში რუსეთის მოსალოდნელი შემოჭრის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ირანისა და თურქეთის აგრესიის კიდევ უფრო გაძლიერება სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა საქართველოს“ **(93,8).**

რუსეთის შუამდგომლობამ ვერ იხსნა საქართველო 1625 წლის შემოსევებისგანაც. დაახლოებით იგივე განმეორდა მოგვიანებით. 1646 წელს თეიმურაზმა ელჩი, გიორგი ჩოლოყაშვილი, გააგზავნა მოსკოვში. იგი ითხოვდა შაჰთან შუამდგომლობას ქართლის დაბრუნების საქმეში. თუმცა მას საკუთარი გამოცდილებიდან უნდა ცოდნოდა რა მოჰყვებოდა ხოლმე ასეთ შუამდგომლობას. მოსკოვმა, მართლაც, გააგზავნა „1647 წელს შიკრიკი გრიგოლ ბულგაკოვი და შაჰს სთხოვა, თავი შეეკავებინა საქართველოს წინააღმდეგ მტრული მოქმედებისაგან“**(15,62).** ელჩობამ სრულიად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო – 1648 წელს თეიმურაზი საბოლოოდ გააძევეს კახეთიდან. აღნიშნული პერიოდის რუსეთ-ირანის მმართველთა მიმოწერებში კარგად ჩანს ის მწვავე დიპლომატიური ჭიდილი, რომელიც თეიმურაზ პირველის გამო წარმოიშვა. შაჰისადმი დაუმორჩილებლობისა და ურჩობისთვის დასჯილი თეიმურაზის მფარველობა და დაცვა რუსეთის მეფის მიერ, უკიდურეს აგრესიას აღძრავდა ირანის მმართველებში. შესაბამისად, ეს აგრესია თავისი უკიდურესი ფორმით აისახებოდა ქართულ სამეფოებზე. რუსთა ე.წ „დიპ-

ლომატიური მფარველობა“, ფაქტიურად, მდგომარეობას ართულებდა, საქმის რეალურ არსს კი ვერ ცვლიდა. გაძევებული თეიმურაზის დამცველ მეფე ალექსი მიხეილის ძეს შაჰი აღშფოთებული წერდა: „ჩვენმა როსტომ ხანმა თეიმურაზის შვილი დავითი მოკლა და თავად თეიმურაზი გააძევა საქართველოდან, თქვენ კი გინდათ რომ საქართველო ისევ თეიმურაზს მივცეთ“**(166,№45-46,37).** ხელმოცარული თეიმურაზი 1658 წელს თავად გაემგზავრა რუსეთში ტახტის დაბრუნების დახმარების იმედით. მაგრამ ამაოდ, არაერთი საბუთის მოტანა შეიძლება იმის ნათელსაყოფად რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაეხმარებოდა საქართველოს ირანთან ურთიერთობის გაუარესების ხარჯზე. ამგვარი პოლიტიკის არსი კარგად ჩანს იმ ინსტრუქციიდან, რომელიც მისცეს ირანში ელჩებად გაგზავნილ კორობინსა და კუვშინოვს. მათ ირანის შაჰისათვის უნდა განეცხადებინათ: „მეფის უდიდებულესობა თავის ძმასთან, შაჰის უდიდებულესობასთან, მეგობრობას თეიმურაზ მეფის გულისათვის არ დაარღვევს“**(40, 153).**

ასე, რომ თეიმურაზის რუსულმა პოლიტიკამ სრული მარცხი განიცადა და ეს გარდაუვალიც იყო არსებულ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში. მართებულად შენიშნავს მ. პოლიევქტოვი: „მოსკოვი რომლის მიზანი კავკასიაში გაბატონება იყო, ცდილობდა მოემზადებინა საფუძველი მომავალი ექსპანსიონისტური გეგმების განხორციელებისათვის... ნიადაგი ასეთი შეტევისათვის XVII საუკუნეში მზადდებოდა“**(41,23).** ასევე ძნელია არ დავეთანხმოთ შ. მესხიასა და ი. ცინცაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქართველებს არ ქონდათ სრული წარმოდგენა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე და რომ რუსეთი ამიერკავკასიის საკითხს შორეული მომავლისათვის გეგმავდა **(135, 76-77).**

იმ სიტუაციაში საქართველოს პოლიტიკურ მესვეურებს თავი რომ შეეკავებინათ რუსეთთან ურთიერთობისაგან, რომელსაც მხოლოდ საკუთარი მიზნები ამოძრავებდა, ვფიქრობთ, ასცდებოდა ქვეყანა ასეთ ტრაგიკულ შედეგებს. იმ პირობებში საჭირო იყო არა დაჟინებული სვლა რუსეთისაკენ, არამედ როგორც თურქეთთან, ისე ირანთან ფრთხილი პოლიტიკის წარმოება, თუნდაც დარჩენა გარკვეულ მომენტამდე იმ ვასალურ მდგომარეობაში, რომელშიც მაშინ საქართველო იმყოფებოდა. „ირან-თურქეთის ურთიერთდაპირისპირებაში მესამე ძალის – რუსეთის შემოყვანამ და მასზე ნაადრევმა აქცენტმა დააჩქარა 1614-20 წწ-ის კახეთის ტრაგედია“**(167,110).** საზოგადოდ, საქართველოს გეოპოლიტიკის თავისებურებების გაუთვალისწინებლობას უარყოფითი პოლიტიკური შედეგები მოჰქონდა. „საყოველთაოდ მიღებული ფორმულით, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს,

გეოპოლიტიკურ ადგილს ერთი მთავარი ფაქტორი განაპირობებდა – დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ანუ ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სამყაროთა, მიჯნაზე მდებარეობა“ **(156,25).** აქედან გამომდინარე „უნივერსალურ სტრატეგიას წარმოადგენდა გონიერი მანევრირება“ **(156,24;156,93).**

რუსეთ-საქართველოს ისტორიაში უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საყურადღებო მომენტი. ქართველი მეფეები უმეტეს შემთხვევაში ისე სთხოვდნენ საჯაროდ დახმარებას რუსეთს და შედიოდნენ მის ე.წ. „მფარველობაში“, რითაც უაღრესად აღიზიანებდნენ ირან-ოსმალეთს და ამხედრებდნენ საქართველოს წინააღმდეგ, რომ სრულებითაც არ სწავლობდნენ თვით რუსეთის შესაძლებლობას და მისწრაფებას ქართველთა დასახმარებლად: მაგალითად, თეიმურაზ I რუსეთს დაუკავშირდა ირანის წინააღმდეგ და დახმარებას სთხოვდა, როცა თვით რუსეთი წელში იყო გაწყვეტილი პოლონელ ინტერვენტებსა და მათ წარმომადგენელ „ცრუ დიმიტრებთან“ ბრძოლაში. რა დახმარება შეეძლო ასეთ პირობებში რუსეთს დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა ამისათვის? „როგორც გამოირკვა საქართველოს რუსეთის სამეფოსა და რუსთ ხელმწიფის შესახებ მაშინ ნამდვილი წარმოდგენა არ ჰქონია. ამ ქვეყნისა და მისი მბრძანებლის შესახებ საქართველოს მეფე-მთავრებისათვის ცნობის მიმწოდებლები თავიდან შემთხვევითი პირები იყვნენ, რომელთაც სხვათაგან გაგონილის მოთხრობა შეეძლოთ მხოლოდ. ამ ზეპირი, ზერელე ნაამბობით საქართველოს პოლიტიკის ხელმძღვანელებმა მაშინდელი რუსეთი საქართველოსთან ტერიტორიულად უკვე მიახლოებულ ქვეყნად და მისი ხელმწიფე უძლეველ და უქრისტიანეს მეფედ წარმოიდგინეს, რომელსაც მარტო მაჰმადიანთა დამარცხებითა და აღმოსავლეთის დაჯაბნულ ქრისტიანების დახმარებით უღვივოდა გული“**(203,55).** თეიმურაზი ზოგჯერ ცდილობდა ირანის წინააღმდეგ დახმარება მიეღო ოსმალეთში ან ევროპაში, მაგრამ ძირითადად იგი რუსეთის მოიმედედ რჩებოდა. XVII საუკუნის I ნახევრის რუსეთი, დასუსტებული შიდა თუ გარე ბრძოლებით, თვითონ საჭიროებდა დახმარებას – ირანს იქით თხოვდნენ ფინანსურ დახმარებას და ცდილობდნენ მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. ასეთ ვითარებაში რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაეხმარებოდა საქართველოს და არ გაიუარესებდა ურთიერთობას ირანთან. მართალია, რუსეთი საქვეყნოდ აცხადებდა თავს ქართველი ქრისტიანი მეფეების მფარველად, სიამოვნებით ღებულობდა მათგან ერთგულების ფიცს და ა.შ. მაგრამ არასოდეს უფიქრია, გაეწია მათთვის რეალური დახმარება. ამ გზით იგი უბრალოდ მიმარ-

თავდა დიპლომატიურ ექპანსიას; უფრთხოდა რა ირან-ოსმალეთთან ურთიერთობის გაფუჭებას, რუსეთი მკვეთრ პოლიტიკურ ნაბიჯებს თავს არიდებდა. როგორც ვხედავთ, საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური კავშირი „შემოისაზღვრებოდა ელჩებისა და საჩუქრების გაცვლით, არ აისახებოდა სპარსელებისა და თურქებისაგან განუკითხავად ჩაგრული პატარა ქრისტიანული სახელმწიფოს მატერიალურ მხარდაჭერაზე“(198,113). ტრადიციულად ამ დიპლომატიური ურთიერთობებისას ქართული მხარე „ითხოვდა სამხედრო დახმარებას საერთო მტრის წინააღმდეგ, ხოლო რუსი ელჩები – მოსკოვის მეფის უზენაესობის ცნობას“(181,5). XVII საუკუნის რუს მმართველებს ამბიცია დიდი ჰქონდათ, მაგრამ რეალური შესაძლებლობა - ნაკლები, ამიტომაც თავის დაფარვის მიზნით „ირანის მფლობელებთან მიმოწერის დროს თვითმპყრობელობის დიპლომატია კახი ბატონების რუსეთთან დაახლოებას თვით კახეთის მესვეურების ინიციატივას მიაწერს და საქმის ვითარება ისე გამოჰყავს, ვითომც შექმნილ პირობებში ქრისტიანი ქართველი მეფეების თხოვნის უგულებელყოფა რუსეთს არ შეეძლო“ (186,113).

XVII ს-ში რუსეთის ამოცანა იყო, იდეოლოგიურად გაბატონებულიყო საქართველოში, რათა შორეულ მომავალში, ხელსაყრელ ვითარებაში, კავკასიაში საიმედო დასაყრდენი ჰქონოდა. ამიტომ იყო, რომ რუსეთის ხელმწიფეები ცრუ დაპირებებით კვებავდნენ ქართველ მეფეებს, ჰპირდებოდნენ უახლოეს მომავალში დახმარებას. ისე, რომ რუსეთის მთავრობა მთელი XVI-XVII სს-ის მანძილზე დიპლომატიურ ექსპანსიას მიმართავდა და „ამ მეთოდით ამზადებდა სამხედრო-პოლიტიკურ აგრესიის წინაპირობებს“ (60,7). სამწუხაროდ, პოლიტიკური წინაღობა ქართული სამეფო-სამთავროების მხრიდან ამ მიმართულებით არ არსებობდა. „XVI-XVII ს-ში ვერცერთმა ქართულმა სამეფომ ან სამთავრომ ვერ შეიმუშავა მეტ-ნაკლებად რეალისტური, დასაბუთებული, შექმნილი სიტუაციის ყოველმხრივ ანალიზზე დამყარებული საგარეოპოლიტიკური კურსი ირანთან, თურქეთთან, დასავლეთ ევროპასა და რუსეთთან მიმართებაში. ობიექტურ სიძნელეებს ემატებოდა სუბიექტური მიზეზებით გამოწვეული საბედისწერო შეცდომები.... ქართული დიპლომატია აშკარად ჩამორჩა გარე სამყაროს დიპლომატიას. იმ ქვეყნების უმაღლესი პოლიტიკური წრეებიდან, სადაც საქართველოს ბედი წყდებოდა, ქართული დიპლომატია ინფორმაციას თითქმის ვერ ღებულობდა. სრულ ვაკუუმში მოქმედი ქართული დიპლომატია მხოლოდ მომხდარზე ახდენდა რეაქციას, რაც საქმეს, ცხადია, ვეღარ შველოდა. ქართული დიპლომატიის უსუსურობა ხელს უწყობდა სახელმწიფოებრიობის ნგრევას“ (93,10-11).

რამდენადაც კავკასიაში რუსეთის დამკვიდრება საქართველოს თაოსნობით ხდებოდა, ამიტომ შაჰ-აბასმა თავდაპირველად გადაწყვიტა საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ერის სავსებით აღმოფხვრა და იქ სპარსელთა დასახლება. მაგრამ ქართველთა გმირულმა წინააღმდეგობამ შაჰ-აბასს ხელი ააღებინა ამ გეგმაზე. ირანი ბოლოს იმით დაკმაყოფილდა, რომ საქართველოს მეფედ გამაჰმადიანებული როსტომი დანიშნა. თუ რა დამღუპველი იყო საქართველოსათვის რუსული ორიენტაცია და შედარებით სასარგებლო იმ პირობებში სპარსეთისადმი მოჩვენებითი ერთგულება, კარგად ჩანს ერთის მხრივ იმ საშინელი შედეგებით, რაც საქართველოს რუსეთთან დაკავშირებამ მოუტანა, ხოლო მეორეს მხრივ იმ ხელსაყრელი პირობებით, რაც საქართველოს შეექმნა როსტომის მეფობის ხანაში ირან-ქართლს შორის კომპრომისული ურთიერთობის დამყარებით. ქართლის ამ გათათრებულმა გვირგვინოსანმა მაჰმადიანობის ნიღბის ქვეშ მრავალი ეროვნული საქმე აკეთა. ფრთხილი და წინდახედული პოლიტიკის წყალობით დააშოშმინა განმძვინვარებული ირანი და გრანდიოზული მუშაობა ჩაატარა დანგრეული ქვეყნის აღსადგენად. როსტომის დროს შეწყდა სპარს-ოსმალთა თარეში, მშვიდობიანობა და წესრიგი დამყარდა. შეიქმნა გარეგანი პირობები დანგრეული ქალაქებისა და სოფლების გაშენებისათვის, აშენდა ახალი ქალაქიც (წითელქალაქი, დღ. ახალქალაქი), გამოცოცხლდა ვაჭრობა-ხელოსნობა. საქალაქო ცხოვრებასთან ერთად კვლავ აღორძინდა სოფლის მეურნეობაც. სწრაფად წავიდა წინ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ქვეყნის აღმშენებლობასთან ერთად საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა წარმოებდა კულტურის სფეროშიც. როსტომმა თავისი ჭკვიანური და მოქნილი პოლიტიკის წყალობით მიიმხრო არა მარტო ქართლის მაღალი ფეოდალური საზოგადოების დიდი ნაწილი, არამედ კახეთისაც. „როსტომის ღონისძიებები ქართულ საზოგადოებრივ და სამეურნეო წყობას არ შეჰხებია. აქ ყველაფერი უცვლელად დარჩა. არც ქრისტიანობა განიცდიდა მის დროს აშკარად დევნას, გამაჰმადიანება უმთავრესად ფეოდალ მოხელეთა უმაღლეს წრეებს ეხებოდა. სამაგიეროდ, ქვეყანა დიდი ხნის ნანატრ მშვიდობას ეღირსა“**(62,314).** მაგრამ მშვიდობიანი ხანა დიდხანს არ გაგრძელებულა.

რუსეთი მომდევნო – XVIII საუკუნეშიც წარმატებით ახორციელებს დიპლომატიურ და, ამჯერად უკვე, პოლიტიკურ ექსპანსიას საქართველოსა და, საზოგადოდ, კავკასიაში. ქართულ რეალობაში „აღნიშნული ხანა ახალი პოლიტიკური კურსის გამორკვევის, სამხედრო-იდეოლოგიურ მოკავშირეთა დაძაბული ძიების ხანაა. ამ დროს, როგორც არასდროს მჟღავნდება უსაზღვრო ზიზღი და სი-

ძულვილი საქართველოს დამღუპველი მაჰმადიანური აღმოსავლეთის მიმართ, როცა აზიისადმი საბოლოოდ ზურგშექცეული ქვეყანა ხან დასავლეთში და ხან რუსეთში ეძებდა მფარველ პოლიტიკურ მოკავშირეს“ **(101,45).** ესაა ორმაგი, წინააღმდეგობრივი და უაღრესად რთული ხასიათის ეპოქა.

§2. საგარეო ორიენტირი ვახტანგ VI-ის პოლიტიკაში; თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მეფობის დასაწყისი

ახალი ეტაპი საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში ვახტანგ VI-ის დროიდან იწყება. XVIII ს-ის დასაწყისში საქართველო (ქართლი) რუსეთის თვითმპყრობელი იმპერატორის პეტრე I-ის პოლიტიკურ ინტერესთა სფეროში მოექცა და ბოლოს იმპერიის პოლიტიკური თამაშების მსხვერპლი შეიქმნა კიდეც. ასეთი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, რუსეთის მხრიდან, შემდგომ ხანებში უფრო დრამატულ ხასიათს იძენს.

ვახტანგის მკვეთრმა საგარეო პოლიტიკურმა ნაბიჯმა – რუსეთთან დაკავშირებამ – შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქვეყნის მომავალი – XVIII ს-ის მთელი ისტორია.

ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში. როსტომის მმართველობაში დაწყებული ერთგვარი აღმავლობა ლიტერატურაში, ისტორიაში და სხვა, კიდევ უფრო მძლავრად გაიშალა ვახტანგის მეფობის ხანაში. განათლებისა და კულტურის სფეროში აღმშენებლობით საქმიანობას, რომელშიც ჩართული იყო იმ ეპოქის არაერთი გამოჩენილი მოღვაწე, თავად მეფე ვახტანგი ხელმძღვანელობდა.

საუბედუროდ, ვახტანგ VI რამდენადაც ძლიერი იყო კულტურული მოღვაწეობის სფეროში, იმდენადვე იგი სუსტი პოლიტიკოსი აღმოჩნდა. ვახტანგ VI იყო „კულტურის გატაცებული მოტრფიალე, მწიგნობარი, მაგრამ არ იყო არც ჯარის სარდალი და არც ისეთი მმართველი, როგორიც სჭირდებოდა მაშინდელ დანგრეულ საქართველოს“ **(118,99).**

ვახტანგის საგარეო პოლიტიკურმა კურსმა ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა. მეფობის დასაწყისში იგი ევროპული ორიენტაციის გზას დაადგა. ევროპის სახელმწიფოების დახმარების იმედით, გადაჭრით უარყო მაჰმადიანობა და ევროპაში დიპლომატიური მისიით გაგზავნა სულხან-საბა. უკვე ეს ფაქტი მოწმობს, რომ ვახტანგი და ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ნაკლებად ერკვეოდნენ იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებაში. ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობას საკუთარი სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები გააჩნდა ირანში, ამავე დროს ევროპა ყოველთვის თვლიდა ირანს თურქეთის პოტენციურ მოწინააღმდეგედ, ამიტომ ის მუდამ თავს არიდებდა ირანთან ურთიერთობის გაუარესებას და, ცხადია,

ირანის წინააღმდეგ საქართველოს საქმეებში არ ჩაერეოდა. ვახტანგი ყველაზე დიდ იმედებს საფრანგეთზე ამყარებდა, მაგრამ, როგორც მართებულად შენიშნავს ვ. გაბაშვილი, ირან-საფრანგეთის სავაჭრო შეთანხმება წინასწარ გამორიცხავდა საბას ელჩობის წარმატებას ლუი XIV-ის კარზე **(73,125).**

ამის შემდეგ ვახტანგმა რუსეთს მიაპყრო მზერა, რომლის ძლიერი იმპერატორი პეტრე დიდი რიხით და ომახით მოიწევდა ამიერკავკასიისაკენ. ვახტანგმა ჯერ კიდევ ირანში შაჰის საპატიო ტყვეობაში ყოფნის დროს დაამყარა კავშირი პეტრე I-ის ელჩ ვოლინსკისთან. საიდუმლო მოლაპარაკების თემას წარმოადგენდა სპარსეთზე ლაშქრობის საკითხი, რაც გათავისუფლების იმედით აღავსებდა მეფეს. მან შუამავლის მეშვეობით აცნობა ვოლინსკის თავისი სურვილი - „მიეღო მეფის სამსახური და ებრძოლა სპარსთა წინააღმდეგ იმ იმედით, რომ გათავისუფლებულიყო მისი უდიდებულესობის დახმარებით“ **(172,40).** პეტრეს დიპლომატთა და მზვერავთა დაკვირვებით, დასუსტებული სპარსეთის დაპყრობა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ვოლინსკი 1717 წელს წერდა პეტრეს: „რაც აქაურ სისუსტეს ვხედავ, შეგვიძლია სრულიად უშიშრად დავიწყოთ ომი, რადგან არათუ მთელი არმია, არამედ მცირე კორპუსითაც კი შეიძლება (სპარსეთის) დიდი ნაწილი ადვილად შევუერთოთ რუსეთს“**(159,IX,368).** ამ საქმეში კი კარგ მოკავშირედ წარმოსახავდა ვახტანგს, ასევე სომხებს, აზერბაიჯანელებს. მისი თქმით, ვახტანგს „შეუძლია გამოიყვანოს 30-დან 40 ათასამდე ჯარი და გვპირდება მივიდეს თვით ისპაანამდე, იგი სპარსელებს დიაცებს უწოდებს“**(159,IX,371**). მალე ვოლინსკი ასტრახანის გუბერნატორად დაინიშნა და საიდუმლოდ ებრძანა ომისთვის მზადება **(27,-19).** ვახტანგ მეფე მოჩვენებით „ბედს დამორჩილდა და გადაწყვიტა მაჰმადიანური ჩალმით დაბრუნებოდა სამშობლოს“**(29,63),** რათა ამ გზით მოეპოვებინა თავისი საქმიანობის გაგრძელების საშუალება.

XVII ს-ის ბოლოს პორტასთან მიღწეულმა წარმატებებმა პეტრე I-თვის „открывало новые перспективы для устоновления ещё более прочних взаимоотношений России с народами Кавказа“ **(158,55).** პეტრე I-ის სახელმწიფო ფართოვდება სამხრეთის მიმართულებით, პარალელურად იზრდება მისი ინტერესიც კავკასიის, საზოგადოდ, მახლობელი აღმოსავლეთის მიმართ. საქართველო-კავკასიის ხელში ჩაგდება პეტრეს დაპყრობით პოლიტიკას გზას უხსნიდა ორი მიმართულებით: შავი ზღვით ხმელთაშუა ზღვისაკენ და სპარსეთის ყურით ინდოეთისაკენ. იმპერატორი გეგმავდა: „რაც შეიძლება უნდა მივუახლოვდეთ კონსტანტინოპოლს და ინდო-

ეთს, ვინც იქ გაბატონდება ის იქნება ნამდვილი ბატონი მთელი ქვეყნისა. მაშასადამე, ვაწარმოოთ განუწყვეტელი ბრძოლები ხან სპარსეთთან და ხან ოსმალეთის მიმართ. უნდა გავამაგროთ ჩვენი ფლოტი შავ ზღვაზე“**(128,2).** სურდა რა კასპიისპირეთის შემოერთება, 1720 წელს პეტრე I-მა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეკრა ქართლის მეფესთან. ვახტანგმა ვითარება ხელსაყრელად ჩათვალა, რათა რუსეთის დახმარებით განთავისუფლებულიყო ირანის ბატონობისაგან. პეტრე ვახტანგს ჰპირდებოდა, რომ კასპიისპირეთისა და შემახიის დაკავების შემდეგ ჯარებს შეიყვანდა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ეს შეთანხმება იურიდიულად არ გაფორმებულა. პეტრე არ აპირებდა თავისი დაპირების ასრულებას, მისთვის მთავარი იყო ჩაეთრია ვახტანგი ლაშრობაში. ამიტომ აარიდა თავი ხელშეკრულების იურიდიულ გაფორმებას. პეტრე პირველმა თავისი ლაშქრობა დიპლომატიურადაც მოამზადა. ირანის შაჰს ატყობინებდა, რომ ლაშქრობას აწყობდა ირანის მტრების – დაღესტნელების დასასჯელად. რაც მთავარია, პეტრემ შესანიშნავად გაითვალისწინა თურქეთის მოსალოდნელი რეაქცია. მან კარგად იცოდა, რომ რუსეთის მიერ კასპიისპირეთის დაპყრობა ოსმალეთის პროტესტს გამოიწვევდა. პეტრე კი უფრთხოდა თურქეთთან ომს. ამიტომ, ჯერ კიდევ 1720 წ-ს, მან სტამბოლში ხელშეკრულება გააფორმა თურქეთთან. ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა არ დაერღვია ზავი. როდესაც ვახტანგი თავის ლაშქრობას იწყებდა, ამ ხელშეკრულების პირობები უნდა გაეთვალისწინებინა. მაგრამ იგი მოხიბლა და დააბრმავა პეტრეს დაპირებებმა; „თუ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქართველი მეფეები ამაოდ სთხოვდნენ დახმარებას რუსეთის ხელმწიფეებს, ახლა თვითონ დიდი და ძლიერი, რუსეთის ყველაზე გამოჩენილი ხელმწიფე უწოდებდა მათ ხელს სამეგობროდ და დახმარებას სთხოვდა იმ ირანის წინააღმდეგ, რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში სისხლიდან დაცალა საქართველო... აბა, ამაზე ბედნიერ შემთხვევას როგორ წარმოიდგენდა ქართველი პოლიტიკის ხელისუფალი და ვახტანგ VI სრულიად უყოყმანოდ, სრულიად დაუფიქრებლად შეუდგა პეტრეს წინადადების ასრულებას“ **(76,14-15).**

1722 წლის 15 ივნისს იმპერატორმა პეტრე დიდმა ომი გამოუცხადა სპარსეთს და ჯარი ასტრახანიდან დაიძრა: „2 ივლისს პეტრე დიდმა გამოგზავნა მეფე ვახტანგ VI-თან ბეჟან თურქისტანიშვილი გრამატით – შენც ებრძოლე სპარსეთსაო“ **(1.9,№16.30).** როგორც მემატიანე გადმოგვცემს „ოქმი რო წაიკითხა, ვახტანგს სიხარულისგან თავბრუ დაეხვა, მეტადრე ძალიან ეამა „სიტყვანი სულთა და ხორცთა საკურნებელნი“ **(1.9,№31.9)**.

ვახტანგ VI-მ თავისი პოლიტიკური წინდაუხედაობით საშინელ განსაცდელში ჩააგდო საქართველო. ამ შემთხვევაშიც საქართველოს დაღუპვის მიზეზი „ერთმორწმუნე“ რუსეთი შეიქნა. ვახტანგი, მიუხედავად დარბაზის წევრთა რჩევისა, უყოყმანოდ დათანხმდა რუსეთის იმპერატორის, პეტრე I-ის, წინადადებას გამოსულიყო სპარსელების წინააღმდეგ ომში, რომელიც, როგორც თავის ელჩის პირით წარმოუდგინა საქმის ვითარება პეტრე I-მა ვახტანგ VI-ს, ვითომც მაჰმადიანთაგან შევიწროებული ერთმორწმუნე ქართველების დასახმარებლად წამოიწყო. სინამდვილეში კი, პეტრე I რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის გაფართოების მიზნით სპარსეთის ბაზრის ხელში ჩაგდებას და აქედან ინდოეთში შეჭრას გეგმავდა; ხოლო კავკასიაში დამკვიდრება და აქ მცხოვრები ქრისტიანების დამხმარე ძალად გამოყენება მას თავისი გეგმის წარმატებით განხორციელების საწინდრად ესახებოდა. ვახტანგმა „არა სცნა ბრძნული რჩევა ვეზირებისა, რომელნიც 1722 წ-ს მეფეს ეუბნებოდნენ: გვეყოფა ამდენი წყვეტა-ტმასნობა, ორი საბელი (სპარსთა და ოსმალთა) გვაბია და მესამესაც ნუ მოვიბამთო, სამს დიდს ხელმწიფეს რომ პირი მივცეთ გარს მოგვეჭირება მუხრუჭიო“ **(207,398).**

თავდაპირველად ლაშქრობის დაწყებამდე ვახტანგი აუცილებლად თვლიდა საქართველოში რუსთა 5 ათასიანი ჯარის შემოყვანას, მაგრამ შემდეგ, 1722 წლის 3 აგვისტოს, რატომღაც უარი თქვა ამ გონივრულ გეგმაზე.

რუსეთის იმპერატორის მოწოდებისთანავე ვახტანგ VI-მ 40 000 ჯარისკაცით განჯისაკენ გაილაშქრა და, თანახმად პირობისა, შამქორში დაბანაკდა რუსის ჯარის მომლოდინე. ამ დროს კი რუსეთის იმპერატორი, რომლისთვისაც ცნობილი გახლდათ ქართლის მეფის სამხედრო მოქმედება, დარუბანდიდან აიყარა და ასტრახანში დაბრუნდა, „ვახტანგს ლეკებთან შეტაკება არ მოუხდა, მაგრამ მაინც უდიდესი დახმარება გაუწია პეტრე პირველს. ორ ცეცხლს შუა მომწყვდეული, შეშინებული დაღესტანი თითქმის სრულიად უბრძოლველად დასთანხმდა პეტრე პირველს ყველა მოთხოვნის შესრულებაზე. პეტრემ თითქმის სრულიად უბრძოლველად „მოაჭახრაკა“ თავისი საქმეები: ანექსია უყო ირანის მდიდარ პროვინციებს და უკან გაბრუნდა ისე, რომ ერთხელაც არ დაფიქრებულა თავის მოკავშირე მეფე ვახტანგის და მისი ჯარების ბედზე“ **(76,15).**

ვახტანგ მეფე პეტრეს მოლოდინში თითქმის მთელი სამი თვე – აგვისტოდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე – იდგა განჯაში. საინტერესოა ერთი გარემოება – პეტრემ მოსთხოვა ვახტანგს, მდგარიყო განჯაში 1723 წლის ზაფხულამდე, როდესაც განაახლებდა ლაშქრობას კასპიისპირეთში **(125,213).** ეს პეტრეს მხრივ

კიდევ ერთი აშკარა მუხანათობა იყო. საქმე ისაა, რომ ამ დროს პეტრემ შესანიშნავად იცოდა, თურქეთი საქართველოში შესაჭრელად რომ ემზადებოდა. ჯერ კიდევ „1722 წლის 12 ოქტომბერს სტამბოლში რუსეთის რეზიდენტს ნეპლიუევს ოფიციალურად განუცხადეს, რომ პორტამ გადაწყვიტა ქართლში 50 ათასიანი არმიის შეყვანა და თბილისის დაკავება“ **(125,223).** ასეთ ვითარებაში მეტად გასაოცრად გამოიყურება რუსთა იმპერატორის საომარი მოწოდება ქართლის მეფისადმი. ეს აშკარად ნიშნავდა ომის პროვოცირებას თურქეთ-საქართველოს შორის. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგმა მხოლოდ მაშინ დაინახა ის დიდი საფრთხე, რომელიც ქართლს ემუქრებოდა ოსმალეთის მხრიდან, როდესაც მიიღო ცნობა პეტრეს უკან დაბრუნების შესახებ. შეშფოთებულმა ვახტანგმა 1722 წლის 29 ნოემბერს საგანგებო წერილები გაუგზავნა რომის პაპს ინოკენტი XIII-ს და ავსტრიის იმპერატორს კარლოს VI-ს და მათ თურქეთის მთავრობასთან შუამდგომლობა სთხოვა, რათა თავიდან აეცილებინა ოსმალთა შემოსევა. რასაკვირველია, ამ თხოვნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ხოლო რაც შეეხება თავად ერთმორწმუნე მოკავშირეს, მისი დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენების მიმართ, გასაოცარი აღმოჩნდა. მას მერე, რაც პეტრე I უკან დაბრუნდა და ვერაგულად გააცურა ვახტანგი, იმდენი ცინიზმი და თავხედობა გამოიჩინა, რომ ისევ ბრძოლის გაგრძელებისაკენ მოუწოდებდა განსაცდელში ჩავარდნილ მეფეს. მის მიერ ომში ჩათრეულ და მტრის პირისპირ მიტოვებულ საქართველოს, მართალია, სამხედრო დახმარება ვერ გაუწია, მაგრამ სამაგიეროდ ვახტანგ მეფეს იმისთანა „ჭკუაზე დარიგება“ შემოუთვალა, რომ სამხედრო დახმარებას „ნამდვილად სჯობდა“. „ბრძოლა განაგრძეო“, – ურჩევდა იგი მეფეს თავისი ელჩის პირით და „თუ გაიმარჯვებ, მაშინ დიდად მოიგებ, იმიტომ, რომ ურწმუნოთა ბატონობისგან გათავისუფლდებიო“ **(203,64).** თანაც, სამომავლო დაპირებებით კვებავდა „მოკავშირეს“, ვითომცდა შემდეგი ლაშქრობისას გაუწევდა სამხედრო დახმარებას: „ვახტანგს პეტრე დაპირდა რომ მომავალ კამპანიაში აიღებდა შემახიას, გამაგრდებოდა კასპიისპირეთში და სამხედრო დახმარებას გაუწევდა“ **(172,48).** კიდევ უფრო უცნაურად მოსჩანს პეტრეს შეთავაზება იმის თობაზე, რომ ვახტანგს რუსეთში „გაეგზავნა 2 ან 3.000 ქართველი მეომარი, რომელთაც შემდეგ გამოიყენებდა თურქეთთან ომის შემთხვევაში, როგორც საქართველოს ადგილმდებარეობისა და იქაური პირობების მცოდნეებს“**(15,LXXVIII).** როგორც ჩანს, პეტრეს ქართლის სამეფოს ბედი ოდნავადაც არ აღელვებს. განსაცდელში ჩავარდნილი ქვეყ-

ნიდან, თუნდაც ამ რაოდენობის ჯარის გაყვანა ნამდვილად დიდი დანაკლისი იქნებოდა. ცხადია, ეს ქართლის სამეფოს თავდაცვითუნარიანობის დასუსტებას გამოიწვევდა; მართლაც, საოცარია პირდაპირ, თავისი სამხედრო ძალებით დახმარების ნაცვლად (როგორც იგი პირდებოდა ვახტანგს), იქით ითხოვდა ჯარს. ბუნებრივია, თვითმპყრობელი იმპერატორის ასეთი უცნაური სურვილები დიდი კითხვის ნიშნებს აჩენს. ვახტანგი ჯერ თავზარდაცემული იმით, რომ პეტრე დიდმა უღალატა და მიატოვა ბრძოლის ველზე, მეორე გარემოებამ სულ დააბნია: როცა 1723 წ-ს სპარსეთის დახმარებით ქართლს კახეთის მეფე კონსტანტინე შემოესია, რუსეთმა ვახტანგს დახმარებაზე უარი უთხრა. ეს იმიტომ, რომ კონსტანტინოპოლში სწორედ ამ დროს ხდებოდა მოლაპარაკება 1724 წ-ის ხელშეკრულების შესახებ; იმ ხელშეკრულებისა, რომლის ძალითაც პეტრე დიდი ოსმალეთს უთმობდა საქართველოს. ასეთი ღალატის შემდეგ კიდევ შორს მიდის ვახტანგი; როცა 10 ოქტომბერს დაეცა ირანის სატახტო ქალაქი და შაჰად გამოცხადდა თამაზი, ვახტანგი აახლებს ახალ შაჰს თავის ელჩს სეხნია ჩხეიძეს, შაჰი აუარებელ საჩუქრებს უგზავნის ვახტანგს და კიდევ ერთხელ სთხოვს მიაშველოს მისი შვილი ბაქარი ჯარით, რათა დაეხმაროს მას, სამაგიეროდ, შაჰი ჰპირდება ვახტანგს, რომ დაიცავს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ვახტანგი პეტრეს ერთგული რჩება და უარს ეუბნება შაჰს. ამგვარი მოვლენა განმეორდება შემდეგშიც, მეფე ერეკლესა და აღა-მაჰმად-ხანის ურთიერთობაში.

საშინელ განსაცდელში ჩავარდა საქართველო. ვახტანგმა კვლავ მოსინჯა დახმარების მიღება და 1724 წლის გაზაფხულზე რუსული ჯარის მოშველიება ითხოვა: „...ერთი შებრალება რამე მაღირსეთ; თუ რამ იქნება ამ ზაფხულ თვარამ ამას უკან აქაური საქმე და შეწყალება ურგები იქნება“ (157,182), მაგრამ ქართველ მეფეს ჯარის ნაცვლად რუსეთს წასვლის ნებართვა გამოეგზავნა. მისთვის სპარსეთის წინააღმდეგ ომში გამოსვლა რუსეთის მხარეზე საბედისწერო აღმოჩნდა. რუსეთ-სპარსეთის ომამდე საქართველო მშვიდობიან ურთიერთობაში იმყოფებოდა როგორც სპარსეთთან, ისე ოსმალეთთან. „მას რომ სპარსეთის წინააღმდეგ რუსეთის ომში მონაწილეობა არ მიეღო და რუსეთს ცხადად არ მიმხრობოდა, ოსმალეთისაგან მაინც საქართველოს განსაცდელი არ მოელოდა. პირიქით, სანამ პეტრე I ვახტანგ მეფეს საბედისწერო ნაბიჯს გადაადგმევინებდა, ოსმალეთი არზრუმის ფაშის პირით ვახტანგ VI-ს მფარველობას ჰპირდებოდა. მაგრამ რაკი ოსმალეთმა დაინახა, რომ რუსეთი სპარსეთის დაპყრობას ლამობდა და ქართველებიც მათი მოკავშირენი იყვნენ, რუსების შიშით დაიძრა და ჯერ

ერევნიდან თავრიზამდის მთელი ქვეყანა დაიჭირა, ხოლო შემდეგ გამოილაშქრა თვით საქართველოს წინააღმდეგ... მაგრამ საქმე მარტო ამით არ დამთავრებულა. როდესაც პეტრე I-მა დაინახა, რომ ოსმალეთი რუსთა სამხედრო მოქმედებით სპარსეთში იმდენად განრისხებული იყო, რომ რუსეთისათვის ომის გამოცხადებას აპირებდა, 1724 წ-ის 12 ივნისს სწრაფად ოსმალეთთან ზავი შეჰკრა, რომლის პირველ მუხლში „რუსთა ხელმწიფემ მთელი აღმოსავლეთი საქართველო ოსმალეთს დაუთმო, თუმცა იგი მას სრულებითაც არ ეკუთვნოდა“**(203,65-66).**

სპარსეთი კიდევ უფრო უარესად იყო აღშფოთებული საქართველოს მოქმედებით. საქართველოს მესვეურების რუსულმა ორიენტაციამ და სპარსეთის წინააღმდეგ გამოსვლამ „შესამჩნევად გაამწვავა სპარსეთის მძულვარება... მისი გაშმაგებული მტრობა საქართველოს მიმართ მთელი XVIII საუკუნის მანძილზე უმთავრესად რუსეთისა და საქართველოს დაახლოებით აიხსნება. სპარსეთ-ოსმალეთის ექსპანსიის გაძლიერებამ აუცილებლად დააჩქარა საქართველოს პოლიტიკური ნგრევა“**(118,103).** ირან-ოსმალთა ბატონობა 20 წელს გაგრძელდა. ისინი რიგრიგობით ძარცვავდნენ და აოხრებდნენ ქვეყანას. მათგან წაქეზებული ლეკთა ყაჩაღური ბანდების თარეშის შედეგად ხომ ისეთი ვითარება შეიქნა, რომ თავის გამოყოფა არ შეიძლებოდა გარეთ. საქართველოს ისტორიაში ეს პერიოდი ცნობილია როგორც ძნელბედობის ხანა. თვითონ მათ, ვისი მიზეზითაც დაღუპვის პირამდე მივიდა ქვეყანა, თავს უშველეს. 1724 წელს ვახტანგმა გაუმართლებელი ნაბიჯი გადადგა – იმის მაგივრად, რომ სათავეში ჩასდგომოდა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ, დატოვა საქართველო და რუსეთს გაემგზავრა. ვახტანგ VI თავისი უჩვეულოდ მრავალრიცხოვანი, 1200 კაციანი, ამალით ასტრახანში გადასახლდა, შემოსეულ მტერს კი შეძლებისგვარად, უმეთაუროდ დარჩენილი ხალხი უმკლავდებოდა. ვახტანგის მთავარი იმედი – პეტრე I, ქართველი მეფის მოსკოვში ჩასვლამდე გარდაიცვალა. შეუძლებელია არ დაეთანხმო ქვემომოყვანილ ისტორიკოსთა ნააზრევს ვახტანგისა თუ სხვა მმართველთა საგარეო პოლიტიკური კურსის შეფასებისას: „რუსეთი, პეტრეს, სახით პირველი დიდი სახელმწიფო იყო, რომელიც ამიერკავკასიის მიწაზედ მოვიდა, ირანსაც და ოსმალეთსაც დაუპირისპირდა და კავკასიის ქრისტიან ხალხებს კავშირი და მფარველობა შესთავაზა. პეტრე ხელმწიფემ „ერთმორწმუნე“ საქართველო მიინდო. ჩქარა აღმოჩნდა, რომ რუსეთს არც იმჟამად გააჩნდა საკმაო ძალები ამიერკავკასიაში ირან-ოსმალეთთან სამეტოქეოდ. პეტრე I-მა საქართველო ოსმალეთს „დაუთმო“, ხოლო მისმა მემკვიდრეებმა

უკან დაუბრუნეს ირანს მისგან მინატაცები ზღვისპირა ქვეყნები“**(61,VI,315).** ქართველი მეფეები თავის ურთიერთობაში რუსეთთან „ავლენდნენ ბრმა ოპტიმიზმს“, რაც მათ არ აძლევდა საშუალებას, დაენახათ, რომ თურქებთან და ირანელებთან ურთიერთობაში, რუსებს თავისი მიზნები ჰქონდათ, ვიდრე საქართველოს გათავისუფლება. „...ვახტანგის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში ძალთა თანაფარდობის მცდარ შეფასებას ემყარებოდა“(**119,115,129**). „ეს შეცდომა ვახტანგისა მკაფიოთ თვალსაჩინოა ყველასთვის იმიტომ, რომ მეფე თეიმურაზ პირველისა და ერეკლე პირველის მაგალითი თვალწინ ედოთ, რომელთაც რუსეთთან დაახლოვების სურვილმა და სპარსთა ურჩობამ დააღუპვინა ქართლიც და კახეთიც, ხოლო თვითონ ხომ სიცოცხლე ჩაიმწარეს. ამას გარდა, ვახტანგი ძალიან კარგად ხედავდა, რომ რუსეთი იმ ჟამათ ფრიად უძლური იყო რაიმე შემწეობა აღმოეჩინა ქართველებისათვის, ხოლო ძალა და სამართალი იმ დროს ოსმალების და სპარსელების ხელთ იყო“ (**1.9,№31.10).** ივ. სურგულაძის თქმით: „ვახტანგი მოტყუვდა, ვერ შეაფასა მოვლენები, სათანადოდ ვერ გაერკვა საერთაშორისო ვითარებაში და ეს შეცდომა საბედისწერო აღმოჩნდა როგორც პირადად მისთვის, ისე ქართლის სამეფოსათვის“ **(161,196).**

ერთადერთი „მოწყალება“, რაც რუსეთის მთავრობამ გაიღო, იყო რეშტის 1732 წლის საზავო ხელშეკრულებაში მე-8 მუხლის ჩართვა, რომლის ძალითაც შაჰი ჰპირდება რუსეთის მეფეს, რომ, როდესაც საქართველო გადავა შაჰის პროტექციის ქვეშ, მაშინ ვახტანგ VI-ს აღადგენს ქართლის მეფედ. 1735 წ-ის რუსეთ-ირანს შორის დადებული განჯის ხელშეკრულებითაც იგივეს ადასტურებდა ნადირი. ოღონდ ტახტის დაბრუნების პირობად ვახტანგს მასთან გამოცხადება მოსთხოვა. ვახტანგმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და არ წავიდა **(140,171-73).** მან ხელიდან გაუშვა ტახტის დაბრუნების შესაძლებლობა და იქნებ „ყიზილბაშობის“ საფრთხისაგან ქვეყნის დახსნისაც. მალე ნადირმა, მართლაც, დაიბრუნა საქართველო, მაგრამ „ურჩ“ ვახტანგს ტახტი აღარ მისცა. ვახტანგი ყველას მიერ მივწყებულ იქნა, პირველ რიგში კი რუსეთის მიერ. სპარსეთის მიერ ხელშეკრულების დარღვევაზე მას, როგორც იტყვიან, ყურიც არ შეუბერტყია. სურდა კი რეალურად რუსეთის მთავრობას ტახტზე ვახტანგის დაბრუნება? თუკი მას სპარსეთის შორეული ტერიტორიების დაპყრობა-მიტაცების სურვილი და მიზნები ამოძრავებდა, ეს ხომ თავისთავად გულისხმობდა უფრო ახლო მდებარე ქართლის ტერიტორიების მითვისებასაც (რამდენად რეალიზდებოდა მათი ეს მიზნე-

ბი იმ დროისათვის, ეს სხვა საკითხია). თვითმპყრობელი იმპერატორის ეს მისწ-
რაფება დარჩა ვახტანგ მეფის პოლიტიკური ხედვის მიღმა; სავსებით ცხადია,
რომ უფრო მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა იყო საჭირო, როცა ჩრდილო-
ელი მეზობლის შემოთავაზებას თანხმდებოდა და თავის მხრივაც, დიდი ხალისით
ეპატიჟებოდა მას სპარსეთზე სალაშქროდ – „ეომეთ სპარსელებს, დედაკაცები
არიან, მე ან 30, ან 40 ათას ჯარს გამოვიყვან და ისპაანამდის ავამტუტებთო“ –
წერდა ვახტანგ VI ასტრახანის გუბერნატორს **(1.9,№16.30).** „დიდი პოლიტიკური
შეცდომა ჩაიდინა ვახტანგმა, რომ აჰყვა „სიტყვათა სულისა და ხორცთა საკურ-
ნებელთა“ რუსეთში გადასახლებით და მერე ქართლში დაუბრუნებლობით, რო-
ცა გივი ამილახვარი, შანშე და ბარძიმ ერისთავები, ბესარიონ კათალიკოზი ემუ-
დარებოდნენ „ქართლში მობრძანდი და ხელახლა გამეფდი, ეხლა კარგი დრო
არისო“ (**1.9,№31.10**). ქართლში ოსმალობის გადავარდნის შემდეგ კახეთის მეფის
თეიმურაზ II-ის მიერ 1736 წ-ს რუსეთს მივლენილი ელჩობის ერთ-ერთ სათხოვარ
პუნქტს შეადგენდა ქართლში ვახტანგ VI-ის დაბრუნება, რათა ბოლო მოღებოდა
უმეფობას და ქართლის სამეფოში სახელმწიფოებრივი წესრიგი აღდგენილიყო
(25,389). ვახტანგის თანამედროვენიც უარყოფითად აფასებენ მის საგარეო პოლი-
ტიკურ კურსს: დავით გურამიშვილი, კათალიკოსი ბესარიონი; ეს უკანასკნელი
პირდაპირ სდებდა ბრალს მეფეს: „ბოლოს რაც მოხდეს, ნურავის დააბრალებთ,
არც ღმერთთან გექნებათ პასუხი, არც კაცთან, ამ ქვეყნის სისხლსა და წახდენას
თქვენგან იძევს“ **(15,199);** ცოტა მოგვიანებით ალ. ორბელიანიც გულისტკივილით
აღნიშნავდა: „მეფე ვახტანგმა დაანგრია საქართველო... თავი მოარიდა მაშინდელს
საქართუელოს გარემოებას, გადვიდა რუსეთს“. იქვე გაკვირვებული დასძენს: „თუ
ბრძენი, თუ დიდსულოვანი იყო მეფე ვახტანგ, ანუ თავისი მამული გულით უყუა-
რდა, რუსეთიდგან დიდი შემწეობა უნდა მოეცა თავის სიძის მეფის თეიმურაზის-
თვის“ და არა ხელი შეეშალა და ქვეყანა აერია იქედანო**(35,32-33).** შემდეგ კი ურ-
თიერთს ადარებს რა ნადირ შაჰსა და ვახტანგს, დაასკვნის: ნადირის მეშვეობით
ქართლ-კახეთი გაერთიანდა, ხოლო ქრისტიანმა ვახტანგმა ქრისტიანისვე მომხრე-
ობით ქვეყანა დააქციაო: „ახლა შევათანასწოროთ ნადირშა მეფე ვახტანგთნ, რა
განსახუებაა იმათში? იმ მაჰმადიანმა ნადირშამ ქართლი და კახეთი შეაერთა
ერთს ქრისტიანეს სამეფოთ და ქრისტიანმა მეფე ვახტანგმა კი ქრისტიანეს მომხ-
რებითა საქართუელო დააქციეს. ამის შემდეგ რაში გავამართლო მეფე ვახტანგ?“

(35,36). გარკვეულწილად, შთამბეჭდავ შედარებას და დასკვნას აკეთებს ალ. ორბელიანი.

მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე აშკარა ხდება რომ, ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის დროს იგეგმებოდა საქართველოს დასუსტება-მითვისება. რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ის გამიზნული სიცრუეც აქედან მომდინარეობდა. იმპერატორს, ის ხომ მაინც შეეძლო დროულად ეცნობებინა ვახტანგისათვის, რომ ლაშქრობა არ შედგებოდა; სხვა შემთხვევაში რით უნდა აიხსნას ის ამბავი, რომ სამი თვის განმავლობაში, ვიდრე მეფე განჯაში იდგა და ელოდა მას, ყოვლისშემძლე პეტრე I-მა მოკავშირის ინფორმირება ვერ „მოახერხა“. ამის შემდეგაც, რუსეთს თავშეფარებული ვახტანგ მეფე მრავალგზის იქნა მოტყუებული. მას საქართველოს გასათავისუფლებლად ძლიერი ჯარით დახმარების იმედს აძლევდნენ, ვახტანგი კარგა ხანს „სულდგმულობდა იმედით, რომ რუსეთის ჯარის თანხლებით მალე უკან მობრუნდებოდა და თავის ქვეყანას დამპყრობთაგან გაათავისუფლებდა, მაგრამ ამაოდ“ **(59,130).** ქართლის მეფემ ნანატრი დახმარება ვერ მიიღო, ისე განუტევა სული ემიგრაციაში 1737 წ-ს. პეტრეს (გინდ მის შემდგომ იმპერატორებს) მართლაც, რომ გაეთავისუფლებინა ამიერკავკასიის ქრისტიანები, სულ ცოტა ორ დიდ მუსლიმურ სახელმწიფოს უნდა შებმოდა ერთად, რაც რუსეთის რეალურ ძალებს აღემატებოდა. ჩვენ კი ვნახეთ, იმპერატორი როგორ უფრთხოდა კასპიისპირეთის კამპანიის დროს თურქეთის გაღიზიანებას, მასთან ომს. რუსეთის მთავრობამ უმეთაუროდ დარჩენილი ემიგრანტები რუსეთის სამხედრო სამსახურში ჩააყენა. ცარიზმი მათ პრაქტიკული მოსაზრებით უმზერდა – სურდა გამოეყენებინა ისინი ირანის კუთვნილი სამფლობელოების დაჭერა-ათვისებაში. როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს: პეტრე და მისი მემკვიდრეები ქართველ ემიგრანტებს იწვევდნენ უმთავრესად იმიტომ, რომ ისინი გამოეყენებინათ კასპიის ზღვის სანაპიროს ათვისებაში. რაც შეეხება თავისი ქვეყნის გასათავისუფლებლად დახმარების მიღებას, ქართველი ემიგრანტები იმ მომენტს უნდა დალოდებოდნენ, როცა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ინტერესები მოითხოვდა საქართველოს საქმეებში ჩარევას **(63,183).** ისე, რომ რუსეთის სახელმწიფო კარი მარჯვედ სარგებლობდა (მაშინაც და შემდეგაც) იმპერატორის ქვეშევრდომად ქცეული ქართველებით, იყენებდა რა მათ თავის სასარგებლო იდეოლოგიის განვრცობისა თუ პოლიტიკური ინტრიგებისათვის ქართული სამეფოების წინააღმდეგ. „ფეოდალური საქართველოს გვიანდელი მესვეურებიც ნაკლებად აცნობიერებდ-

ნენ, რომ რუსეთი იმპერია იყო და იგი თავის გავლენას სხვა ხალხებსა თუ ქვეყნებზე ძალადობრივი გზით ავრცელებდა; რომ იმპერიული სამფლობელოების გაფართოების მიზნით რუსეთის ხელისუფალნი, სამხედრო ექსპანსიის გარდა ფართოდ მიმართავდნენ თავიანთ დიპლომატიურ არსენალში დამკვიდრებულ შანტაჟის, გადაბირების, მოტყუების, დაშინებისა და სხვა ხერხებს, რომლებიც ჯერ კიდევ უცხო იყო ქართული სინამდვილისათვის“ **(208,6).**

რომანოვების დინასტია დიდმპყრობელურ ამბიციებს ყოველთვის ამჟღავნებდა საქართველოსა და საერთოდ, კავკასიის ქვეყნების მიმართ.

როგორც, ზემოთ აღვნიშნეთ, მოსკოვი კავკასიის რეგიონით დაინტერესდა 1550-იანი წლების მეორე ნახევარში, ყაზანისა და ასტრახანის სახანოთა დაპყრობის შემდეგ. მაგრამ ეს ინტერესი ინტერესად დარჩა პეტრე I-ის აღზევებამდე. წარუმატებელი იყო ბორის გოდუნოვის 1606 წ-ის მცდელობაც გავლენა მოეპოვებინა ჩრდილოეთ კავკასიაში. მართალია, 1718 წ-ის დაღესტნისა და ჩეჩნეთის შამხალმა ერთგულების ფიცი მისცა პეტრე I-ს, მაგრამ რეალურად, ეს ნაბიჯი შამხალის მხრიდან მარტოოდენ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, იგი არ აპირებდა ამ „ფიცის“ შესრულებას. თუმცა პეტრეს ამბიციები იმდენად დიდი იყო, რომ ჯერ კიდევ 1697 წ-დან მის ტიტულთა შორის (ისევე, როგორც წინა პერიოდის რუსეთის მთავართა) იყო: „...მეფე ივერიის მიწებისა, ქართლისა და საქართველოს სამეფოების, ყაბარდოს მიწებისა, ჩერქეზეთისა და მთიელთა სათავადოებისა“... ამას ის იყენებდა საერთაშორისო ხასიათის საბუთებში. საბოლოოდ, პეტრეს კავკასიური პოლიტიკა წარუმატებლად დასრულდა. სამაგიეროდ, მისი დაწყებული საქმე – კავკასიაში რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკა, წარმატებით გააგრძელა და დაასრულა ეკატერინე II-მ.

თითქოს კატასტროფა გარდაუვალი იყო, მაგრამ ქართველი ხალხის დაუცხრომელმა ენერგიამ აქაც გაუძლო თავზე დატეხილ განსაცდელს. თავგანწირული ბრძოლით უკუგდებულ იქნა ჯერ „ოსმალობა“, ხოლო შემდეგ „ყიზილბაშობა“. თეიმურაზმა კარგად გამოიყენა ქართლის ფეოდალური ჯგუფისა და შაჰის დაპირისპირება და ქართლში პოზიციები გაიმაგრა; საპარსეთთან „მიზანშეწონილ და ლოიალურ პოლიტიკის საშუალებით შეძლო ქართლში გაბატონება და იმავე დროს მსხვილ ფეოდალების შესამჩნევად ალაგმვა“**(110,146).** ირანის შაჰმა გააუქმა ის ძველი წესი, რომლის მიხედვითაც ქართველი მეფეები მოვალენი იყვნენ მაჰმა-

დიანობა მიეღოთ და 1744 წ-ს „თეიმურაზ II ქართლის მეფედ, ხოლო მისი შვილი ერეკლე II კახეთის მეფედ ეკურთხა“ **(8,24)** ქრისტიანული წესით.

XVIII ს-ის II ნახევრიდან საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა აღმავალი ხაზით წარიმართა. აღმოსავლეთ საქართველოს დაწინაურებას ხელი შეწყო ნადირ-შაჰის საღმა პოლიტიკამაც – მისწრაფებამ, რუსეთის მოძალებისათვის დაეპირისპირებინა ძლიერი პოლიტიკური ერთეულები კავკასიაში. 1747 წელს ირანში დაწყებული ანარქიით ისარგებლეს ქართველმა მეფეებმა და „მთელი სისრულით აღიდგინეს სუვერენიტეტი. კიდევ მეტი, თეიმურაზმა და ერეკლემ ყმადნაფიცობის სახით დაიქვემდებარეს განჯის, ყარაბაღის და ერევნის ხანები“ **(59,131-32).**

მამა-შვილმა, თეიმურაზმა და ერეკლემ, პირველ ხანებში, დიდი ენერგია გამოიჩინეს სახელმწიფოს აღდგენისა და მტრისაგან დაცვის საქმეში. ქართველმა ხალხმა საკუთარ ძალებზე დაყრდნობით ფართო კულტურულ-აღმშენებლობითი მუშაობა გააჩაღა. „ორთავე მეფე სცდილობდნენ ყველგან და ყველაფერში ახალი ცვლილებანი შეეტანათ, დაემყარებიათ ევროპული წესრიგი ყველაფერში; ამ დროს დაწესდა უფრო მტკიცე კავშირი მეფეთა და მათ ქვეშევრდომთა შორის. შემოიღეს სახელმწიფო შემოსავალ-გასავალის წყაროები და უკანასკნელ, სცდილობდნენ დაცემული განათლება კვლავ აღედგინათ საქართველოში“ **(55,№11.1069)**. 1749 წ-ს კვლავ ამუშავდა, გაუმჯობესებული სახით თბილისის სტამბა, გაიხსნა ფილოსოფიის სემინარია თბილისში (1755 წ.), საფუძველი ჩაეყარა სამთამადნო წარმოებას, გაჩაღდა ვაჭრობა-მრეწველობა და სხვ. „სამეფო კარმა დაიწყო ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება. უპირველესად ყურადღება გამახვილდა ეკონომიკის განვითარებაზე. ერეკლე II სწორედ ეკონომიკის განვითარებას მიიჩნევდა იმ გარანტად, რომელსაც „მტრისგან ჩვენი ქვეყნის მორჩენა შეეძლო“ **(96,199).** ამიტომ სამეფო კარმა დიდი ყურადღება დაუთმო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების საქმეს და ამ კუთხით მრავალი ღონისძიება გაატარა. „სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ დააჩქარა ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარება. ჩამოყალიბდა ერთიანი შიდა ბაზარი და მას მფარველობას სამეფო კარი უწევდა. ...განვითარდა საგარეო ვაჭრობა და ირან-რუსეთის სავაჭრო ოპერაციებში ერეკლე II-ის ქვეშევრდომმა ვაჭრებმა წამყვანი როლი დაიკავეს“**(96,199).** სამეფო კარს ამ აღმშენებლობით საქმეში გვერდით ედგა ეკლესია კათალიკოს ანტონ I-ის მეთაურობით, რომელიც

ალ. ხახანაშვილის თქმით, ყოველნაირად ცდილობდა „ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას“, მეფეს აძლევდა საეკლესიო ქონებას სახელმწიფო ინტერესებისათვის **(199,250).** ის ერეკლეს მარჯვენა ხელს წარმოადგენდა, მისი იდეური მომხრეა ყველა საქმეში – ომიანობის დროს საეკლესიო-სამონასტრო გლეხებს ჯარში აძლევდა, ხანდახან ომში თვითონაც ახლდა ერეკლეს და ჯარს მტერზე აქეზებდა. გაჭირვების დროს რჩევა-დარიგებას აძლევდა მეფეს, განსაცდელის დროს – ნუგეშს **(55,№12,1162).**

ევროპული გარდაქმნების მოსურნე ერეკლე მეფემ 70-იან წლებში გაატარა ასევე მთელი რიგი რეფორმებისა ცენტრალიზებული ხელისუფლების გასაძლიერებლად. ბურნაშევის მართებული შენიშვნით „ერეკლე მეფე ისე არაფრისკენ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ“ **(12,10).** იგივეს აღნიშნავდა ბუტკოვიც**(205,11).** მართლაც, ერეკლე II-ის მოღვაწეობის, როგორც საშინაო, ისე საგარეო სფერო, ერთ მთლიანობაში წარმოდგენილი და გააზრებული, იყო დაუოკებელი ლტოლვა ევროპეიზაციისაკენ და ევროპეიზაციისათვის („ევროპიული ცხოვრების“ შესაქმნელად). ერეკლე „საქართველოს დიდი სოციალურ-კულტურული ნახტომისათვის ამზადებდა“**(102-36).** შეიძლება ითქვას, რუსეთზე ორიენტაციაშიც იგი „ევროპიული ცხოვრების“ იერსახეს ეძიებდა. „ერეკლე II-მ 1770-იან წლებში გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები: 1) სახელმწიფო კონტროლზე აიყვანა ქვეყნის აღწერის ორგანიზება. 2) შექმნა ცენტრალიზებული საგადასახადო სისტემა. 3) ჩამოაყალიბა მუდმივი ჯარის ნაირსახეობები. 4) ცენტრალურ ხელისუფლებას დაუქვემდებარა სასამართლო და საპოლიციო საქმიანობა. 5) მმართველობა დაყო სხვადასხვა დარგებად. 6) შემოიღო ახალი სამოხელეო თანამდებობები და მოხელეთა დიდ ნაწილს სამსახურისათვის ჯამაგირი დაუნიშნა... ერეკლეს დროინდელი ქართლ-კახეთის სამეფო მკვეთრად გასცდა ფეოდალურ-დეცენტრალიზებულ სახელმწიფოს ფარგლებს. ერეკლე II-ის რეფორმების შედეგად სათავადოებმა დაკარგეს იმუნიტეტი, რაც მათ ფაქტობრივ გაუქმებას ნიშნავდა და შექმნა ცენტრალიზებული მმართველობა. ასეთი ტიპის სახელმწიფო, „აბსოლუტურ მონარქიას“ უფრო ემსგავსება, ვიდრე ჩამორჩენილ, თავადურ სამეფოს. ერეკლე II-ის ღონისძიებები ბევრ მსგავსებას ამჟღავნებს პეტრე I-ის რეფორმებთან“ **(96,177-78)**

ისე, რომ საბოლოო ჯამში, XVIII ს-ის II ნახევრისათვის „ქართლ-კახეთის სამეფო არათუ აღარ წარმოადგენდა სათავადოთა კრებულს, არამედ ის აბსოლუ-

ტური მონარქიისათვის დამახასიათებელ ბევრ ელემენტს შეიცავდა. მიღწეული წარმატებების გასაღრმავებლად და კიდევ უფრო თვალსაჩინო აღორძინებისათვის საჭირო იყო საგარეო უშიშროების განმტკიცება. მტრისაგან თავდაცვის სრული უზრუნველყოფისა და წარსული ძლიერების აღსადგენად კი აუცილებელი იყო ქვეყნის გაერთიანება. ამ მხრივაც თვალსაჩინო ნაბიჯი გადაიდგა ერეკლეს მოღვაწეობის პირველ პერიოდში. თეიმურაზმა და ერეკლემ ჯერ არაგვის, ხოლო შემდეგ ქსნის საერისთაო გააუქმეს და უშუალოდ მეფის ძალაუფლებას დაუმორჩილეს. 1762 წ-ს კი თეიურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლემ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა, რითაც ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გაერთიანდა **(7,51).** ერეკლეს ძალაუფლებას დაემორჩილნენ აგრეთვე განჯის, ყარაბაღის, ნახჭევანის და ერევნის სახანოები. რამდენიმე წლის გმირული ბრძოლის შედეგად აღიკვეთა საგარეო ძალის მხრივ საქართველოს დაპყრობის ცდები და ქართლ-კახეთის სამეფომ მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პოლიტიკური უპირატესობა მოიპოვა. იმ პირობებში ეს იყო უდიდესი მონაპოვარი, რომელსაც ასევე გაფრთხილება და შენარჩუნება სჭირდებოდა.

ქვეყნის კონსოლიდაციის პროცესმა დასავლეთ საქართველოშიც გარკვეულ წარმატებას მიაღწია. 1752 წ-ს იმერეთში გამეფდა ალექსანდრე V-ის უფროსი ვაჟი 17 წლის სოლომონი **(71,72).** იმერეთის ნიჭიერმა და ენერგიულმა მეფე სოლომონ I-მა (1751-1784წწ.) შემოირიგა გურიისა და სამეგრელოს მთავრები, დაამარცხა რეაქციონერი თავადები; წარმატებით იგერიებდა გარეშე მტრებსაც. 1757 წ-ს ხრესილის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა თურქეთის ჯარი და ქვეყნის საბოლოო დაპყრობაზე ხელი ააღებინა. ისე, რომ 1759 წ-ს დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და საერო ფეოდალების საგანგებო კრებაზე, რომლის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იყო ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა, სოლომონ I უკვე მთელი დასავლეთ საქართველოს საქმეებში უზენაეს მფლობელად იქცეოდა, ხოლო მთავრები (დადიანი, გურიელი) და თავადები მისი მორჩილი და ბრძანების აღმსრულებელნი იყვნენ. ეს მოვლენა სოლომონ მეფისა და იმ დროინდელი ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილის დიდი გამარჯვება იყო. ერთი სიტყვით, ცალ-ცალკე გაერთიანდა როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთ საქართველო. ამის შემდეგ დღის წესრიგში დგებოდა საქართველოს ორივე ნაწილის ერთ სამეფოდ გაერთიანების პრობლემა. ასეთი მისწრაფებები, როგორც ლ. ტუხაშვილი შენიშნავს, აკი გამოვლინდა კიდეც 60-იანი წლების დასაწყისიდან: „60-იანი წლების დასწყისიდან ქართლ-კახეთის სამეფოში დიდი საქმეებისათვის ემზადე-

ბოდნენ. ეს კარგად ჩანს ერთი თითქოს მცირე, დღემდე ყურადღება მიუქცეველი დეტალიდან. სწორედ ამ პერიოდში ზოგიერთ ქართულ დოკუმენტში (უმთავრესად საეკლესიო საბუთებში) ერეკლე II გამოცხადებულია სრულიად საქართველოს მეფედ. ... ეს შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს. ... არცერთ ოფიციალურ საბუთში მისი ტიტული არ სცილდება რეალურ შინაარსს. მაშ, საიდან გაჩნდა ზემოთ ხსენებული დოკუმენტი? ალბათ, პროგრესულად მოაზროვნე იმ ქართველი მოღვაწეების გამაერთიანებელი სურვილებიდან, რომლის ასეთი მკაფიო გამოხატვაც 60-იანი წლების დასაწყისის პოლიტიკური პროგრამის ბუნებრივი ანარეკლია“ **(169, 80).** ქვეყნის გაერთიანება საწინდარი იქნებოდა გარეშე მტრის მოგერიებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა. ამ დროის სწორი პოლიტიკური მიმართულება იქნებოდა არა უშედეგო და დამღუპველი პოლიტიკური სვლა რუსეთზე, არამედ საქართველოს გაერთიანება და ირან-ოსმალეთთან მოქნილი დიპლომატიის წყალობით მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნება. აი, სად იყო საქართველოს ხსნა. ირან-ოსმალეთსა და კავკასიაზე რუსეთის მზარდი ზეწოლის პირობებში, ამ ქვეყნების დიპლომატია მოითხოვდა არა ურთიერთდაპირისპირებას, არამედ მჭიდრო შეკავშირებას ჩრდილოეთის იმპერიის მზარდი აგრესიის შესაჩერებლად. ირან-ოსმალეთი ამას დროულად მიხვდა და გარკვეულწილად ტაქტიკაც შეცვალა, რაც დადებითად აისახა კიდეც ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკაზეც. თეიმურაზ მეორის, როგორც ნიჭიერი დიპლომატის, სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო არენაზე მომხდარ ცვლილებებს მოხერხებულად იყენებდა – მისმა მოქნილმა, მანევრირებადმა პოლიტიკამ დიდად განაპირობა XVIII ს-ის I ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო წარმატებანი. მისეული აღდგომისა და გამოხსნის გეგმა ემყარებოდა „სამი დიდი სახელმწიფოს – რუსეთის, თურქეთის, ირანის ურთიერთწინააღმდეგობას. საქართველოს მომავალი სუვერენიტეტი დაფუძნებულია სწორედ ამ ურთიერთწინააღმდეგობებიდან გამომდინარე წონასწორობაზე“ **(169,18).**

შექმნილ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში სრულიად შესაძლებელი იყო არა მარტო არსებული წარმატებების შენარჩუნება, არამედ მისი განმტკიცება-გაფართოებაც. ეს კი დამოკიდებული გახლდათ სწორი საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე, რომლის პრეროგატივაც ერეკლე II-ის ხელთ იყო მოქცეული; ეხლა მასზე, მის პოლიტიკურ გამჭრიახობაზე იყო დამოკიდებული, ქვეყნის მომავალი. ერეკლეს სწორედ ისეთ კრიტიკულ სიტუაციაში მოუწია მეფობა, როცა ერის მომავალი წყდებოდა. სამწუხაროდ, XVIII საუკუნის II ნახევრიდან ქართველმა დიპ-

ლომატებმა ტაქტიკა შეცვალეს და შეფარული დიპლომატიიდან გეზი აშკარად რუსეთზე აიღეს. ასეთი ტაქტიკური ცვლილება განსაკუთრებით გამოიკვეთა ერეკლე მეორის საგარეო პოლიტიკურ კურსში. ერეკლე II-თვის საგარეო პოლიტიკაში საკითხი ასე დადგა: ან საუკუნოვანი მოსისხლე მაჰმადიანური ირან-ოსმალეთი ან კავკასიის ასპარეზზე ახლად გამოჩენილი მრავალგვარ კეთილ აღთქმათა მომცემი ერთმორწმუნე რუსეთი. მან ცალსახად რუსეთზე აიღო კურსი. ერეკლე თავის საგარეო პოლიტიკაში, ისევე როგორც მისი წინამორბედი არაერთი მეფე ალექსანდრე I-ის შემდეგ, ხელმძღვანელობდა სარწმუნოების ერთობის მოტივებით. იგი ერთმორწმუნეობის პრინციპს აჰყვა და აღმავალი გზით მიმავალი ქვეყანა საეჭვო გზით წაიყვანა. რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობთ, რომ ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა მაჰმადიან მეზობლებთან, მაგრამ ამ მხრივ რუსეთზე ორიენტაციამ გარკვეულწილად შეზღუდა ქართლ-კახეთის მეფე; ამავე დროს კიდევ უფრო გაზარდა სამხრეთელი მეზობლების უნდობლობა და აგრესია.

საერთაშორისო მოვლენათა შეზღუდული, ვიწრო თვალთახედვა ან საერთოდ ვერ ხედვა და აქედან გამომდინარე არასწორ დასკვნათა შესაბამისად მოქმედება საერთოდ დამახასიათებელია დაშლილობის ხანის ქართველი მეფეებისათვის. ამაში, რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ფეოდალური პარტიკულარიზმი. დამხმარე ძალის, მფარველის ძიება ბოლო საუკუნეებში ერთგვარ ტრადიციად დამკვიდრდა და მაშინაც კი, როცა გარემოება მის აუცილებლობას გამორიცხავდა ქართველი გვირგვინოსნები მაინც დაჟინებით განაგრძობდნენ მოკავშირე-მფარველის ძიებას. მე-18 ს-ის II ნახევრიდან, როგორც აღინიშნა, ერეკლე და თეიმურაზ მეფეები ორიენტაციას იცვლიან ირანიდან რუსეთისაკენ. „XVIII ს-ის 50-იანი წლების მიწურულიდან და 60-იანი წლების დამდეგიდან დასრულდა თეიმურაზ II-ის და ერეკლე II-ის პროირანული ორიენტაცია, დაიწყო ახალი, პრორუსული ორიენტაცია“ **(82,28).**

მიუხედავად მოპოვებული წარმატებისა, თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს თვალი მაინც რუსეთზე ეჭირათ. ჯერ კიდევ 1752 წ-ს თეიმურაზ II,-მ რუსეთის დედოფალს ელისაბედ პეტრეს ასულს ელჩები გაუგზავნა და მაჰმადიანი მეზობლებისაგან მფარველობა სთხოვა. მაგრამ რუსეთის მთავრობამ ამ თხოვნაზე უარით უპასუხა. ქართველ გვირგვინოსანს იმედი მაინც არ დაუკარგავს და გადაწყვიტა პერსონალურად ხლებოდა რუსეთის იმპერატორს, რათა ამგვარად მაინც მიექცია რუსეთის მთავრობის ყურადღება და აემოქმედებინა იგი საქართვე-

ლოს დასახმარებლად. 1760-62 წლებში მისი თაოსნობით განხორციელებული ელჩობა სრული კრახით დასრულდა. „ქართლ-კახეთის დიპლომატებმა ელჩობისათვის ხელსაყრელი დრო ვერ შეარჩიეს და შედეგიც ვერ მიიღეს“ **(33,II,62).** შვიდწლიან ომში ჩაბმულ რუსეთის იმპერიას საქართველოსათვის არ ცხელოდა – მას ჯერ ევროპული საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი. ჯერ ევროპაში ჰქონდა პოზიციები გასამაგრებელი და „არავითარი სურვილი არ ჰქონდა, რომ საქართველოს გულისათვის ოსმალეთს და სპარსეთს წასჩხუბებოდა. მშვიდობიანობა იყო და საქართველო მაშინ რუსეთს არ ესაჭიროებოდა. მაგრამ 16 წლის შემდგომ, 1768 წ-ს, როდესაც ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა და რუსეთი უნებლიედ ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო, მაშინ მისთვის საქართველო, რასაკვირველია, ძალიან გამოსადეგი იქნებოდა და ამიტომ საქართველოს არსებობაც გაახსენდა“ **(203,68).**

ისტორიისათვის ანალოგიები უცხო არ არის. ის პოლიტიკური თამაში (მთელი თავისი ცბიერებითა და გაიძვერობით), რაც რუსეთის იმპერიამ წამოიწყო ვახტანგ VI-ის დროიდან, შემდგომ ხანებში, თეიმურაზ-ერეკლეს მეფობის პერიოდშიც, განაგრძო და კიდევ უფრო დიდ წარმატებასაც მიაღწია. ამ საქმეში, რუსეთი აქტიურად იყენებდა თვით ქართველებს, რომლებიც უკვე მრავლად დასახლებულიყვნენ რუსეთის მიწაზე და „ახალ პატრონს“ ერთგულად ემსახურებოდნენ.

II თავი. რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო

რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური დაპირისპირება XVIII ს-ის 60-იან წლებში საომარ სიტუაციაში გადაიზარდა. 1768 წ-ის ივლისში რუსეთის წარმომადგენელს კონსტატინოპოლში, ა. ობრეზკოვს, მოსთხოვეს დაუყოვნებლივ გაეყვანათ რუსეთის ჯარი პოლონეთიდან. 25 აგვისტოს სულთანმა შეცვალა დიდი ვეზირი, რომელიც რუსეთისადმი კეთილად იყო განწყობილი. „რუსი დიპლომატები უკვე ამჩნევდნენ, რომ ომის მანქანა ამოქმედებული იყო“ **(159,XIV,251-52).**

1768 წ-ის 25 სექტემბერს რუსეთის რეზიდენტი ობრეზკოვი დააპატიმრეს, რითაც კონფლიქტის დიპლომატიური გზით, მოლაპარაკების საშუალებით გადაჭრა შეუძლებელი გახადეს **(133,24).** ამგვარად თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. ასე დაიწყო 1768-74 წწ-ის რუსეთ-თურქეთის ომი.

რუსეთის მთავრობამ იცოდა, რომ თურქეთის წინააღმდეგ ომში მოკავშირის გამოძებნა ევროპის დიდ ქვეყნებში გამორიცხული იყო. ამიტომ, 1768 წ-ის 4 ნოემბერს სახელმწიფო საბჭოს პირველსავე სხდომაზე, სამხედრო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, თურქეთის უღელქვეშ მყოფი ხალხების ამხედრების საკითხი წამოიჭრა**(133, 25-6).** საომარ მდგომარეობაში მყოფი იმპერატორი ეკატერინე II დიდად დაინტერესდა ქართული სამეფო-სამთავროებით: „1769 წ-ს საგარეო საქმეთა კოლეგიისაგან დაწვრილებით ინფორმაციას ითხოვს საქართველოს შესახებ – თუ სად მდებარეობს იგი, ვის ემეზობლება, აქვთ თუ არა ქართველ მფლობელებს საზღვაო პორტები კასპიის ან შავ ზღვაზე... მას რამდენიმე ხნის წინ სმენოდა რომ ერეკლემ მიიღო კათოლიკური წესი (კანონი); კოლეგიას დაავალა ყველაფერი კარგად გამოერკვიათ და მისთვის მოეხსენებინათ“**(182,39).**

იმისათვის, რომ უფრო წარმატებით ეწარმოებინა ომი თურქეთთან, რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა, თურქეთის წინააღმდეგ თავის სასარგებლოდ ომში ჩაეთრია თურქეთის მეზობელი ქრისტიანი ერები (ბერძნები, სლავები, ქართველები). მაგრამ ქართველების გარდა ყველამ სათანადო წინდახედულება გამოიჩინეს და რუსეთის მთავრობის მიერ დაგებულ მახეში არ გაებნენ. პეტერბურგელ დიპლომატებს, რომლებიც დიდად იყვნენ დაინტერესებულნი გაძლიერებული ქართლ-კახეთის სამეფოს ომში ჩაბმით (ოსმალეთთან მუდმივად დაპირისპირებული იმერთა მეფის მიმხრობა ეჭვს არ იწვევდა), გაუქარწყლდათ იმის შიში, რომ თურქეთთან მშვიდობიან განწყობილებაში მყოფი ერეკლე არ ისურვებდა ოსმალეთის წინააღმდეგ გამოსვლას. „საძნელო საქმეა ერეკლეს დათანხმება, რადგან მას აწუ-

ხებენ მხოლოდ ლეკები, თურქეთის მეზობლობის სიმძიმეს იგი არ გრძნობსო“ – ბჭობდნენ რუსი დიპლომატები“**(45,I.6-7).** მათ იმისიც ეშინოდათ, რომ ერეკლემ სოლომონს არ ურჩიოს თურქეთთან ბრძოლაზე ხელის აღება და თუ მეტი არა, ის მაინც მოვახერხოთ, რომ სოლომონს თავი არ შეაკავებინოს თურქეთის წინააღმდეგ აქტიური მოქმედებისაგანო **(45,I.7);** მაგრამ, როგორც სოლომონი, ისე ერეკლე დაეთანხმნენ რუსეთის მთავრობის წინადადებას ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაზე იმ პირობით, თუ რუსეთი საკმაო რაოდენობის ჯარს გამოგზავნიდა საქართველოში. რა თქმა უნდა, ქართველი მეფეები ამ ომში თავიანთი მიზნებითა და გეგმებით ჩაებნენ. ერეკლე მეფე ცდილობდა თურქეთის იმპერიაში, თუ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური კრიზისით ესარგებლა და სამცხე-ჯავახეთი დაებრუნებინა. საქართველოს ეს ძირძველი და სისხლხორცეული ნაწილი აგერ უკვე ორი საუკუნე იყო, რაც მაჰმადიანთაგან დაპყრობილ-მითვისებული იყო. ამ ხნის მანძილზე მისი ეთნიკური შემადგენლობა, მართალია, მეტად მრავალფეროვანი გახდა, – „ქართველების გარდა აქ ცხოვრობდნენ თურქები, თარაქამები, სომხები, ებრაელები“ **(16,I.215),** მაგრამ XVIII ს-ის II ნახევარში მოსახლეობის დიდ ნაწილს ჯერ კიდევ ქართველები შეადგენდნენ. დედა სამშობლოს მოწყვეტილი სამცხე-საათაბაგოს ბედი მოსვენებას არ აძლევდა ქართველ პოლიტიკოსებს და მისი გათავისუფლებისათვის იბრძოდნენ. ამ ბრძოლას აგრძელებდა ერეკლე II-ც.

ერეკლე 1769 წელს უგზავნის წერილს გრაფ პანინს, სადაც დიდი სიხარულით უერთდება ეკატერინეს მოწოდებას, და თავის მოთხოვნილებებს უყენებს:

1) 5 ან 7 პოლკ ჯარს საქართველოს ხარჯზე;

2) ხელშეკრულების დადების შემდეგ, საქართველოს სამეფო უნდა შევიდეს რუსეთის მფარველობაში;

3) ერეკლე უნდა დაჯილდოებული იქნას მეფური, საიმპერატორო ნიშნებით.

ომისთვის კი ჰპირდება, რომ გამოიყვანს 40.000 კაცს, მეფემ დაავალა ასევე ელჩს თუ რუსეთი სპარსეთთანაც დაიწყებს ომს, იგი მზადაა სპარსეთთანაც აწარმოოს ბრძოლა. მან ასევე სთხოვა დამხმარე ჯართან ერთად სპეციალისტები საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შესასწავლად და დასამუშავებლად **(45,I,429-31;33,III,I,367-8).**

სწორედ იმ დროს, როცა რუსეთის მთავრობის ელჩი ერეკლესთან თბილისში ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ იგი დაეყოლებინა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მისაღებად, თბილისშივე მოვიდნენ მეფე ერეკლესთან თურქეთის წარმომადგენლები თხოვნით, რომ ოღონდაც საქართველო არ ჩარეულიყო

რუსეთ-თურქეთის ომში და თურქეთი არ დაარღვევდა მშვიდობიან ურთიერთობას საქართველოსთან, მაგრამ ერეკლე დემონსტრაციულად მიემხრო „ერთმორწმუნე რუსეთს“ **(14,I,278).**

რუსეთის მთავრობამ საქართველოში საიდუმლო დავალებით გამოაგზავნა ჯარით გენერალი ტოტლებენი **(203,69).** როგორც შემდგომში რუსეთის მთავრობის მიერ ტოტლებენის ხელით განხორციელებულმა ავანტიურამ დაადასტურა, რასაც ემატება რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის გრაფ პანინის საიდუმლო წერილი ტოტლებენისადმი **(45,I,154),** ხოლო შემდეგ ეკატერინე II-ის საიდუმლო წერილი სუხოტინისადმი **(45,I.469-76)**, რუსეთის მთავრობის გეგმა საქართველოს მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ ერთის მხრივ საქართველო გამოეყენებინა რუსეთის ინტერესებისათვის თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორც ბრმა იარაღი, ხოლო მეორეს მხრივ ამ ბრძოლაში მუხანათური გზით მოესპო ქართველთა ჯარი თავის მეფიანად და შემდეგ დაპატრონებოდა უმწეოდ დარჩენილ ქვეყანას. „უნდა ეცადოთ საქმე საქართველოში ისე მოაწყოთ, რომ ყველაფერი ჩვენი ხელმძღვანელობით ხდებოდეს, თვით ქართველებს კი ისე ეგონოთ, ვითომც ისინი თავიანთი მთავრობის განკარგულებას ასრულებდნენ, თვით მთავრობაც დარწმუნებული იყოს, თითქმის ყველაფერი მისი სურვილისა და ნების თანახმად ხდებოდეს, ერთი სიტყვით, ყოველი ჩვენი წადილი განხორციელდეს მაგრამ იმნაირად კი, რომ სული აქაური (ე.ი. რუსული) იყოს, სხეული კი ქართულიო“, - წერდა გრაფი პანინი ტოტლებენისადმი სახელმღვანელოდ გამოგზავნილ საიდუმლო წერილში **(45,I.154-56);** მაშასადამე, რუსეთის მთავრობას უნდოდა, რომ ქართველები უსულო იარაღივით გამოეყენებინა თავისი პოლიტიკური მიზნების და ზრახვების მისაღწევად. „60-იან წლებში რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის მიმართულებით საგრძნობლად გააქტიურდა და საქართველოს სრული ინკორპორაციის გეგმა აშკარად გამოიკვეთა. გენ. ტოტლებენის საქართველოში გატარებული პოლიტიკა და რუსეთის ხელისუფლების ამ პოლიტიკისადმი დამოკიდებულება ამის აშკარა დასტურია“**(150,38-39).**

ტოტლებენს ევალებოდა, მხოლოდ შეტევითი ბრძოლის მაგალითი მიეცა ქართველებისათვის, წაეხალისებინა და დიდი რაოდენობით ჩაება ისინი თურქეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში. ბრძოლის მთელი სიმძიმე ქართველებს უნდა ეტვირთათ, თვითონ კი – ნაკლები მსხვერპლი გაეღოთ და საერთო ხელმძღვანელის როლში გამოსულიყვნენ.

გენერალი გრაფი ტოტლებენი საქართველოში შემოვიდა 1769 წ-ის აგვისტოში სამი ასეულით და 4 ზარბაზანით (სულ 480 კაცით) **(33,III.I.89)** შემდეგში, მალევე, რადგანაც გენერლის ეს თანმხლები ჯარი მასზე დავალებული მოქმედების საწარმოებლად არასაკმარისი ჩანდა, ტოტლებენის თხოვნითა და ეკატერინეს 1769 წ-ის 22 ოქტომბრის ბრძანებით საქართველოში გამოგზავნილი იქნა დამატებითი ჯარის ნაწილები: ერთი ქვეითი ტომსკის პოლკი, მუშკეტერთა ერთი ასეული, ჰუსართა ორი ესკადრონი, 200 დონის კაზაკი, კარაბინიერთა ორი ესკადრონი, 300 ყალმუხი, არტილერიის (12 ზარბაზნის) მომსახურე პერსონალი – სულ 3767 კაცი **(33,III.I.103).** ერეკლე მეფემ დიდი სიხარულით მიიღო ისინი და 4 სექტემბერს მისწერა რუსეთში 10-15 პოლკი ჯარის გამოგზავნის აუცილებლობაზე. ტოტლებენმა მალევე, 16 სექტემბერს, მიიღო პეტერბურგიდან პასუხი, რომ ისინი ქართველ მეფეს თხოვნას ვერ უსრულებენ და 10.000 კაცს ვერ უგზავნიან. ამიტომ საქართველომ თვითონ უნდა დაიცვას თავისი თავი.

ტოტლებენი 21 დეკემბერს ერეკლეს მოსატყუებლად, რომ თითქოსდა მოზდოკთან მოსულა რუსის ჯარი, მიდის მის შესახვედრად და დროებით ტოვებს საქართველოს.

ამ სიცრუის გარდა, რუსეთმა კიდევ ერთი ხრიკი მოიგონა ქართველი მეფეების თვალასაბმელად. რუსეთს საქართველოში თითოეული მეფისათვის უნდა გამოეგზავნა 50.000 მანეთი, როგორც ქართული, ისე დაქირავებული ჯარის ხარჯებისათვის; მაგრამ ესეც დარჩა მხოლოდ დაპირებად.

ტოტლებენი დაბრუნდა მოზდოკიდან და 1770 წლის 17 მარტს ერეკლე მეფე ეახლა გენერალს სურამში, რათა მოთათბირებოდა ახალციხეზე გასალაშქრებლად. ვიდრე ახალციხეზე გაილაშქრებდა, ერეკლემ მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარა: პირველ რიგში, 1769 წ-ის ბოლოს, მოაწყო დაზვერვითი ლაშქრობა ყარსში, მეორე მხრივ კი თბილისში მოლაპარაკებას აწარმოებდა ასირიის ეპისკოპოს ესაიასთან. ერეკლეს იმედი ჰქონდა, რომ იგი აუმხედრებდა თურქებს მისსავე ქვეშევრდომებს - ასირიელებს, ქურთებს, სომხებს. ამიტომ შეადგინა „описание соседних с Грузией стран и народов“ **(32,20),** რომელიც თავისი დესპანის, არტემ ანდრონიკაშვილის ხელით გაუგზავნა გრაფ პანინს.

1770 წ-ის აპრილში ერეკლემ და ტოტლებენმა ახალციხის საფაშოზე გაილაშქრეს. ბრძოლის დაწყების წინ ერეკლემ წინადადება მისცა ტოტლებენს, ჯარისთვის სურსათი მოემზადებინა, მაგრამ მას ყურიც არ შეუბერტყია. ისინი აწციხეს მიადგნენ და იქ გამაგრებულ ოსმალებს შეუტიეს. მაგრამ სწორედ იმ

დროს, როცა ბრძოლა გაჩაღდა, ტოტლებენმა საქართველოს მეფე მტერს შეატოვა და მთელი თავისი ლაშქრითურთ გაბრუნდა ქართლისაკენ განაზრახის სისრულეში მოსაყვანად. როდესაც ტოტლებენმა დაინახა, რომ ახლოვდებოდა თურქთა და ლეკთა ლაშქარი, აჰყარა თავისი არტილერია, სურამში შებრუნდა, ხოლო ერეკლეს აცნობა, ვითომც პური გაუთავდა და ქართლს მიბრუნდა მის საშოვნელად. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ერეკლე მიუხვდა გენერალს ჩანაფიქრს: „კარგად ვხედავ მიზეზს, რის გამოც გრაფი მღალატობს, ... მას იმედი აქვს, რომ მე ამ ბრძოლაში დავიღუპები და როდესაც მე აღარ ვიქნები, თვითონ იქნება საქართველოში ბატონ-პატრონი. მაგრამ თქვენ ნახავთ, რომ იგი სცდება“ - ეუბნებოდა ერეკლე გენერლის ადიუტანტს **(17,55).**

თავზარდამცემი იყო ქართველი მეფისა და მხედრობისათვის ტოტლებენის მოღალატური საქციელი. „რუსეთისავე წყალობით და რუსთა გულისათვის ოსმალეთთან ომში ჩათრეული აღმოსავლეთ საქართველო რუსის ჯარის სარდლის მიერვე მრავალრიცხოვან მტრის წინაშე მუხანათურად მარტოდმარტო იყო დატოვებული. საშინელი მდგომარეობა შეიქნა, მაგრამ ამ უაღრეს განსაცდელის დროსაც ერეკლე მეფის დიდებულმა სამხედრო ნიჭმა იხსნა ჩვენი ერი და სამშობლო სხვაფრივ აუცილებელ განადგურებისაგან“ **(203,69).**

ერეკლემ ბრწყინვალე სამხედრო გეგმისა და ხერხის წყალობით სასტიკად დაამარცხა თურქთა მრავალრიცხოვანი ჯარი ჯერ ადგილობრივ, აწყურთან, და ბოლოს ასპინძასთან. „თურქთა 8 ათასიანი კორპუსიდან ახალციხეს 13 კაცი-ღა დაბრუნდა უკან“ **(45,I.463).** ლაშქრობის შედეგი აუცილებლად გულისხმობდა ახალციხის დაკავებას და იქიდან თურქეთის ტერიტორიის სიღრმეში შეჭრას, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა (სომხები, ქურთები და ასურელები) უნდა შეერთებოდა. მაგრამ რუსი გენერლის მოქმედებამ ჩაშალა რუსეთ-თურქეთის ომის დროს ერეკლე II-ის შემუშავებული საომარი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ახალციხის აღებას და შემდეგ საბრძოლო ოპერაციების გადატანას ბაიაზეთისა და ყარსის ტერიტორიაზე, რასაც, თავის მხრივ, უნდა მოჰყოლოდა თურქეთის უღელქვეშ მყოფი ქრისტიანი მოსახლეობის: ასირიელების, ქურთების, სომხების გამოსვლა ოსმალთა წინააღმდეგ. ტოტლებენის ღალატის შედეგად ერეკლეს ჩანაფიქრმა ხორცი ვერ შეისხა. ასპინძის გამარჯვება ქართულმა მხარემ ვერ გამოიყენა: ახალციხე ვერ დაიკავა და ვერც ყარსისა და ბაიაზეთის მიმართულებით ლაშქრობა ვერ განახორციელა. ერეკლე იძულებული გახდა თბილისში დაბრუნებულიყო.

აწყურთან მომხდარ ამბებს სხვადასხვაგვარ შეფასებას აძლევდნენ ისტორიკოსები - ზოგი ამას ორსარდლობით ხსნის **(175,124)**, ზოგი - რუსი ოფიცრების შეთქმულებით **(106,208),** ზოგი სურსათის ნაკლებობით **(33,III.I.123).** და ა.შ. მაგრამ ძნელია არ დაეთანხმო ს. ხოსიტაშვილს, რომელიც წინ სწევს არსებით მომენტს – ტოტლებენის მიზანსწრაფვას – ტახტიდან ჩამოაგდოს მეფე ერეკლე; მისი მართებული დასკვნით, ტოტლებენის მიზანი იყო „ერეკლეს სამეფო ტახტიდან ჩამოგდება, ქართველი ხალხის ძალით დაფიცება რუსეთის იმპერიის ერთგულებაზე და ქვეყნის მართვა იმპერატორის სახელით“**(201,122).**

მართლაც, ამ ხნის განმავლობაში, ვიდრე მეფე ბრძოლით იყო დაკავებული, გენერალ ტოტლებენს, რომელსაც, როგორც ითქვა, მეფის ტახტიდან ჩამოგდება და საქართველოს დაპყრობა ჰქონდა დავალებული, ერთი წუთიც კი არ დაუკარგავს. უკუიქცა თუ არა აწყურიდან, დარწმუნებული, რომ ერეკლე თავის ჯარიანად დასამარდებოდა თურქებთან ბრძოლაში, ქართველთა მეფისა და ჯარის დამარცხებას არც კი დაუცადა, ისე დაიწყო უმწეოდ დარჩენილი ქვეყნის დაპყრობა. ტოტლებენი ციხე-ქალაქების დაჭერასა და ხალხის რუსთა ხელმწიფის ერთგულებაზე დაფიცებას შეუდგა.

ტოტლებენს, როგორც კრიმინალს, მისი ჯარის ოფიცრობაც კარგად იცნობდა და მათ, რომელთაც სურდათ ერეკლესთან თანამშრომლობის გზით ოსმალეთთან ომი ეწარმოებინათ, შეთქმულება მოუწყვეს. გენერალს წინადობა შეექმნა ოფიცრებისაგან, ამიტომ პირველ რიგში მათთან დაიწყო ბრძოლა და როდესაც ანანურში დაბანაკდა, გამოსცა მანიფესტი: „ვინც მომიყვანს ცოცხლად შემდეგ ოფიცრებს: რატიევს, ჩოგლოკოვს და დეგრალის, მიიღებს 1000 ჩერვონეცს, ხოლო ვინც მკვდარს მომიყვანს 1000 მანეთსო“**(45,I,221;33,III.II.182).** მანიფესტში ასევე ეწერა, რომ ისინი აღმოჩნდნენ „მოღალატენი რუსეთის დედოფლის, მეფე ირაკლის და მისი ოჯახისაო“ **(45,I,221-22)**. მაგრამ როგორც ირკვევა, აღნიშნულ ოფიცრებს მეფე ერეკლესთან მეგობრობის მეტი არაფერი აკავშირებდათ. როგორც კი დევნა დაუწყო ტოტლებენმა თავის ოფიცრებს, მათ მაშინათვე გასცეს იგი ერეკლესთან, გამოააშკარავეს ყველა მისი მოღალატური ქმედება. მაგალითად, ერთი ამ ოფიცერთაგანი პორუჩიკი დეგრალია. იგი 1770 წლის 2 მაისს წერს ერეკლეს, რომ ტოტლებენი მას აუარებელ ყალბ წერილებს აწერინებდა და ასმენდა მეფე ერეკლეს: „...და ყოველთვის ატყუებდა (ტოტლებენი) რუსეთის მინისტრებს, ყოველთვის წერდა ღენ. ჩერნიშევს (სამხედრო მინისტრი) და ღენ. პანინს, რომ როგორც დრო გაუმჯობესდება, ის თავისი იმპერატორის სახელით დაიპყრობს სა-

ქართველოს, იმ ქვეყანას, რომელსაც ფლობს მეფე ირაკლი და სხვ...“**(45,I.15;II.I.24-25).** ეს აზრი არ იყო მხოლოდ ტოტლებენის, არამედ ის ხელმძღვანელობდა საიმპერატორო კარის ბრძანებებით; თუ ოფიცრობა წინ აღუდგა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ტოტლებენის საიდუმლოება არ იცოდნენ და შეგნებულად იცავდნენ ერეკლესთან ოფიციალურ ურთიერთობას. ტოტლებენის მოქმედების რეალური არსი კარგად ჩანს რუს მოხელეთა მიმოწერაში. იმავე ანანურიდან, 1770 წ-ის 15 მაისს, კაპ-პორუჩიკი ლვოვი სწერდა პოლკოვნიკ პერვილევს: „გრაფ ტოტლებენს განზრახული აქვს, მას (ირაკლის) ორდენი მოხსნას და მთელი საქართველო მისი უმაღლესობის მფარველობაში შეიყვანოს, რაც სჩანს, ძალიან ადვილია, და მერე იმერეთის გზით შავ ზღვამდე 300 ვერსტის მანძილზე, ჩვენ ვეღარავინ ვერ შეგვაჩერებს“**(45,I.225-6).** ხოლო თავად ტოტლებენი 1770 წ-ის 12 მაისს წერდა, რომ ტომსკის პოლკის შემოერთებისთანავე განზრახული აქვს, დაუყოვნებლივ თბილისზე დაიძრას... მთელი საქართველო რუსეთის ხელისუფლებას დაუმორჩილოს, ერეკლეს ამას წინათ ბოძებული ანდრიას ორდენი ჩამოართვას და მეფე პეტერბურგს გააგზავნოს ან შავი ზღვისკენ განდევნოს **(133,73).** ეს საქმე, მისი აზრით, მეტად ადვილი იყო 3000 რუსი ჯარისკაცისათვის, მაგრამ, რადგანაც ეს 3000 კაცი ტოტლებენს ჯერ არ ჰყავდა, ამიტომ იგი ელოდა მოზდოკიდან მომავალ ტომსკის პოლკს. ხოლო თავადი ანტონ მოურავოვი (საქართველოში რუსეთის საქმეთა რწმუნებული) პირველ მინისტრს გრაფ პანინს შემდეგ ცნობას აწვდის: „ერთმა ქართველმა აზნაურმა საიდუმლოდ მაცნობა, რომ ირაკლის ჰგონია შემდეგი: გრაფ ტოტლებენმა, რომელიც იმყოფება მისი იმპერატორობით უმაღლესობის სამსახურში, თავისი შტაბის ოფიცრები საიდუმლოდ ყარაულს ქვეშ დააყენა და სხვ. ობერ და უნტერ-ოფიცრები ქართველი ეროვნებისა, გადაასახლა საქართველოდან... თვითონ კი სურს გახდეს მფლობელი საქართველოსი, – რაზეც თქვენს ბრწყინვალებას, ჩემი უღრმესი მორჩილებით გაცნობებთ და ამასთანავე ვბედავ, მდაბლად მოგახსენოთ მოწყალეო ხელმწიფეო, რომ ასეთი განზრახვა, რაზეც სახელდობრ ირაკლის ეჭვი ეპარება, ჩემის მხრით ტოტლებენში არ შემინიშნავს. მხოლოდ ჩემთვის საკმარისად ცხადი იყო, რომ მტრის მიწაზე ფეხის დადგმის უწინ, ტოტლებენს არ სურდა ირაკლი მასთან ყოფილიყო, ეს ვერ აიტანა და სურდა მისი ჯარისათვის, თვითონ ეხელმძღვანელა; ეს ალბათ უნდოდა მას იმიტომ, რომ მას მარტო ესახელა თავი“**(45,I,228).** მოურავოვის ამ ფრთხილ და მოზომილ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ტოტლებენს სხვა რამ ამოძრავებდა და არა ის, რაც მას ოფიციალურად დაკისრებული ჰქონდა. საერთო ოპერაციე-

ბის წარმოებისათვის ხელმძღვანელობა ეკუთვნოდა ერეკლე მეფეს და ტოტლებენი აქ მისი მორჩილი უნდა ყოფილიყო, როგორც მისი ერთ-ერთი გენერალი. მაგრამ ტოტლებენმა თავიდანვე პირველობა მოინდომა თვით ქართველთა ჯარზეც, რათა ამით მას საშუალება მისცემოდა ქართველი მეფე ადვილად გაერიყა ხელისუფლებიდან და შემდეგ თავისი ბნელი ზრახვები განეხორციელებინა.

მაგრამ ერეკლეს ენერგიულმა მოქმედებამ ტოტლებენი შეაშინა და განზრახვაზე ხელი ააღებინა. მართალია, მეფე ჩაწვდა ტოტლებენის განზრახვას, მაგრამ იგი დარწმუნებული იყო, რომ ტოტლებენის საქციელი - თავნებობა, მისი ავანტიურისტული ბუნებიდან მომდინარეობდა, და არა ეკატერინეს მთავრობისაგან. ამიტომ იყო, რომ მას იმპერატორისადმი გაგზავნილი საჩივრის წერილებით ემუქრება. როდესაც ერეკლემ გამარჯვება მოიპოვა, იგივე ადიუტანტის პირით შეუთვალა მოდალატე გენერალს: „წადით და აცნობეთ თქვენს გენერალს, რაც იხილეთ, უთხარით, რომ არ მივეტოვებინე, რვა დღეზე ნაკლებ დროში ახალციხეს დავეპატრონებოდით. მე თბილისში ვბრუნდები. თქვენი გენერლის საქციელის შესახებ ვაცნობებ მის იმპერატორობით უდიდებულესობას და ვიმედოვნებ, რომ იგი სამართალს გამიჩენს“**(17,56).** ერეკლე მეფემ ჯერ ზევიდან, ოფიციალური გზით მოისურვა ტოტლებენის თავიდან მოშორება და წესრიგის დამყარება. ამისთვის მან მისწერა წერილები პანინს და მოურავოვს, რომ ტოტლებენმა დუშეთის ციხიდან მოხსნა ზარბაზნები და წაიღო ანანურში, მუხრანის ახლოს გაძარცვა მართლმადიდებელი ეკლესია, გაიტაცა ქონება არაგვის ერისთავისა და მოკლა თ. შალიკაშვილი. დუშეთში, ანანურში, ცხინვალში და გორში ირაკლის ნებადაურთველად აფიცებს ხალხს რუსეთის ერთგულებაზე. ამის გამო მეფე ტოტლებენს თხოვს წარუდგინოს საბუთი, ქონდა თუ არა ასეთი მოქმედების ნებართვა ეკატერინესაგან (ერეკლე მეფე მოხერხებულად მოიქცა ამ შემთხვევაში – ბუნებრივია, ტოტლებენი ასეთ საბუთს ვერ წარუდგენდა რომც ჰქონოდა). მეფემ მოურავოვთან მიწერილ წერილში სასტიკი პროტესტი განაცხადა: „... მე არ შემიძლია ავიტანო მისი ყოფნა ჩემს მიწაზედ, ... და თუ ასეთ უწესო ადამიანს მომაცილებთ, მაშინ ვიღებ ჩემს თავზე, რომ აქ მყოფი რუსის ჯარი სურსათით სავსებით უზრუნველყოფილი იქმნება, ასევე შემიძლია მტრების წინააღმდეგ ვიმოქმედო“-ო. **(45,I,110)**. ტოტლებენის ასეთი საქციელი იქამდე აღმაშფოთებელი იყო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, მისი ოფიცრებიც განუდგნენ და ყველა გაოცებული იყო გენერლის მოქმედებით. ოფიცერი ჩოგლოკოვი პეტერბურგს აცნობებდა: „...ტოტლებენი ან გაგიჟდა, ან რაღაც ღალატს აპირებს, როდესაც ყველაფერში იქცევა სასახ-

ლის ინტერესების წინააღმდეგ. ქართველი მეფეები ერთმანეთს წააჩხუბა, თავადებს ეპყრობოდა ცუდად, ზოგ მათგანს ცემდა და ზოგი ბორკილებში ჰყავდა. სოფლებს აოხრებდა, უფასოდ ართმევდა საქონელს და პურს, შევიდა მოლაპარაკებაში ახალციხის ფაშასთან, 12 საუკეთესო რუსის ოფიცერი გადააგზავნა რუსეთში, თვითონ კი დაიტოვა მხოლოდ გერმანელები და ცუდი ყოფა-ქცევის რუსები“ **(133,74).**

უკიდურესად აღშფოთებულმა ერეკლემ მოიწვია ტოტლებენისავე ოფიცრებისგან შემდგარი კომისია და დაადგინეს ტოტლებენი დაეტუსაღებინათ. მაგრამ ეს აღარ მოხდა, რადგან ატყდა განგაში – ტოტლებენმა საჩივრები საჩივრებზე აფრინა პეტერბურგში ერეკლე მეფის შესახებ და პეტერბურგიც ჩაერია ამ საქმეში. ტოტლებენის დატუსაღების აქტი, ცოტა არ იყოს, ეკატერინეს არ მოეწონა. ის იცავს ტოტლებენს და ყველა ჭეშმარიტ საბუთებს აფუჩეჩებს. ის უარყოფს ყველა ერთგული რუსების ჩვენებასაც და ბოლოს მათ მავნე პირებად აცხადებს, ხოლო შემდეგ ვნახავთ, რომ ბევრ მათგანს სასტიკადაც სჯის. ყველა ეს ფაქტი ნათლად ღაღადებენ, რომ ტოტლებენის მოქმედებას ძირი პეტერბურგში უნდა ჰქონოდა.

1770 წლის 9 ივნისს უკმაყოფილო იმპერატორი ქართველ თავადაზნაურობას და საზოგადოებას წერდა: „...ბრალდება იმ წერილით ტოტლებენის შესახებ სავსებით ტყუილია და სიმართლეს მოკლებული, რათგან მოუსვენარ და ცბიერ ხალხის მიერ ტოტლებენის აწყურის ციხითგან დახევა, გამოცხადებულ იქნა ღალატად. თუმცა ეს აუცილებელი იყო ერეკლეს ცუდი და მავნე შედეგების მომტანი განკარგულებების შემდეგ“-ო. მოკლედ, ამ ვრცელ წერილში ეკატერინე თავგამოდებით იცავს ტოტლებენს; თუ რამე მცირე დანაშაული მიუძღვის, ეს მხოლოდ ბოროტ ადამიანთა მიზეზითო, ხოლო ეს ადამიანები კი არიან რუსეთის სამსახურში მყოფი ქართველებიო **(45,I.126-27).** ასე, რომ მან მთელი ბრალი ქართველებს დასდო და ირაკლის გენიალური სარდლობა და მისი რჩევები ტოტლებენისადმი, მიიჩნია უვიცობისა და უჭკუობის ნაყოფად, ტოტლებენი კი მართალი გამოიყვანა. იმპერატრიცა კიდევ უფრო შორს მიდის, მან არა მარტო დაადანაშაულა თავისი მოკავშირე ქართლ-კახეთის მეფე, არამედ „მის ქვეშევრდომებს, თავადაზნაურობასა და მოსახლეობას, საკუთარი მეფის წინააღმდეგ მოუწოდა. თუ აქამდე რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება ფორმალურად მაინც იცავდა ეტიკეტს თავისი მოკავშირე ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ, ახლა იგი შეუნიღბავად, უხეშად ჩაერია მის საშინაო საქმეში...ეკატერინე მეორის მიმართვა ყოველ-

გვარ ეჭვს ფანტავს, რომ თითქოს გენერალი ტოტლებენი თვითნებურად მოქმედებდა. პირიქით, იგი ზუსტად ასრულებდა იმპერატრიცას ინსტრუქციას“ **(180,32).** 9 ივლისის წერილში გრაფი პანინიც ტოტლებენის უდანაშაულობას უმტკიცებდა ერეკლე მეფეს და იქით სდებდა ბრალს: „მას თქვენგან მოუთხოვია სურსათი, ე.ი. ჯერ თქვენ დაპირებიხართ და მერე აწყურთან თქვენ არ გიზრუნიათო და მშიერი ჯარით ომი ხომ არ შეიძლებოდა, ამიტომ თუმცა თქვენ საბუთი გქონდათ, მას შემდეგ, რაც მან ბრძოლის ველზე მიგატოვათ, გეთქვათ – გვიღალატაო, მაგრამ ტოტლებენის საქციელს ამ ვითარების გამო ღალატი არ ეთქმისო**(45,I.134-35).** რუსებმა მიზეზად დაიხვიეს სურსათის უქონლობა. მაგრამ, რასაკვირველია, ეს მხოლოდ მომიზეზებაა, სინამდვილეში კი ტოტლებენის ზრახვები სულ სხვა იყო. აწყურიდან ტოტლებენის უკან დაბრუნებას ღალატად მიიჩნევდა რუსი სამხედრო ისტორიკოსი პოტო, რომელიც წერდა: „აწყურიდან უკან დაბრუნებით მეფეს აჩვენა ტოტლებენმა პირდაპირი ღალატი იმ საქმეებში, რომლის გულისთვისაც ის იყო გამოგზავნილი საქართველოში, უფრო მეტიც, მეფე ერეკლეს თურქეთის საზღვრებში ყოფნის დროს ხალხში ხმა გავრცელდა, რომ ტოტლებენი სურამში დაბრუნდა იმ მიზნით, რომ მოეყვანა ქართველები ფიცის მისაღებად და ებრძანებინა მათთვის მისი უმაღლესობის სახელით, რომ მათ არ ეცნოთ ერეკლე თავიანთ მფლობელად“**(27,110).**

ასე მზაკვრულად მოქმედებდა ტოტლებენი იმერეთის სამეფოშიც. მან არაერთგზის გაათავისუფლებინა სოლომონს უკვე დაკავებული ციხეები, ხანაც სოლომონის გამაერთიანებელ პოლიტიკას დადიანი და გურიელი დაუპირისპირა. მალე იმასაც მიაღწია, რომ შუღლი ჩამოაგდო სოლომონსა და ერეკლეს შორის. ტოტლებენმა მშვენივრად იცოდა, რომ თუ ქართლ-კახეთის, იმერეთის და რუსთა ლაშქარი ერეკლეს გეგმის თანახმად შეიჭრებოდა ახალციხის საფაშოში, კიდეც გაიმარჯვებდა. ეს კი მოკავშირეს ხელს არ აძლევდა – კავკასიის ქედს მიღმა ძლიერი ქვეყნის წარმოქმნა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას არც სურდა. ამიტომ იყო, რომ ტოტლებენმა ყველაფერი იღონა ქართველთა ახალციხეზე ერთობლივი მოქმედების ჩასაშლელად. როგორც ირკვევა, ჯარით და სურსათით გამზადებულ სოლომონს გენერალი წინ აღუდგა. 1770 წ-ს სოლომონ I ეკატერინე II-ს სწერდა: „როცა მე გავემზადე ახალციხის ექსპედიციისათვის და ამის შესახებ მოვახსენე ტოტლებენს, მან ასე მიპასუხა: „თუ ხუთასის კაცით წამოხვალ, წამოდიო და თუ მეტს წამოიყვან, შენი წამოსვლა არ იქნებაო. მე ამის სმენა დია მეოცა და განვკვირდი, ხონთქრის ბრძოლა და დიდრონის ქალაქების დაპყრობა ხუ-

თასის კაცით როგორ იქნებაო“ **(45,II.I.57)**. იმერთა მეფე უკმაყოფილებას ვერ მალავდა პანინთან მიწერილ წერილშიც: „ამა უწესოთა მიმოსვლითა მეფე ირაკლი და ჩვენ ძმობისა და ერთსულობისაგან ფრიად განგვყო და განგვაშორა და რამდენიმე მიზეზნი და სავნებელნიცა, სიტყვანი დასთესნა შორსა ჩვენსა“ **(45,II.I.55)**. ხოლო ერეკლე ეკატერინე II-ს და პანინს არწმუნებდა, რომ „ტოტლებენს ჩემი და სოლომონის ერთად მოქმედება არ სურდა, თორემ ჩვენ შეერთებულის ძალით რომ დაგვეპყრო ახალციხის ქვეყანა, იმერეთის ციხეებში გამაგრებული თურქები თავისთავად დაგვნებდებოდნენო. ასე, რომ მარტო იმერეთის ციხეების დაყარაულება სოლომონის ომში წაუსვლელობის მიზეზად ვერ ჩაითვლებაო“ **(45,I.243-246)**. ტოტლებენის ყოვლად „ულოგიკო“ მოქმედებამ არაერთხელ გააკვირვა ქართველი გვირგვინოსნები, თუმცა ისინი კვლავ განაგრძობდნენ მოკავშირის მხარდამხარ ბრძოლას, რომ იქნებ როგორმე მოეხერხებინათ თავიანთი ჩანაფიქრის რეალიზაცია.

რუსეთის მთავრობამ მას შემდეგ, რაც მისთვის ცხადი გახდა, რომ ტოტლებენი სისუსტეს იჩენდა თავისი მისიის შესრულებაში და ვერ ახერხებდა საქართველოს ძალების მაქსიმალურ გამოყენებას რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ, უკან გაიწვია ტოტლებენი და მის მაგივრად 1771 წ-ის დასაწყისში გენერალი სუხოტინი გამოაგზავნა.

ტოტლებენის აქტიური და მოურიდებელი მოქმედება რუსთა ერთგულებაზე მოსახლეობის დაფიცებაში გვაფიქრებინებს, რომ წერილობითი ინსტრუქციის საპირისპიროდ, სადაც აღნიშნული იყო რომ რუსეთის წინაშე ამჟამად საქართველოს შეერთების საკითხი არ იდგა, გენერალს სხვანაირი სიტყვიერი ინსტრუქცია უნდა ჰქონოდა მიღებული ამ საკითხში უმაღლეს დონეზე; „რუსეთის პოლიტიკა ხელს არ უმართავდა საქართველოს გაძლიერებას და მუდამ ატყუებდა. ტოტლებენს საიდუმლო ინსტრუქცია მისცეს, – თუ ერეკლე მეფე როგორმე დამარცხდეს, ან მოკლეს – ქართლ-კახეთში ჩადექ და რუსეთის გუბერნიად გამოაცხადეო. ეგეთივე დარიგება ერეკლეს დამხობა ჰქონდა რუსეთის აგენტებს – ბაკუნინს, რეინეგს, თამორას, ბურნაშევს, გუდოვიჩს და სხვ“**(39,124)**. ასე, რომ ტოტლებენი თვითნებურად კი არ მოქმედებდა, არამედ – მთავრობის დავალებით. „ტოტლებენის მოქმედება თვითნებური რომ ყოფილიყო, რუსეთის იმპერატრიცა პასუხს მოსთხოვდა თავის გენერალს და თუ მაშინვე არ დასჯიდა, მითითებას მაინც მისცემდა, რათა სასწრაფოდ შეეწყვიტა უკანონო და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება მოკავშირე ქვეყანაში“**(180,29-30)**. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება

ის, რომ ტოტლებენის დანაშაულებრივი მოქმედება საქართველოში ასე განუკითხავი და დაუსჯელი დარჩა იმპერიის ხელმძღვანელთა მხრიდან. პირიქით, პეტერბურგში პატივით მიიღეს, ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის ჩამორთმეული ორდენიც დაუბრუნეს და დივიზიის მეთაურადაც დანიშნეს. აი, ასე დააჯილდოვეს გაწეული სამსახურისთვის კაცი, რომელიც მეტად საეჭვო რეპუტაციის პიროვნება იყო. რუსეთ-პრუსიის ომის მსვლელობისას ის ეჭმიტანილი იქნა, როგორც მტრის აგენტი; აღნიშნული ამბის გადმოცემისას იმ პერიოდის პრესა საკმაოდ ლაკონიურ და დელიკატურ ინფორმაციას გვაწვდის. „სანკტპეტერბურგის ვედომოსტებში“ არის ცნობა, რომ გრაფი ტოტლებენი დაპატიმრებულია „...За недозволенную переписку с неприателем“ **(38,№57).** სინამდვილეში საქმე გაცილებით უფრო სერიოზულად იყო – ეჭვმიტანილ გენერალზე აღძრულ იქნა უზარმაზარი, 672 გვერდზე გადაჭიმული საქმე. აი, ასეთი სახელგატეხილი გენერალი იქნა გამოგზავნილი საქართველოში, რომლისთვისაც ყველაფრის გადაბრალება ადვილი იყო. „როგორი ორპირი პოლიტიკის წარმოებასაც აპირებდა რუსეთი საქართველოში, მის უშუალო შემსრულებლადაც შესაბამისი უნარით შემკობილი პიროვნება“**(180,26)** იქნა შერჩეული.

საქართველოში საქმეების გასარკვევად გამოგზავნილ კაპიტან იაზიკოვს ერეკლესადმი ორი სიგელი გამოატანეს (ნ. პანინმა), რათა ადგილზე ადრესატისათვის ერთ-ერთი გადაეცა იმის მიხედვით, იგი გადაყენებული იქნებოდა თუ ისევ ტახტზე დახვდებოდა. სიგელში, რომელიც გადაყენებული მეფისათვის იყო განკუთვნილი, რუსი დიდმოხელე მშვიდად ამართლებდა ტოტლებენის ნაბიჯს: გენერალი იძულებული იყო, თქვენ მთელი სიმკაცრით მოგქცეოდათო **(45,I.139-141).** იაზიკოვისათვის მიცემული ინსტრუქცია ერეკლეს ტახტზე დაბრუნებასაც ითვალისწინებდა (იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაყენებული იქნებოდა), მაგრამ ეს საკითხი ტოტლებენს და იაზიკოვს ადგილზე უნდა გადაეწყვიტათ თურქეთის წინააღმდეგ მათი მოქმედების ინტერესების შესაბამისად და სასარგებლოდ **(45,I.154-156).** ამასთან, თუ ერეკლესადმი მიწერილ წერილებში ერეკლეს ტახტზე ყოფნა-არყოფნაზეა საუბარი, ტოტლებენისადმი მიცემულ ინსტრუქციაში საკითხი სხვაგვარადაა დასმული: შეერთებულ იქნეს საქართველო რუსეთთან **(45,I.154-156).** როგორც ჩანს, საიმპერატორო კარი ორგვარ შესაძლებელ ვარიანტს ამუშავებდა: 1. ერეკლეს ტახტიდან გადაყენებას, მის ნაცვლად სხვა სასურველი კანდიდატის შერჩევას და საქართველოს დამოუკიდებლად დატოვებას და 2. საქართველოს რუსეთთან შეერთებას (მეფობის გაუქმებას) **(152,186).** ყურადსაღებია ეკატერინეს ინს-

ტრუქციის მე-4 მუხლი: „საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ირაკლი სანამ აღდგენილ იქ-ნება ტახტზედ, ბოდიში მოიხადოს ჩვენს წინაშე წერილობით... ამ სიგელის შინა-არსის მიხედვით, ის (ირაკლი) მოვალეა ჯერ თქვენ წარმოგიდგეთ, მერე კი შეგი-ძლიათ განუცხადოთ პატიება. შეეცადეთ, რომ მისი თხოვნა გამოიხატებოდეს ზრდილობიან სიტყვებში, და ბოლოს, რომ ამ ამბავს გარეგნულად მისცეთ დიდი მნიშვნელობა; ბ-ნ გრაფ ტოტლებენის რჩევით შეასრულეთ ზოგიერთი ცერემო-ნიები, რათა ქართველ ველურ თავებში დიდი ხნით დარჩეს ასეთი პატივისცემის შთაბეჭდილება... თქვენ ყოველი ღონე უნდა იხმაროთ, რომ ირაკლი დარჩეს ჩვენს იმპერიასთან კეთილგანწყობილი, ყოველ შემთხვევაში, ოსმალეთთან ომის განმავლობაში მაინც“**(45,I.141).** აქ კომენტარი ზედმეტია. ასევე მეტად საგულისხ-მოა პანინის 1770 წლის 16 ივლისის წერილი გრაფ ტოტლებენისადმი: „აქვე უნ-და შევნიშნო, რომ რაც შეეხება თქვენს მიერ დაწყებულ, ქართველთაგან ფიცის მიღებას, მისი უდიდებულესობის მფარველობაში შემოსაყვანად და სხვ... და რაც შეეხება სხვა სარგებლობათ, მიწის ხარისხი, და სხვა, თუმცა თავისთავად დი-დად სასარგებლოა, მაგრამ მოითხოვენ დიდ მზრუნველობას და ამ ომის დროს აქაური მთავრობის მოქმედებასთან შეუთავსებელია. გარდა ამისა, სიშორე საქარ-თველოსი და მიმოსვლის სიძნელე, აი, ორი გარემოება, რომელნიც მაგ ქვეყნის მითვისებას უსარგებლოდ ხდის. მაგრამ შეიძლება დადგეს დრო, როდესაც მოგ-ვეცემა შემთხვევა, აღნიშნული დაბრკოლებების გადალახვისა, ახლა კი, უმთავ-რესი საჭიროებაა, რომ ქართველები ჩვენ ომში მოგვეხმარონ... პანინი განაგრძობს დარიგებას, რომ სანამ ხელსაყრელი დრო დადგებოდეს, თქვენ მანდ უნდა შექმ-ნათ ნიადაგიო და დასძენს: „...რათა სინამდვილეში ყოველივე ხდებოდეს აქაური ხელმძღვანელობით და დარიგებებით... ეს იყო განზრახვა თქვენი საქართველოში გაგზავნისა, რაც თქვენს მიერ დაწყებული იყო სისრულეში მოსაყვანად, და კი-დეც გაგრძელდებოდა, რომ მოულოდნელ და გადამწყვეტ გარემოებებს არ დაებრ-კოლებინათ“ **(45,I,155-56).** ხოლო იმ ოფიცრების მიმართ, რომელნიც მოქმედებენ საქართველოში ტოტლებენის წინააღმდეგ და იცავდნენ ირაკლის სიმართლეს, ინ-სტრუქციაში ნათქვამი იყო, რომ იაზიკოვს, საქართველოში ჩასვლისთანავე ისინი უნდა შეეპყრო და გადაეგზავნა რუსეთში. ამ უდავო საბუთებით მტკიცდება, რომ ტოტლებენის მისია საქართველოში სულ სხვა იყო და მისი მოქმედება ზევიდან კარნახით წარმოებდა; ეს იქიდანაც ჩანს, რომ ეკატერინე II-მ ვიღაც სახელგა-ტეხილ გერმანელ გენერალს ანაცვალა რუსის მრავალი ოფიცრობა, რომ აღარა-ფერი ვთქვათ ქართველებზე. ტოტლებენის სახით იმპერატორი იცავდა რუსეთის

პოლიტიკას. ხოლო ყველა მოწინააღმდეგენი სასტიკად გაკიცხა. აქ ეკატერინე ისეთ განრისხებამდეც მიდის, რომ რაკი ტოტლებენმა მიზანს ვერ მიაღწია და გამოაშკარავდა მისი ყველა განზრახვა ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, ქართველმა მეფემ ყველაფერი შეიტყო და სათანადო ზომები მიიღო, – ის იაზიკოვს ინსტრუქციით ავალებს, ირაკლის ბოდიში მოახდევინოს და მხოლოდ შემდეგ აპატიოს, და ირაკლის ეს ყველაფერი ისეთი სისასტიკით უნდა შეასრულებინოს, რომ ეს შთაბეჭდილება დარჩეს „ბარბაროს ქართველთა გონებაში“. ამ ინცინდენტის შემდეგ, რუსებმა შეუძლებლად მიიჩნიეს საქართველოს დაპყრობა. იაზიკოვმა ჩამოსვლისთანავე დაატუსაღა მასთან მისული, საქართველოში რუსეთის საქმეთა რწმუნებული, მოურავოვი და რუსეთში გადააგზავნა. ეს მოურავოვი იყო შთამომავლობით ქართველი და, სხვათა შორის, ტოტლებენი პეტერბურგში სულ მას ასმენდა, რომ ყველაზე მეტად ღალატობენ შთამომავლობით ქართველი ოფიცრებიო. კერძოდ, მოურავოვზე სწერდა, რომ ის ერეკლეს სარგებელს უფრო ეძებს, ვიდრე რუსეთისაო **(45,I.143).** ამიტომ იაზიკოვს ასეთი ხალხის ალაგმვაც დაავალა ეკატერინე იმპერატორმა.

ახლადმოვლენილი გენ. მაიორი ალ. სუხოტინიც, მსგავსად ტოტლებენისა, პირადი პატივმოყვარეობით იყო შეპყრობილი და ანგარიშს არ უწევდა ქართველთა ჯარს. რასაკვირველია, წინამორბედივით სუხოტინის ასეთი მოქმედებაც, პეტერბურგის კარნახის შედეგი იყო. როგორც კანცლერი, ისე იმპერატორი საიდუმლოდ, ყოველთვის იმას წერდნენ თავიანთ გენერლებს, რომ მათ თავიანთი ჭკუით ემოქმედათ და უფრო მეტიც, მათ დიდი „სამხედრო მეცნიერებით“ ქართველ მეფეებზე გავლენა მოეხდინათ. ეკატერინეს მიერ სუხოტინისადმი მიცემულ ინსტრუქციაში ვკითხულობთ: „...შეეცადეთ ყოველთვის, დაიცვათ მნიშვნელობა თქვენდამი რწმუნებული მმართველობისა, რის გამო მათ მეტად მართებთ ანგარიშის გაწევა თქვენი, ვიდრე თქვენ მათი. ისინი მოვალენი არიან, რამოდენიმედ იყვნენ თქვენს დამოკიდებულებაში. თქვენ კი უნდა იყოთ მათი, როგორც გაუნათლებლების და უზრდელების – ხელმძღვანელი და ზედამხედველი, ყველა განკარგულებების, რაც კი შეეხება სამხედრო საქმიანობას და სხვ.“**(45,I.475).**

გენერალ სუხოტინსაც იგივე ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი, რაც მის წინამორბედს: ქართველ მეფე-მთავართა გაერთიანება და თურქეთისათვის მათი შესევა, საქართველოში მყოფი რუსის ჯარის ისე გამოყენება, რომ ბრძოლის სიმძიმე რუსის ჯარს არ დასწოლოდა. ამავე დროს რუსეთის ხელისუფლებას სურდა ფოთის ნავსადგურის ხელში ჩაგდება და მიმდინარე ომის ვითარებაში მისი

გამოყენება რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ბაზად. ხოლო რაც შეეხება ტოტლებენის ღონისძიების გატარებას ანუ საქართველოს შეერთებას, სუხოტინს იმ შემთხვევაში ურჩევენ, თუკი ეს ხელს შეუწყობს ქართლ-კახეთის ჩაბმას თურქების წინააღმდეგ ომში, თუ არა და სუხოტინს ეკრძალება ტოტლებენის ღონისძიებათა გატარება. ტოტლებენის ავანტიურისტული მოქმედების და ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთების შემდეგ, რაღა თქმა უნდა, რუსეთის სამეფო კარი ამ საკითხში გაცილებით ფრთხილად მოქმედებს, რათა მთლად არ დაკარგოს ნდობა ქართველებში და მათი საბრძოლო ძალების მიზიდვის მაგიერ, საბოლოოდ არ დააფრთხოს ისინი. ამიტომ ეკატერინე II სახელმძღვანელოდ მიცემულ ინსტრუქციაში სუხოტინს მოძღვრავს: საქართველოს შეერთებას რუსეთთან ჩვენ ამჯერად ამოცანად არ ვისახავთო, თუმცა ცოტა ქვემოთ, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილია ერთხელ უკვე ნაცადი შემოერთების უკუშედეგები და უარყოფითი გავლენა თვით მათსავე განზრახვაზე - გამოეყენებინათ ქართველთა საბრძოლო ძალები – მაინც მიუთითებს: „ტოტლებენის დაწყებული საქმე – ქართველების ძალით დაფიცება რუსეთის ერთგულებაზე თუ ხელს შეუწყობს ქართველების მონაწილეობას ომში შეგიძლიათ გააგრძელოთ, ამის გარეშე კი იგი ზედმეტია“**(45,I.469-76)**. რუს დიპლომატებს, თუ მართლა, სხვა განზრახვა არ ჰქონდათ რა, გარდა ქართველთა საბრძოლო ძალის გამოყენებისა, ხოლო საქართველოს შეერთების საკითხი დღის წესრიგში იდგა იმდენად, რამდენადაც იგი ხელს შეუწყობდა ძირითად მიზანს – ქართველთა საბრძოლო ძალის დარაზმვას, მაშინ ამ გეგმის შემდგენელნი თვითონვე ექცევიან წინააღმდეგობაში – უქმნიან რა დაბრკოლებას თავისი უმთავრესი განზრახვის განხორციელებას. იმპერიის გაწაფულ დიპლომატებს წარმოუდგენელია ვერ გაეთვალისწინებინათ შემდეგი: ქვეყანას, რომელსაც საკუთარ მეფეს წაართმევ და სხვის ხელმწიფეზე ძალით დააფიცებ, მოკლედ თავისუფლებას წაჰგვრი, უპირველეს ყოვლისა დამოუკიდებლობისათვის აღმართავდა იარაღს და არა თურქების წინააღმდეგ. ამის მიხვედრას დიდი პოლიტიკოსობა და დიპლომატიური ნიჭი არ სჭირდებოდა. ისე, რომ განაცხადი თითქოს იმჟამად ეკატერინეს მთავრობის გეგმებში საქართველოს შეერთების საკითხი არ იდგა, ცოტა უცნაურად ჟღერს. მათი გეგმა ითვალისწინებდა როგორც ერთი, ისე მეორე საკითხის გადაჭრას – თურქთა წინააღმდეგ ქართველების გამოყენებასაც და საქართველოს დაპყრობასაც. ეს უკანასკნელი იმხანად არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ეს რუსეთის დიპლომატებს წარმოედგინათ (ამის შემდეგ მათ საზრუნავს ქართველთა საბრძოლო ძალის გამოყენება-

და წარმოადგენდა). პირველი ცდის მარცხით დასრულების შემდეგ ანექსიის საქმე გამიზნული იყო ყოველი შემთხვევისათვის თუ იგი მოსახერხებელი, მისაწვდომი აღმოჩნდებოდა, და ხელს არ შეუშლიდა მთავარი მიზნის – ქართველების ომში მონაწილეობის განხორციელებას, „თუ ტოტლებენმა ნამდვილად ჩამოაგდო ტახტიდან ერეკლე და ეს საქმე ქართველების ომში მონაწილეობას აფერხებს, იგი კვლავ აღადგინე ტახტზეო“ **(45,I;139-145)** – ავალებდნენ საქართველოში საქმეების მოსაგვარებლად წარმოგზავნილ იაზიკოვს. ამ ინსრტუქციიდან კიდევ ერთხელ მჟღავნდება მათი ზემოთხსენებული ჩანაფიქრი. საბედნიეროდ, ვერც ტოტლებენმა და ვერც სუხოტინმა მთავრობის გეგმის ეს ნაწილი ვერ შეასრულა. ქართლ-კახეთის მეფის ტახტიდან ჩამოგდება ვერ მოხერხდა; ამ საფრთხისაგან ერეკლე მეფე პირველ რიგში, ასპინძის ბრძოლაში მოპოვებულმა გამარჯვებამ იხსნა. ასე, რომ იმჯერად რუსეთის მთავრობის ავანტიურისტული გეგმა საქართველოს ანექსიისა ჩაიფუშა. ამის შემდეგ ერთმორწმუნე მფარველი იმასღა ცდილობდა, აქტიურად გამოეყენებინა ქართველთა საბრძოლო ძალები: ქართველთა ჯარის მტრის პირისპირ ასე ვერაგულად მიტოვებისა და ქართლის დაპყრობის ცდის შემდეგ, რუსეთის მთავრობა ერეკლე მეფეს კვლავ ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად აქეზებს. სუხოტინის და ლვოვის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სოლომონის და ერეკლეს ურთიერთობების აღდგენა და თურქების წინააღმდეგ ერთობლივი შეტევა. ისინი ერეკლეს ინტენსიურ მარბიელ ლაშქრობებს აწყობინებდნენ. ერეკლეს გასააქტიურებლად და წასაქეზებლად დემაგოგიას მიმართავდნენ. ო. ხერხეულიძის გადმოცემით 1771 წ. რუსეთის მინისტრად წარმოგზავნილმა ლვოვმა მეფე ერეკლეს ურჩია: რადგან თქვენში და გრაფ ტოტლებენში შფოთი და სამდურავი რამე არის შთამოვარდნილი, სჯობს, რომ ოსმალთ აეშალო და ეკატერინა ხელმწიფე ამას დაგიმადლებსო და გრაფი ტოტლებენი რომ გაბეზღებს, ეკატერინა ხელმწიფე იმის სიტყვას ყურს აღარ მიუგდებს და ეს შენთვის სასარგებლო იქნებაო. ამის რჩევით ერეკლემ, მართლაც, 1771 წელს ჯარი შეჰყარა, მანამდე გადმოიბირა ხერთვისის ბეგი, გაილაშქრა ახალციხეს, აიღო ხერთვისის ციხე და შიდ თავისი მეციხოვნენი შეაყენა **(47,84). „**ღვინობისთვის 30-ს ხერთვისის ციხის აღება თქვეს ერეკლე მეფისაგან“ – აღნიშნულია იოანე ხუცესის ქრონიკებში **(121,135).** მაგრამ ამავე ლვოვის წინადადებით ერეკლემ უკანვე გაიყვანა ჯარი. ხელმეორედ, 1772 წ-ს ლვოვმა კიდევ იმდენი მოახერხა, რომ ერეკლე კვლავ დაიყოლია ოსმალეთის წინააღმდეგ ლაშქრობაზე. ერეკლემ და სოლომონმა შეერთებული ჯარით მოარბიეს ახალციხის, ჯავახეთის და არტაანის მხარეები და

შინ დაბრუნდნენ **(43,493).** „ორივე შემთხვევა ცხადყოფს, რომ რუსეთის წარმომადგენელს თავისი მთავრობის გეგმისამებრ საქართველოს დანიშნულებად ამ ომში მიწა-წყლის დაჭერა კი არ მიაჩნდა, არამედ უმთავრესად შესევითა და თარეშის საშუალებით ოსმალეთის მუდმივი შეწუხება, რომ ოსმალეთის მთავრობა ამის გამო იძულებული ყოფილიყო აქ საკმაო ჯარი დაებანდებინა“ **(203,70)** და მტერს მთავარ ფრონტზე ხელი შეშლოდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუს გენერლებთან სერიოზული უთანხმოება ჰქონდათ და რუსეთის ჯარს საქართველოსათვის რაიმე არსებითი სარგებლობა არ მოუტანია, ერეკლეც და სოლომონიც ზედმეტად ენდობოდნენ რუსეთის იმპერატორს. ისინი თვლიდნენ, რომ წარუმატებლობანი სამხრეთ კავკასიის ფრონტზე იყო არა რუსეთის მთავრობის პოლიტიკის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ რუსი გენერლების შეცდომების შედეგი. კაპიტანი იაზიკოვი, რომელიც ერეკლეს ტოტლებენთან კონფლიქტის შემდეგ შეხვდა, გაკვირვებული მოახსენებდა გრაფ პანინს, რომ მომხდარის მიუხედავად, მეფე ყველაფერში დამჯერია და სრულიად ბრმად ენდობა ჩვენს ხელმწიფეს. შემდეგ იაზიკოვი კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავდა, „მეფე ირაკლისა და სოლომონის ერთგულება ჩვენი ხელმწიფისადმი განუსაზღვრელია...მოფერებით აქაურ ხალხთნ ყველაფერს გააკეთებ, ხოლო უხეშობა და სიმკაცრე მათ აფრთხობთ“ **(182,41).** თვით სოლომონ მეფე ეკატერინეს წერდა, რომ „ჩვენ და ჩვენი სამეფო, რაც შეძლება გვაქვს, გამზადებულნი ვართ ყოვლად მოწყალის ხელმწიფის სამსახურზე სისხლის დანთხევად, და სადაც ინებებს, მათს წინაღმდგებს შევეხოცებით“-ო**(45,II.I,22)**. ფოთზე სუხოტინის მიერ მოწყობილმა საბრძოლო ექსპედიციამ, მართლაც, შეიწირა სოლომონის ჯარი. სუხოტინმა დიდი ხვეწნით გამოითხოვა მეფისაგან იმერთა ჯარი, ვითომცდა ერთიანი ძალებით იმერეთის თურქთაგან გასათვისუფლებლად. შემდეგ კი- „სუხოტინმა ომში მოწინავე ჯარად სულ ქართველები დააყენა და რუსები კარგა მოშორებით დააყენა ზარბაზნების მსროლელათ... სამი დღის განმავლობაში ოსმალებმა ქართველი ჯარი სულ მოსპო ... იმავ დღის საღამოს ჟამს ფოთიდან რუსის ჯარი ქუთაისისკენ გაიპარა და მალე ქუთაისში ჩავიდა დამარცხებული და იმერთა ჯარით გაწყვეტილი“. სოლომონს ეს ამბავი დიდად სწყენია და საყვედური უთქვამს გენერლისათვის: ასე რომ მცოდნოდა ჯარს არ მოგცემდით „ეს ჩემი ქვეყნის დიდი ზარალია და დაღუპვა“**(190,10-11)** ესეც არ აკმარეს სოლომონს და „ოსმალებთან საიდუმლოდ დააბეზღეს, რომ სოლომონ მეფე თქვენ წინააღმდეგ რუსეთს დახმარებას თხოვსო და ამ ხერხით უნდოდათ რომ ოსმალნი აღეძ-

რათ იმერეთის წინააღმდეგ და მერე იმერეთი ოსმალოს მახვილით მოსპობილიყო“**(190,15).** ასე მზაკვრულად მოექცნენ სოლომონს რუსები – უნდოდათ რა, სოლომონისა და იმერეთის მოსპობაო, – დაასკვნის ზ. ჭიჭინაძე. მართლაც, დამაფიქრებელია ზოგი დეტალი ამ მონათხრობში. მას მერე რაც, რუსეთი კავკასიის ქედს მოადგა, მისი „მიზანი გახდა საქართველოს ანექსია, მისი გადაქცევა დამატებითი შემოსავლის წყაროდ და ხელსაყრელ პლაცდარმად შემდგომი დაპყრობებისათვის. ქართველი პოლიტიკოსები რუსეთის ამ გეგმებში მთლად კარგად ვერ ერკვეოდნენ, ქრისტიანულ მეზობელს თითქმის ბოლომდე პოტენციურ და რეალურ მოკავშირედ მიიჩნევდნენ“**(59,136).** ერეკლემ ჯერ კიდევ 1771 წ-ს, სანამ რუსეთის ჯარის გაწვევის საკითხი გადაწყდებოდა, რუსეთს მიავლინა ლევან ბატონიშვილის და ანტონ კათალიკოსის ელჩობა და თავისი სამეფოს რუსეთის ხელმწიფის მფარველობაში მიღება და ასევე ფულადი დახმარება ითხოვა. ერეკლეს გეგმით, დაღესტნელთა და სხვა მტრების თავდასხმა-მოგერიებისათვის 4 ათასიანი ჯარი საქართველოში მუდმივად უნდა დარჩენილიყო, თვით ჯარის სარდლები კი ქართველ მეფეს უნდა დამორჩილებოდნენ. საქართველოში სამეფო ტახტი აუცილებლად ერეკლეს შთამომავლობაზე უნდა გადასულიყო, ხოლო ეკლესიის სათავეში კვლავაც კათალიკოსი უნდა ყოფილიყო. თავის მხრივ, მეფე რუსეთში მძევლად ერთ-ერთი შვილის გაგზავნას და ქართლ-კახეთის სასარგებლო წიაღისეულის შემოსავლის ნახევრის გადახდას პირდებოდა, აგრეთვე ყოველწლიურ გადასახადს გადაიხდიდა და 14 საუკეთესო ცხენს და დიდი რაოდენობის ღვინოს გაგზავნიდა. ამასთანავე ერეკლე მოითხოვდა, რომ რუსეთს 1772 წ-ის გაზაფხულზე დაეკავებინა ახალციხის მხარე და თურქეთთან საზავო ხელშეკრულებებში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ნათქვამი ამ მხარის, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილის, შესახებ **(18,423-25).**

რუსეთის კანცლერმა გრაფმა პანინმა ერეკლე II-ის ამ პროექტს „უცნაური“ პროექტი უწოდა, რადგან იცოდა, რომ სამხრეთ კავკასიაში ქართლ-კახეთის სამეფო ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო. ის გაკვირვებული დარჩა, რადგან საქართველო მფარველობას სთხოვდა რუსეთს იმ ვითარებაში, როცა აღმავლობის გზაზე იყო შემდგარი და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების უნარი შესწევდა. თურქეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფმა იმპერატორმა მიზანშეუწონლად მიიჩნია ირანისადმი დაპირისპირება და ქართლ-კახეთის მეფის ელჩები უკან უარით გამოისტუმრა.

1772 წ-ს რუსეთმა თურქეთთან საზავო მოლაპარაკება დაიწყო; რუსეთის სახელმწიფოსათვის აღარ ჰქონდა აზრი ჯარი ჰყოლოდა საქართველოში, ამიტომ ეკატერინე II-მ აღნიშნული ჯარი, რომელიც სამი წელი იმყოფებოდა საქართველოში, სოლომონისა და ერეკლეს ხვეწნა-მუდარის მიუხედავად უკან გაიწვია. იგი ოდნავადაც არ დაფიქრებულა იმაზე, თუ რა საშინელ დღეში ჩავარდებოდა მისივე წყალობით თურქეთთან ომში ჩაბმული საქართველო ჯარის გაყვანის შემდეგ. ერეკლე რუსეთის მთავრობას აცნობებდა, რომ ამ ომის დროს მას დაეხარჯა 430.000 მან. და რუსებს თხოვდა თანხას და ჯარს 3-4 წლით, საზღვრების დასაცავად, იმ ხალხისაგან, რომელნიც ესევიან მას სამაგიეროს გადახდისათვის, რუსის ჯარის წასვლის შემდეგ. რაზეც, რა თქმა უნდა, უარი მიიღო. „რუსეთმა ფულის სესხება არ მოინდომა, ალბათ, იმავე მოსაზრებით, რისთვისაც იგი თავის ოფიცრებს ხელს უშლიდა ქართველებისათვის სამხედრო საქმეში ინსტრუქტორობა გაეწიათ“ (145,115), რათა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი საქართველო მუდამ მისი დახმარების მოიმედე ყოფილიყო: „სუსტ და სამხედრო თვალსაზრისით მოუწყობელ საქართველოს უფრო მეტად ეგრძნო თავისი დამოკიდებულება ჩრდილოეთის დიდ იმპერიისაგან და მუდამ მისი, ხშირად მარტო ქაღალდზე აღთქმულ დახმარების შემცქერალი ყოფილიყო“(109,N3,269). 1772 წ-ის 4 თებერვლის წერილებით „უმადური“ იმპერატორი ეკატერინე მეორე ერეკლეს და სოლომონს აცნობებდა: „... მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მთავრობას ცდა არ დაუკლია და ხარჯიც გასწია, საქართველოდან საომარ კამპანიას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია, ამიტომ საქართველოში ჩვენი ჯარის დატოვება ზედმეტად მიგვაჩნია და საჭიროდ ვთვლით მის უკან გაწვევას, რათა გამოვიყენოთ იგი, სადაც მას შეუძლია ნამდვილად სარგებლობის მოტანა“ (133,123). უკან იწვევდა რა საექსპედიციო კორპუსს, რუსეთის მთავრობა ცდილობდა თურქეთთან ომის დამთავრებამდე გამოეყენებინა ქართველთა ჯარები თურქთა წინააღმდეგ. ამ მიზნით ეკატერინე მეორე სოლომონ მეფეს აცნობებდა: რომ თანახმად შენი თხოვნისა, მომარაგებული იქნები საჭურველითაო და ავალებდა გაეგრძელებინა ომი თურქეთის წინააღმდეგ. ამასთან, მეფეს იმედს აძლევდა, რომ პორტასთან ზავის დადებისას იმერეთი დავიწყებული არ იქნებაო, ხოლო ერეკლესთან წერილში აღნიშნავდა: თუმცა ქართველები ჩვენს მოწოდებას და დახმარებას არსებითად ვერ გამოეხმაურნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა პორტასთან ზავის დადებისას საქართველოს დაცვაზე ვიზრუნებთო. ეკატერინე იმედს აძლევდა

ერეკლეს – თუ რაიმეს დაპყრობას შევძლებ, შევეცდებით პორტასთან ზავიც სამუდამოდ დაგიმკვიდროთო **(133,123).**

რუსეთის იმპერატორის ასეთი განაცხადი ერეკლეს მიმართ იყო უკიდურესი უსამართლობისა და უმადურობის გამოვლინება. ის კი არადა, რუსეთის მთავრობას იმდენი თავხედობა ჰყოფნიდა, რომ ჯარის გაყვანის შემდეგაც ქართველ მეფეებს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას თხოვდა. სასურველია, ქართველმა ჯარმა თურქების წინააღმდეგ ბრძოლა გააგრძელოს საქართველოდან რუსის ჯარის წასვლის შემდეგაც **(45,I;341)** – ავალებდა გრაფი პანინი ლვოვს და ეს უკანასკნელიც, როგორც დავინახეთ, ახერხებდა კიდეც ამ დავალების შესრულებას. ხოლო 1773 წ-ის 31 დეკემბრის მიწერილობაში ეკატერინე მეორე პირდაპირ სთავაზობს წინადადებას ერეკლეს, უწინდებურადვე გააგრძელოს მტრობა თურქებთან სოლომონ იმერთა მეფესთან ერთად **(5,I,394-397).**

სოლომონს იმერეთის ციხეების გათავისუფლება რუსეთის ჯართან კავშირში ერთიორად აზღვევინეს თურქებმა. რაც შეეხება ერეკლე მეფეს, ომში ჩაბმამ და რუსის ჯარის საქართველოში ყოფნამ მაჰმადიანურ სამყაროსთან დაწყობილი საგარეო საქმეები მთლად აუწეწა. ასპინძის ბრძოლის შემდეგ „იყვნენ თურქნი განძვინებულ საქართველოსა ზედა“ **(4,54).** გაძლიერდა ლეკთა თარეშები ახალციხისა და ჭარ-ბელაქნის მხრიდან. ამით ისარგებლა ერევნის ხანმა და „აიხადა საფარველი საქართველოსი“**(45,II,I.63).** საქართველოდან რუსეთის კორპუსის წასვლის შემდეგ შექმნილ ვითარებას საუცხოოდ გამოხატავს თავად ერეკლე: „გველებივით პირდაღებული თურქები რკალს გვარტყამენ, სპარსელები მძინვარე ლომებივით შემოგვყურებენ, ხოლო ლეკები მშიერ მგლებსავით ჩვენზე კბილებს ილესავენ“ **(45,I;408).** რუსეთ-თურქეთის ომის წინ ქართლ-კახეთის მდგომარეობა (იმერეთისაგან განსხვავებით) შედარებით მტკიცე იყო. ქვეყანა გაერთიანებული, სათავადოები დამორჩილებული იყო. ირანის მმართველ ქერიმ-ხანთან მშვიდობიანობა სუფევდა, განჯა-ერევანი მოხარკენი იყვნენ, ოსმალეთთან და მის საფაშოებთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება არსებობდა. ეხლა კი ქართლ-კახეთის მეფემ ომში მონაწილეობის მიღებით თურქეთიც აიმხედრა, რომლისგანაც მას მაინც აქამდე საფრთხე არ ელოდა. შურისძიებით აბობოქრებულ-განრისხებულ სულთანს სამაგიეროს მისაზღვევად არც ფული და არც ჯარები არ დაუზოგია; მეტი ვნების მისაყენებლად მან ლეკებიც აამხედრა. მეორეს მხრით, სპარსეთი ილესავდა კბილებს, რომელიც შიშით შესცქეროდა რუსეთის გააქტიურებას კავკასიაში, ამიტომ როგორც კი გაიგო სპარსეთის მმართველმა ქერიმ-ხანმა

რუსეთ-თურქეთის ომში საქართველო რუსეთს მიემხროო, თავისი ჯარებით საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქრა. უდიდეს განსაცდელში ჩავარდნილი ერეკლე შველას და დახმარებას ისევ რუსეთის იმპერატორს სთხოვდა, მაგრამ უშედეგოდ „რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია, ოსმალეთის ომის საფრთხე ზავის გამო უკვე აღარ არსებობდა. ამიტომ საქართველოსაც მისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა და დანაპირები მფარველობის გაწევა თითქოს დაავიწყდა კიდეც **(203,71).** რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის მიმხრობით ერეკლემ და სოლომონმა „გარისკეს ისევე, როგორც გარისკა თავის დროზე ვახტანგმა და კვლავ პირწმინდად წაა-გეს"; „ვახტანგის კატასტროფა ქართველთათვის ვერ იქცა გაკვეთილად. XVIII ს-ის დარჩენილ ნაწილში ისინი აგრძელებენ იმავე იდეათა გარშემო ბრუნვას და მათი შეხედულება-მიდრეკილებანი რუსეთზე არ შეცვლილა" **(52,102;77).**

რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობის მიღებით ერეკლემ და სოლომონმა ვერ მიაღწიეს თავის მიზანს - ვერც დაკარგული მიწები დაიბრუნეს და ვერც მაჰმადიანთაგან სამფლობელოთა უსაფრთხოება უზრუნველყვეს.

1774 წ-ს რუსეთ-თურქეთს შორის მიმდინარე ომი დამთავრდა. 10 ივლისს სოფ. ქუჩუკ-კაინარჯში ზავი დაიდო, რომელიც რუსეთისათვის ფრიად სასარგებლო იყო – მიღწეულ იქნა რუს ხელისუფალთა დიდი ხნის ოცნება: „ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთი გახდა შავი ზღვის მოსაზღვრე სახელმწიფო... რომელმაც პირველმა მოიპოვა თურქეთისგან შავი ზღვით თავისუფალი, შეუზღუდავი ვაჭრობის უფლება"**(164,9)** ზავის XXIII-ე მუხლი ეხებოდა საქართველოს, კერძოდ კი, იმერეთს. თურქეთი უარს ამბობდა იმერეთიდან და სამეგრელოდან ყოველგვარი ხარკის, მათ შორის ქალ-ვაჟებით ხარკის აღებაზე. ამავე მუხლით, რუსეთმა იურიდიული ბატონობის უფლება იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოზე თურქეთს დაუთმო. ბრწყინვალე პორტა კისრულობს „...არავითარი სახით არ შეავიწროვებს მონასტრებს და ეკლესიებს, არ შეუშალოს ხელი ძველი ეკლესია-მონასტრების შეკეთებას და ახალთა აგებას, ჩილდირის ვალიმ და სხვა გამგებლებმა თუ ოფიცრებმა არ უნდა შეავიწროვონ ისინი ისეთი მოთხოვნებით, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მათი მამულების დაკარგვა, მაგრამ რადგანაც დასახელებული ხალხი ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომები არიან, ამიტომ რუსეთის იმპერია შემდეგში მათ საქმეებში სრულიად არ უნდა ჩაერიოს და არც შეავიწროვონ ისინი" **(48,36).** 1774 წ-ის ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების 23-ე მუხლი დასავლეთ საქართველოსათვის არავითარ მიღწევას არ წარმოადგენდა. ოსმალეთთან ურთიერთობის არტიკულით გათვალისწინებული პირობები ხომ სოლომონს ფაქტიურად მო-

პოვებული ჰქონდა: „ტრაქტატი ოდნავადაც კი ვერ მატებს სოლომონის მიერ უკვე მიღწეულ შედეგებს. უფრო უარესიც, რუსეთი აღიარებს „status quo ante", სწორედ იმ მდგომარეობას, რომლისგანაც თავდაღწევასაც ცდილობდა სოლომონი" **(52,110).**

კაინარჯის ტრაქტატში იმერეთის საკითხის ჩართვა მისი დამცველის როლში რუსეთის აშკარა გამოსვლას მოწმობდა და განსაზღვრავდა თვითმპყრობელობის შემდგომ ნაბიჯებს ამ მიმართულებით. საზავო მოლაპარაკების დროს თურქი დიპლომატები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის დელეგაციას იმერეთის სამეფოს შესახებ წამოყენებული წინადადებების გამო, რუსეთის დიპლომატია ფაქტიური მდგომარეობის იურიდიულ გაფორმებას ცდილობდა. კაინარჯის ზავის 23-ე მუხლი რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ღრმად მოფიქრებული დიპლომატიური სვლის შედეგი იყო. „ამ მუხლის ძალით რუსეთმა თურქეთ-იმერეთის დამოკიდებულებაში დიპლომატიური ჩარევის უფლება მოიპოვა"**(183,21).** თუ ეს მუხლი ორაზროვანი იყო და თურქეთ-იმერეთის დამოკიდებულებაში ომამდე არსებულ მდგომარეობას არ ცვლიდა, სამაგიეროდ ტრაქტატის იგივე ორაზროვნობა რუსეთს მომავალში საშუალებას აძლევდა გართულებული მდგომარეობა საბაბად გამოეყენებინა და მათ ურთიერთობაში ჩარეულიყო. ამ მუხლის ხელშეკრულებაში ჩართვა და მასზე თურქეთის თანხმობა, იმერეთზე რუსეთის უფლებების ნაწილობრივ აღიარებასაც გულისხმობდა. იმერეთის საკითხის საერთაშორისო დავის საგნად გადაქცევით რუსეთმა თავის მომავალი ბრძოლისათვის თურქეთის წინაღმდეგ ამიერკავკასიაში გასაბატონებლად დიპლომატიური ნიადაგი მოამზადა. 23-ე არტიკული საყურადღებოა იმითაც რომ, ოსმალეთმა რუსეთი აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველად აღიარა **(45,I,413),** რითაც მის იმპერიულ ამბიციას გასაქანი მიეცა: „საერთაშორისო დოკუმენტით გაფორმდა რუსეთის ისტორიული ამბიცია, რომელიც რუსული მესიანიზმის ძირითად იდეას უკავშირდება... ხელშეკრულების ძალით დოკუმენტურად დაიდასტურა ის უპირატესობა, რომლითაც ქრისტიანულ აღმოსავლეთში, ბუნებრივია, კავკასიის რეგიონშიც, დაპყრობილ თუ დასაპყრობ ქვეყნებში მართლმადიდებლობის გავრცელება მისი იმპერიული პოლიტიკის ნაწილი გახდა" **(177,125).** საზოგადოდ, ამ ომამდეც და, მით უფრო, ომის შემდგომ პერიოდში რუსეთი რელიგიურ ფაქტორს წარმატებით იყენებდა ექსპანსიური პოლიტიკის განხორციელებისათვის. „ფაქტობრივად, მართლმადიდებლობა რუსეთის იმპერიაში იქცა მეზობელი ტერიტორიების ათვისებისა და კოლონიური პოლიტიკის წარმართვის საშუალებად" **(177,125).**

კაინარჯის ზავის 23-ე მუხლის შინაარსი იმერეთისათვის სასარგებლო აქტად მიიჩნიეს ქართველმა პოლიტიკოსებმაც. ისე, რომ ოფიციალურად მაღალი შეფასება მიეცა რუსეთის ჯარის პირველ გადმოსვლას საქართველოში. მაგრამ სინამდვილეში შეუძლებელია კმაყოფილი ყოფილიყო ომის შედეგებით იმერეთის მეფე და მით უმეტეს, ერეკლე II – რომელიც თურქთაგან მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნების მიზნით ჩაერთო ომში და ვერაფერს კი ვერ მიაღწია. ქართველ მეფეთა უკმაყოფილების გამოხატულება იყო ელჩების გაგზავნა საიმპერატორო კარზე „სათხოვარი პუნქტებით“, რათა მფარველობის მეშვეობით მაინც მიიღონ ესოდენ საჭირო სამხედრო დახმარება.

მიუხედავად რუს-ქართველთა სამხედრო კავშირის ჩრდილოვანი მხარეებისა (ტოტლებენის ღალატი, სუხოტინის უტაქტობა, რუსეთის მთავრობის არაგულისხმიერი დამოკიდებულება და უნდობლობა ქართველი მეფეებისადმი, ზოგჯერ ქართველი ხალხის ლანძღვა და ა.შ.), ქართველი მეფეები ისევ რუსეთს შეჰყურებენ. ერეკლემ და სოლომონმა ელჩები გაგზავნეს და მფარველობა ითხოვეს. რა თქმა უნდა, მფარველობაში მიღებაზე მათ უარი ეთქვათ. რუსეთის მთავრობა კაინარჯის ზავის 23-ე მუხლის შინაარსის გაზვიადებით შეეცადა გაენელებინა იმერეთის მფარველობაში მიუღებლობის სიმწვავე. პეტერბურგში მაშინ საამისო პირობებს ვერ ხედავდნენ. ჯერჯერობით იმერეთის თურქეთის გავლენაში დატოვებას ამჯობინებდნენ. ამასთან, იმერეთის მეფეს ურჩევდნენ, არ გაეღიზიანებინა მოსისხლე მტერი და არ გამოეწვია კონფლიქტი. მას შეახსენებდნენ, რომ არსებულ პირობებში იმერეთის საკითხი ხელსაყრელად არის გადაწყვეტილი და რომ ასეთ გადაწყვეტას სოლომონი რუსეთს უნდა უმადლოდეს**(45,II,II.6-8)**. ასევე, სრულიად უშედეგოდ დასრულდა 1772 წ-ის ელჩობა ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის მეთაურობით. მიმდინარე ომის პირობებში ქართველ მეფეთა მფარველობაში აყვანა რუსეთის ძალას აღემატებოდა, კიდეც რომ ქონოდა ამის სურვილი. ასეთ შემთხვევაში, ეკატერინე II-ს, უარის თქმით რომ არ გაენაწყენებინა ერეკლე მეფე და მთლად არ აეყრევინებინა გული რუსეთზე, ფარისევლურად აიმედებდა: „თურქეთთან ზავის დადებისას სულთანს ქართველი ხალხის უშიშროების პირობას ჩამოვართმევთ, რომლის შესრულებაზე მე თვითონ დავაწესებ კონტროლსო“ **(45,I,396).**

ერეკლე II-ის მიზანსწრაფვას რუსთა ჯარის დახმარებით გაეთავისუფლებინა სამცხე-საათაბაგო და შემოერთებინა ქართლის სამეფოსათვის, დაეპყრო ჭარ--ბელაქანი და აღეკვეთა ლეკიანობა, („მცირე პროექტი“), ასევე კიდევ უფრო შორს-

მიმავალ გეგმებს - არარატის მთის გარშემო სომეხთა მიერ დასახლებული ადგილების - ყარს-არზრუმის რაიონებისა და ტრაპიზონის მხარის გათავისუფლება-შემოერთებას („დიდი პროექტი“) **(122,66-7),** განხორციელება არ ეწერა. ეკატერინეს დიპლომატებმა მშვენივრად იცოდნენ რა ქართველ მეფეთა მისწრაფებანი რუსის ჯარის შემწეობით საკუთარი მიწა-წყლის გათავისუფლებისა, თავიდანვე იზრუნეს ამაზე. საიდუმლო გეგმით ქართველ მეფეებს ვერ უნდა გამოეყენებინათ იმპერატორის ძალა თავიანთი მიზნებისათვის, ამიტომაც გამოგზავნილი სამხედრო კორპუსი საქართველოში ისე უნდა მოქცეულიყო, რომ თვითონ ქართველებს საკუთარი ძალებით შეეტიათ თურქებისათვის; და ასეც ხდებოდა. რუსეთის მთავრობის გეგმებში საქართველოს გაძლიერება-განმტკიცება ნამდვილად არ შედიოდა. „ერეკლე დღესაც იმას ცდილობს, რომ აქაური დახმარებით საკუთარი ძალაუფლებისმოყვარულობა დაიკმაყოფილოს, რაც ჯერ კიდევ, ნაწილობრივ, ჩვენი ჯარების საქართველოში ყოფნის დროსაც გამომჟღავნდა და უკვე არავითარ ყურადღებას არ იმსახურებს“ – აღნიშნავდა რუსეთის იმპერატრიცა ომის დამთავრების შემდეგ **(14,I.26).**

ისე, რომ ქართველ მეფეთა ჩანაფიქრმა, რომლითაც ისინი ამ ომში ჩაებნენ, მარცხი განიცადა. ქართლ-კახეთის მეფემ ვერც თავისი გეგმის განხორციელება შეძლო და ომამდე არსებული საგარეო მდგომარეობაც გაიუარესა. „რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ჩაბმა, როგორც იმერეთის მეფის სოლომონ I-ის, ისე ქართლ-კახეთის მეფის მხრიდან, დიდი სტრატეგიული შეცდომა იყო ... ომში ჩაბმა გამართლებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში დიდ სამხედრო ძალას გადმოისროდა და რეგიონიდან ოსმალეთის გაძევებას დაისახავდა მიზნად“ **(83,23).**

ერეკლე და სოლომონი იძულებულნი გახდნენ თავიანთი წინდაუხედაობით გაფუჭებული საქმე თავისივე ქვეყნის ძალებით გამოესწორებინათ. ერეკლე II-ის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთისაგან დახმარებას მოკლებულმა და მიტოვებულმა, საკმაოდ მოკლე დროში აღადგინა ნორმალური ურთიერთობა მაჰმადიან მეზობლებთან. ერეკლემ როგორც იყო სპარსეთის მბრძანებელი ქათინაურებით დააშოშმინა. თურქეთის წინააღმდეგ კი როგორც ერეკლე, ასევე სოლომონი იძულებული იყვნენ სისხლისმღვრელი ბრძოლები ეწარმოებინათ და ამგვარად დაეცვათ თავი. ზოგან დიპლომატიური მოლაპარაკებითა და ჩაგონებით, ზოგან თავისი სამხედრო ნიჭისა და ქართველთა ჯარის მამაცობით ერეკლემ რამდენიმე ხნის შემდეგ არამცთუ მშვიდობიანი ურთიერთობა აღადგინა მეზობლებ-

თან, არამედ ზოგი მათგანი ისევ ყმადნაფიცად გაიხადა. განჯის, ყარაბაღის, ნახიჭევანის და ერევნის სახანოები წინანდებურადვე ქართლ-კახეთის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ. აღმოსავლურ პოლიტიკას გაჩვეული ქართველი პოლიტიკოსები და, მათ შორის, ერეკლე II, როგორც წესი, ბრწყინვალე დიპლომატებად წარმოჩნდებიან სამხრეთის მეზობლებთან ურთიერთობაში. რასაც ვერ ვიტყვით მათთვის ჯერ კიდევ უცხო, კავკასიონის ქედს მიღმა მყოფ ჩრდილოელ მეზობელთან მიმართებაში. „ისტორიული გამოცდილება უცილობლად ადასტურებდა, რომ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ერთეულები გაცილებით უკეთესად აგვარებდნენ ერთმანეთთან ურთიერთობას იმ ხანმოკლე პერიოდში, როდესაც დიდი სახელმწიფოები დამპყრობლური მიზნებით არ ერეოდნენ მათ საქმეებში“ **(88,774).**

ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებას შორს გამიზნული გეგმები ჰქონდა რუსეთის საგარეო-პოლიტიკური ამოცანების გადაჭრის საქმეში. „მან სათავე დაუდო კონკრეტულად რუსეთ-ყაბარდოს, საერთოდ კი, რუსეთ-კავკასიის პოლიტიკის ახალ ეტაპს“**(115,37).** რუსეთმა თურქეთსა და ყირიმს არა მარტო გზა ჩაუკეტა ვოლგისპირეთსა და ამიერკავკასიისაკენ, არამედ მისი საზღვრები დაუახლოვდა საქართველოს საზღვრებს. ამგვარად, რუსეთმა საიმედო გასაღები მიიღო ამიერკავკასიაში შეღწევისათვის.

რუსეთის პოლიტიკის გააქტიურება კავკასიაში დაემთხვა საერთაშორისო ურთიერთობების გამწვავებას, რაც გამოიხატა რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოების ბრძოლაში თურქეთში გაბატონებისათვის. ეს ყველაფერი აისახა როგორც რუსეთის, ისე თურქეთის კავკასიურ პოლიტიკაზე.

ქუჩუკ-კაინარჯის ზავმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩრდილო კავკასიის ხალხების, კერძოდ ყაბარდოელების რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცებაში. იგი ამასთან, საქართველო-რუსეთის ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორიაში არსებითი შემობრუნების პუნქტი გახდა. აღსანიშნავია, რომ 1774 წ-მდე რუსეთი საქართველოს საკითხს ოფიციალურ დიპლომატიურ დოკუმენტებში არ აყენებდა. აქამდე მისთვის მთავარი იყო ყაბარდოსა და დაღესტნის საკითხი, მას სურდა თურქეთისათვის დაეკეტა გზა ჩრდილო კავკასიაში. როდესაც 1774 წ-ის ზავით ფორმალურად ყაბარდო რუსეთთან შეერთებულად გამოცხადდა და მეტ-ნაკლებად ეს ამოცანა გადაიჭრა, აქტივიზაცია დაეტყო საქართველო-რუსეთის ურთიერთობასაც.

III თავი. გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი შედეგები

§1. საერთაშორისო ვითარება ტრაქტატის დადებამდე

XVIII საუკუნის 70-იან წლებში რუსეთთან კავშირმა ერეკლე მეორეს მოლოდინი არ გაუმართლა.

რუსეთთან კავშირით გამოწვეულ თავზე დატეხილ უბედურებას თითქოს თვალი უნდა აეხილა ერეკლესათვის, მაგრამ არა, მიუხედავად იმისა, რუსთა გადამკიდე საქართველო ძლივს გადაურჩა განსაცდელს და როგორც სახიფათო პირობებიდან თავის დაღწევა, ასევე მდგომარეობის სტაბილიზაცია თავისივე ძალებით მოახერხა, ერეკლეს თვალი მაინც ჩრდილოეთისაკენ ეჭირა. მაგრამ ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ, ისე როგორც მანამდე, რუსეთი ქართველი მეფეების თხოვნას უყურადღებოდ ტოვებდა. მას შემდეგ, რაც ერეკლე II-მ რუსის ჯარის საქართველოში ყოფნით ვერ მოახერხა თავისი გეგმების განხორციელება, მისი ხორცშესხმა რუსეთის მფარველობაში შესვლით განიზრახა. საამისოდ თხოვნის წიგნითა და სამეფო კარის პირობით მიავლინა მან 1772 წ-ს რუსეთში ელჩობა ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის მეთაურობით, მაგრამ ისე, რომ არც გაუთვალისწინებია თვით რუსეთის საგარეო მდგომარეობანი.

რუსეთის მთავრობას თურქეთთან ომის ვითარებაში, როცა ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი რუსეთის შავი ზღვის სანაპიროზე დამკვიდრებისა და თავისუფალი ნაოსნობის უფლების საკითხები, ევროპის ქვეყნების მტრული პოზიციის, ერთი სიტყვით, არახელსაყრელი საერთაშორისო პირობების გამო, არ შეეძლო მიეღო ქართლ-კახეთი მფარველობაში. ეს გამოიწვევდა თურქეთთან ომის გაჭიანურებას და ირანელი ხანების მოთმინებიდან გამოყვანას, რომლებთანაც დამაიმედებელი წერილები ჰქონდათ გაგზავნილი, რომ რუსეთს ირანის წინააღმდეგ მტრული განზრახვა არ ჰქონდა და ჯარი საქართველოში მხოლოდ თურქეთის წინააღმდეგ შემოიყვანა. ამიტომ 1773 წ-ის 31 დეკემბრის წერილით ეკატერინე II, რომელსაც სასიამოვნოდ დარჩა ერეკლე II-ის გადაწყვეტილება, მეფეს ატყობინებდა: თქვენი წინადადების მიღება ამჯერად არ შეგვიძლია და უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადავდოთო**(45,I; 394-97)**. მართლაც, არახელსაყრელი დრო შეურჩევიათ ელჩობისათვის ერეკლე მეორის სამეფო კარს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხელსაყრელი სიტუაციის შემთხვევაშიც რუსეთის მიზნებში არ შედიოდა ისეთი ურთიერთობის დამყარება სამეფოებთან, როგორსაც მისგან ითხოვდ-

ნენ ქართველი დიპლომატები. ეკატერინე II-ს მთელი კავკასიის და მათ შორის, საქართველოს დაპყრობა ჰქონდა განზრახული.

ათიოდე წლის შემდეგ, 1781-1782 წლებში, როცა ვითარება ამიერკავკასიაში კვლავ დაიძაბა, შავ ზღვაზე რუსეთ-თურქეთის მეტოქეობის გაღრმავების გამო, რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა დაეჩქარებინა ყირიმისა და შემდეგ საქართველოს საკითხის გადაჭრა. ყირიმის სახანომ, მართალია, დამოუკიდებლობა მოიპოვა 1774 წ-ის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, მაგრამ აქ რუსეთის გავლენის გავრცელების მისწრაფების პირობებში, მას არ სურდა თურქეთიდან ჩამოცილება და არც თურქეთს ეთმობოდა ყოფილი სავასალო და საერთოდ თავისი პოზიციები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. აი, ასეთ პირობებში გადაწყდა საქართველოს რუსეთის მფარველობაში აყვანის საკითხი საიმპერატორო კარზე, რომელსაც დიდი ხანია დასახული ჰქონდა მიზნად კავკასიის რეგიონის ხელში ჩაგდება, რომ შემდეგ აქ გაბატონებულს გაიოლებოდა ახლო აღმოსავლეთის ათვისების სანუკვარი გეგმის განხორციელება; მისი ხორცშესხმა XVIII ს-ის 80-იანი წლებიდან ირანის დაუძლურების პირობებში რეალურად ესახებოდა ეკატერინე II-ის სამეფო კარს. იმპერატორის დიპლომატებმა ავსტრიასთან ერთად 1782 წ-ს შეიმუშავეს კიდეც ახლო აღმოსავლეთის ათვისების გრანდიოზული გეგმა („საბერძნეთის პროექტი“), რომლის ავტორი და სულისჩამდგმელი იყო ეკატერინე II-ის ფავორიტი გრ. პოტიომკინი. ამ პროექტით თურქეთის ნანგრევებზე მკვდრეთით უნდა აღმდგარიყო როგორც საბერძნეთის და ბალკანეთის სლავური სახელმწიფოები, ისე სომეხთა და ქართველთა ქრისტიანული სამეფოები, რომლებიც რუსეთთან მეგობრულ ურიერთობაში იქნებოდნენ. ეს „პროექტი“ უფრო უტოპიურია, ვიდრე რეალური და ზემოხსენებული ხალხებისთვის დაგებულ სატყუარას ჰგავს, რომ უფრო წარმატებული გახადოს ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა და ამავე დროს, თავიც გაიმართლოს საერთაშორისო საზოგადოების წინაშეც – რუსეთი ანტიოსმალური კოალიციის მებაირახტრედ წარმოაჩენს თავს. ეს პროექტი როგორც გაჩნდა, ისევე მალე გაქრა – რუსეთი კარგა ხანია გეგმავდა საქართველოს დაპყრობას და ამ პერიოდში უკვე გადაწყვეტილია მისი ერთი დიდი ნაწილის – ქართლ-კახეთის სამეფოს „მფარველობაში“ აყვანა. ამ პროექტს იცნობდნენ ქართველი მეფეები და მასზე დიდ იმედებსაც ამყარებდნენ. რუსეთის მთავრობას ამ პროექტის განსახორციელებლად, რა თქმა უნდა, რეალური ნაბიჯები არ გადაუდგამს. ის მხოლოდ დემაგოგიას მიმართავდა და ქართველ მმართველთა თვალასაბმე-

ლად და მისამხრობად უშურველად გასცემდა ჯილდოებს, სიგელებს და „ყოვ-ლად საწადელ ნუგეშს“.

რუსეთის იმპერიამ ამ პროექტის განხორციელება ვერა, მაგრამ კავკასია-ში ფეხის მოკიდება კი შესძლო. იგი ამიერკავკასიაში თავისი პოზიციების განმ-ტკიცებას ისევ ამიერკავკასიის ხალხთა სამხედრო ძალების გამოყენებით გეგმა-ვდა. მთელ ამ პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი ეთმობოდა ძველ დიდებას მო-კლებულ, მაგრამ მაინც კავკასიის ბურჯს – საქართველოს, კონკრეტულად კი, მის აღმოსავლეთ ნახევარს ქართლ-კახეთის სამეფოს. ამიტომაც აღმოსავლეთში ეკატერინე II-ს მთავრობის პოლიტიკის წარმატება თითქმის მთლიანად დამოკი-დებული იყო იმ პოზიციაზე, რომელსაც ერეკლე II დაიკავებდა. შემთხვევითი როდი იყო რუსეთში არსებული სომხური ეკლესიის მეთაურის იოსებ არღუთინი-ანის განმარტება ქართლ-კახეთის სამეფოს სიძლიერის შესახებ თქმული მთავ-რობის წარმომადგენლის პავლე პოტიომკინის წინაშე რომ „ერეკლე მეფის გად-მობირებით რუსეთს აღარ ეყოლება მოწინააღმდეგე მთელს აზერბაიჯანში თავ-რიზამდე, რადგან ერეკლეს პატივისცემით ეპყრობა ყველა იქაური მფლობელი; ქართლ-კახეთის მეფე ირანის ყველა ხანსა და მფლობელზე ძლიერია და შაჰის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნებაა, რომლის ძალაუფლება საქართვე-ლოს გარდა განჯაზე, ერევანსა და ნახიჩევანზე ვრცელდება; ირანის ხანები და-წყებული თავრიზიდან ყოველწლიურად ერეკლეს მდიდარ ძღვენს უგზავნიან პა-ტივისცემისა და მოწიწების ნიშნად. ერეკლეს 50.000 კაცისაგან შემგარი ჯარის გამოყვანა შეუძლიაო“ **(99,209, 212),** - დასძენდა ბოლოს არღუთინიანი.

რუსეთის მთავრობამ მიიჩნია რა თავისი გეგმის აღსრულებისათვის დრო-ის ხელსაყრელობა, გადაწყვიტა, ამიერკავკასიაში დამკვიდრების მიზნით საქარ-თველო თავის მფარველობაში მიეღო. მით უფრო, რომ ამ საკითხის გადაჭრა საჩ-ქაროდ მოსჩანდა ქართლ-კახეთის მეფის თურქეთზე არასასურველი ორიენტაცი-ის პირობებში. კაინარჯის ზავის შემდეგ, რუსეთის მხრიდან ერთგვარი ინერტუ-ლობის პერიოდში ერეკლე შეეცადა სხვა გზები ეძებნა დიდი სახელმწიფოებრი-ვი მიზნების აღსასრულებლად. ქართლ-კახეთის მეფე იძულებული გახდა ისევ თურქეთისათვის მიემართა. 1776-78 წწ-ში მან ოსმალეთთან დაახლოება დაიწყო. ამ პერიოდში ირან-ოსმალეთი საომრად ემზადებოდა. ოსმალეთის მიმხრობით ერ-ეკლე ცდილობდა ირანის ფორმალური ბატონობისაგან თავდაღწევას, ამიერკავ-კასიის სახანოებზე თავისი მფლობელობის კიდევ უფრო გაძლიერებას, ქართული მიწების დაბრუნებას. მან ელჩი მიავლინა სულთნის კარზე. „ოსმალეთთან გაბ-

მულმა მოლაპარაკებამ ხელი შეუწყო ქართლ-კახეთის შინაური მდგომარეობის განმტკიცებას. ახალციხის სულეიმან-ფაშასთან მეგობრული ურთიერთობა დამყარდა და ლეკთა თარეშებმაც ამის გამო რამოდენამდე შემცირება იწყეს“(108,124). ერეკლეს ელჩის გამოჩენის შესახებ ხონთქრის კარზე რუსეთის სტამბოლელმა ელჩმა პეტერბურგს აცნობა და თან შეატყობინა, რომ ერეკლესა და პორტას შორის სამეგობრო და სამოკავშირეო ტრაქტატი დაიდო. ამ ხელშეკრულების ტექსტი ჩვენთვის უცნობია, ის კი უდავოა, რომ შეთანხმებით ქართლ-კახეთის სამეფო თურქეთის მფარველობაში შედიოდა: რუსეთის საგარეო უწყებების ხელმძღვანელთა, ოსტერმანისა და ბეზბოროდკოს, განცხადებით, ქართლ-კახეთის სამეფო 1776 წელს პორტას მფარველობაში შევიდა (132,271).

მოგვიანებით, როცა ვითარება შეიცვალა და ქართველთათვის წინა პლანზე კვლავ რუსულმა ორიენტაციამ წამოიწია, პორტა ხაზგასმით აცხადებდა, რომ, მის არქივში ძევს საბუთები, ერეკლეს მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, საიდანაც აშკარაა, რომ აღმოსავლეთ საქართველო მის მფარველობაში ითვლება. ჯევდეთ ფაშას ცნობით, ერეკლეს ამ ხელშეკრულებით ევალება „ხელი შეუშალოს აზერბაიჯანის ხანების კავშირს და გაერთიანებას ქერიმ-ხანთან“ (104,21). სანაცვლოდ კი „მისი დიდებულება ფადიშაჰისაგან ერეკლეს მიეცემა ერთგვარი შესაძლებლობა თავისი ძალისა და ძლიერების უზრუნველსაყოფად“ (104,21).

თურქეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ალიანსმა რუსეთი გამოაფხიზლა და დაუყოვნებლივ და ენერგიულად სცადა საქმის გამოსწორება: „რუსეთის დიპლომატია ორმხრივი იერიშით შეეცადა, ერეკლესათვის გეზი შეეცვლევინებინა. ერთი მხრივ, მან ალექსანდრე ამილახვარი აამოქმედა, ალექსანდრე ბაქარის ძე ფათალი-ხანთან მივიდა, თვით ფათალი-ხანი აქტიურად ამოქმედდა ერეკლეს წინააღმდეგ, მას საშუალება მიეცა ამიერკავკასიაში ჯარის დაქირავებისა – ყველა ეს რუსეთის მხრივ მიღებული კონტრზომები ჩანს“ (67,168-171).

XVIII ს-ის 70-იანი წლების ბოლოდან იძაბება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, რუსეთის გაღიზიანებას იწვევდა ერეკლეს ფართომასშტაბიანი და გეგმაზომიერი ამიერკავკასიული პოლიტიკა – სახანოების თავისი ძალაუფლების ქვეშ მოქცევა. ერეკლეს მიერ ამ კუთხით გატარებულ ყველა ღონისძიებას რუსეთი წინ ეღობება.

1778 წელს ერეკლემ განჯა დალაშქრა, იბრაჰიმ ხანთან ერთად გაინაწილა და იქ თავისი „გუბერნატორი“ ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი დაადგინა. ამავე დროს ერეკლეს ხელს არ აძლევდა, რომ ერევანში ირანის ძალაუფლება აღმდგა-

რიყო. ერეკლე მეორეს კარგად ესმოდა ერევნის სახანოს პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა საქართველოსთვის. ეს უკანასკნელი დროს იხელთებდა თუ არა, მაშინვე თავს დაიხსნიდა ხოლმე ქართლ-კახეთის მეფის ვასალობისაგან. საჭიროების შემთხვევაში კავშირს ამყარებდა ირანთან, რუსეთთან. „ყოველთვის არსებობდა იმის საფრთხე, რომ ერევნის სახანო კვლავ ირანის ვასალი გამხდარიყო. გარდა ამისა, სომეხი პოლიტიკური მოღვაწეები უშუალოდ ამყარებდნენ კავშირს რუსეთის სამეფო კართან და ცდილობდნენ მისი შემწეობით აღედგინათ სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო. ასეთი სახელმწიფოს შექმნა კი საფრთხეს უქადდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაბატონებულ მდგომარეობას ამიერკავკასიაში. ერეკლე მეორეს ერჩია ქრისტიან სომხებს საქართველოს ხელით მიეღოთ დამოუკიდებლობა. საამისოდ კი საჭირო იყო ერევნის სახანოს შემოერთება“**(50,6-7).** ამიტომ 1779 წელს ქართლ-კახეთის ჯარები ერევნის სახანოში შევიდნენ. ერეკლემ ერევანი აიღო და იქ გუბერნატორად თავისი სიძე იოანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი დააყენა. ერეკლე მეფემ 1780 წელსაც ილაშქრა ერევანზე ძალაუფლების აღსადგენად. 1776 წლის საიდუმლო ხელშეკრულება ოსმალეთის იმპერიასთან ერეკლეს საშუალებას აძლევდა შეეერთებინა ერევნის სახანო და ჰეგემონობა მოეპოვებინა ამიერკავკასიაში. ამიტომ რუსეთმა სასწრაფოდ მიიღო კონტრზომები – რუსეთიდან ტახტის პრეტენდენტი ალექსანდრე ბაქარის ძე გამოუშვა. იგი ჯერ თავრიზში ჩავიდა, იქიდან კი იმერეთში გადმოვიდა და მომხრეების შეკრება დაიწყო ტახტის ხელში ჩასაგდებად. სოლომონ მეორემ დიდი პატივისცემით მიიღო ტახტის მაძიებელი, რადგან „იგი განუწყვეტლივ ებრძოდა ოსმალეთს და ჰქონდა საფუძველი, რომ ერეკლეს ახალ საგარეო პოლიტიკაში საფრთხე დაენახა“**(88,683).**

1779 წ-ს ერეკლე მეფის ლაშქრობამ ერევანში ბიძგი მისცა რუსეთის აქტიურობას რეგიონში, რომელიც XVIII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში ე.წ. „სპარსეთის ლაშქრობაში“ გადაიზარდა. „არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის ასეთი აქტიურობა განპირობებული იყო იმით, რომ რუსეთმა კარგად დაინახა 1779 წლის ერეკლეს ერევანზე ლაშქრობის მიზეზები“ **(168,107).** 80-იანი წლების დასაწყისიდან თითქოს რეალურ სვლებს აკეთებს რუსეთი სამხრეთით თავისი ტერიტორიის გაფართოებისა და სომხური სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. ამ პერიოდის მოვლენები ისტორიოგრაფიაში პეტრე დიდის სპარსეთში ლაშქრობის წაბაძვით „სპარსეთის ლაშქრობის“ სახელითაა ცნობილი. მეცნიერთა დიდი ნაწილის თვალსაზრისით, XVIII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისიდან, რუსეთი „სომ-

ხური საკითხის“ მოგვარებას სპარსეთთან შეიარაღებული დაპირისპირებით ფიქრობდა. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ა. იოანისიანი **(99,190-91).**

მართლაც, ამ პერიოდის მოვლენები ძლიერ ჰგავდა „სპარსეთის ლაშქრობას“. ასტრახანში ჩამოდის ა. სუვოროვი და გაცხოველებულ მიმოწერას აწარმოებს ერეკლე II-თან, სომეხ მელიქებთან და სხვ. დაახლოებით ამავე პერიოდში იქმნება დოკუმენტი: „Краткая справка о городах и расстояние между ними на Каспийском море“, სადაც საუბარი იყო როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ასევე ადგილობრივი ხანების ეკონომიკურ და სამხედრო პოტენციალზე. მაგრამ, ეს ყველაფერი მხოლოდ მოვლენის გარეგნულ მხარედ მოსჩანს – ესაა ერეკლეს საწინააღმდეგო ქმედება ერევნის სახანოს შემოერთების გზაზე. XVIII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისიდან რუსეთის გააქტიურებას სამხრეთით სხვა მიზეზები და სხვა მიზნები ამოძრავებდა. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სამხრეთით რუსეთის ასეთი გააქტიურებისა, მისი სავაჭრო ინტერესებია სპარსეთში, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთისათვის და ეს ინტერესი ინდოეთთან ვაჭრობასაც გულისხმობს. რუსეთისათვის XVIII ს-ის 80-იან წლებში გადაუდებელ ამოცანად იქცა თავისი სავაჭრო ინტერესების დაცვა სპარსეთში, მაგრამ, იმხანად რუსეთს არ შეეძლო საკითხის სამხედრო გზით გადაჭრა (თურქეთთან დაძაბული ურთიერთობის გამო – წინააღმდეგობის ძირითადი კვანძია ტამანის ნახევარკუნძული, ყირიმის სახანო და პოლონეთი). რუსეთის ეს სამზადისი უფრო ძალის დემონსტრირებას წარმოადგენდა, რომელიც გათამამებული სპარსელი ხანების თავაშვებულობის აღკვეთას ისახავდა მიზნად. საყურადღებოა 80-იანი წლების დასაწყისში ა. სუვოროვის სახელზე გაგზავნილი პოტიომკინის ინსტრუქცია, სადაც ბევრი ლაპარაკია ხანების თავხედობის აღკვეთაზე და არაფერია ნათქვამი ტერიტორიის დაპყრობასა და სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე. რუსეთი, როგორც ყოველთვის, ამიერკავკასიის ხალხებს იყენებდა თავისი მიზნებისათვის და ამისათვის მიმართავდა ყალბ იდეოლოგიას. ამჯერადაც ის ორი კურდღლის დაჭერას ცდილობს – დაიცვას ირანში თავისი სავაჭრო ინტერესები და იმავდროულად ამიერკავკასიის ხალხებსაც – ქართველებს, სომხებს, აჩვენოს თავი მათი მიზნების მხარდამჭერად. ახლა უკვე, როცა გადაწყვეტილია და მოახლოებული ამიერკავკასიის დაპყრობა, რუსეთს სულაც არ აწყობს ქართველთა და სომეხთა პოლიტიკური ალიანსი, ან კიდევ მათი ცალ-ცალკე გაძლიერება. რუსეთს თავად სურს ერევნის სახანოს მისაკუთრება და ერეკლეს აქეთ მიმავალ გზაზე, ბუნებრივია, წინაღობა შეუქმნა.

ასეთი განწყობა ჩანს გეორგიევსკის ტრაქტატის ხელშეკრულებიდანაც. სომხეთი ტრაქტატის ძირითად ტექსტში ნახსენები არაა (არც დედანში, არც სარატიფიკაციო სიგელში). იგი მხოლოდ ქართველი ელჩების რწმუნების სიგელშია ნახსენები. „...მივართვით უმდაბლესი თხოვა ჩუედან, ირაკლი II-მან, მეფემან ქართლისა და მეფემან კახეთისამან, მემკვიდრემან მთავარმა სამცხე-საათაბაგოსამან, მთავარმა ყაზახისამან, მთავარმა ბორჩალოსამან, მეფემან შამშადილოისამან, მთავარმან შაქისამან და მთავარმან შირვანისამან, მფლობელმა და მბრძანებელმან განჯისა, ერევნისა და სხუათამან“(31,65). ერეკლეს ტიტულატურაში, ტრაქტატის ოფიციალურ და გახმაურებულ ტექსტში სომხეთი არსად არაა მოხსენიებული – ერეკლე მხოლოდ მეფე ქართლისა და „მეფე კახეთისა და სხვათა იხსენიება“. ხოლო ამ „სხვათა“-ში ნაგულისხმები სომხეთი მხოლოდ ქართველი ელჩების რწმუნების სიგელში დარჩა და მისი დატოვებაც იმპერატორის ნებართვაზე ყოფილა დამოკიდებული. ხოლო იმპერატორმა, როგორც დავინახეთ, საჭიროდ ჩათვალა მისი „რწმუნების სიგელში“ დატოვება.

რუსეთის დიპლომატია, უდავოა, ხელსაყრელ ვითარებაში სომხეთის (ერევნის სახანოსა) და მთელი აზერბაიჯანის სახანოების ერეკლეს სახელით დაპყრობას ვარაუდობდა, მაგრამ თუ ერეკლე შემდეგ „რწმუნების სიგელში ნახსენები სახანოების დაჩემებას დაიწყებდა, რუსეთის დიპლომატიას ხელთ ჰქონდა ერეკლეს თხოვნის წიგნი (1771 წწ-ისა), რომელშიც ქართლ-კახეთის მეფე უარს ამბობდა იმ ტერიტორიებზე (ძირძველი ქართული მიწების გამოკლებით), რომელსაც რუსეთი თავისი იარაღით მომავალში დაიპყრობდა. ერეკლეს პრაქტიკულად არც შეეძლო და ვერც დაიჩემებდა სომხეთს. უფრო მეტიც, ვერც ერეკლეს მემკვიდრეები დაიჩემებდნენ სომხეთს. რუსეთი ვარაუდობდა გარკვეულ დრომდე ერეკლე II-ის სახელით ემოქმედა ამიერკავკასიაში. 1787 წ-ის რუს-ქართველთა ერთობლივი ლაშქრობა განჯაზე ამით იყო განპირობებული, მაგრამ თურქეთთან ომის დაწყებამ დღის წესრიგიდან დროებით მოხსნა ეს საკითხი. მოგვიანებით რუსეთი კვლავ უბრუნდება ზემოთ აღნიშნულ კურსს.

ისე, რომ XVIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ერეკლე მეორემ ვერ მოახერხა ერევნის სახანოს შემოერთება, რადგან მისი განზრახვა, ოსმალეთთან კავშირის დახმარებით ჰეგემონობა მოეპოვებინა ამიერკავკასიაში, დაუპირისპირდა რუსეთის სამეფო კარის ინტერესებს ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში.

გარდა ამისა, რუსეთმა ჩაუშალა ერეკლეს ერთ-ერთი დიდი ღონისძიება – ყაბარდოელთა გადმოსახლება საქართველოში. 80-იანი წლების დასაწყისში ერეკლემ განიზრახა სამხედრო ძლიერების გაზრდის თვალსაზრისით ყაბარდოელთა გადმოსახლება, რომელნიც არაერთხელ დაუხმარებია წარმატებით. XVIII ს-ის 40-50-იან წლებში ირანელებისა და აღმოსავლეთით მოსაზღვრე სახანოების განჯის, ერევნისა და ნახიჩევნის წინააღმდეგ ბრძოლებში ქართველმა მეფეებმა არაერთგზის მიაღწიეს წარმატებას კავკასიის მთიელების, პირველ რიგში კი ყაბარდოელების დახმარებით. განსაკუთრებით ხშირად ერეკლე II მიმართავდა მცირე ყაბარდოს მთავრებს. მისი წარმატებები ამ ბრძოლაში თურქეთის მმართველი წრეების შეშფოთებას იწვევდა, რადგან იგი რუსეთის მხრიდან დახმარების შედეგი ეგონათ (მაგ-ად 1752 წ-ს, როცა ქართლს შაქი-შარვანის ხანი აჯი-ჩალაბი დაემუქრა, 2000 ყაბარდოელი ჩამოსულა საქართველოში, მათი დახმარებით გამარჯვება მოიპოვა ერეკლემ და საერთოდ, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ენერგიული სამხედრო მოქმედების მეშვეობით, ყაბარდოელებისა და სხვა ჩრდილო კავკასიელი ხალხების დახმარებით პროირანული სახანოების კოალიცია, რომელიც საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ემუქრებოდა, დამარცხებულ იქნა).

ასევე, XVIII ს-ის II ნახევრის გართულებულ სიტუაციაში ერეკლე II-მ ისარგებლა ყაბარდოელების უკმაყოფილებით, რაც რუსეთის მხრიდან კოლონიური პოლიტიკის გაძლიერებას მოჰყვა და შეეცადა ყაბარდოელების საქართველოში გადმოსახლებას. 1778 წ-ის ნოემბრის დასაწყისში ერეკლე II-მ ელჩები გაგზავნა ყაბარდოში **(69,343),** მაგრამ რუსეთის მხარემ ეს შეიტყო და ელჩობა დააკავა. თ. ბოცვაძე შენიშნავს, ყაბარდოელებს რუსეთი შესანიშნავად იყენებდა, როგორც დამხმარე ძალას თურქეთ-ყირიმხანის წინააღმდეგ, ამიტომ მიუღებელი იყო მისთვის საქართველოში მათი ჩამოსახლება. 1782 წ-ს ერეკლე მეფემ მეორედ სცადა ყაბარდოელთა გადმოსახლება. მაგრამ, რუსეთის ჩარევით ეს ცდაც მარცხით დასრულდა **(68,115).**

XVIII ს-ის 80-იან წლებში ყაბარდოელთა საქართველოში გადმოსახლების განმეორებით წამოწყება ერეკლემ ერთი მხრით „მორიგე ჯარის“ განმტკიცების მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, ალექსანდრე ბაქარის ძის გააქტიურების გამო მოისურვა; მაგრამ ყაბარდოელთა გადმოსახლების საკითხში წინააღმდეგობა გამოწვეული იყო რუსეთის მზაკვრული მოსაზრებით – ცალ-ცალკე დაეპყრო და შეერთებინა ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები.

ამის შემდეგ ერეკლემ სცადა ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარება. მას რეგულარული ჯარის შესაქმნელად სურდა ფულადი სესხი და 1781 და 1782 წლებში ორჯერ სთხოვა ავსტრიის იმპერატორ იოსებ მეორეს ფულადი სესხი ლაშქრის გასადიდებლად, მაგრამ არცერთხელ პასუხი არ მიუღია **(202,23).** 1782 წელს მიმართა ვენაში იმპერატორს, აგრეთვე საფრანგეთის მეფეს, სარდინიის, ნეაპოლის და ვენეციის მთავრობათ. მეფე თხოულობდა დახმარებას ჯარით ან ფულით და თავის მხრივ პირობას დებდა, შეუსრულოს მისთვის დახმარების მომცემ სახელმწიფოს ყოველივე მოთხოვნილება სპარსეთის დაპყრობისა თუ ოსმალეთის წინააღმდეგ მთელი თავისი ძალით მოქმედების შესახებ“**(108, 127-28).** ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობას გვაწვდის ს. კაკაბაძე „1781 წელს ვენაში წამოიჭრა შემდეგი პროექტი: შავი ზღვის აღმოსავლეთ და ჩრდილო ქვეყნების ბაზაზე უნდა შექმნილიყო ახალი ქრისტიანული სახელმწიფო, რომელსაც „მითრიდატეს“ სახელმწიფოს არქმევდნენ და რომელიც რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული. ერეკლემ გაიგო ამ პროექტის არსებობა და გარკვეული ნაბიჯი გადადგა თავის მხრივ, რათა რეალური გაეხადა ავსტრიის მოქმედება ამიერკავკასიაში. მაშინ რუსეთმა ენერგიულად მოკიდა ხელი ტრაქტატის დადების საქმეს“ **(105,268).**

მეორე მხრივ, რუსეთმა უხვი დაპირებებით მრავლად აამოქმედა თავისი აგენტები ერეკლეს კარზე. ერთი მათგანია გერმანელი დოქტორი იაკობ რაინეგსი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლის – ტრაქტატის დადების საქმეში.

ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობს რა თვით რუსი ისტორიკოსის ბურნაშევის არქივის მასალებით, აღნიშნავს, რომ „ამ მიზნით პოტიომკინმა თავისთან დაიბარა იმ დროს ერეკლეს კარზე მყოფი გერმანელი მოგზაური რაინეგსი და სათანადო ინსტრუქციით 1782 წ-ის შემოდგომას ისევ საქართველოშივე გამოისტუმრა, მაგრამ ახლა უკვე როგორც რუსეთის წარმომადგენელი ქართველი მეფის წინაშე“ **(203,73).** საიდუმლო მინდობილობით აღჭურვილს საგანგებოდ დავალებული ჰქონდა ერეკლე მეფისათვის ჩაეგონებინა, რომ მას რუსეთის იმპერატორისათვის მფარველობა ეთხოვა.

და მაინც ვინ იყო რაინეგსი? კეთილშობილი კათოლიკე რაინდი, მოგზაური, მეცნიერ-სწავლული თუ მოხეტიალე ავანტიურისტი და რუსეთის აგენტი? ამ ისტორიული პერსონაჟის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ ძველ

თუ თანამედროვე, ქართველ თუ უცხოელ ისტორიკოსებს. „არცერთ მოგზაურზე არ არსებობს იმდენი ერთმანეთის გამომრიცხავი აზრი, რამდენიც რაინეგსზე. ევროპაში იგი ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა“ **(146,107).** თვით გერმანელი თანამემამულენი მას არასახარბიელოდ ახასიათებენ. საკმარისია დავასახელოთ მათგან ი. ფონ კლაპროთი, კ. ნოიმანი. ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ რუსეთი ჯაშუშებს და თავგადასავლების მაძიებლებს გზავნიდა საქართველოში დაზვერვითი სამუშაოების ჩასატარებლად და მათ ამისთვის ფულს უხდიდა. სწორედ ასეთთა რიცხვში მოიხსენიებს იგი რაინეგსს. „მთავრობა ჯაშუშებს და თავგადასავლების მაძიებლებს (ისეთებს, როგორიც იყო დალაქის ნაშეგირდალი რაინეგსი) ქირაობდა ოქროთი, რათა მათ მიერ მიწოდებული ცნობების, ჩანაწერების, აღწერების საფუძველზე მტკიცე საყრდენი შეექმნა მომავალი გეგმებისათვის“ **(28,154).** ხოლო კლაპროთის მიხედვით, რაინეგსის „ტრაბახი იმ წერილებში, რომელსაც იგი აგზავნიდა აზიიდან ევროპაში, მისი თურქულად, სპარსულად და ქართულად დაწერილი დღიურები გვაძლევს შესაძლებლობას ჩავწვდეთ მათ მეცნიერულ დონეს. იგი ტრაბახითა და ეშმაკობით ცდილობს თავის გამოჩენას. ნამდვილ მეცნიერს ხომ თავი არ მოაქვს და ნაკლებად აინტერესებს ბრბოს აზრი, რომელსაც მისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს და ის ცდილობს, რომ ტრაბახით ისინი თავის მხარეს გადაიბიროს და მათი ნდობა მოიპოვოს... ჩვეულებრივი მოგზაური ერთგულად აღწერდა ყოველივეს, რაც ნახა და ასეთ რაიმეს არ იკადრებდა. როგორც არ უნდა დამალოს რაინეგსმა, მაინც ჩანს მისი წიგნიდან თუ რამდენს უნდა უმადლოდეს იგი გიულდენშტედტს, გერბერსა და გმელინს, რადგანაც იგი მათ შეცდომებს იმეორებს“**(28,73-5).** რაინეგსი 1778 წელს ჩამოვიდა თბილისში. მას ექიმ იაკუბს უწოდებდნენ. ის დაიბარა მეფე ერეკლემ და ისინი თურქულად საუბრობდნენ. ეს იყო ერთადერთი აზიური ენა, რომელიც რაინეგსს ესმოდა; ჰქონდა არაბული ენის ლექსიკონი ლათინური განმარტებებით. მან ერეკლეს შესთავაზა წინადადება – გაეუმჯობესებინათ თოფის წამლის წარმოება და სამთო საქმიანობა. პირველი, მართლაც, მოეწყო ქალაქ თბილისის დასავლეთ ველზე. რადგან ეს თოფის წამალი არ იყო იმაზე უკეთესი, რომელსაც ადრე აწარმოებდნენ, ამიტომ ამ წარმოებამ შეწყვიტა არსებობა. შემდეგ მან გააკეთა ახტალის მადნის სინჯები, მაგრამ ამანაც არ გაამართლა. მეფეს, რომელიც ისედაც არ იყო მდიდარი, ეს დიდი ფული დაუჯდა. რაინეგსმა დაკარგა პატივისცემა და შარლატანის სახელი მოიპოვა. მისი უთანხმოება გრაფ კოჰარისთან, რომელიც მართლა გიჟი იყო, მაგრამ რაინეგსი მაინც ყველაფერს მას უნდა უმად-

ლოდეს, ცნობილი გახდა სასახლის კარზე და ამითაც მისი ხასიათი საუკეთესო მხრივ არ წარმოჩნდა. თბილისში ყოფნისას ის ცდილობდა ქართული ენა შეესწავლა, მაგრამ მისი ტიურინგიული დიალექტი არ აძლევდა სიტყვების სწორად წარმოთქმის საშუალებას. ეს მისი წიგნიდანაც ჩანს – ის ყველა ქართულ სიტყვას შეცდომით წერს. მიზეზი, რის გამოც მან საქართველო დატოვა, არის შემდეგი: იმ პერიოდში თბილისში ჩამოვიდა ირანელი თავგადასავლების მაძიებელი, რომელიც თავს შაიშების სახლის შთამომავლად ასაღებდა და ერეკლეს მიერ კარგად იქნა მიღებული; მან ის დააჯერა, რომ ფლობდა ოქროს მიღების ხელოვნებას. ალქიმია აზიელების საყვარელი მეცნიერებაა. ერეკლე დარწმუნებული იყო, რომ მას შეეძლო ოქროს დამზადება და სპარსელთან დიდი ხნის მანძილზე მუშაობდა. რადგანაც არაფერი არ გამოვიდა, მეფემ მოთმინება დაკარგა; ალქიმიკოსმა, რომელმაც დაინახა რომ ის მატყუარად ჩათვალეს, მიიღო დიდი დოზით ოპიუმი, რათა მომკვდარიყო. როდესაც ის აგონიაში იყო, ერეკლემ სასწრაფოდ ექიმი რაინეგსი მოაყვანინა, რომელმაც ვეღარ შეძლო მისი გადარჩენა. მეფე შემოვიდა იმ დროს, როცა სპარსელი და მისი იმედები სიბრძნის ქვის შესახებ დაიღუპნენ. საშინლად აღშფოთებულმა, საწყალ ტიურინგიელს მძლავრად გაარტყა სახეში; როცა საქართველოში მეფე ხელს ურტყამს, მისი ამალაც შეხმატკბილებულად ურტყამს მასთან ერთად. მოკლედ რომ ვთქვათ, მეფის საზაფხულო რეზიდენციიდან თბილისში რაინეგსი ნაცემი დაბრუნდა. მან გადაწყვიტა, რომ თბილისში აღარ დარჩენილიყო და რუსეთში გაემგზავრა, სადაც მან, ალბათ, პოტიომკინის დახმარებით არანაკლები წვლილი შეიტანა რუსეთის მიერ ამ ქვეყნის დაპყრობის საქმეში. ასეთია რაინეგსის პიროვნების და მისი ნაშრომის კლაპროთისეული შეფასება, რომელიც მეტი უნდობლობით განგვაწყობს მის მიმართ **(28,-74-75).** საინტერესოა, რატომ მიდის გაძევებული რაინეგსი მაინცდამაინც რუსეთში და ყველა ავანტიურისტის თავშესაფარი რატომაა ეს სახელმწიფო. სულაც არ გვეჩვენება მიუღებლად იმ ისტორიკოსთა აზრი, რომ იგი რუსეთის აგენტი იყო, მათგან მოსყიდული და შემოგზავნილი ერეკლე II-ის კარზე. რუსეთის იმპერიას ხომ საუკეთესო დაზვერვა ჰყავდა. მისი აგენტები მოდებულნი იყვნენ მახლობელ აღმოსავლეთსა და კავკასიას. ბევრი მათგანი სწორედ რომ გერმანელი იყო, „იმპერატრიცა“ ეკატერინე II-ის თანამემამულენი და მის სამსახურში ჩამდგარნი. განსაკუთრებით მის დროს გაიზარდა გერმანელ „მოგზაურთა“ და „სწავლულთა“ მიმოსვლა საქართველოში – ქვეყნის ყოველმხრივი შესწავლის მიზნით ეწყობოდა ექსპედიციები, რაც დამპყრობლური პოლიტიკის მიზანს ემსახურებოდა.

რაინეგსი იმ კრიტიკულ სიტუაციაში გამოჩნდა საქართველოში 70-იანი წლების ბოლოს, რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, როცა ერეკლე, მას მერე, რაც ამ ომში მონაწილეობით ვერ მიაღწია დასახულ მიზანს, თურქეთს დაუკავშირდა და 1776-77 წლებში ფარულად დადო ხელშეკრულება მასთან – იგი, ჩანს, სამხრეთ საქართველოს შემოერთებას ისახავს მიზნად. არც ამ ურთიერთობის მიზნები და მიზეზები დარჩენია რუსეთს გაურკვეველი. ის ყოველმხრივ და ყოველნაირად ეღობება წინ ერეკლეს პოლიტიკას და მიზან-სწრაფვას – გასაქანს არ აძლევს მას. რაც არ უნდა მოიმოქმედოს მეფემ, რუსეთი მყისვე კოტრზომებით ხვდება ყოველ მის ნაბიჯს. საკმარისია ვახსენოთ ამ პერიოდში მიღებული მისი ღონისძიებანი ერეკლეს წინააღმდეგ – 1778 წელს ერეკლეს მიერ ერევნის სახანოს შემოერთების მცდელობა და რუსეთის მიერ ალექსანდრე ბატონიშვილის გამოშვება, აი, სწორედ ასეთ დროს ჩნდება გერმანელი მოგზაური ერეკლე მეფის სამეფო კარზე, ეს ფაქტი, მართლაც, რომ ეჭვის აღმძვრელია. რუსმა პოლიტიკანებმა მშვენივრად იცოდნენ რა ერეკლეს მიზან-სწრაფვანი: მუდმივი ჯარის შექმნის, გაწვრთნის, შეიარაღების, ევროპულად გაწყობის, თოფის წამლის წარმოების და სხვა გარდაქმნათა შესახებ – სწორედ ასეთ ყოველმხრივ განსწავლულ პიროვნებად წარადგინეს რაინეგსი მეფის წინაშე. ისიც საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ ერეკლე კათოლიკე მისიონერებს თუ მოგზაურ სწავლულებს დიდად მფარველობდა, იახლოვებდა კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლების მიზნით. რაღა თქმა უნდა, ასეთი კაცის გამოჩენა ევროპულ გარდაქმნათა მოსურნე ერეკლე მეფეს დიდად გაახარებდა და აუცილებლად მოიწვევდა თავის კარზე. ასეც მოხდა. ერეკლე ევროპელ „მეცნიერ-სწავლულ-მოგზაურს“ დიდი პატივით დააბინავებს სასახლეში. რაინეგსი მას გვერდიდან არ შორდება, ევროპულ ცხოვრებაზე უამბობს, მომავალ გარდაქმნათა გეგმებს წარმოუსახავს, გულითად მეგობრად გაიხდის, მეფის ნდობასა და კეთილგანწყობას მოიპოვებს, ისე, რომ მეფე მას ყოველ დაფარულ გეგმებსა და აზრებს ანდობს. როგორც ბ. სადათიერაშვილი გადმოგვცემს თავის სტატიაში „გერმანელი განმანათლებლები ქართველ მეფეთა კარზე“, რაინეგსმა იმდენად დიდი ნდობა მოიპოვა, რომ მონარქი ხშირად თავის საიდუმლოს უმჟღავნებდა. ერეკლემ დაავალა მას თბილისის გაკონტროლებაც, რაც რაინეგსს ძალზე ახარებდა. ავტორი ჩამოთვლის ყველა იმ დამსახურებას, რომელიც მან სამეფო კარზე ყოფნის დროს მოიმოქმედა; კერძოდ, თბილისში გახსნა სამედიცინო სკოლა, ხოლო სასახლეში სკოლა უფლისწულებისათვის, გახსნა საარტილერიო სასწავლებელი, თოფის წამლის მწარ-

მოებელი საწარმო, ოქროსა და ვერცხლის გადამამუშავებელი ქარხნები. ვაჭრობისა და ხელოსნობის მიზნით გერმანიიდან, ავსტრიიდან, პოლონეთიდან მოიწვია ვაჭრები და ხელოსნები და ა. შ. თუმცა ყოველივე ზემოთხსენებულ „სიკეთეებს“ არ ადასტურებს სამეფო კარის წარმომადგენელი დავით ბატონიშვილი. მისი გადმოცემით, მან თითქოსდა ააგო მადანსადნობი, მაგრამ ბერძენმა ოსტატებმა საქმით დაამტკიცეს, რომ მას არ შეეძლო კარგად დნობა. ასევე, თითქოსდა, ააგო თოფის წამლის წისქვილი, მაგრამ ეს იყო მხოლოდ სანაყის მოდელი და ა. შ. **(91,291-293).** ბოლოს რაინეგსმა თავისი უთავბოლო წამოწყებებით მეფეს ბევრი ფული დაახარჯინა. ერეკლეს მოთმინების ფიალა ამოეწურა და იგი თავიდან მოიშორა.

რაინეგსის ბიოგრაფის გერსტენბერგის ნაშრომი საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ რაინეგსის მოგზაურობამდელ ცხოვრებას, რომელიც „უმეტესწილად წინააღმდეგობების ჯაჭვს წარმოადგენს“. 50-60-იან წლებში იგი საგანგებოდ ემზადება აღმოსავლეთში სამოგზაუროდ, ეუფლება სხვადასხვა პროფესიებს: მედიცინას, ალქიმიას, მინერალოგიას, დალაქობას, ესწრება ლექციებს, სწავლობს ენებს, ეცნობა მისიონერებს, ასევე სომხებს, ბერძნებს, თურქებს და აღმოსავლეთის სხვა ხალხებს, რომლებიც ვენაში ჩერდებოდნენ – დაინტერესებულია მათი ზნე-ჩვეულებებით, ტრადიციებით, მისი გეგმაზომიერი მზადება ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ ვენაში ჰქონდა მტკიცედ გადაწყვეტილი აღმოსავლეთში მოგზაურობა. იმპერატორმა მარია ტერეზიამ რაინეგსს ბარონობა უბოძა და მისივე რეკომენდაციით 1773 წელს უმაღლესი სამედიცინო – დოქტორის ხარისხიც მიიღო ტირნაუს უნივერსიტეტში (უნგრეთში). საამისოდ მას ფული გადაუხადეს – ქალბატონმა ლიხტენშტაინმა მას ფული მისცა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ამაზე ცოტა ადრე, 1772 წელს, იმპერატორმა მის მეგობარ, იმხანად გაკოტრებულ კოჰარისაც უბრძანა უნგრეთში წასვლა; ალბად მაშინ უნდა გადაეწყვიტა გრაფს რაინეგსთან ერთად აღმოსავლეთში მოგზაურობა. რაინეგსიც დაბეჯითებით ეძებდა მესაიდუმლე და საიმედო პიროვნებას, რომელსაც ლათინური წერა და ლაპარაკი ეცოდინებოდა, ასევე ხატვა. სწავლის წლებში, როგორც მისი ბიოგრაფი გადმოგვცემს, ჩვენი გმირი „არაფრით გამოირჩეოდა და არავითარ იმედს არ იძლეოდა, რომ ოდესმე საჭირო და გამოსადეგი კაცი გახდებოდა. ამდენად, ის ისეთ გზას დაადგა, სადაც მას ესაჭიროებოდა ზოგჯერ უფრო მეტად წარმოჩენილიყო, ვიდრე სინამდვილეში იყო. ბევრნი, რომელიც მას ადრე იცნობდნენ, საკმაოდ გაკვირვებულნი არიან იმით, რომ რაინეგსმა ასეთ დიდ საპატიო სიმაღ-

ლეს მიაღწია და მრავალმხრივი დამსახურება მოიპოვა... 1768 წლის შემოდგომაზე ახალგაზრდა ელიხი კიდევ ერთხელ გამოჩნდა ლაიფციგში, ამჯერად ძალზე კარგად ჩაცმული, თან ჰქონდა ორი დიდი მძიმე სკივრი, საუკეთესო თეთრეული, გემოვნებით შეკერილი ექვსი ხელი ტანისამოსი, ასვე საკმაო რაოდენობის ფული“**(36,52,55).** სამი დღის შემდეგ ის უეცრად გაქრა. არავინ იცის მისი უეცარი გარდაქმნის მიზეზი, მისი მუდმივი საიდუმლოებით აღსავსე საქციელი, მისი ურთიერთობები ასევე გაურკვეველ პიროვნებებთან, მისი ხშირი გაუჩინარებები, მოგზაურობები კვირაობით და თვეობით, იმთავითვე დიდი კითხვის ნიშანს ბადებს და გვიბიძგებს იმ დასკვნის გაკეთებისაკენ, რომ იგი ჯაშუში იყო და ამზადებდნენ ამ მიზნით.

რაინეგსი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერეკლეს კარზე მეტად კრიტიკულ სიტუაციაში გამოჩნდა და შეუძლებელია ეს შემთხვევითობა ყოფილიყო. ბ. სადათიერაშვლის გადმოცემით სპარსეთში ყოფნის დროს რაინეგსი გაეცნო იქაურ ქართველებს, ასევე იქ მოღვაწე კათოლიკე მისიონერებს, მათი დახმარებით გაეცნო საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობას. მისიონერებს შორის იყვნენ გერმანელებიც (ფედელი და ბისტონი), რომლებსაც საქართველო ცხოველ ინტერესს აღუძრავდა. „ამავე პერიოდში სპარსეთში იმყოფებოდნენ რუსი უმაღლესი სამხედრო მოსამსახურეები. მათ შორის იყვნენ აგრეთვე ქართველი რენეგატებიც, რომლებიც მხარს უჭერდნენ საქართველოს ანექსიას რუსეთის მიერ. მათ მჭიდრო კავშირი დაამყარეს რაინეგსთან და იგი წარუდგინეს გეორგიევსკში მყოფ რუსეთის კავკასიის არმიის მთავარსარდალს პოტიომკინს. ამ გამყიდველებმა რუს გენერალს მიუთითეს, აგრეთვე, რომ ის საქართველოს უფრო ადრე ჩაიგდებდა ხელში, თუ რაინეგსს გადაიბირებდა თავის მხარეზე. მალე რაინეგსი ჩადგა რუსეთის სამსახურში და დაინიშნა კომისრად ქართველ მეფეთა კარზე“ **(28,70).**

მართლაც, რაინეგსმა 1781 წელს თბილისი დატოვა და რუსეთისაკენ გაემართა. ერთი წლის შემდეგ, 1782 წ-ს კი იგი სპეციალური დავალებით (განეწყო ერეკლე II რუსეთისათვის მფარველობის სათხოვნელად) კვლავ დაუბრუნდა ქართლ-კახეთის სამეფო კარს. ამჯერად რაინეგსი ფართო – ამიერკავკასიური მასშტაბით მოქმედებს. აქაურ პოლიტიკოსებს შთააგონებს შეწყვიტონ შინაომები, თუ სურთ რუსეთის მფარველობა; წინააღმდეგ შემთხვევაში დაიმსახურებდნენ რუსული იარაღის შურისძიებას. იგი მიმართავს დემაგოგიას, პროვოკაციას, შანტაჟს, თავის თავს ეკატერინეს ელჩად ასაღებს და მოლაპარაკებებს აწარმოებს ადგილობრივ მმართველებთან, რომ დამორჩილდნენ რუსეთს. რაინეგსი თამამად

ერეოდა ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების საქმეებში, თავი აქაურ საქმეთა გამგედ წარმოიდგინა და ზომაზე მეტადაც გამოიჩინა „გულმოდგინება“. მას ადვილად ეჩვენებოდა დასუსტებული სპარსეთის და თურქეთის დაპყრობა და საამისოდ ხალხის შეგროვებაც დაიწყო (სომხების და მთიელი ოსებისაგან) პოლკების შესაქმნელად. მისმა თვითნებობამ გააუარესა პოლიტიკური ვითარება დაღესტანსა და აზერბაიჯანში. ტყუილად არ სურდა ერეკლეს რაინეგსის თავიდან მოშორება. იგი მშვენივრად ხედავდა, როგორ ართულებდა „ეკატერინეს ელჩი“ ურთიერთობას ამიერკავკასიელ მმართველებს შორის. რუსეთის მთავრობამ, დაინახა რა, რომ „რაინეგსის თვითნებობას ზიანი მოჰქონდა რუსული დიპლომატიისათვის, იგი პოლკოვნიკ ბურნაშევით ჩაანაცვლა“ **(36,21).** თუმცა უნდა ითქვას, რაინეგსმა თავისი ძირითადი მისია წარმატებით შეასრულა – დააჩქარა ერეკლეს რუსეთის საფარველქვეშ შესვლა იმ სახით და იმგვარად, როგორც ეს რუსეთს სურდა. მაგრამ რაინეგსს „ღვაწლი“ არ დაუფასდა – იგი „პეტერბურგში მოაწამლინეს, რათა ევროპაში არ გაეტანა ამბავი, თუ რას უმზადებდნენ რუსები საქართველოს **(195,15).** რაინეგსის სიკვდილის შემდეგ თითქმის ყველა ხელნაწერი, რომელიც მის ბინაში ინახებოდა, გატაცებული იქნა **(142,168).**

როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რუსეთის მთავრობას ისე უნდა მოეჩვენებინა საქმე ქართველი მეფისათვის, რომ თითქოს მფარველობითი ტრაქტატის დადება სრულებითაც არ წარმოადგენს რუსეთის ინტერესს და ამდენად მფარველობა რუსეთს კი არ უნდა შეეთავაზებინა საქართველოსათვის, არამედ ამ უკანასკნელს უნდა ეთხოვა მისთვის. ეს თვალთმაქცობა რუსეთის ხელისუფალთ, ქართველ ხალხს და მის მეფეს თავი რომ დავანებოთ, თავისი მეტოქეების წინაშე გასასამართლებლადაც სჭირდებოდათ, რომ თითქოს იგი ამ ნაბიჯს ქართველ მეფეთა თხოვნა-მიწვევით, მათი სურვილით დგამდა და არა თვითნებურად, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

რუსეთის დიპლომატია ყველა საშუალებას იყენებდა დასახული მიზნის მისაღწევად. რაინეგსის გარდა გრიგოლ პოტიომკინის ბრძანებით, ერეკლეს გადმობირებასა და მფარველობაში მიღების თხოვნის გაგზავნაზე დიდად გარჯილა სომეხი არქიეპისკოპოსი იოსებ არღუთინსკი **(132,168).**

ამავე პერიოდში ისევ გააქტიურდა ალექსანდრე ბატონიშვილი. მან იმერეთი დატოვა და რაჭის გზით ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა, სადაც მას შეუერთდა ერეკლეს შეურიგებელი მტერი ალექსანდრე ამილახვარი. ტახტის მაძიებელი

ბატონიშვილი ერეკლეს წინააღმდეგ ოსებსა და ყაბარდოელებს აგულიანებდა. იგი ერთობლივი მოქმედების შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა ტარკის შამხალთან, საბოლოოდ კი, მოკავშირედ და თანამზრახველად დარუბანდის მმართველი ფათალი-ხანი გაიჩინა, რომელმაც 1782 წ-ის ზაფხულში იგი თავისთან მიიღო. ამ ორი მტრის კავშირი მეტად სახიფათო იყო ერეკლესათვის. ამ ფაქტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი გავლენა მოახდინა ერეკლეზე და დააჩქარა მისი რუსეთის მფარველობაში შესვლა. ,,მეფე ერეკლემ შეიტყო რა, თუ რას უმზადებდნენ მას დარუბანდსა და დაღესტანში, თავისი შიში რუსეთის მთავრობას განუცხადა და რათა თავისი სახლისათვის ქართლის მფლობელობა შეენარჩუნებინა, რუსეთის მფარველობის ძიებისკენ გადაიხარა“ – აღნიშნავს ბუტკოვი **(14,II.117;49,5-6).** იგივეს გადმოგვცემს ალექსანდრე ამილახვარიც. ერთერთ წერილში, რომელიც არავისადმი არ არის მიმართული (ადრესატი არ გააჩნია), იგი იძლევა ალექსანდრე ბაქარისძისა და ერეკლეს შორის წარმოებული ბრძოლის სურათსაც. ამავე დროს, იგი ძალიან საყურადღებო ცნობებს გვაწვდის 1783 წლის ხელშეკრულების შესახებ. ავტორი მოგვითხრობს როდის წამოვიდა რუსეთიდან, როგორ წავიდა იგი ქართლის ტახტის პრეტენდენტ ალ. ბაქარისძესთან ერთად შამხალთან, რომელიც ვითომ 60.000 შეიარაღებულს უგროვებდა მათ ერეკლეს წინააღმდეგ და ამავე დროს, აცდევინებდა მანამდე, სანამ ამდენი ჯარების თავდასხმის მოლოდინით შეშინებული ხელს არ მოაწერდა გეორგიევსკის ტრაქტატს **(76,147-149).** ერეკლემ რაკი დაინახა, რომ საქართველოზე თავდასასხმელად მომზადებულია 60 000 მეომრისაგან შემდგარი ლეკის ჯარი, მიაშურა რუსეთის სამეფოს სახლს და ეკატერინე მეორეს დაუქვემდებარა როგორც თავისი თავი, ისე მის მიერ „მიტაცებული სამეფო“**(76,70).** საერთოდ, ალ. ამილახვრის წერილების შინაარსი მეტ-ნაკლებად ნათელს ჰფენს გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების დროს, პირობებსა და, რაც მთავარია, რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობის მზაკვრულ გეგმებს. ჩვენთვის სრულებით ცხადია, რომ არცერთ ალექსანდრეს არ მოეპოვებოდა დერბენდში შამხლის მეშვეობით არავითარი ჯარი ერეკლეს წინააღმდეგ, მითუმეტეს იმ რაოდენობისა. ამ ჯარის მოგროვება და მისი რეალობად ქცევა მოჭორილი იყო მათი მასპინძლის, რუსეთის მთავრობის აგენტის შამხალის მიერ, რომელიც მათ ატყუებდა – 50.000 კაცი მზად არის, ცოტა მოვიცადოთ, 10.000 კაციც მოვაგროვოთ და უფრო დიდი ძალებით დავესხათ თავს ერეკლესო. ვისთვის იყო საჭირო ამგვარი რამ? ეს ესაჭიროებოდა რუსეთის მთავრობას, რომელსაც ამით სურდა შეექმნა ერეკლესათვის ერთგვარი საშიშროება,

დაეფრთხო იგი და იძულებული გაეხადა დასთანხმებოდა ისეთ პირობებს, რომელზეც ერეკლე, ალბათ, არასოდეს დათანხმდებოდა. რუსეთის მთავრობა არ შეცდა: ერეკლე, რომელიც დარწმუნებული იყო ასეთი დიდი ჯარის არსებობაში მისი სამეფოს წინააღმდეგ, მართლაც, წავიდა დათმობის გზით. იგი იძულებული შეიქმნა უარი ეთქვა ყველა იმ პირობაზე, რომელიც მან წამოუყენა ეკატერინე II-ს თავდაპირველად.

რუსეთის თვითმპყრობელობა ამ დროს ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ერეკლე თავის პოლიტიკურ ჩანაფიქრსა და ზრახვებში ჩაეთრია, მისთვის თავს მოეხვია რუსეთისათვის სასარგებლო ხელშეკრულება და ქართლ-კახეთი თავის გავლენის ქვეშ მოექცია. ამ საქმეში მან მარჯვედ ჩართო ლეგიტიმისტები – ტახტისთვის მებრძოლი ვახტანგ VI-ის შთამომავლობა. საზოგადოდ, ვახტანგ VI-ის „შთამომავალთა საკითხი დიდხანს იდგა პრობლემად თეიმურაზ II-ის და ერეკლე II-ის წინაშე. ეს იყო ძლიერი ოპოზიცია, რომელიც ქართლის სამეფო ტახტის და იქ კახეთის ბაგრატიონთა გამეფებას ვერაფრით ვერ შეეგუა“ **(137,327-28).** რუსეთის მთავრობას კარგად ესმოდა ერეკლეს სამეფო კარზე შექმნილი თავისებურებანი და ქართლის ტახტისათვის მებრძოლ პრეტენდენტ – ალექსანდრე ბაქარისძეს და ალექსანდრე ამილახვარს თავისი დამპყრობლური მიზნებისათვის იყენებდა. ჯერ კიდევ 50-იან წლებში, რუსეთის აგენტი ოთარ თუმანოვი აცნობებდა საიმპერატორო კარს, თუ როგორ აშინებდათ ქართველ მეფეებს ის, რომ რუსეთს თავშეფარებულ კანონიერ მემკვიდრეებს არ გადასცემოდათ მეფობა: „ქართველი მეფეები, მართალია, რუსეთის ერთგულებაზე თავის დადებას აცხადებენ, მაგრამ აშინებთ ის გარემოება, რომ ქართლის სამეფოს ტახტის კანონიერი მემკვიდრენი, ვახტანგ VI-ის შთამომავალნი, რუსეთში არიან და რუსეთმა ქართლი ამ ემიგრანტ ბატონიშვილებს არ გადასცეს“ **(185,87).** საყოველთაოდ ცნობილი იყო ერეკლე II-ესა და ამილახვრების საგვარეულოს შორის დაძაბული ურთიერთობა ტახტის მემკვიდრეობის გამო. გარდა ამისა, „არ ემთხვეოდა, ერთი მხრივ, ამილახვართა და ვახტანგ VI-ის შთამომავალთა, ხოლო მეორე მხრივ, თეიმურაზ-ერეკლეს საგარეო ორიენტაციაც. თუ თეიმურაზი და ერეკლე საქართველოს გადარჩენის იმედებს რუსეთის იმპერიაზე ამყარებდნენ, ამილახვართა გვარი და მათი მოკავშირენი ანტირუსული ორიენტაციისა ჩანან. ამას კარგად მოწმობს თუნდაც პაატა ბატონიშვილის, ვახტანგ VI-ის ძის, ერთ-ერთი პირადი წერილი, სადაც იგი რუსეთის მთავრობას „მატყუარას“ უწოდებს და ამტკიცებს, რუსეთის ყველა ქვეშევრდომი ისეთ დღეში იმყოფებოდა, რომ მათ თავი ადამიანებადაც კი არ მიაჩნია-

თო. იმ საყურადღებო ფაქტს, რომ ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენლებს... რუსეთი ძალით აჩერებდა თავის საზღვრებში, პირდაპირ ადასტურებს ფრანგი ელჩი პეტერბურგში – ბერანჟე“ **(113,116-17),** რათა შემდეგ თავისთვის საჭირო მომენტში გამოეყენებინა. მას მეფისწულები სჭირდება როგორც მოწინააღმდეგე ძალა ქართლ-კახეთის მეფეზე ზეწოლის მოსახდენად. შემთხვევითი როდი იყო, რომ ფათალი-ხანმა ალექსანდრე რუსეთის მთავრობას მხოლოდ 1783 წლის ნოემბერში – გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ გადასცა. „სწორედ ლეგიტიმიზმი იყო ერთ-ერთი ის შენიღბული ბერკეტი, რამაც დააჩქარა, რასაკვირველია, სხვა უფრო მნიშვნელოვან მომენტებთან ერთად 1783 წ-ის ტრაქტატის გაფორმება“**(169,30).** ისე, რომ საჭიროა ზემოთხსენებული ფაქტების გათვალისწინება, როცა 1783 წლის ხელშეკრულების გაფორმების საკითხს ვეხებით. ალ. ბაქარისძეც და ამილახვარიც ერთობ გვიან მიხვდნენ, რომ ისინი ორივე უბრალო პაიკებს წარმოადგენდნენ რუსეთის მთავრობის ხელში; ამაში ისინი დარწმუნდნენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა გეორგიევსკში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, ხოლო მას მერე კი რუსეთის მთავრობამ შამხალს მოსთხოვა ბატონიშვილისა და ამილახვრის შეპყრობა და რუსეთისათვის გადაცემა. „ტრაქტატის ხელმოწერის შემდგომ, რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-მ, ერეკლეს თხოვნით, დაღესტნის მფლობელ ფათალი ხანისაგან ერთ ოქროს სათუთუნედ და 500 ოქროს ჩერვონეცად „იყიდა“ ორივე ალექსანდრე“**(113,121).** გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან „3-4 თვის შემდეგ ორივე ალექსანდრე ჩასვეს რუსეთის მთავრობის მიერ სპეციალურად მათთვის გამოგზავნილ გემში და გაგზავნეს ასტრახანს“ **(148,100-101),** სადაც ისინი მივიდნენ „დიდი ღელვის შემდეგ“. აქ ისინი დააშორეს ერთმანეთს: ალ. ბატონიშვილი წაიყვანეს სმოლენსკში, ამილახვარი კი ჩასვეს ვიბორგის ციხეში, სადაც მან ტყვეობაში გაატარა ჩვიდმეტნახევარი წელიწადი **(76,152).** ეკატერინე II-მ იგი ერეკლეს გულის მოსაგებად და დასაწყნარებლად ჩასვა საკანში, სადაც არავის უშვებდნენ. ერეკლე მეორის სიკვდილის მერეც, როცა მოისპო მიზეზი მისი დაკავებისა და აღარ იყო საჭირო ერეკლეს მტრის ტანჯვა-წამება, ალექსანდრე კარგა ხანს იჯდა ციხეში.

ისე, რომ რუსეთის მთავრობის მიერ 80-იანი წლების დასაწყისში ერთბაშად ამოქმედდა იძულების ყველა ბერკეტი, რამაც ერეკლე მეფე საბოლოო ჯამში მიიყვანა გეორგიევსკის ტრაქტატამდე. „ფაქტობრივად, ტრაქტატი იყო ერეკლე მეფისათვის რუსული ხელისუფლების მიერ თავს მოხვეული გადაწყვეტილება“**(151,20).**

კაინარჯის ზავის დადებისთანავე რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის ისტორიაში დაიწყო მოსამზადებელი პერიოდი, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა ყირიმისა და ამიერკავკასიის საკითხი. კაინარჯის ზავი არსებითად შესვენება იყო მომავალი ომის მოსამზადებლად. არც თურქეთი ცხრებოდა და ამიერკავკასიის შენარჩუნებას ესწრაფვოდა. XVIII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისისათვის რუსეთის ხელისუფლების ინტერესები ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს მიმართ გამოხატულებას პოულობდა წინასწარ შემუშავებული ერთიანი მოქმედების პროგრამაში.

კავკასიელი ხალხების საერთო ისტორიულ ბედსა და თავგადასავალს ის გარემოებაც განსაზღვრავდა, რომ დიდ იმპერიებს – ბიზანტიასა თუ ძველ სპარსეთს, არაბთა სახალიფოს, ყიზილბაშთა, ოსმალთა თუ რუსეთის იმპერიებს თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის, მსოფლიოზე გაბატონებისათვის, კავკასია მიაჩნდათ ერთიან მთელად, რომლის გაყოფას გავლენის სფეროებად ვერ ურიგდებოდნენ და თითოეული მათგანი ცდილობდა მის ერთიანად ხელში ჩაგდებას.

§2 გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება

1782 წელი – ყირიმის შეერთებისათვის გადამწყვეტი ღონისძიებების გატარების წელი – გახდა დასაწყისი საქართველოს მიმართ აქტიური პოლიტიკის წარმოების წლად. პირველ რიგში, რუსეთს ყირიმ-ყაბარდოს და შედარებით ძლიერი ქართლ-კახეთის საკითხის მოგვარება ჰქონდა გადაწყვეტილი. რაც შეეხება იმერეთს, მასთან ურთიერთობის საქმე პერსპექტივაში გასათვალისწინებელ საკითხად მიაჩნდა. ყირიმ-ყაბარდოს და ქართლ-კახეთის სამეფოს უფრო მნიშვნელოვანი საკითხის მოუგვარებლად იმერეთისათვის თავის გამოდება რუსეთის დიპლომატიას შეცდომად მიაჩნდა. ყირიმ-ყაბარდოსა და ქართლ-კახეთის სამეფოს საკითხების თავის სასარგებლოდ გადაჭრის პოლიტიკა კი რეალური იყო იმდენად, რამდენადაც კაინარჯის ზავის პირობებით აღნიშნული ქვეყნები თურქეთის უფლებების გარეშე იყო აღიარებული. 1782 წელს „რუსეთის ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა კავკასიის ხაზი ორი კორპუსის შექმნით – ყუბანისა და კავკასიის **(89,24).** ხოლო 1783 წელს გამოიცა „ეკატერინე II-ის მანიფესტი რუსეთთან ყირიმის, ტამანისა და ყუბანის შეერთების შესახებ“ **(14,III,169).** ყირიმის დამოუკიდებლობის ლიკვიდაციით რუსეთმა გადაჭრა სამხრეთით საზღვაო გზების გამოყენების პრობლემა და განიმტკიცა პოზიციები ჩრდილო კავკასიაშიც. თურქეთს მოუსპო ბაზა, საიდანაც იგი აწარმოებდა შეტევას ჩრდილო კავკასიაზე, უკრაინაზე და მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი ტერიტორიები ამ რეგიონში.

ყირიმისა და ყუბანის შეერთება უმტკივნეულოდ შერჩა რუსეთის დიპლომატიას. ევროპის სახელმწიფოების დაუხმარებლად თურქეთმა ომი ვერ გაბედა; ევროპას თურქეთისათვის არ ეცალა: ინგლისი და საფრანგეთი ამერიკაში იბრძოდა, პრუსია ბავარიის მემკვიდრეობისათვის ომგადახდილი, თავის საქმეებს აგვარებდა გერმანიაში; ავსტრიის იმპერატორი ხომ იმთავითვე „საბერძნეთის პროექტის“ მომხრე იყო და რუსეთს უჭერდა მხარს. ყირიმის ხელში ჩაგდებით რუსეთი შავ ზღვაზე გაბატონდა. თურქეთი ამის შემდეგ კავკასიის სამფლობელოებიდანაც უნდა აბარგულიყო. ყირიმის საკითხის რუსეთის სასარგებლოდ გადაწყვეტით დაიწყო თურქეთის დაცემის „დიდი გეგმის“ განხორციელება.

ირანში არსებული მდგომარეობაც რუსეთის დიპლომატიას აღმოსავლეთ ამიერკავკასიისაკენ იზიდავდა, ირანში მტკიცე ცენტრალური ხელისუფლების შექმნა შორეული მომავლის საქმედ ჩანდა; ამიტომ რუსეთის საიმპერატორო კარზე ე.წ. „საბერძნეთის პროექტთან“ დაკავშირებით „ახალი გეგმაც“ დამუშავდა. ირან-

ის ამიერკავკასიაში ორი ახალი ბუფერული სახელმწიფო (სომხეთი და ალბანეთი) უნდა შექმნილიყო, ხოლო უკვე არსებულისთვის (ქართლ-კახეთი) არსებითი ხასიათის „დახმარების აღმოჩენა“ იყო განზრახული. რუსეთის დიპლომატია, პირველ რიგში, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს საკითხს იხილავდა, რადგან იგი თურქეთის კუთვნილებად არ ითვლებოდა და ამიტომ მასთან ურთიერთობა და მფარველობაში მიღება, ფორმალურადაც და იურიდიულადაც, თურქეთს არ ეხებოდა.

1783 წ-ის 28 მარტს პეტერბურგში გამართულ საგარეო საქმეთა კოლეგიის წევრებისა და ვიცე-კანცლერის მორიგ კონფერენციაზე კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის მიზნები საბოლოოდ ასე მოიხაზა: ქართველებისა და სომხების გამოყენებით დაეკავებინათ მთელი კასპიისპირეთი**(183,43).** აი, ასეთი გეგმით მოდიოდა მაშინდელი რუსეთი კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში. მაგრამ თურქეთთან ურთიერთობის გამწვავებას რუსეთი კვლავ ერიდებოდა და თავის პოლიტიკას ირანის სისუსტით გამოწვეული მოვლენების გათვალისწინებით გეგმავდა. ამიერკავკასიაში ბარიერის შექმნისას, რუსეთის დიპლომატია 80-იან წლებში აყენებდა ქართული სამფლობელოების მისი პროტექტორატის ქვეშ მოქცევის საკითხს.

ოსმალეთის ცდა, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა რუსეთის საიმპერატორო კარის შეცდომა ერეკლესთან დამოკიდებულების საკითხში, მარცხით დასრულდა. ერეკლემ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება – ხელშეკრულების გაფორმება რუსეთთან.

რუსეთის საიმპერატორო კარს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მფარველობაში მიღების საკითხი პრინციპულად ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი და ამ აქტის სათანადოდ გასაფორმებლად ღონისძიებებიც დასახული იყო. ამას პროფ. ა. ცაგარელის მიერ გამოქვეყნებული ერთი საბუთიც ამტკიცებს, რომელიც ასე არის დასათაურებული: „უზენაესი მითითებანი საქართველოსთან ხელშეკრულების დასადებად“. აღნიშნული დოკუმენტი დაწერილი უნდა იყოს 1783 წ-ის თებერვალ-მარტში **(183,99).** ამ საქმის ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა გრ. პოტიომკინს. მასში ჩამოთვლილია ის საფუძვლები, რომელსაც თვით ტრაქტატის მუხლები უნდა დაფუძნებოდა. პირველ მუხლში აღნიშნული იყო: ქართველ მეფეებთან უნდა დაიდოს სამოკავშირეო ტრაქტატი ისე, რომ ხელშეკრულებაში ქართველი ხელისუფლები რუსეთის ქვეშევრდომად კი არ იქნებიან მოხსენებული, არამედ მოკავშირეებად, რომელთაც რუსეთის იმპერია მფარველობს.

ქართველი მეფეების მიერ ევროპის სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ცდები რუსეთს არ მოსწონდა. „უზენაესად მითითებულ საფუძვლებში“ ორი მუხლი ამ საკითხებს შეეხებოდა. მეოთხე მუხლში აღნიშნული იყო: „Отклонить всякое их знакомство с императором (Римским) и другими христянскими державами, сказав, что оне имеют условие не мешаться в дело до Азиатских наших соседей касающияся; да и писем к императору (Римскому) не посылать“ **(45,II,II. 30).**

რუსეთის მთავრობა ქართველი მეფეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან კავშირის მიზეზად თვლიდნენ საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონერების რჩევას, ამიტომ მომავალში ასეთი ურთიერთობის აღსაკვეთად გათვალისწინებული იყო საქართველოს ეკლესიის იერარქიის რუსეთის საეკლესიო სინოდთან დაკავშირება, ხოლო კათალიკოსის რუსეთის ეკლესიის პირველი ხარისხის მწყემსმთავრების რიგში მოქცევა**(45,II,II,31).** რუსეთის მთავრობას სინოდის საშუალებით სურდა კათოლიკური ევროპის სახელმწიფოებთან ქართველი პოლიტიკოსების დამაკავშირებელი გზის ჩაკეტვა. საამისოდ, იგი საეკლესიო დაქვემდებარებას ისახავდა მიზნად. ამიტომ იყო, რომ ხელშეკრულების გაფორმების მომენტში ქართული ეკლესიის სინოდთან დაკავშირება უმნიშვნელოვანეს საკითხად იქცა. ამ კუთხით რუსეთის მთავრობას მოსამზადებელი სამუშაოები უკვე ჩატარებული ჰქონდა; „რუსეთის სასულიერო ხელისუფლება ცდას არ აკლებდა ქართველ სასულიერო პირთა გარკვეული ნაწილი საქართველოს რუსეთთან ერთობის იდეის მხარდამჭერად ექცია“ **(177,126).** ჯერ კიდევ მ. თამარაშვილმა აღნიშნა, რომ ქართული ეკლესიის თავისთავადობის შერყევა დაიწყო ერეკლე II-ის მეფობისას, კათალიკოს ანტონ I-ის დროს. „ანტონ კათალიკოსი პირველი შეეცადა რუსულ ეკლესიასთან დაახლოებასა და მისი ზოგიერთი წესის შემოღებას საქართველოში. ანტონ კათალიკოსი სინოდის წევრადაც კი იყო არჩეული“ **(98,437).** ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო გამოიკვეთა ტრაქტატის დადების შემდეგ, როცა ცარიზმმა ფაქტიურად დაიწყო „იდეოლოგიური რეპრესიები“ – ავრცელებდა ხმებს, რომ თითქოს 1783 წლის ტრაქტატის შემდგომ საქართველო მათ იურისდიქციას ექვემდებარებოდა. მ. თამარაშვილის თქმით, ერთმა მათგანმა – მოგილოვის არქიეპისკოპოსმა, ისეთი გამბედაობა გამოიჩინა, რომ პატრების წინამძღვარს მისწერა: „...აუცილებლად მიმაჩნია გაცნობოთ, რომ არქიეპისკოპოსის ომოფორთან ერთად ახლახან მივიღე სულიერი იურისდიქცია ყველა ეკლესიაზე და საეკლესიო პირზე არა მხოლოდ რუსეთის იმპერიაში, სადაც აქამდე განვაგებდი, არამედ მთელ

ქვეყანაში, ყველგან, სადაც კი რაიმე კავშირი აქვს ჩვენს იმპერიას. აქედან გამომდინარე, თქვენ აღარ მისწერთ, ასევე ამის ნებას არ დართავთ არც ერთ თქვენ ხელქვეით მღვდელს, მისწეროს როგორც პროპაგანდის კონგრეგაციას, ასევე სხვა რომელიმე საეკლესიო გამგებლობას რუსეთის იმპერიის გარეთ. დღეიდან, ყველაფერზე, რაც ეკლესიას შეეხება, მომმართავთ პირადად მე“ **(98,701-3).**

„უზენაესი მითითებანი“ ითვალისწინებდნენ რეგულარული ქვეითი ჯარის (2000 ჯარისკაცი 4 ზარბაზნით) საქართველოში სამუდამოდ გამოგზავნას. ომის შემთხვევაში ჯარის რიცხვი უნდა გაზრდილიყო საჭიროების და მდგომარეობის მიხედვით. ამ ჯარის დანიშნულებას მთის ხალხების დამაგრება და საქართველოსთან კომუნიკაციების უზრუნველყოფაც შეადგენდა. საქართველოს დასაცავად ჯარის უკმარისობა ადგილობრივი ქართული ძალების რაციონალურად გამოყენებას მოითხოვდა. ამიტომ მიუთითებენ გრ. პოტიომკინს ქართველი მეფე-მთავრების გაერთიანებას, შეკავშირებას და მტრის წინააღმდეგ ერთად გამოსვლას. მსგავს მიზნებს რუსეთი გეგმავდა არა მარტო ტრაქტატის დადების მომენტში, არამედ ამაზე ადრე და შემდეგაც. რუსეთს მაშინ ამიერკავკასიაში ძლიერი საქართველო სჭირდებოდა, რადგან მისი მოწინააღმდეგე ირან-ოსმალეთი სერიოზულ ძალას წარმოადგენდა რუსეთის ამიერკავკასიისაკენ მისწრაფებათა გზაზე.

მიეცა რა დიპლომატიური მოლაპარაკების განახლების შესაძლებლობა, ქართლ-კახეთის მეფე დაუყოვნებლივ გამოეხმაურა 11 წლით დაგვიანებულ, ასე ნანატრ მფარველობას. სულ მალე ერეკლემ, რომლის მისწრაფებაც ემთხვეოდა რაინეგსის რჩევა-დარიგებებს, მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება და 1782 წ-ის დეკემბერში რუსეთის მთავრობას მფარველობის თხოვნა გაუგზავნა, ხოლო ამ უკანასკნელმა „დააკმაყოფილა“ მისი თხოვნა და მაშინვე შეუდგა ქართლ-კახეთის სამეფოსთან დასადები მფარველობითი ხელშეკრულების პროექტის შემუშავებას. ეკატერინე II-ის მითითებით 1782 წ-ის დეკემბერში გრაფმა ა. ბეზბოროდკომ თავად გრ. პოტიომკინს აცნობა რუსეთის მთავრობის განზრახვა, დადებულიყო ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს შორის **(45,II,II,30-31).**

რუსეთის დიპლომატიამ იცოდა, რომ ერეკლეს რუსეთთან კავშირის დადება ყველაზე უფრო მეტად სამხედრო დახმარებისთვის სურდა. ამიტომ იყო, რომ პოტიომკინი პირდებოდა ერეკლეს – დაიდება თუ არა ტრაქტატი, ჩვენი ჯარი მაშინვე გადმოვა თქვენს ქვეყანაში და დაიცავს მის საზღვრებსო: „და უკეთუ იკადროსმცა ვინ შეხებად საზღვართა თქვენთა, იწვიოს თავისა ზედა საჭურველი რუსეთისა“**(1.4,№9).** პავლე პოტიომკინი წინასწარ ულოცავს ერეკლეს ტრაქ-

ტატის მომავალ გაფორმებას და მას ერეკლესათვის „სასარგებლო ანბავად“ თვლის: „და თუმცა აქამდისაც არ ბრძანდებოდით ასრეთ მიღებულნი, მაგრამ აჩვენებდით დიდს ერთგულებასა და სამსახურსა თქვენსა. ეს ახალი მომხდარი თქვენთვის სასარგებლო ანბავი მომილოცავს თქვენის უგანათლებულესობისათვის და ბედნიერებაში ჩამიგდია, რომ ასეთი სახელოვანი საქმე ჩემს დროს მოხდა და თქვენსა და რუსეთს შორის ასეთი სიყვარული ჩამოვარდა, და მე ამ საქმეების წინამძღოლი და აღმასრულებელი ვარ“ **(1.4,№10).**

ქართველი ელჩები, ისევე, როგორც ერეკლე II, არ უმალავდნენ რუსეთის წარმომადგენლებს, რომ მათ ნამდვილად სურდათ რუსთა სამხედრო დახმარების მიღება. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია პ. პოტიომკინს. იგი 1784 წ-ის 24 ივლისის საიდუმლო „რაპორტში“ გ. პოტიომკინს წერს: „ისინი თხოულობენ ტრაქტატის დადებას, რომ მის ძალით ვუბრძანო ორი ბატალიონის სასწრაფოდ შეყვანა, მაგრამ თქვენი ბრწყინვალების ზუსტი მითითების გარეშე არ შემიძლია ამის დაშვება; თქვენი წერილობითი ბრძანების მოლოდინში დავაიმედე ისინი, რომ როგორც კი მეორე სეპარატული მუხლის ძალით იქნება შეთანხმება მეფესთან, ბატალიონების შენახვის შესახებ, მაშინვე გავგზავნი მათ“ **(187,52).**

ერეკლე მოუთმენლად ელოდა დამხმარე ჯარს. პოტიომკინი კი გამამხნევებელ წერილებს წერდა და მასაც „ეჩქარებოდა“ ჯარის გამოგზავნა საქართველოში. 1783 წ-ის 9 მაისს იგი წერს: „მხედრობა იგი, რომელიცა ტრაქტატსა შ~ა დანიშნულს არს ჰსდგანან ფერხთა ზედა, და შ~დ ჰაზრთა დამტკიცებისა (ე.ი. ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ) დაუყოვნებლივ შემძლებელ არიან მოსვლად სამზღვარსა შ~ა სამეფოისა თქვენისათა“**(1.4,№9).** იმავე წლის 28 ივნისის წერილით პოტიომკინი კვლავ აცნობებს ერეკლეს, რომ ვცდილობ ჯარის საქართველოში გადმოსაყვანად გზა გავაკეთოთო **(1.4,№13).** პოტიომკინი 24 სექტემბერს ისევ აიმედებს მეფეს, რომ მომავალ თვეში ორი რუსული ბატალიონი საქართველოს საზღვრებში შემოვა **(1.4,№18).** ხოლო ოქტომბრის თვეში იწერება, რომ ამ დღეებში „ორი ბატალიონი პატარას ყაბარდოდამ გადმოდგება და საქართველოსკენ წამოვლენ**(1.4,№24).** მსგავსი დამაიმედებელი საბუთების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ არანაირი ჯარი საქართველოში არ იგზავნება, ვინემ ერეკლე ტრაქტატს ხელს არ მოაწერს – იგი ერთგვარი სატყუარაა ქართველი მეფისათვის. ჯარით პირველ რიგში ლეკიანობის საკითხი უნდა მოგვარებულიყო. ესეც იცოდნენ რუსებმა, მაგრამ ქართველთა გეგმები ჭარ-ბელაქნის „აღხოცვის“ შესახებ არ იქნა

გაზიარებული და 1785 წ-ს, როცა ომარ-ხანმა ქართლ-კახეთი ააოხრა, გ. ჭავჭავაძე საყვედურობდა რუსეთის მთავრობას: ჩვენი მეფის წინადადება რომ მიგეღოთ და „წარსულს წელიწადს ჭარი და ბელაქანი ახოცილ იყვნენ ახლა ამისთანა გაჭირვება არ მიადგებოდათ“ **(183,250).**

1783 წ-ის დასაწყისში ხელშეკრულების პროექტი მზად იყო, რომელიც 3 დოკუმენტის - 1771 წ-ის 30 დეკემბრის ერეკლეს თხოვნის წიგნის (სადაც ქართლ-კახეთის მეფე უარს ამბობს თავისი სუვერენული უფლებების ნაწილზე, მოითხოვს რა რუსეთის სამუდამო მფარველობაში შესვლას და კისრულობს ხარკს. სამაგიეროდ, ქართლ-კახეთში 4.000-იანი ჯარი უნდა გამოგზავნილიყო ქვეყნის უშიშროების უზრუნველსაყოფად და მტრის მიერ მიტაცებული მიწების დასაბრუნებლად), 1772 წ-ის 6 იანვრის ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობის (ერეკლეს თხოვნის წიგნის გასამაგრებლად დაწერილი სამეფო კარის პირობით ქართლ-კახეთის მესვეურნი აცხადებენ, რომ რუსეთის ჯარის დახმარებით თურქეთთან და ირანთან ბრძოლაში როგორ წარმატებასაც არ უნდა მიაღწიონ, რუსეთის ქვეშევრდომობაზე ხელს არ აიღებენ) და 1782 წ-ის ბოლოს და 1783 წ-ის დასაწყისში ეკატერინე II-ის გრ. პოტიომკინისადმი მითითების საფუძვლზე იქნა შედგენილი. ეკატერინე II-ის ინსტრუქცია ითხოვდა ტრაქტატის უფრო შეღავათიან პირობებში დადებას, ვიდრე ეს ერეკლეს თხოვნის პროექტით იყო ნავარაუდევი, ასევე, ერეკლეს ავსტრიის იმპერატორთან კავშირის გაწყვეტას, ერეკლესა და სოლომონ იმერთა მეფის შერიგებას თავად გრ. პოტიომკინის თავდებობით **(31,10-14).** მაგრამ თუ ტრაქტატსა და ერეკლეს თხოვნის წიგნს შევადარებთ, აშკარად გამოჩნდება სინამდვილეში რა შეღავათიან პირობებშიც იქნა დადებული ტრაქტატი. ამ საკითხს უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით.

1783 წ-ის 7 მაისს გრ. პოტიომკინმა პოლკოვნიკ ტამარას ხელით ხელშეკრულების პროექტი გენერალ პ. პოტიომკინს გადასცა, ხოლო ამ უკანასკნელმა მაისის II ნახევარში ერეკლეს ტრაქტატის პროექტი თბილისში ჩამოუტანა**(21, II,4).** ტამარა განათლებული კაცი იყო და დიპლომატიაშიც კარგად გაწაფული. დუბროვინის ცნობით, მან მეფის სახელით თვითონ შეადგინა რწმუნების სიგელები სრულუფლებიანი წარმომადგენლებისათვის და მრავალჯერ აუხსნა მეფესა და მის მრჩევლებს თითოეული სიტყვა **(21,II.6).** მისივე ცნობით მეფე სრულუფლებიანი წარმომადგენლის დანიშვნას აყოვნებდა. ტამარას არც კი დაუცდია, ვიდრე ერეკლე დანიშნავდა ელჩებს და ქუთაისში წასულა სოლომონ I-თან. ტამარა 1783 წ-ის 5 ივნისს ქუთაისში ჩავიდა, თვის ბოლოს თბილისში დაბრუნდა. ერეკლეს წარ-

მომადგენლებად თავადები ოტია ანდრონიკაშვილი და სულხან თუმანიშვილი დაუნიშნია, თუმცა გადაწყვეტილება შეიცვალა – 24 ივნისს პირველ ელჩად აღიარებული იქნა მეფის სიძე ივანე მუხრანბატონი, მეორედ კი გარსევან ჭავჭავაძე. ეს უკანასკნელი იხსენიება, როგორც ერეკლეს „გენერალ ადიუტანტი და ყაზახის პროვინციის უფროსი“. ელჩების „ასისტენტად დაინიშნა რუსული ენის მცოდნე გაიოზ არქიმანდრიტი. გამოიყო აგრეთვე საელჩოს ერთი მდივანი და ამალა ოცი კაცის შემადგენლობით. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით ერთ-ერთი რწმუნებული ხელს ვერ მოაწერდა, მეორეს რწმუნება ჰქონდა, რომ ეს საქმე გადაეწყვიტა“**(21,II,7).**

ერეკლე მეფემ პროექტის ერთთვიანი განხილვის შემდეგ ივნისის ბოლოს 24 კაციანი ელჩობა მიავლინა რუსეთს ხელშეკრულების გასაფორმებლად. 1783 წ-ის 15 ივლისს ქართული ამალა მოზდოკში ჩავიდა. პირველი აუდიენციის დღეს, 19 ივლისს, მთავარსარდალმა პოტიომკინმა საქართველოს წარმომადგენლები დიდი პატივით მიიღო.

1783 წ-ის ტრაქტატის ოფიციალური ნაწილი ისეა გაფორმებული, რომ ვითომ ეს მხოლოდ ქართველების სურვილის შედეგად მოხდა და მეფის რუსეთის მთავრობა მოწყალებას იღებდა. მართალია, ქართლ-კახეთის სახელმწიფო დიდად იყო დაინტერესებული, რომ თუნდაც ამგვარი ხელშეკრულების გზით სამხედრო დახმარება მიეღო, მაგრამ ხსენებული ტრაქტატი იმ კონკრეტულ ვითარებაში იმპერიის დამყრობლურ მიზნებს ექვემდებარებოდა და მისი გაფორმების მომენტშიც უმთავრესად ამ იმპერიის სურვილების გათვალისწინება მოხდა. არსებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ეს ხელშეკრულება ორივე მხარის თანასწორუფლებიანობას გამორიცხავდა და ძლიერი იმპერიის უპირატესობას ემყარებოდა.

როგორც ცნობილია, რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკა აშკარად დამპყრობლურ ხასიათს ატარებდა. ეს პოლიტიკა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს მიმართ მან ჯერ კიდევ 1768-74 წწ-ის ომის დროს გამოამჟღავნა. საიდუმლო მრჩეველმა გრაფმა პანინმა, საიდუმლო წერილი გამოუგზავნა ტოტლებენს: „საქართველოს სიშორე და მგზავრობის სიძნელე – აი, ორი შემთხვევულობა, რომლებიც ამ მიწების ათვისებას არამტკიცედ ქმნის. შესაძლებელია მომავალში გამოჩნდეს საშუალებანი, რომლითაც ეს სიძნელეები აღარ იქნება ასეთი...“ **(45,I,155-156).** პანინის წერილში გამოსჭვივის თვითმპყრობელობის შორეული მიზნები და, მართლაც, როცა ცარიზმისათვის ეს სიშორე და უგზოობა სიძნელეს აღარ წარმოადგენდა, აკი შეიერთა კიდეც საქართველო.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ტრაქტატის ყველა მუხლი არ იყო მისაღები ქართული მხარისათვის. ამიტომ ელჩები მოითხოვდნენ ზოგიერთი მუხლის დაზუსტება-განმარტებას და შესწორებას, კერძოდ, „ელჩებს არ მოეწონათ ის, რომ უმაღლეს კარს უნდა დაემტკიცებინა საქართველოს სამეფო ტახტზე ამავალი მეფეები. ამიტონ ისინი იმისთვის იღწვოდნენ, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი არ ჩარეულიყო ქართლ-კახეთის სამეფოს შინაურ საქმეებში და მოითხოვდნენ რუსეთს ეცნო საქართველოს მეფის ტიტული, გერბი, პოლიტიკური უფლებები. ისინი მოითხოვდნენ პ. პოტიომკინისაგან დაეტოვებინათ მისთვის ტიტული „უმაღლესობა“, ვინაიდან ადრე საქართველოს მეფეები ყოველთვის ატარებდნენ ამ საპატიო სახელს მთელს აზიაშიო. ელჩები ეჭვობდნენ აგრეთვე იმასაც, რომ საქართველოს კათალიკოსის პატივისცემა ხომ არ შეიბღალებოდა იმით, თუ ყაზანის მღვდელმთავრის შემდეგ იქნებოდა მოხსენიებული. პ. პოტიომკინი დაპირდა, რომ იშუამდგომლებდა უმაღლესი კარის წინაშე დასმული საკითხების მოსაგვარებლად“**(187,62-63).** თუმცა ამ კუთხით არაფერი შეცვლილა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული და კვლავ საკათალიკოსო ტახტზე ასული ანტონ I „შეეცადა ქართული ეკლესია მოეწესრიგებინა რუსულ ეკლესიაში არსებული წესების შესაბამისად, ყოველმხრივ დაეახლოვებინა ქართული ეკლესია რუსულთან. ტრაქტატში აღნიშნული ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის შეუსაბამო მუხლიც მისი განზრახვით უნდა შესულიყო“ **(210,229).** ხელშეკრულების მერვე არტიკულის თანახმად, კათალიკოსი მოიხსენიება რუსეთის მღვდელმთავრებს შორის მე-8 ადგილზე ტობოლსკის ეპისკოპოსის შემდეგ და რაც, ასევე მიუღებელი იყო, კათალიკოსი სინოდის წევრი ხდებოდა. „არ შეიძლება რომელიმე ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური იყოს სხვა, უცხო ეკლესიის სინოდის წევრი. ამით ცხადია, ავტოკეფალური ეკლესიის ღირსება კნინდება, თუ უფრო მეტი არა. ანტონ I კი, 1783 წლიდან დანიშნული იყო რუსეთის წმიდა სინოდის წევრად. ამავე წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ტრაქტატის ძალითაც ქართული ეკლესიის თავისთავადობაც ირყეოდა“ **(210,228).** VIII არტიკული რუსეთის იმპერიული ზრახვების კიდევ ერთი აშკარა გამოვლინებაა, რომლის მიზანი იყო „საქართველოს ეკლესია ნელ-ნელა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია, დაემცირებინა მისი იერარქიული სტატუსი და თვითშეგნება“ **(177,127).**

1783 წ-ის 24 ივლისს გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში, კავკასიის ხაზის რუსთა სარდლის შტაბ-ბინაში დაიდო რუსეთს და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის

ისტორიაში გეორგიევსკის ტრაქტატის სახელწოდებით ცნობილი ხელშეკრულება რომელიც „ოთხი დამოუკიდებელი დოკუმენტისაგან შედგება: 13 ძირითადი (მას წინ უძღვის პრეამბულა, სადაც მოკლედ ჩამოყალიბებულია ხელშეკრულების დადების მოტივები) ოთხი სეპარატული (ცალკე), ერთი დამატებითი მუხლისა და ერეკლეს ფიცის ნიმუშისაგან („სახე“)“ **(31,19).** რუსეთის მხრივ მას ხელი მოაწერა პავლე პოტიომკინმა, საქართველოს მხრივ - ერეკლეს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იოანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ

ტრაქტატით რუსეთის იმპერიას და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის გაფორმდა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომლის მიხედვით ეს უკანასკნელი ნებაყოფლობით შედიოდა რუსეთის სამუდამო მფარველობაში. ქვეყნის შინაგან მართვა-გამგებლობაში საქართველოს მეფე სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა და რუსეთი საქართველოს შინაურ საქმეებში არ ერეოდა. სამეფოს სათავეში რჩებოდა მეფე ერეკლე და მისი შთამომავლობა. მაგრამ მომავალი მეფე რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა და მასვე უნდა გამოეგზავნა სამეფო ნიშნებიც. ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის მეფეს არ შეეძლო რაიმე დამოკიდებულება ჰქონოდა სხვა სახელმწიფოებთან რუსეთთან შეთანხმების გარეშე. ქართლ-კახეთის მეფე ვალდებული იყო საჭიროების დროს დახმარებოდა რუსეთს. ქართლ-კახეთის მშვიდობიანობის დასაცავად რუსეთს საქართველოში მუდმივად უნდა ჰყოლოდა 2 ბატალიონი ჯარი 4 ზარბაზნით. ომის შემთხვევაში კი რუსეთი კისრულობდა საჭირო დახმარებას. ამასთან რუსეთის იმპერატორი აღთქმას დებდა, რომ იზრუნებდა საქართველოს დაბრუნებოდა მტერთაგან მიტაცებული მიწები **(31,23).**

ტრაქტატის ხელისმოწერისთანავე პ. პოტიომკინმა სასწრაფოდ გაუგზავნა გრიგოლ პოტიომკინს საიდუმლო მოხსენება პოდპოლკოვნიკ ტამარას ხელით, რითაც აცნობებდა, რომ 1783 წ-ის 3 აპრილით დათარიღებული დავალება შეასრულა: „Ваша светлость усмотреть изволите, что я старался выполнить все то, что в ордере вашем от 3-го апреля под №106 мне предписано и не упустил того правила в рассуждении первенства которого мне держатся повелели“ **(187,66).**

ჩვენს ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თვალსაზრისით, ტრაქტატი უკეთეს პირობებში იქნა დადებული, ვიდრე ამას ერეკლე მოითხოვდა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ერეკლე მეფის წარდგინება მხოლოდ სამხედრო კავშირს ითხოვდა და არა ე.წ. „სამუდამო მფარველობას“; ამის მკაფიო დადასტურებაა ერეკლეს მიერ იმპერატორისადმი 1771 წ-ის 30 დეკემბრის წარდგინება, თუ რა პირობებით სურს მას რუსეთთან დაკავშირება. ამ წარდგინების საფუძველზე საქა-

რთველოს ელჩებმა ანტონ პირველმა და ლევან ბატონიშვილმა 1773 წ-ის 27 აპრილს წერილი მიართვეს გრაფ ნიკიტა პანინს. წერილში, როგორც ი. ცინცაძე შენიშნავს, „საკმაოდ შორსმჭვრეტელურად არის დამუშავებული საქართველოს აღდგენის და მტერთაგან გამოხსნის გეგმა“**(183,82).** ამ საკითხის ირგვლივ მართებული დასკვნები აქვს გაკეთებული პ. გელეიშვილს. მისი თქმით, ერეკლე ითხოვდა:

1. პირველ რიგში, 4000 რუსის ჯარისკაცს, რუსეთის მთავრობის ხარჯით. იგი ამ ჯარით ეპირებოდა ახალციხის რაიონისა და ალაზნის გაღმა ლეკების მიერ წართმეულ კახეთის მიწების უკან დაბრუნებას.

2. რუსეთის მიერ მისი, ერეკლეს, შთამომავლობის ერთხელ და სამუდამოდ ცნობას ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრედ. ასეთი ცნობა მას იმიტომ ესაჭიროებოდა, რომ რუსეთის კარზე ყოველთვის იყვნენ საქართველოს ტახტის პრეტენდენტები, რომლებსაც რუსეთის მთავრობა, როცა ამას მისი ინტერესები მოითხოვდა, ყოველთვის უჭერდა მხარს საქართველოში პოლიტიკური წყლის ასამღვრევად.

3. ერეკლე რუსეთს, გაჭირვების შემთხვევაში, სესხად სთხოვდა საჭირო თანხას რუსის ჯარის შესანახად.

რა მოვალეობას კისრულობდა ერეკლე ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის სამაგიეროდ? იგი დაახლოებით ასეთ ვალდებულებას კისრულობდა:

4. რუსის იმ ჯარების ხარჯი, რომელსაც დაახმარებდნენ საქართველოს მისი კუთვნილი მიწა-წყლის დასაბრუნებლად, ერეკლეს რამდენიმე წლის ვადაში უნდა აენაზღაურებია რუსეთის ხაზინისათვის.

5. ეკატერინეს მთავრობისათვის მძევლად უნდა მიეცა ერთ-ერთი შვილი.

6. ნახევარი შემოსავალი იმ მადნეულის დამუშავებისაგან, რომელიც მაშინ უკვე აღმოჩენილი იყო, ან მომავალში იქნებოდა აღმოჩენილი, ერეკლეს უნდა ეძლია რუსეთის ხაზინისათვის.

7. ქართლ-კახეთის ქვეშევრდომთა თვითეულ ოჯახზე რუსეთის ხაზინას უნდა მიეღო 70 კაპეიკი.

8. ერეკლეს ეკატერინესთვის ყოველწლიურად უნდა ეძლია 2000 ვედრო საუკეთესო ღვინო ყიზლიარში მიტანით.

9. მისთვისვე ყოველწლიურად უნდა ეგზავნა 40 საუკეთესო ბედაური.

10. იმ ოლქების მცხოვრებლებისაგან, რომლებიც რუსეთის ჯარის დახმარებით იქნებოდნენ დაპყრობილი და საქართველოსთვის შემოერთებული, რუსეთს უნდა ყოველწლიურად მიეღო კომლზე 70 კაპეიკი. იმავე პროვინციების მცხოვრებ-

ლებს რუსეთის ხაზინისათვის ყოველწლიურად უნდა ეძლიათ 200 ფუთი აბრეშუმი.

11. ქართლ-კახეთის ყველა ოლქს, როგორც უკვე არსებულთ, ისე იმათ, რომლებსაც დაიპყრობდნენ და სამეფოს შემოუერთებდნენ, რუსეთისათვის უნდა ეძლიათ იმდენივე ჯარისკაცი კომლზე, რამდენსაც შიდა რუსეთის მცხოვრებლები აძლევენ.

ასეთი იყო პირობები, რომლებიც ერეკლეს დიპლომატებმა წარუდგინეს ეკატერინეს მთავრობას.

აბა შეადარეთ ეს იმას, რაც ცნობილია „გეორგიევსკის ტრაქტატის“ სახელით და რისი რატიფიკაციაც მოახდინა ერეკლემ. ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ ტრაქტატის მხოლოდ ორი-სამი მთავარი მუხლის შინაარსს.

„მეფე ქართლისა და კახეთისა თავისი და თავის მემკვიდრეთა სახელით პირობას სდებს, რომ სამუდამოდ უარყოფს ირანისგან ან სხვა რომელიმე სახელმწიფოსაგან დამოკიდებულებას და სცნობს მხოლოდ სრულიად – რუსეთის თვითმპყრობელობას, მის უზენაეს უფლებას, მის მფარველობას და აღუთქვამს მას რუსეთის ტახტისადმი ერთგულებას და მუდამ მზადყოფნას მისი სარგებლობისათვის, სადაც და როცა ამას რუსეთის ინტერესები მოითხოვენ.

ქართლ-კახეთის მეფეები სამემკვიდრო ტახტზე ასვლის წინ მოახსენებენ სრულიად რუსეთის იმპერატორის კარს და გამოითხოვენ ქართლ-კახეთის ტახტზე ასვლის ნებართვას და მიიღებენ მისგან ინვენსტიტურას, რის შემდეგ ისინი იღებენ ფიცს რუსეთის იმპერიის ერთგულებაში და მისი უზენაესი უფლებათა ცნობის შესახებ“.

ეს არის თავი და თავი გეორგიევსკის ხელშეკრულებაში. რას პირდება ეკატერინეს მთავრობა ყოველივე ამის ნაცვლად ქართლ-კახეთის მეფეებს?

„მათი იმპერატორებითი უდიდესობა მათი და მათი მემკვიდრეების სახელით აღუთქვამს და აიმედებს ქართლ-კახეთის მეფეებს და მათ მემკვიდრეებს, რომ მათ არასოდეს არ მოაკლდებათ რუსეთის მოწყალება და მფარველობა“.

როცა რუსეთის დიპლომატიის მიერ ამ ტრაქტატის ირგვლივ წინასწარ წარმოებულ მუშაობას ვეცნობით, დაუჯერებლად, სრულიად მოულოდნელად გვეჩვენება ის ეფექტი, რომელიც მიიღო ეკატერინე მეორემ გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულების სახით. როცა მას ამ კომედიის მთავარ როლში „ქართლის კანონიერი მემკვიდრე ალექსანდრე ბაქარის ძე გამოჰყავდა, იგი სრულიადაც არ ფიქრობდა, რომ ასეთ ეფექტს მიიღებდა, ასე შორს წავიდოდა საქართველოსთან

დამოკიდებულებაში და თავის მინისტრებს წინადადებას აძლევდა უფრო ცოტას დასჯერებოდნენ. გავიხსენოთ თვით გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულების ავტორის და ბეზბოროდკოს წერილი თ-დ პატიომკინთან: „მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის აზრი ასეთი იყო, რომ თქვენი ბრწყინვალების მეშვეობით საქართველოს მეფეებთან (ერეკლესა და სოლომონთან) დადებულიყო **საკავშირო ტრაქტატი,** რომელშიაც სრულიადაც არ უნდა ყოფილიყო ნახსენები სიტყვა მათი **რუსეთისადმი ქვეშევრდომობის შესახებ,** ისინი ნახსენები უნდა ყოფილიყვნენ **მოკავშირეებად** რუსეთის იმპერიის საფარველ ქვეშ.

გეორგიევსკში დადებული ტრაქტატი კი სრული წინააღმდეგობაა, როგორც ეკატერინე პირველის აქ გამოთქმული სურვილისა, ისე ერეკლეს მიერ წარდგენილი პირობებისა. გეორგიევსკის ტრაქტატიდან ჩვენ აშკარად ვხედავთ, რომ ეკატერინე იღებს ყველაფერს, მისი კონტრაგენტი კი არაფერს, გარდა უბრალო, სრულიად უშინაარსო დაპირებისა **მოწყალებისა** და **მფარველობის** შესახებ **(76,23-27).**

როგორც ვხედავთ, ერეკლეს სათხოვარი პუნქტები პრინციპულად განსხვავდება ტრაქტატის შინაარსისაგან – სათხოვარი პუნქტებით ქართლ-კახეთის მეფე, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო კავშირს ესწრაფოდა რუსეთთან.

1783 წ-ის 21 სექტემბერს ეკატერინე II-მ მოახდინა ტრაქტატის რატიფიკაცია, ხოლო ქართულმა მხარემ - 1784 წ-ის 24 იანვარს, მომდევნო დღეს კი, 25 იანვარს, ერეკლე მეორემ რუსი მოხელეების (ბურნაშოვისა და ტამარას) თანდასწრებით რუსეთის ერთგულების ფიცი მიიღო, რის შემდეგ სარატიფიკაციო სიგელები გაცვალეს; ამით გეორგიევსკის ტრაქტატი ძალაში შევიდა.

1784 წ-ის 23 იანვარს ტრაქტატის რატიფიკაციის წინა დღით, გ. ჭავჭავაძე აღიარებულ იქნა ქართლ-კახეთის მინისტრად რუსეთის კარზე. გარსევანმა, როგორც მომავალმა ელჩმა ტამარას ხელით მიიღო ჯილდო რუსეთის მთავრობისაგან: ბრილიანტებიანი სათუთუნე და 2500 ოქროს მანეთი**(187,67).** ჯილდო და ფული მიიღეს აგრეთვე კათალიკოსმა, პირველმა მინისტრმა თავადმა ორბელიანმა, მეორე მინისტრმა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა, არქიმანდრიტმა გაიოზმა. ფულად ჯილდოს დაპირდნენ პოდპოლკოვნიკ ტამარასაც**(187,67).** მფარველობითი ტექსტის გაფორმების შემდეგ თვითმპყრობელობამ გააძლიერა თვალყურისდევნება ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკოსთა საქმიანობაზე.

გეორგიევსკის ტრაქტატი პირველი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება იყო რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში,

რომლითაც რუსეთი პირველად აცხადებდა საჯაროდ დიდი მაჰმადიანური იმპერიების - ოსმალეთისა და სპარსეთის – გასაგონად, რომ იგი ამიერიდან სამუდამოდ დაიცავდა ქრისტიანულ საქართველოს, ხოლო ქართლ-კახეთიც ასევე პირველად აცხადებდა საჯაროდ, რომ იგი სამუდამოდ ემიჯნებოდა მაჰმადიანურ სამყაროს და მხოლოდ რუსეთის მფარველობას სცნობდა **(31,22-23).**

ტრაქტატის ზუსტი იურიდიული ცნების განსაზღვრა ჭირს, თავად ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ეს დოკუმენტი შინაარსობრივად წინააღმდეგობრივია, იგი იმთავითვე აგებულია იმგვარად (იმპერიალისტური მოსაზრების შესაბამისად) რომ არც მოიაზრებს ორ ქვეყანას შორის დამყარებული ურთიერთობის ზუსტი და კონკრეტული იურიდიული სახის დაფიქსირებას.

როგორც აღვნიშნეთ, ტრაქტატი წინააღმდეგობრივია – ქართლ-კახეთის სამეფო საშინაო საქმეებში დამოუკიდებელია, მაგრამ ზოგი მუხლი ამას ეწინააღმდეგება: იმპერატორის მიერ მეფის დამტკიცება, კათალიკოსის ყაზანის მღვდელმთავრის შემდეგ მოხსენება. ტრაქტატით ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაში ექცეოდა, მაგრამ, ფაქტიურად, იურიდიული სტატუსით ეს ხელშეკრულება ბოლომდე არც მფარველობაა, არც ვასალობა და, საერთოდ, ძალზე ძნელია განვსაზღვროთ შინაარსიდან გამომდინარე კონკრეტულად რა სახის ურთიერთობა დამყარდა ორ ქვეყანას შორის. მუხლები ძალზედ შეფარულად, ქვეტესტებით და გაანგარიშებულად არის შედგენილი რუსული მხარის მიერ. გარეგნულად, როგორც ხელშეკრულების დამდები მხარეები აცხადებენ, ეს იყო მფარველობა, შინაარსობრივად ეს იყო ვასალობა, ვასალობად მოიაზრებდნენ მას რუსი დიპლომატები საიდუმლო მიმოწერაში. ქართლ-კახეთი ხდებოდა დამოკიდებული, მართალია, ქვეყანა საშინაო საქმეებში დამოუკიდებელი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს სუვერენიტეტი შელახული იყო – მეფეს უცხო, გარეშე ძალა ამტკიცებდა. ამიტომ, უფრო ზუსტი იქნება ალბათ, ამ შემთხვევაში ტერმინი – შეზღუდული სუვერენიტეტი ვიხმაროთ. ერთი რამ ცხადია, ფაქტიურად, რუსეთმა ამ დოკუმენტით (თავისი სეპარატული მუხლებითურთ) იურიდიული საფუძველი შეიქმნა ქართლ-კახეთის სამეფოს შემდგომი დაპყრობისათვის.

1783 წ-ის ტრაქტატი გახლდათ „მეგობრული ხელშეკრულება კავშირისა და მფარველობის შესახებ. ქართლ-კახეთის სამეფო ტრაქტატის პირობით სუვერენული, მაგრამ დამოკიდებული ხდებოდა“ **(202,31).**

ერეკლე II უარს ამბობდა სუვერენულ უფლებათა ნაწილზე - საგარეო პოლიტიკის საკითხები მფარველ-მოკავშირისათვის უნდა შეეთანხმებინა, ხოლო სა-

შინაო მმართველობაში სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით მოსჩანდა ასე: რუსეთის იმპერატორისადმი ქართლ-კახეთის გვირგვინოსანთა მეფედ დამტკიცების პრეროგატივის მინიჭებით ქართველმა დიპლომატებმა დიდი შეცდომა დაუშვეს. ეს მუხლი სამომავლოდ დიდი საშიშროების შემცველი გახლდათ; ფაქტიურად, იგი ქვეყნის დამოუკიდებლობის სადავეების რუსეთის იმპერიის ხელში მოქცევას ნიშნავდა, რაც შემდეგში მშვენივრად გამოიყენა კიდეც საიმპერატორო კარმა. „ტრაქტატი, რომელიც ეკატერინე II-მ და ერეკლე II-მ დაამტკიცეს და „სეპარატული“, ანუ საიდუმლო მუხლების გარეშე გამოქვეყნდა, აღსავსეა არსებითი ხასიათის შინაგანი წინააღმდეგობებით. მართლაც, ვინაიდან, ერთი მხრივ, I მუხლის თანახმად, ქართლ-კახეთის მეფე, მისი იმპერატორული უდიდებულესობის გარდა, სხვა არავის უზენაესობას არ ცნობდა, ხოლო მესამე მუხლის თანახმად ქართველ მეფეებს ტახტზე ასვლისას სამეფო რეგალიები რუსეთის იმპერატორისგან უნდა მიეღოთ, თითქოს, ქართლ-კახეთის სამეფო გარკვეულწილად რუსეთის ვასალი ხდებოდა, მაგრამ მეორე მხრივ, რამდენადაც II მუხლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა შენარჩუნებულიყო, ხოლო VI მუხლში იმპერატორი ბაგრატიონთა დინასტიას სამეფო ტახტსა და საქართველოს სამეფოს შინაგან საქმეებში ჩაურევლობას აღუთქვამდა, საფიქრებელი იყო, რომ აქ ჩვეულებრივი მფარველობითი ტრაქტატი იგულისხმებოდა“ - მართებულად შენიშნავს ლუიჯი მაგაროტო **(127,58).**

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, თავად დოკუმენტი არ ითვალისწინებს ზუსტ და კონკრეტულ იურიდიულ იერსახეს. სწორედ ამითაა გამოწვეული ისტორიულ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობა და მრავალფეროვნება გეორგიევსკის ხელშეკრულების სტატუსის განსაზღვრის საკითხის ირგვლივ.

XIX ს-ის II ნახ-ის და XX ს-ის დამდეგის თვალსაჩინო ქართველი სამართალმცოდნე მ. ხელთუფლიშვილი მიუთითებდა, რომ აღნიშნული ხელშეკრულებით რუსეთს აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ მიენიჭა მხოლოდ მფარველობის უფლება **(200,88-89).**

ივ. ჯავახიშვილი ასევე ხაზგასმით მიუთითებდა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი იყო „მფარველობითი მოკავშირეობის ტრაქტატი“, დადებული ორ საერთაშორისო სამართალსუბიექტს შორის **(202,31-32).**

ტრაქტატს მეტად ფრთხილ შეფასებას აძლევს პროფ. ზ. ავალიშვილი, რომელიც მიუთითებს, რომ ეს ხელშეკრულება ატარებს როგორც სახელმწიფოთა სახელმწიფოებრივ, ისე პროტექტორულ ნიშნებს. ამდენად, მან აშკარად აარიდა

თავი ზუსტ სამართლებრივ ფორმულირებას. ავტორი მხოლოდ ცალკეულ ნიშნებზე საუბრობს, ეყრდნობა რა ამ ორი ცნების მთლიან, ზოგად მახასიათებლებს **(52,141-43).**

გრ. ვეშაპელი უფრო ზუსტ და კატეგორიულ დასკვნებს აკეთებს, მიუთითებს რა, რომ 1783 ხელშეკრულება ყველა იმ ძირითად მახასიათებლებს შეიცავს, რომლებიც მოცემულია პროტექტორატის ცნებაში **(95,12).**

მ. წერეთელი მიუთითებს, რომ ხსენებული ხელშეკრულების ძალით ქართლ-კახეთის სამეფო „ნახევრადსუვენერული სახელმწიფო“ გახდა.

უფრო ზუსტ ფორმულირებას იძლევა პროფ. ლუი ლე ფური, საერთაშორისო სამართლის დარგის ეს ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტი; იგი ადასტურებს, რომ სახეზე იყო შეთანხმება საერთაშორისო სამართლის ორ სუვენერულ პირს შორის „ორივე მხარე აღიარებს ურთიერთის განსაზღვრულ უფლებებს და ღებულობენ ვალდებულებებს ერთმანეთის მიმართ. ბოლოს, XII-ე მუხლი გადაჭრით აცხადებს, რომ ხელშეკრულების ყოველგვარი შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთის თანხმობით. აქედან უდავოა, რომ ჩვენ წინაშეა საერთაშორისო ხელშეკრულება, დადებული ორ სწორუფლებიან სახელმწიფოს შორის“**(126,5).** ამასთან ავტორი ადასტურებს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ამ ხელშეკრულებით დაწესდა პროტექტორატის რეჟიმი. „ამიერიდან საქართველოს საგარეო ურთიერთობა უნდა დაემორჩილოს რუსეთის კონტროლს. ეს უარის თქმა საგარეო სუვერენიტეტზე იწვევს თუ არა საქართველოს საერთაშორისო უფლების (ე.ი. საერთაშორისო სამართლის) პიროვნების ღირსების დაკარგვას? – კითხულობს ავტორი და პასუხობს არა, საქართველო სრულად არ ამბობს უარს თავის საგარეო საქმების წარმოებაზე; მის სუვერენს და ეს თვით IV მუხლიდანაც გამომდინარეობს, აქვს დამოკიდებულება უცხო სუვერენებთან. ხოლო მისი უფლებები ამიერიდან შეკვეცილია რუსეთის სასარგებლოდ. ყოველი გადაწყვეტილებისათვის, რომელიც ეხება საგარეო პოლიტიკას, საქართველოს სუვერენი მოვალეა, შეეკითხოს რუსის ჯარის უფროსს საზღვარზე ან მასთან წარმოგზავნილ მინისტრს“**(126,6).** 1783 წლის ხელშეკრულებამ სავსებით არ გააუქმა საქართველოს საერთაშორისო პიროვნება, მიუხედავად იმ დებულებაში მოთავსებული შეზღვუდვისა, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, - ამას ამტკიცებს ლეგაციის აქტიური და პასიური უფლება, რომელსაც აღიარებს საქართველოსთვის ხელშეკრულების V მუხლი. მართალია, ეს უფლება ფორმალურად მას რუსეთის მიმართ აქვს, მაგრამ, რადგან საწინააღმდეგო მუხლი არ არსებობს, უნდა ვიხელმძღვანელოთ

საზოგადო პრინციპით, რომ პროტექტორატის ხელშეკრულებათა დებულებანი შეზღუდვით უნდა იქნეს განმარტებული და ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ ხსენებული უფლება საქართველოს რჩება სხვა სახელმწიფოთა მიმართაც. მაშასადამე, 1783 წ-ის ხელშეკრულების შემდეგაც საქართველო განაგრძობს უშუალოდ საერთაშორისო უფლების სარგებლობას, მას შერჩა სახელმწიფოს ხასიათი საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით **(126,6-7).**

ამასთან ლ. ფური ხაზგასმით მიუთითებს რუსეთის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, რომელთა განხილვის შემდეგ იგი დაასკვნის: „ამ დებულებათაგან ის გამომდინარეობს რომ ჩვენს წინაშეა საერთაშორისო შეთანხმება ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის დადებული... მაგრამ 1783 წლის ხელშეკრულება მეტია, ვიდრე პროტექტორატის ხელშეკრულება. ის, ამავე დროს, კავშირისა და მეგობრობის ხელშეკრულებაა, რომელიც აწესებს არბიტრაჟს იმ შემთხვევისათვის, თუ მხარეთა შორის რაიმე უთანხმოება ჩამოვარდა. ასეთი დებულებანი საზოგადოდ შესაძლებელია მარტო იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან და სარგებლობენ თავის სუვერენობით“ **(126,9).**

ტრაქტატის იურიდიული შეფასება მოცემული აქვს ლ. მაგაროტოს. იგი სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ 1783 წლის ხელშეკრულებით საქართველოს არასოდეს უთქვამს უარი თავის სუვერენიტეტსა და, შესაბამისად, დამოუკიდებლობის უფლებაზე. ტრაქტატი XVIII ს-ის II ნახევარში მოქმედი სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად არის შედგენილი, და ძლიერი სახელმწიფოს მიერ სუსტი ქვეყნის მფარველობის პირობებს გულისხმობს: „XVIII ს-ის II ნახევარში მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე ხსენებულ ტრაქტატს შეგვიძლია მივუსადაგოთ ემერ დე ვატელის მიერ 1758 წ-ს გამოქვეყნებულ ნაშრომში: „ხალხთა სამართალი“ – მფარველობის ტრაქტატებისადმი მიძღვნილი შემდეგი დებულება: ამგვარად, სუსტი სახელმწიფო, რომელიც თავისი უსაფრთხოების მიზნით უფრო ძლიერი სახელმწიფოს მფარველობაში შედის და მადლიერების ნიშნად მფარველობის შესაბამის ვალდებულებას კისრულობს ისე, რომ ინარჩუნებს თავის ხელისუფლებასა და სუვერენიტეტს; ეს სახელმწიფო... რჩება სუვერენულ სახელმწიფოდ, რომელიც ხალხთა სამართლის გარდა, სხვა სამართალს არ ცნობს **(127,58-59).** ლ. მაგაროტოც, სხვა მეცნიერთა: ლე ფური, ნიპოლდი, ალენი, ლანგი, მსგავსად თვლის, რომ ქართლ-კახეთის სამეფომ სუვერენიტეტი მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში დათმო, ხოლო საშინაო პოლიტიკაში დაიტოვა და „ამგვარად,

ვატელის პრინციპების მიხედვით, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი სტატუსი შეინარჩუნა“(127,60).

1783 წლის დოკუმენტს ახლებურ ჟღერადობას სძენს პროფ. ი. ტაბაღუას მიერ გამოქვეყნებული მასალები. მის ნაშრომში, ჟენევის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორის პოლ მორიოს „შესავალსა“ და ა. ოქუმელის „კომენტარებში“ დასაბუთებულია, რომ ტრაქტატი დადებულია ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის, არის მფარველობითი; ქართლ-კახეთის სამეფოს უნარჩუნებს სუვერენულ უფლებებს; მისი ვადა განსაზღვრული არ არის, მაგრამ ხელმომწერ მხარეებს ერთობლივი თანხმობით შეუძლიათ მასში ცვლილებების შეტანა. სახელმწიფოებს შორის გათვალისწინებულია დიპლომატიური მისიების გაცვლა. აღნიშნულია, რომ რუსეთმა რამდენიმე გზის დაარღვია ეს ხელშეკრულება, მოახდინა საქართველოს ანექსია, შელახა სუვერენული სახელმწიფოს უფლებები, რეალურად თავს მოახვია საკუთარი ინტერესები (163,257-269).

როგორც ვხედავთ, ერთი აზრი და ზუსტი იურიდიული განსაზღვრულობა გეორგიევსკის ხელშეკრულებისა არ არსებობს. გაბატონებული თვალსაზრისით, ქართლ-კახეთის სამეფო სუვერენული სახელმწიფოს უფლებებს ინარჩუნებდა. ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნება ტერმინ „შეზღუდული სუვერენიტეტის“ გამოყენება.

თანახმად ხელშეკრულებისა, 1783 წ-ის ოქტომბერში საქართველოში შემოვიდა 2 ბატალიონი რუსის ჯარი, მაგრამ იმპერიის დიდ გეგმებში ჩათრეული ქართლ-კახეთის მეფის მცდელობას, თვითმპყრობელობის დახმარებით შეეზღუდა მაჰმადიანი მეზობლის ირან-ოსმალეთის აგრესია, განხორციელება არ ეწერა. „საქართველოს „გაერთიანება-გაძლიერებისა“ თუ „განთავისუფლების“ ე. წ. გეგმები ...არსებითად იმპერიის საზღვრებისა და გავლენის გაფართოებას გულისხმობდა. ეს იყო მეფის რუსეთის დიპლომატიის ბრძოლა საქართველოს „მშვიდობიანი“ გზით მითვისებისათვის“ (87,245).

§3. ტრაქტატის შედეგები

გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით რუსეთი აშკარად ჩაერია ამიერკავკასიის საქმეებში, რითაც თურქეთის და ირანის ტრადიციულ უპირატესობას დაუპირისპირდა. ამ მოვლენებმა უკიდურესად გაამწვავეს ქართულ სამეფო-სამთავროთა ურთიერთობა ირან-ოსმალეთთან.

გეორგიევსკის ტრაქტატის საბოლოო გაფორმებამ შეაშფოთა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები. ეს აქტი განიხილებოდა, როგორც რუსეთის ტრიუმფალური წინსვლა აღმოსავლეთში. ტრაქტატმა ასეთივე გამოძახილი ჰპოვა თურქეთის, ირანისა და საქართველოს სხვა მეზობელ მაჰმადიან მფლობელებშიც. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ახლო მომავალში რუსეთი, საქართველოზე დაყრდნობით, აქტიურ მოქმედებას დაიწყებდა ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ. „რუსეთის იმპერიისთვის 1783 წლის ხელშეკრულება იყო დიდი დიპლომატიური გამარჯვება, რადგან საშუალებას აძლევდა „ფეხი მოეკიდებინა“ ამიერკავკასიაში და ქართლ-კახეთზე დაყრდნობით განემტკიცებინა იმპერიის გავლენა. სწორედ ასე შეაფასეს ეს აქტი ევროპამ და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმა, განსაკუთრებით თურქეთმა და სწორედ ამიტომ გამოიწვია ამ აქტმა აქტიური წინააღმდეგობა. ეკატერინე II ეხებოდა რა დასავლეთის გამოხმაურებას 1783 წლის აქტზე, თავად გრ. პოტიომკინს წერდა: „на зависть Европы я весьма спокойно смотрю – пусть болагурят, а мы дело делаем“ **(53,193).**

ყველაზე მწვავედ 1783 წ-ის გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება, მაინც ახალციხელმა სულეიმან-ფაშამ აღიქვა. მან კარგად იცოდა, რა გეგმებს ისახავდნენ ქართველი მეფეები სამცხე-საათაბაგოს მიმართ. ტრაქტატით საქართველოში რუსეთის დამხმარე კორპუსის მოსვლის მნიშვნელობა მას სხვანაირად არც შეეძლო გაეგო, თუ არა საქართველოს ისტორიულ საზღვრებში აღდგენის საწინდარი და დასაწყისი. ამიტომ, როგორც კი დარიალის ხეობაში რუსეთის დამხმარე რაზმის გამოჩენის ამბავი გაიგო, მაშინვე კონსტანტინოპოლს მალემსრბოლი აფრინა და მაშველი ჯარი ითხოვა.

თურქეთმა აგენტები დაგზავნა ამიერკავკასიასა და აზერბაიჯანში, ხოლო სულეიმან-ფაშას სამოქმედოდ საგანგებო ინსტრუქცია გამოუგზავნეს. ახალციხის საფაშო საქართველოს წინააღმდეგ თურქთა მოქმედების მთავარ კერად იქცა. „სულთანი ამიერკავკასიის მაჰმადიან მმართველებს გაერთიანებისა და ქმედითი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდებდა: „რომელნიც სჯულით ერთი

ძმანი ხართ ერთად უნდა შეერთდეთო... ხაზინა ჩვენი დაიხარჯოსო. საქართველოზედ უნდა მიხვიდეთ ისინიც გააფუჭოთ და იმათი განზრახვაც უნდა მოშალოთო“ **(2,41).** მართლაც, სულთნის კარი ყველა ზომას მიმართავდა, რათა ერეკლეს რუსეთთან კავშირი მოეშალა. ასე მაგალითად, 1786 წ-ის 19 თებერვალს სულეიმან ფაშამ სულთნისგან 44 ათასი მანეთი მიიღო, რათა დაერიგებინა აზერბაიჯანის ხანებისა და დაღესტანელი მფლობელებისათვის, საქართველოზე სათარეშოდ **(124,64).** ახალციხის ფაშის ინიციატივით და თურქეთის ფინანსური და მორალური დახმარებით შუშის, შაქის, ყარაბაღის, ბაქოსა და სხვა მაჰმადიანმა ხანებმა ურთიერთსაიდუმლო შეთანხმება დადეს, რათა ერთობლივად ებრძოლათ რუსეთის წინააღმდეგ **(99,91).**

1783 წ-ს ტრაქტატის ხელმოწერამ ქართლ-კახეთის სამეფოსადმი და პირადად ერეკლე II-სადმი სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია ბაგრატიონთა სამეფო კარის მანამდე ერთგულ ხალხებში. ჩრდილო კავკასიელი ლიდერები, ისევე, როგორც ამიერკავკასიელი მაჰმადიანი მმართველები ერეკლესაგან, ტრაქტატის ანულირებას მოითხოვდნენ, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს გამგებელი არ ღალატობდა თავის პრორუსულ პოლიტიკურ კურსს; 1785 წ-ს შეიხ მანსურის მითითებით ქართლში შემოვიდნენ ლეკები ომარ-ხანის მეთაურობით. მან ერეკლეს ამგვარი მიმართვა გაუგზავნა: შენ ჩვენ არ გაგვიწიე ნამდვილი მამობა და მეც შვილობა არ მოვისურვე, ხოლო თუ შეცვლი შენს გადაწყვეტილებას, მთელს დაღესტანს დაგიმორჩილებ. მაგრამ ქართლ-კახეთის მეფე არ აპირებდა თავის განზრახვაზე ხელის აღებას. ლეკებმა, რომელნიც ოსმალეთთან ერთად მოქმედებდნენ, ლაშქრობით უპასუხეს ერეკლეს. საზოგადოდ, „მას შემდეგ, რაც რუსეთი კავკასიას გაუმეზობლდა და დაღესტანს ჩრდილოეთით სარბიელი გადაეკეტა, მისი „ენერგია“ მთლიანად სამხრეთისაკენ წარიმართა“ **(54,6).**

ირანში ერთმმართველობა არ იყო და გაერთიანებული ძალებით რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა არ ხერხდებოდა. მისი სისუსტე აფიქრებინებდა რუსეთს ირანის სამფლობელოებზე გალაშქრებას. რუსეთის ჯარის ნაწილები აზერბაიჯანისაკენ (ყიზლარიდან დარუბანდის მიმართულებით) სალაშქროდ გაემზადა. გასაზღვრული იყო კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროების გილანამდე დაკავება. რუსეთის მეორე კორპუსს საქართველოს ლაშქართან ერთად ხელთ უნდა ეგდო ყარაბაღი და „აღდგენილიყო“ სომხეთისა და ალბანეთის სახელმწიფოები. ამასობაში ირანში ტახტისთვის ბრძოლა დასასრულს მიუახლოვდა, საფრანგეთიც აქტიურად ამოქმედდა. ამან რუსეთს ისპაჰანში საქმე გაურთულა **(99,134).**

საფრანგეთისა და ინგლისის დიპლომატიური წრეები განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდნენ თურქეთის მდგომარეობას. მათ კარგად ესმოდათ, რომ რუსეთ-ავსტრიის კავშირი, ყირიმის შეერთება რუსეთთან და ყუბანსა და ამიერკავკასიაში დასაყრდენის შექმნა, თურქეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ფრანგი სამხედრო სპეციალისტები თურქეთს შველოდნენ შავი ზღვის სანაპიროების გამაგრებაში, რუსეთის საზღვრებთან ციხე-სიმაგრეების აგებაში და ა.შ. საფრანგეთისაგან წათამამებული თურქეთი დიდ თანხებს აბანდებდა რუსეთის წინააღმდეგ კავკასიის მაჰმადიანური სამფლობელოების ასამხედრებლად.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთში 1784 წლის მანძილზე ოსმალეთის უმთავრესი საზრუნავი საქართველოს საკითხი იყო. ერეკლეს რუსეთთან დაკავშირებამ ქართლ-კახეთსა და ახალციხის საფაშოს შორის ფაქტიური (თუმც არაოფიციალური) ომი გამოიწვია. ოსმალეთი განსაკუთრებულ ზომებს იღებდა საქართველოს საკითხის თავის სასარგებლოდ მოსაგვარებლად.

მართალია, ტრაქტატის დადების შემდგომ მთელი ძალით გაიშალა დიპლომატიური ბრძოლა რუსეთისაგან სამხედრო დახმარების მისაღებად, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ერეკლეს ელჩი გარსევან ჭავჭავაძე ენერგიულად შეუდგა თავისი მისიის შესრულებას. მან პ. პოტიომკინს რუსეთში მეფე ერეკლეს სახელით წერილი მიართვა ახალციხის ფაშის მტრული მოქმედების ალაგმვის თხოვნით 1784 წ-ის ივნისში. რუსეთს თურქეთთან ამ დროს ზავი ჰქონდა დადებული და ეს წარდგინება პოტიომკინს არ მიუღია – გარსევანისთვის ურჩევია გრ. პოტიომკინისათვის გადაეცა იგი.

საქართველოს შესვლამ რუსეთის მფარველობაში და რუსის ჯარის მოსვლამ აღმოსავლეთ საქართველოში უკიდურესად ააფორიაქა მაჰმადიანი ერები. თურქეთმა მთელი კავკასიის მაჰმადიანობა დააყენა ფეხზე. აღნიშნულმა ფაქტმა განსაკუთრებით ამიერკავკასიის ხანები შეაშინა. „მათ საღი ალღოთი იგრძნეს, რომ საქმე მარტო საქართველოს მფარველობით არ გათავდებოდა და ამას აუცილებლად მოჰყვებოდა მათი „დაპყრობა ძალითა როსიის მხედრობისათა“**(202,33).** ამიტომ აზერბაიჯანის ხანებმა, ასევე ახალციხის ფაშამ, რომლებსაც ადრე კარგი ურთიერთობა ჰქონდათ მეფე ერეკლესთან, რუსეთთან დადებული ტრაქტატის გამო მტრული საქმიანობა გააჩაღეს. ოსმალეთმა საქართველოს წინააღმდეგ დაღესტანი აამხედრა. სულეიმან ფაშას მოწოდებით 1785 წ-ის ოქტომბერში დაღესტნელი ომარ-ხანი 20.000-იანი ლაშქრით კახეთს შეესია. აღნიშნული მიზეზით ერეკლეს გადაუდგა ყმადნაფიცი შუშის ხანი, ხოლო ამ უკანასკნელის წაქეზე-

ბით, იმავე მიზეზით ერეკლეს აუმხედრდნენ და მტრობა გააჩაღეს საქართველოს წინააღმდეგ განჯის, ყაზახის, შამშადილისა და შამქორის მბრძანებლებმა. „ამისთანა განსაცდელში საქართველო არ ყოფილაო“ – აღნიშნავდა საქართველოს ელჩი რუსეთში გ. ჭავჭავაძე და სთხოვდა იმპერატორს სამხედრო დახმარებას. მაგრამ ერეკლე II-ს რუსეთი ცრუ დაპირებებით კვებავდა და თავის ვალდებულებებს არ ასრულებდა. კრწანისის ტრაგედიაც გეორგიევსკის ტრაქტატის პირდაპირი შედეგი იყო. ტრაქტატის დადების შემდეგ მტრები „წინანდებურზე უფრო მძვინვარედ თარეშობდნენ საქართველოში. ოფიციალური ცნობებით, საქართველოში 1783 წ-დან დაწყებული 1801 წ-მდე, მცხოვრებთა რიცხვი განახევრდა,* რაც საუკუნობით ვერ შესძლეს მუსლიმანობის სახელით სპარსეთმა და ოსმალეთმა, ის დაასრულა რუსის მხედრობამ ქრისტიანობის სახელით: მოისპო მთლად ერთიანად საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება“ **(149,14).**

რუსეთის მოჩვენებითობამ, საფიქრებელია, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ერთგვარი ილუზიები შექმნა, რომ რუსეთის სამეფო კარი ტრაქტატით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რაიმე გართულებების, ყოველ მიზეზ გარეშე განახორციელებდა და საქართველო ბოლოს და ბოლოს ნანატრ მშვიდობას მოიპოვებდა. ასეთ მოსაზრებას ადასტურებს პეტერბურგიდან გარსევანის მიერ საქართველოში არქიმანდრიტ გაიოზისადმი გამოგზავნილი წერილი 1785 წ-ის ივნისში: „ასე მგონია, აქაური ან მანდაური, რჩევაც სხვა და სხვა იყოს. ამით ვიცი, რომ მანდ რომ ვიყავ, სხვა რიგად ვხედავდი და ახლა სხვა რიგად ვხედავ“ **(1.10,I,№2874).**

ლეკთა თარეშის ასალაგმავად მრავალი მოთხოვნა იქნა წარდგენილი გარსევანის მიერ. 1785 წ-ის ივნისის მოხსენებითი ბარათი, 1785 წ-ის 29 აგვისტოს მოხსენებითი ბარათი გრ. პოტიომკინისადმი. ამ უკანასკნელში ელჩი აუწყებდა რუსეთის წარმომადგენელს იმ ზარალის შესახებ, რაც ქართლ-კახეთის სამეფომ რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესვლის შედეგად განიცადა. გარსევანმა საქართველოს ეს ზარალი 6 მუხლში ჩამოაყალიბა. იგი ითხოვს ჯარს და ჭარზე გალაშქრებას **(183,244-246).**

**** შენიშვნა:*** *თუმცა ეს მონაცემები რამდენადმე გაზვიადებული ჩანს. მართალია, საგრძნობლად იკლო მოსახლეობის რიცხოვნობამ, მაგრამ არც ისე რომ განახევრებულიყო. მაგ-თად, თბილისი, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა 1795 წ-ს, თუ XVIII ს-ის 80-იან წლებში 20.857 სულ მოსახლეს ითვლიდა, 1809 წ-ის მაჩვენებლით 18.000 სულს შეადგენდა. ხოლო მთლიანად ქართლ-კახეთის მოსახლეობა საუკუნის ბოლოს 350.000-400.000 სულს აღწევდა.*

მაგრამ წერილები უპასუხოდ დარჩა. როცა ელჩისათვის ნათელი გახდა, რუსეთის მთავრობა ჯარით ვერ დაეხმარებოდა, ფინანსური დახმარება მოუთხოვია გრ. პოტიომკინისათვის 1785 წ-ის 15 ოქტომბრის მოხსენებით ბარათში. ქართველმა ელჩმა კარგად იცოდა, რომ თურქეთი რუსეთთან ზავის დარღვევის შიშით ერიდებოდა საქართველოზე დიდი ლაშქრით ბრძოლას, მაგრამ ფარულად, ხაზინით ეხმარებოდა დაღესტნელებსა და ახალციხელებს: „...არიან დაღესტნის ხალხი მოსყიდული თეთრითა თურქთათა და ამით ძლით აწუხებენ საქართველოს ორსავე მხრიდამ ახალციხისა და დაღესტნიდამ. ამ ორ მხარეს ამათი თეთრი მუშაობს“ **(183,247).** რახან ასეაო, გარსევანი იდეას აყენებს ფულით ლეკები მოისყიდონ. პოტიომკინს მოახსენებდა, ფულით ლეკებს ერეკლე უფრო იშოვის, ვინაიდან ლეკებს თავიანთ სახლებისაკენ წასასვლელი გზა მშვიდობიანი ექნებათო. ერეკლე შეძლებს ლეკები და ახალციხელები ერთმანეთს დაუპირისპიროს და რითაც არ უნდა დამთავრდეს მათი შეტაკება /ლეკთა გამარჯვებით თუ ახალციხელთა დამარცხებით/მოგებული მაინც საქართველო დარჩება და „ორივ მხრივ მტერს ძალი მოაკლდება“**(183,247).** ფინანსურ დახმარებას გარსევანი ჯარის დახმარების თანაბრად თვლიდა, რომლითაც ერეკლე შეძლებდა ჯარის დაქირავებას და ლეკების თურქთაგან განშორებას, მაგრამ საქართველომ ვერც ფინანსური დახმარება მიიღო. ამის მიუხედავად, ელჩმა 15 ნოემბერს ჯარით და ფულით დახმარება ისევ ითხოვა. იგი დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოს ტრაქტატის ძალით არც სამხედრო, არც ფულადი დახმარება გაეწია, არც ერეკლე II-ის წინადადება იქნა მიღებული ჭარ-ბელაქანზე ლაშქრობის შესახებ **(183,-249-51).** დასასრულს გარსევანი აუწყებდა პოტიომკინს: „თუმცა მამული ჩვენი სიმგრგულივ მტრის პირში ყოფილა და ყოველთვის ბრძოლა არ დაუკლიათ საქართველოზედ, ოღონდ ამისთანა გაჭირვება არა დროს არ მიუღიათ რომ შეთქმულობით უმტეროსთ, როგორც ახლა ოთხსავ მხარეს მტრობენ“ **(183,252).** ელჩი იქვე დანანებით დასძენდა, რომ ასეთ განსაცდელში საქართველო არ ყოფილა ერეკლე II-ის მამის, თეიმურაზის, გამეფებიდან ვიდრე ამ ჟამამდეო.

რუსეთის მთავრობა კვლავ პასიური რჩებოდა. საერთაშორისო სიტუაციის მომიზეზებით რუსეთი თავს იკატუნებდა. ის ხომ მაინც შეიძლებოდა ფულით ჩუმად დახმარებოდა თავის ხელდებულს! მაგრამ მის მიზანს არც შეადგენდა ტრაქტატით გათვალისწინებული დახმარება. ამის დასტურია კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი – იმ დროს, როცა განსაცდელში ჩავარდნილი ერეკლე სამხედრო და ფინანსურ დახმარებას ითხოვდა, რუსეთის მთავრობას მოკავშირის დასახმარებ-

ლად არც ჯარი და არც თანხა არ აღმოაჩნდა, სამაგიეროდ იგი უხვად ურიგებდა ფულად ჯილდოებს საქართველოს მტრებს. „1786 წ-ის ბოლოს, ომარ-ხანის თავდასხმიდან ერთი წლის შემდეგ, რუსეთის სამეფო კარმა ავარიის ხანის წარმომადგენელი დიდი პატივით მიიღო და 10.000 მანეთი ფულით, ეტლითა და 6 ცხენით დაასაჩუქრა“(D1:126). ამის თაობაზე განაწყენებული ფათალი-ხანი აღნიშნავდა: ნუთუ კარგი მიღება ავარიის ხანის წარმომადგენელს იმიტომ მოუწყვეს, რომ მან საქართველო დაანგრია და ტყვეები წაიყვანა? მის წარმომადგენელს რუსეთის მთავრობამ მხოლოდ 5000 მან. გადასცა (D1:126). ხოლო რაც შეეხება თავის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთის სამეფოსადმი „დახმარებას“, რუსეთის მთავრობა დამაიმედებელი წერილების წერით ამოიწურა. გაოგნებული ერეკლე თავის ელჩს ეკითხება, რა უნდა მოიმოქმედოს, რომ რუსეთის მთავრობის სრული ნდობა მოიპოვოს და მათგან სამხედრო და ფინანსური დახმარება მიიღოს. გარსევანი საიდუმლო წერილებში რჩევას აძლევდა ერეკლეს. ზოგ შემთხვევებზე კი ელჩი რჩევისა და მითითებებისაგან თავს იკავებდა.

1785 წ-ის 5 დეკემბრის საიდუმლო წერილში გარსევანი ერეკლეს ურჩევდა: „ჩემი რჩევაა, სამფლობელო მიართვათ იმისათვის, რომ უახლოეს ხანებში ჩვენს საქმეს სარგებლით გამოადგეს“ (187,93). გარსევანს უნდოდა, რომ გ. პოტიომკინი ერეკლეს თავის ვასალად გადაექცია, მიეცა რა მისთვის მთიანი ადგილები დარიალიდან ანანურამდე. მისი აზრით ეს ღონისძიება ოსებსაც მშვიდობიანსა და გამგონეს გახდიდა, ანანური ევროპულ ქალაქად გადაიქცეოდა. იქ აშენდებოდა ფაბრიკები, მომრავლდებოდნენ ვაჭრები, მხატვრები, ხოლო საქართველო-რუსეთის გზა (დარიალის გზა) საიმედო გახდებოდა (187,93-4). უნდა ითქვას, რომ ეს ძალზედ სარისკო საქმე იყო. თავად გარსევანიც ამ აზრის სისწორეს ეჭვობდა და დამატებით განსჯას მეფეს სთხოვდა. საეჭვოა, რომ ეს მთლად გარსევანის იდეა ყოფილიყო. საფიქრებელია, ის რუს მოხელეთაგან (გ. პოტიომკინი) მომდინარეობდა, რომლებიც ეძებდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს სტრატეგიული გზის ხელში ჩაგდების დიპლომატიურ საშუალებებს. ნ. დუბროვინი თვლის, რომ ელჩი მეფეს ატყუებდა ამ გეგმით (21,II,151), მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს რუსეთის მთავრობის მოგონილი, მორიგი ხრიკი უნდა ყოფილიყო. გარსევანი წერს, ისე უნდა გაფორმდეს მამულების გადაცემა, რომ ეს სამფლობელოები თქვენ სამეფოში შედიოდესო. „და ეს მიართვი მათ დიდ ადამიანს მფლობელობაში მეგობრულად“ (187,94). ამაში არაფერი არაა აღსაშფოთებელი, წერდა მეფეს. „საერთოდ თქვენი სამფლობელოები, რაც თქვენ გქონდათ მის იმპერატორობით უმაღ-

ლესობას მიართვით“ **(187,94).** რადგან ასეა, მაშასადამე მოიფიქრეთ: „თქვენთვის რა სიძნელეს წარმოადგენს ასეთი მცირედი მსხვერპლიო“**(187,95).** თუმცა ძნელი და მძიმეა ეს წარდგინება, მაგრამ განუკურნებელ ავადმყოფობას საჭიროა წამალი დავადოთ. „საქმე იმაშია, რომ ან პირდაპირ უნდა მივანდოთ მათ ჩვენი სამშობლო, სამაგიეროდ კი მათ უნდა გვიბოძონ მფარველობა, მეგობრობა და ნდობა; უკეთუ არა, მაშინ სხვაგან ვეძიოთ დახმარება, რაც ხელს შეუწყობს მდგომარეობის გაუმჯობესებას. სხვანაირად ჩვენთვის ძნელია მივაღწიოთ კეთილდღეობასო“ **(187,95).** თუ ეს შესრულდა /პოტიომკინისთვის მამულების გადაცემა/, მაშინ საქართველოში აქაური წესრიგი დამყარდება და „მალე თქვენ დაინახავთ თქვენ სამშობლოში ან თქვენ სამეფოში პატარა რუსეთსო“ **(187,95).**

ეს ყველაფერი რუსეთის მთავრობის სატყუარას ჰგავს, რომელსაც გარსევანის თქმით, მეფე უნდა დაყაბულებოდა, რადგან სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. რა თქმა უნდა სჯობია აღება, ვიდრე გაცემა – აგრძელებს გარსევანი: „მაგრამ ჩვენთვის და მომავალი დროისათვის აუცილებელია და უკეთესი საკუთარი აზრის წამოყენება... შესაძლებელია დრო სხვანაირად განსჯის მას“ **(187,95).**

დარიალის სამხედრო გზის სტრატეგიული მნიშვნელობა კარგად არის ჩამოყალიბებული რუსი მეცნიერის მუსინ-პუშკინის მოხსენებაში. იმოგზაურა რა საქართველოში, მან კარგად „გააცნობიერა“ ამ გზის მნიშვნელობა საქართველოს შეერთების, უფრო ზუსტად დაპყრობის საქმეში. მოგზაურობის შედეგად გრაფმა იმპერატორს წარუდგინა მოხსენება „О удобностях и выгодах присоединения, при теперешних обстоятельствах Грузии к держав Российской“.

გრაფი ლაპარაკობს მიწის ნაყოფიერების, წიაღისეულის, ბუნებრივი პირობების შესახებ, მაგრამ უფრო მეტი ყურადღება ამ ჩანაწერებში დათმობილი აქვს საქართველოს მნიშვნელობას რუსეთისათვის, სამხედრო პოლიტიკური თვალსაზრისით. კერძოდ, ხაზგასმულია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებას მოჰყვება მთიელების ალაგმვა და კავკასიის ხაზის უშიშროების უზრუნველყოფა, გაფართოვდება ვაჭრობა სპარსეთთან და შორეულ ინდოეთთანაც კი. საქართველო იქნება უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი ირანთან ან თურქეთთან ომის შემთხვევაში. აქვე აღნიშნავს, რომ ქართლ-კახეთის შეერთების შემდეგ, იმერეთიც არ დააყოვნებს რუსეთთან შეერთებას, მით უფრო, რომ მოსახლეობასაც რუსეთის დიდი იმედი აქვს. ასე, რომ ასეთ ვითარებაში მთელი საქართველოს შეერთებაც არ იქნება რთული. საქართველოს შეერთების საქმეში მეცნიერი დიდ

მნიშვნელობას ანიჭებდა დარიალის გზას და საერთოდ, არაგვის ხეობას. მისი აზრით ამ საკომუნიკაციო საშუალების უზრუნველსაყოფად საჭირო იქნებოდა მისი იმჟამინდელი მფლობელის ვახტანგ ერეკლეს ძის მიმხრობა, რომელიც არც ისე ძნელი იქნებოდა, თუკი მას მოისყიდდნენ ორდენებითა და ტიტულებით. ეს ჩანაწერები 1801 წ-ის დასაწყისში წარუდგინეს პავლე I-ს, შემდეგ კი იგი ფიგურირებდა სახელმწიფო საბჭოში, როცა იქ იხილებოდა და წყდებოდა საკითხი საქართველოს შეერთების შესახებ **(20,164-65).**

ნუთუ საიმპერატორო კარზე მყოფმა გარსევანმა ვერ ამოიცნო მტაცებელ იმპერიალისტთა ნამდვილი ზრახვანი? ნუთუ იგი ვერ ჩაწვდა მათი პოლიტიკის არსს, რომ ეს იყო რუსეთის დიპლომატიის ბრძოლა მშვიდობიანი გზით მიეთვისებინა ქართლ-კახეთი, რაც უფრო მეტ ზომიერებასა და სიფრთხილეს მოითხოვდა ქართველ პოლიტიკოსთაგან. როგორც ჩანს, მან, მართლაც, სხვანაირად დაინახა დიდი პოლიტიკის გადასახედიდან საკუთარი ქვეყნის ბედი, მიხვდა, რომ თავს ზევით ძალა არ იყო – პატარა სამეფოს წინ მადაგაღვიძებული „ორთავიანი არწივი“ იდგა. ასეთ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ქართული დიპლომატია ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებდა.

მეოთხე საიდუმლო წერილში (1785 წ-ის დეკემბერი) გარსევანი იუწყება, რომ ჭორად გაუგია, ვითომ გ. პოტიომკინს სურს ერეკლეს სიძე გახდეს – ანასტასიაზე იქორწინოს, თან აფრთხილებდა მეფეს: შეინახე ეს საიდუმლოდ არავინ გაიგოს, რადგან ჩემთვისაც საშიშია და შენთვისაც (თუმცა საიდუმლო წერილების დედანი მაინც ჩაუვარდა ხელში ცარიზმის დაზვერვას), თუნდაც იმიტომ, რომ „მე ამის შესახებ სწორად არ ვიცი“ **(187,99-100).** „თუ ეს საქმე მოხდა, შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვეყნის სასარგებლოდ და თუ არ მოხდა, ამ შემთხვევაშიც თქვენ არაფერს არ კარგავთო“ **(187,100).**

ეს იმ დიპლომატიური ბრძოლის გაგრძელებაა, რომელიც პოტიომკინმა ტრაქტატის დადებიდან სულ მალე, 1784 წ-ს წამოიწყო, როცა იგი ერეკლეს ეწვია და აშკარად მოსთხოვა საქართველოს მართვა-გამგეობის რუსეთზე გადაცემა: „1784 წლის 19 სექტემბერს გენერალ-პორუჩიკი პოტიომკინი მოვიდა საქართველოში თან მოჰყვა გენერალ-მაიორი სამოილოვი. პოტიომკინი ურჩევდა ერეკლეს – მართვა-გამგეობა ჩვენ, რუსებს გადმოგვეციო, ქართლის შემოსავალი ჯამაგირად გქონდეს და კახეთი შენი იყოს საკუთრადო. ერეკლემ უპასუხოდ გაისტუმრა. პოტიომკინი ლინიაზე დაბრუნდა **(30,30;39,156).** ყოველივე აქედან აშკარად

ჩანს რაოდენ ჩქარობს რუსული იმპერიალიზმი საქართველოს დაპყრობის საქმეს. კიდევ ერთხელ ნათლად იკვეთება ტრაქტატით გაფორმებული „მუდმივი მფარველობის“ რეალური არსი.

გარსევანისთვის ნათელი გახდა, რომ რუსეთიდან დახმარება იგვიანებდა და 1786 წ-ის 10 იანვრის წერილით გრ. პოტიომკინს სამშობლოში დაბრუნება სთხოვა. ასეთი ნაბიჯით ელჩს გარკვეული ზეგავლენის მოხდენაც სურდა. მას პასუხი არ მისცეს. 16 თებერვალს ისევ ითხოვა სამშობლოში დაბრუნების ნებართვა. ელჩის თხოვნა ისევ უპასუხოდ დარჩა. იმავე წლის 22 სექტემბერს უკვე ერეკლე მეფემ მოითხოვა ელჩის გამომგზავრება, თუმცა არც ამ წერილს მოჰყოლია შედეგი. ქართლ-კახეთში საგარეო ორიენტაციის გადასინჯვის საკითხი დადგა და ერეკლეს სურდა რეზიდენტის გაწვევა მეზობლებთან ურთიერთობის საკითხში შებოჭილი რომ არ ყოფილიყო – მოსალოდნელი იყო რუსეთ-თურქეთის ომი. თანაც, ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებები „რუსეთის მხრით არ ყოფილა დაცული და ფარატინა ქაღალდად დარჩა“ **(196,13).** როგორც ჩანს, რუსეთის დიპლომატიას არ სურდა, ქართველებს ორიენტაციის გადასინჯვაზე ეფიქრათ და განზრახ აგვიანებდნენ ელჩის დაბრუნების საქმეს. მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1788 წ-ის ზაფხულში დაბრუნდა სამშობლოში გარსევანი.

კრიტიკულ მდგომარეობაში ქართლ-კახეთის სამეფომ მეზობლებთან ლოიალურ ურთიერთობაზე აიღო გეზი. 1786 წ-ის ზაფხულის მიწურულს ერეკლე II ახალციხის საფაშოსთან „მეგობრული“ ურთიერთობის გზას დაადგა და სამშვიდობო ხელშეკრულება დადო, თუმცა იგი შემდეგ რუსეთის მთავრობასთან შეათანხმა. გარსევანმა ეს შეთანხმება – ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის წერილის პირი /1785 წ-ის 15 სექტემბრის/ თურქეთის ვეზირისადმი, ახალციხელ სულეიმან-ფაშასა და ერეკლე II-ეს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე ერეკლე II-ისა და ახალციხელ სულეიმან-ფაშას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების პირი **(183,254-57)** რუსეთის მთავრობას წარუდგინა პეტერბურგში.

„1783 წ-ის ხელშეკრულების წყალობით საქართველო გაძლიერებისა და გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფის მაგიერ სამის მხრით მტრებით შემორტყმული გახდა და განუწყვეტლივ საომარ განწყობილებაში ჩავარდა იმ თავის მეზობლებთანაც, რომელნიც წინათ მისი ერთგული მოკავშირენი იყვნენ“ **(203,80).**

ამ გაჭირვების ჟამს რუსის ჯარის უფროსს ბურნაშევს ფედმარშალ პოტიომკინისაგან ბრძანება მოუვიდა რუსეთში დაბრუნების შესახებ და იგიც ერეკლეს მრავალი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად თავისი ჯარით 1787 წ-ს საქართვე-

ლოდან წავიდა. რუსეთის მთავრობამ ერეკლეს ნება დართო მეზობლებთან ურთიერთობა თვითონ მოეგვარებინა. ამით გეორგიევსკის ტრაქტატის მოქმედება ფაქტობრივად შეწყდა, თუმცა იგი არცერთ მხარეს არ გაუუქმებია.

1787 წ-ს დაწყებულ რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის სარდლობის გეგმა კავკასიის მხრიდან ბრძოლას არ ითვალისწინებდა, ამიტომაც იქნა გაყვანილი ჯერ ისედაც მცირერიცხოვანი ჯარის ნაწილი საქართველოდან. ომის დაწყების მიზეზად თურქი ისტორიკოსი ჯევდეთ ფაშა პირდაპირ საქართველოს საკითხს ასახელებს **(19,390)**. ჯერ კიდევ ადრე, სანამ რუსის ჯარი საქართველოს დატოვებდა, „ოსმალეთმა ახალციხის ფაშის პირით ერეკლე მეფეს შემოუთვალა, რომ ოღონდ ის რუსეთს ჩამოშორებოდა და რუსის ჯარი საქართველოდან გაესტუმრებინა, და არამც თუ წინანდელი კეთილმეზობლური დამოკიდებულება საქართველოსთან აღდგენილი იქნებოდა, არამედ გაცილებით უფრო მეტს სარგებლობასაც პირდებოდა“ **(14,II,191-93).**

ერეკლემ ამ წინადადებაზე უარი შეუთვალა, რითაც კიდევ უფრო გაამწვავა ოსმალეთის მტრობა და სიძულვილი საქართველოს მიმართ. „1783 წ-ის ხელშეკრულებას საქართველოსათვის სარგებლობა არა მოუტანია რა, ზიანი კი აუარებელი. პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა. ხმა ამ ხელშეკრულებას და რუსეთის სახელმწიფოს მფარველობას დიდი ჰქონდა, საქმით კი ძალიან მცირედი იყო ის დახმარება, რომელიც რუსეთის მხრიდან საქართველოს აღმოეჩინა“**(202,32-33).**

რუსეთთან დაკავშირებამ საქართველო არათუ გამოიყვანა იმ „გამოუვალი“ მდგომარეობიდან, რომელიც რუსეთზე ორიენტაციის მიმდევრებმა თვითონვე შექმნეს თავიანთი სწორხაზოვანი პოლიტიკით, არამედ იგი კიდევ უფრო უარეს ჩიხში მოამწყვდია. აღმავლობის გზით მიმავალი ქართლ-კახეთის სამეფო ფიზიკური დაუძლურებისა და ეკონომიკური გაჩანაგების გზით წავიდა. გამუდმებული ომიანობა აურაცხელ ნივთიერ და სულიერ მსხვერპლს იწირავდა. „ისტორიული გამოცდილება აუცილებლად ადასტურებდა, რომ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები გაცილებით უკეთესად აგვარებდნენ ერთმანეთთან ურთიერთობას იმ ხანმოკლე პერიოდში, როდესაც დიდი სახელმწიფოები თავიანთი დამპყრობლური მიზნებით მათ საქმეებში არ ერეოდნენ“**(88,774).** ამ მხრივ ეთნიკურ-რელიგიური ფაქტორი, მიუხედავად მისი სიჭრელისა, გადამწყვეტი მნიშვნელობისა არასოდეს ყოფილა. საქართველოს ხომ მაჰმადიანურ ქვეყნებთან ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება ჰქონდა.

ამ მძიმე ვითარებაში იმძლავრა იმ დასის განწყობილებამ, რომელიც რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას უარყოფითად აფასებდა. „ოპოზიცია ხედავდა რუსეთის გულგრილობას, რომ პეტერბურგის მთავრობას მხოლოდ მაშინ მოაგონდებოდა საქართველო, როდესაც კასპიის ზღვაზე ბატონობის საკითხი წინ წამოდგებოდა და ამიტომ არჩევდა მეზობელ მაჰმადიან ქვეყნებთან და, უპირველეს ყოვლისა, ოსმალეთსა და სპარსეთთან კავშირის დაჭერის გზაზე სვლას. ამ ჯგუფს სათავეში ედგა მდივანბეგი სოლომონ ლიონიძე და სარდალ-სახლთუხუცესი დავით ორბელიანი, სიძე ერეკლე II-სა მხნე, მამაცი და გონიერი კაცი“ **(106,233).** ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკისადმი კრიტიკული მიმართულების წარმომადგენლები XVIII ს-ის 80-იან წლებში რუსეთისადმი დამოკიდებულების საკითხში განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვდნენ, რადგანაც „მფარველობა რუსეთისა დაშორებული იყო“ და მისი დახმარების მიღებამდე მტრულად განწყობილი მეზობლები საქართველოს გაანადგურებდნენ: „სოლომონ ლეონიძე დიდად აფრთხილებდა მეფეს და ყოველთვის ასმენდა, რომ ჩვენ სპარსთ და ოსმალთ შუა უნდა მტკიცედ ვიყვეთ და რუსთა კავშირის არაფერი უნდა გვაშინებდეს, თორემ დავიღუპებით, მოვისპობით და მერე ვერც რუსნი მოასწრობენ ჩვენ შველასო. სპარსნი გადაგვეკიდებიან უფრო 1783 წლის ეკატირინა იმპერატრიცას მფარველობის გამო“**(193,19).** მაშინ როცა თვით რუსეთის დიპლომატები და სამხედრო მოხელეებიც არ მალავდნენ, რომ რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის გამო ქართლ-კახეთი გაჩანაგდა, აღნიშნული დასის წარმომადგენლებს საგარეო ორიენტაციის გადასინჯვისათვის საჭირო არგუმენტების ძებნა აღარ სჭირდებოდათ. „საქართველო უკიდურესად ნადგურდება, - წერდა ბურნაშევი პოტიომკინს 1785 წ-ის ნოემბერში, - იმის გამო რომ გზებზე გამოსვლა საშიშია, ვაჭრობა მთლიანად შეწყდა, პურის მოყვანა შეფერხებულია, რადგან მოსახლეობას სახელმწიფო თუ სამხედრო სამსახურში იწვევენ და სოფლები დაცარიელებულია. მის უმაღლესობას (ერეკლეს) არ შეუძლია შეგროვილი ჯარის დიდხანს შენახვა, რადგან ფული არა აქვს, მისი შემოსავალი თითქმის გაქრა“ **(21,II,148).**

თვით ერეკლეც იძულებული გახდა საგარეო პოლიტიკაში რუსეთისაგან დამოუკიდებლად ემოქმედა. 1786 წ-ს 12 სექტემბერს გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება ქართლ-კახეთისა და ახალციხის საფაშოს შორის. ამ ზავით ერეკლეს სურდა ერთიმეორესათვის შეეთავსებინა ორ ქვეყანასთან მშვიდობიანი ურთიერთობა. ერეკლე იმასაც ცდილობდა, მოეგვარებინა ურთიერთობა ირანთან და აღა-მაჰმად-ხანთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა თავადი ციციშვილი. მაგრამ ერ-

ეკლეს ამ ღონისძიებებს არ მოჰყოლია საგარეო ორიენტაციის შეცვლა. რუსეთთან დამოკიდებულების არჩევანი ძალაში დარჩა.

ერის მესვეურთა პოლიტიკური გულუბრყვილობისა და ერთმორწმუნეობის დოგმებზე აგებული პოლიტიკის ნაყოფი არაერთხელ იგემა ქვეყანამ. რელიგიური დოგმებით შეპყრობილთ დაავიწყდათ ბიზანტია-საქართველოს შორის წარმოებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები და ამ ნიადაგზე პრაქტიკულად უკვე შემოწმებული ერთმორწმუნეობის სრული უსაფუძვლობა პოლიტიკაში. შორეულ ისტორიას რომ თავი დავანებოთ ერეკლეს ცხვირწინ ედო ახლო წარსულის არაერთი მწარე მაგალითი სწორედ ერთმორწმუნე რუსეთთან დაკავშირების შედეგად ნაწვნევი, მაგრამ მას ვერც შორეულმა და ვერც ახლო, ვერც სხვისმა და ვერც საკუთარმა გამოცდილებამ თვალი ვერ აუხილა.

რელიგიური დოგმებით შეზღუდულ ხელმძღვანელთა შორის მაშინაც ყოფილან საღად მოაზროვნე პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც დამღუპველად თვლიდნენ ამ ნაბიჯს. აი, რას სწერს ამის შესახებ ცნობილი ისტორიკოსი ალექსანდრე ფრონელი: „თითო-ოროლანი მაშინაც იყვნენ, რომელნიც წინასწარმეტყველურის შორს-გამჭვრეტელობით ჰქუხდნენ და ჰღაღადებდნენ, რომ საპოლიტიკო არსებობის მოსპობა კი არ აღაყვავებს სარწმუნოებას, პირიქით, დასთრგუნავს და დაამხობსო, მაგრამ ასეთი ხმა რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მსოფლიო ისტორიაში ხშირია ისეთი მომენტები, როცა ერს, ქვეყანას გაიტაცებს რომელიმე აზრი, იდეა და ჰგონებს, თუ ეს აზრი, იდეა არ განვახორციელე, თავი ცოცხალი აღარ მინდაო და გამწარებული, ზოგჯერ ძლიერის სულისკვეთებით, იბრძვის და ეტანება თავისის იდეალის განხორციელებას. სწორედ ასეთი დრო და მომენტი დაუდგა საქართველოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს. ქვეყანას სჯეროდა, რომ დაღუპვისაგან მხოლოდ მართლმადიდებელი რუსეთი დაგვიხსნის და სხვა არავინაო. უმრავლესობა ერისა ბედისწერას აჰყვა და გულხელდაკრეფილი დაემორჩილა ღვთის განგებასა“ **(173,205-206).**

რუსეთის ორიენტაციას არ ეთანხმებოდნენ თავის დროზე ისეთი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ: გიორგი სააკაძე, როსტომ მეფე, ბაქარი და პაატა ბატონიშვილები, სოლომონ ლიონიძე, ჭაბუა ორბელიანი, ასპინძის გმირი დავით სარდალი, ალექსანდრე ბატონიშვილი და სხვები. წინააღმდეგოებებით აღსავსე XVIII ს-ის ქართული საზოგადოებისათვის საგარეო ორიენტირის განსაზღვრა წარმოადგენდა ერთ იმ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, რომლის გამოც და რომლის ირგვლივაც დიდი საზოგადოებრივი აზრთა სხვაობა და

ჭიდილი მიმდინარეობდა. ზოგი გადმოცემით, ევროპულად განათლებულ-განსწავლული პაატა ბატონიშვილი ერეკლე მეფეს ურჩევდა საფრანგეთისთვის თავი დაენებებინა და ინგლისს დაკავშირებოდა. პაატას აზრით, ინგლისისადმი კეთილგანწობილებაში მყოფი ირანის შაჰიც ამ კავშირის წინააღმდეგი არ იქნებოდა: „ამ დაახლოების წინააღმდეგს ვერც სპარსეთი გვეტყვის რამეს, ამის მოხერხებით თვით სპარსნიც აილაგმებიან“ **(192,35).** მართლაც, ხერხიანი და ჭკვიანურად მოფიქრებული საშუალებაა ევროპასთან დასაკავშირებლად. მართალია, ამ ხანებში ინგლის-ინდოეთთან სავაჭრო-ეკონომიური კავშირი გაიბა – სომეხი და ქართველი ვაჭრები მიმოდიოდნენ კალკუტას, მადრასსა და თვით ინგლისშიც, მაგრამ მეფე მაინც ყოყმანობდა: ინგლისელები „ჩვენი მერჯულენი არ არიან და ვაი თუ მოვტყუვდეთო“**(192,36).** მეფე უფრო სამეფო კარზე მყოფი პატრების აზრს ითვალისწინებდა, რომლებიც საფრანგეთის კავშირს ითხოვდნენო – გადმოგვცემს ზ. ჭიჭინაძე. მეტად საინტერესო და საყურადღებოა ეს მონათხრობი, რამდენადაც კარგად წარმოაჩენს იმ დიდ დუღილს, რასაც სამეფო კარზე ჰქონდა ადგილი საგარეო ორიენტაციის საკითხთან დაკავშირებით.

რუსეთის ორიენტაციის მოწინააღმდეგეთა უმრავლესობა საერთოდ უარყოფდა საქართველოს შესვლას რომელიმე სახელმწიფოს მფარველობაში. ხოლო უარეს შემთხვევაში, ისინი მაინც ირანისაკენ იხრებოდნენ. რუსული ორიენტაციის შესაძლებლობაზე ლაპარაკი ირან-ოსმალეთის წინაშე მხოლოდ დიპლომატიური დაწოლის საგანი უნდა ყოფილიყო ამ უკანასკნელთაგან დათმობის მისაღებად. როგორც დავინახეთ, კავკასიაში რუსების შემოსვლით დაშინებული სპარსეთისა და თურქეთის მბრძანებლები, აგრეთვე კავკასიის მაჰმადიანი ხანები უკანასკნელი დროისათვის თვითონვე სთავაზობდნენ საქართველოს კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას და იყვნენ კიდეც ასე კეთილგანწყობილობაში, ქართველებს რომ რუსეთთან კავშირით და შემდეგ მათი საქართველოში შემოყვანით არ აემხედრებინა ისინი. მართალია, საქართველო რუსეთის ორიენტაციამდე თვით ირან-ოსმალეთის მიერ შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ მიიყვანა, მაგრამ მუდმივი რა არის ამქვეყნად. შეცვლილი ვითარების შედეგად იცვლება მტერიც და მოკეთეც. ამ ცვლილებებს ალღოს უნდა უღებდეს პოლიტიკური მოღვაწე და დროისა და სიტუაციისა მიხედვით მოქმედებდეს. სამწუხაროდ, XVIII ს-ის II ნახევარში ქართული პოლიტიკის მესვეურებმა ვერ შეძლეს ირან-ოსმალეთ-რუსეთის წინააღმდეგობის გამოყენება; ჩრდილოური ორიენტაციის მომხრეებს ერთმორწმუნეობის იქით არაფრის დანახვა არ სურდათ მიუხედავად იმისა, რომ ეს აკვიატებუ-

ლი ერთმორწმუნეობის პოლიტიკა დაღუპვის მეტს არაფერს აძლევდა ქვეყანას. მოგვიანებით, როცა ამ სწორხაზოვანმა კურსმა კრწანისის ტრაგედია წარმოშვა, კიდევ უფრო გაღრმავდა დაპირისპირება საზოგადოებაში. მოწინააღმდეგე დასი აშკარად ამხელდა და აკრიტიკებდა მეფეს რუსეთზე ორიენტაციის გამო; 1796 წ-ს ერთ-ერთი თათბირის დროს სოლომონ ლიონიძეს საჯაროდ უთქვამს მეფისათვის „ჩვენ მერჯულე ერთა ერთობა არას გვარგებს, თუ ქვეყნის და ცხოვრების წესებით ერთმანეთს არ ვენათესავებითო. ასეთ საქმეს მარტოდ თქვენის წადილით ნუ გადასწყვეტამთ, ჰკითხეთ სხვათაცაო, ნამეტურ იმერთაცაო. ნახეთ რას იტყვიან იგინიო. ასეთი საქმე, ასეთი ქვეყნის გარემოებათა პირობები მეფეს გარდა ერსაც ეკითხვის. თქვენ ერმა მოგცათ უფლება თვის დასაცველად და არა სხვათა გარადასაცემ-გასაცვლელადო, მეფის გულის თქმა და განზრახვა ერსაც ეკითხვისო“**(193,19-20).** ცნობა ამ თათბირის შესახებ დაცული აქვს ზ. ჭიჭინაძეს, მისივე გადმოცემით, ეს ამბები ყველასთვის ცნობილი იყო, მაგრამ ჩაწერით კი არავის ჩაუწერია, ხოლო ზეპირად თვითმხილველებს ბევრისთვის უამბნიათ. სწორედ მათი ნაამბობის მიხედვით ამ რეალურ ფაქტზე ააგო და დაწერა შემდეგ ნ. ბარათაშვილმა თავისი პოემა „ბედი ქართლისა“, რომელშიც სასახლეში ნალაპარაკევი სიზუსტით გადმოსცაო. თათბირის დროს საპასუხოდ მეფე ერეკლეს მოწინააღმდეგეებისთვის უთქვამს: „სოლომონ ლეონიძე მყვედრის მე, მყვედრიან სხვანიც, ვითომც მე სხვათა მიკედლებას ჩემის დიდებისათვის ჩავდიოდე, ღმერთია მოწამე, რომ ეს ასე არ არის და მე ვეკედლები სხვათა ჩემ ქვეყნის დიდების და ერის სადღეგრძელოდ. ახ, ნეტავი ჩემი ქვეყნის შეერთების 40 წლის შემდეგ საფლავიდამ წამომაყენა და მაჩვენა ქართველნი, თუ ჩემი მაწყეიარნი იქნებიან, თუ მადლოაელნი. მაგრამ ღმერთია მოწამე, რომ მე ამას ჩემის ერის კეთილდღეობისათვის ჩავდივარ და არა ჩემი დიდებისათვის“ **(193,20).**

რამდენად ერკვევოდნენ ურთიერთმიზანსწრაფვაში რუსეთი და საქართველო? რუსეთი სრულიად გარკვეულია საქართველოსადმი მიზან-სწრაფვაში და დამპყრობლის თვალით უმზერს მას. საქართველოს მესვეურებმა იციან, რომ იგი უზარმაზარი ქრისტიანული იმპერიაა (გარკვეულწილად ბიზანტიის ხატებასაც ხედავდნენ მასში), რომელსაც სურს გავლენის სფეროების გავრცელება მახლობელ აღმოსავლეთში და მისი იმპერიალისტური მიზან-სწრაფვანი სურთ თავის სასიკეთოდ გამოიყენონ. ქართველმა პოლიტიკოსებმა იციან, რომ „რუსეთის ხელმწიფე ყველგან სპობს მცირე ხალხების სამეფოებს და თვითონვე ითვისებს მათ, ისე, როგორც ეს ჩაიდინა მან პოლონეთში, ფინეთში, ყირიმსა და ქარლთ-კახეთ-

ში. ამასვე უნდა მოველოდეთ მისგან იმერეთში და მთელ დასავლეთ საქართველოში“ – აღნიშნავდა სოლომონ ლიონიძე **(1.3,№5).** რა თქმა უნდა, ასეთ ქვეყანასთან ურთიერთობანი და ნდობა მის მიმართ სარისკო იყო. მით უფრო, რომ რუსეთი შემდგომ თავის მოვალეობებს არ ასრულებდა და მხოლოდ ცარიელ დაპირებებს იძლეოდა. მაგრამ კავკასიაში ფეხის შემოდგმის შემდგომ იგი გახდა თავისი პოლიტიკური ნების მოკარნახე. ქართველმა პოლიტიკოსებმაც ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს. მართალია, ერეკლე და მისი დასი ერკვეოდნენ მაშინდელ საერთაშორისო ვითარებაში, მაგრამ მათ პოლიტიკურ შემოქმედებას გარკვეულწილად მიამიტობის დაღი აზის. განა რუსეთიც საკუთარი ინტერესებით არ მოქმედებდა? და ამ ინტერესებს არ ეწირებოდა პატარა საქართველო? ამის არაერთი მაგალითი ცხვირწინ ედოთ ქართველ პოლიტიკოსებს.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია დებულება – „სამი მეზობლიდან: ირანი-ოსმალეთი-რუსეთი – საქართველოს ერთ-ერთი უნდა აერჩია და ერეკლემაც, რაღა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთი აირჩია სწორადაც მოიქცაო, რადგან საქართველო ბოლოს მაინც გაერთიანდა რუსეთის ხელქვეით და ფიზიკური არსებობა შეინარჩუნა, მაგრამ რატომღაც ვივიწყებთ ეს ყველაფერი სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ფასად რომ დაუჯდა ქვეყანას. ასეთ არჩევანს თავად დრო და გარემოება არ მოითხოვდა. ასე მხოლოდ გარკვეულ პოლიტიკოსთა ჯგუფი ფიქრობდა, რაც პოლიტიკურ გულუბრყვილობად უნდა ჩაითვალოს. არსებულ სიტუაციაში მკვეთრი პოლიტიკური ორიენტაციის აღება, ვფიქრობთ, არ იყო მიზანშეწონილი. აქვე უნდა აღინიშნის ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება, რაც განაპირობებდა ერეკლეს მორჩილებასა და ლოიალობას საიმპერატორო კარისადმი. არალეგიტიმურობა კახელი ბაგრატიონებისა და შიში ტახტის დაკარგვისა იყო ის აქილევსის ქუსლი, რომელიც იწვევდა ერეკლეს მიჯაჭვულობას ჩრდილოელ მეზობელზე. რუსეთში ხომ ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრეები იმყოფებოდნენ და მათ არაერთხელ სცადეს ტახტის დაბრუნება რუსეთის სამეფო კარის „დახმარებით“. მათ საპირისპიროდ ერეკლე ცდილობდა მოეპოვებინა ლეგიტიმურობის აღიარება რუსეთისაგან. ეს ფაქტი ძალაუნებურად აქცევდა ქართლ-კახეთის მონარქს რუსეთის მორჩილ პოლიტიკოსად. ერეკლეს ხომ ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრის „საფრთხობელათი“ არაერთხელ ჩაუშალეს დიდი წამოწყებები.

IV თავი. საქართველოს გაერთიანების საკითხი XVIII საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს

ჩრდილოური ორიენტაციით მიღებულმა უარყოფითმა შედეგებმა მოითხოვა საგარეო კურსის გადასინჯვა. თვით ერეკლე, ხშირად, იძულებული ხდება დამოუკიდებელ პოლიტიკას მიმართოს. იწყება გზების ძიება შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად. „კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა აწუხებდა არა მარტო მეფესა და პოლიტიკის მესვეურთ, არამედ ინტელიგენციისა და ფეოდალური არისტოკრატიის პროგრესულ ნაწილს“(102,37). ასეთ ვითარებაში, XVIII ს-ის 80-იანი წლების ბოლოს, მთელი სიმძაფრით დადგა საქართველოს გაერთიანების საკითხი.

ერეკლეს პოლიტიკის მოწინააღმდეგენი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სამი საუკუნის გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ მცდარი და დამღუპველი იყო რუსული ორიენტაცია, რომ რუსეთთან დაახლოება საქართველოს ირან-ოსმალეთთან უფუჭებდა დამოკიდებულებას, ხოლო რუსეთი არავითარ დახმარებას არ უწევდა საქართველოს მაჰმადიანურ სახელმწიფოებთან დაპირისპირების შემთხვევაში. ამიტომ ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და ქართველი ერის გადასარჩენად, საჭიროდ მიიჩნევდნენ კავშირის გაწყვეტას რუსეთთან, საქართველოს გაერთიანებასა და მოქნილი პოლიტიკის წარმოებით კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას ირან-ოსმალეთთან. როგორც ისტორიული ფაქტები გვიდასტურებენ, ეს სავსებით შესაძლებელი იყო.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია თვალსაზრისი, რომ მესამე ძალის დახმარების გარეშე მტრულ გარემოცვაში ჩავარდნილი, ფეოდალურად „დაჩიხული“ საქართველო დაიღუპებოდა; ამის საწინააღმდეგოდ ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ წარსულის მაგალითები. შედარებისთვის გავიხსენოთ VIII-IX საუკუნეები, ერთ-ერთი ურთულესი პერიოდი საქართველოს ისტორიაში, როცა არაბთა ბატონობის უღელქვეშ მყოფი დაშლილი საქართველო განმათავისუფლებელი ბრძოლების პარალელურად აწარმოებდა ბრძოლებს გაერთიანებისთვის. უაღრესად რთულ საშინაო და საგარეო ვითარებაში მიმდინარეობს ეს პროცესი, მაგრამ რამოდენიმე საუკუნის შემდეგ, წარმატებით – საქართველოს გაერთიანებით სრულდება (XI ს-ში). საქართველოს ისტორიული ბედი ყოველთვის მძიმე იყო, მაგრამ მას გააჩნდა რეგენერაციის ანუ აღდგენა-განახლების დიდი უნარი.

ასევე, XVIII საუკუნეშიც, რთულ საერთაშორისო მდგომარეობათა მიუხედავად, გამოიკვეთა გაერთიანების კონტურები. გაერთიანების იდეურ-თეორიული წინამძღვრები მზადდებოდა XVIII ს-ის დასაწყისიდან. ეს ნათლად ჩანს ამ საუკუნის მოღვაწეთა ნააზრევში, საერო თუ სასულიერო პირთა შემოქმედებასა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში. სულხან-საბას, დავით გურამიშვილის, ვახუშტი ბაგრატიონის, ანტონ კათალიკოსის ნაშრომები სხვა არაფერია, თუ არა იდეური ნიადაგის შექმნა გაერთიანებული საქართველოსი („ყოველი ქართლის“ შემოსაკრებად) ძლიერი მონარქით სათავეში. მათ მთელი სისრულით შეუცვნიათ ქვეყნის წარსული და საქართველოს მომავალი პერსპექტივების – სახელმწიფოებრივი ერთიანობის თუ პოლიტიკური ორიენტაციის საკითხთა ძიებაში არიან. „განსაკუთრებით XVIII ს-ის მიწურულში ეტყობა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას თვისობრივი სიახლენი და რამდენადმე გაცხოველება, რომლის საფუძველია არა მხოლოდ მოწინავე ქვეყნების (ევროპა) კულტურული გავლენები (განმანათლებლობა, ვოლტერიანელობა, საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეალები), არამედ უწინარეს ყოვლისა ის საინტერესო ქართულ სოციალურ-სააზროვნო გარემო, რომელიც ამ პერიოდში საკმაოდ ახალ ნიშნებს იძლევა (დავით და იოანე ბატონიშვილები, ალ. ამილახვარი, ანტონ კათალიკოსი და სხვა)“ **(61,IV.164).**

XVIII ს-ის II ნახევარში საქართველოს გაერთიანება არა მარტო იდეურად იყო მომწიფებული, მოწინავე წრეებში, არამედ იგი ხორცს ისხამდა პრაქტიკულადაც. როგორც ითქვა, ერეკლესა და სოლომონის მოღვაწეობის პირველ პერიოდში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოც ძირითადად უკვე გაერთიანდნენ, ამ უკანასკნელთა ძალაუფლების ქვეშ. უფრო მეტიც, ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს იმ დროისათვის ემორჩილებოდნენ განჯის, ყარაბაღის, ნახჭევანისა და ერევნის სახანოები. ერთი სიტყვით, საჭირო იყო საქართველოს ორივე სამეფოს შეერთება და ამ ნიადაგზე გაერთიანებული საქართველოს აღდგენა. საამისოდ რეალურად ხელსაყრელი ვითარება შეიქნა იმერეთის მეფე სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, 1784 წ-ს; სოლომონ I-ს მემკვიდრე არ დარჩენია. მან სიცოცხლეშივე მემკვიდრედ თავისი ძმის – არჩილის და ერეკლე მეფის ქალის – ელენეს შვილი დავითი აღიარა, მაგრამ იმერეთის დიდებულებმა სამეფო ტახტზე აიყვანეს არა დავით არჩილის ძე, არამედ სოლომონის ბიძაშვილი – დავით გიორგის ძე. ეს არჩევანი იმან განაპირობა, რომ დიდებულთა ვარაუდით, ერეკლეს შვილიშვილის გამეფება იმერეთში, გამოიწვევდა ქართლ-კახეთის მეფის გავლენის გაძლიერებას და ფეოდალთა შეზღუდვას. ამას შეიძლება ამერ-იმერის გაერ-

თიანების ცდაც მოჰყოლოდა, რაც მათთვის ყოვლად მიუღებელი იყო. ამიტომ თავადებმა და სამღვდელოებამ ტახტზე სასწრაფოდ დასვეს სოლომონ I-ის გამაერთიანებელი პოლიტიკის წინააღმდეგ 1778 წ-ს მომხდარი აჯანყების თანამგრძნობი დავით გიორგის ძე. „პარტიკულარისტულად განწყობილი თავადების მიერ იმერეთის ტახტზე დავით გიორგის ძის აყვანა ერეკლეს გამაერთიანებელი პოლიტიკის საწინააღმდეგო აქტად მოჩანს“(152,298). თავადური რეაქციის გადაწყვეტილებას რუსმა დიპლომატებმა მხარი დაუჭირეს, „მოსალოდნელი იყო არეულობა დავით არჩილის ძის ბედის გამოსაბრუნებლად, მაგრამ რუსეთის წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა ბურნაშევმა და მაქსიმე კათოლიკოზმა მიიღეს საშუალება, რომ ხალხი დროებით დაეწყნარებინათ და ეცნათ კანონიერ მეფედ დავით გიორგის ძე“ (197,5). რაც, ფაქტობრივად, იმავე რუსეთის თაოსნობით ერეკლესა და სოლომონს შორის 1783 წელს დადებული ხელშეკრულების დარღვევა იყო; (თუმცა დავით გიორგის ძე რუსეთს იურიდიულად მეფედ არ დაუმტკიცებია – ჩანს, ესეც ერთგვარი ხრიკი იყო – იგი არ „არღვევდა“ ხელშეკრულებას). იმერელ დიდებულთა და რუს დიპლომატთა ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. რუსეთის მთავრობას ხელს აძლევდა დავით გიორგის ძის კანდიდატურა – ეს უკანასკნელი რუსული ორიენტაციის მომხრე გახლდათ და ამავე დროს, მისი იმერეთის ტახტზე ასვლა საქართველოს გაერთიანების შანსსაც გამორიცხავდა (რუსმა დიპლომატებმა ხომ მშვენივრად იცოდნენ ერეკლე II-ის მიზანსწრაფვანი საქართველოს გამთლიანებისაკენ).

ქვეყნის გაერთიანებისაკენ მისწრაფებები, როგორც ზემოთ დავინახეთ, აშკარად ვლინდება, ჯერ კიდევ, ერეკლე II-ის 70-იანი წლების პოლიტიკაში – რუსეთ-თურქეთის 1768-74 წწ-ის ომის დროს. მისი მიზანია, არა მხოლოდ ახალციხის საფაშოში, არამედ მ. სამსონაძის მართებული შენიშვნით – იმერეთში გავლენის გაძლიერებაც (152,184). ამ პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა, მისივე აზრით, 70-იანი წლების II ნახევარში სულთნის კართან დაახლოება. 1776 წ-ის ერეკლეს მიერ თურქეთთან დადებული „ხელშეკრულება სოლომონ I-ის წინააღმდეგ იყო მიმართული და ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ იმერეთის და მომავალში, ალბათ, მთელი დასავლეთ საქართველოს შემოერთებას გულისხმობდა“(152,209-210). ფაქტია ის, რომ ამ პერიოდში, მართლაც, დაიძაბა ურთიერთობა ერეკლესა და სოლომონ პირველს შორის; ეს უკანასკნელი, როგორც ვ. მაჭარაძეც მიუთითებს, უნდობლადაა განწყობილი და აქტიური დიპლომატიური საშუალებებით ცდილობს წინ აღუდგეს ქართლ-კახეთის მეფის მისწრაფებებს (133,35). გერონტი

ქიქოძეც იგივე აზრს ავითარებს: „ერეკლე მეფე მზად იყო პრაქტიკული ნაბიჯები გადაედგა საქართველოს გასაერთიანებლად, მაგრამ ის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა სოლომონ I-ის სახით“ **(175,148).** ერეკლეს პრაქტიკულ ნაბიჯებს ამ კუთხით უნდა გამოხატავდეს იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძის“ მინიშნებაც: „იყო დიდს მზადებაში და ჰყვა ჯარი დაბარებული ლეკისა, ოსისა, ქისტისა, ქართლისა, კახეთისა, და არავინ იცოდა, თუ სად ნებავს წასვლა და იყო დიდს საქმეებში შესული **(6,87-88).** ერეკლეს ეს მცდელობანი რუსეთის ჩარევით მარცხით დამთავრდა. ეს უკანასკნელი შეაშფოთა ერეკლეს ენერგიულმა ქმედებამ, რადგან საქართველოს გაძლიერებას აუცილებლივ მოჰყვებოდა მისი პოზიციების შესუსტება სამხრეთ კავკასიაში, დიდი წინაღობა შეექმნებოდა მის დამპყრობლურ ზრახვებს. „თურქეთის გარდა, რომელთან კავშირშიც იმჟამად ეს დიდი საქმე იგეგმებოდა, ამ განზრახვას წინ აღუდგა საქართველოს ყველა მეზობელი რუსეთის ხელმძღვანელობით, რომელთა დაკავშირების ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი ქართველთა მხრიდან ქვეყნის გაერთიანება იყო. საქართველოს გაერთიანება მის გაძლიერებას გამოიწვევდა და „მფარველ“ მოკავშირის მიერ მის ინკორპორაციას გაართულებდა. რუსეთის, სპარსეთისა და იმერეთის ძალისხმევით დიდი ეროვნული წამოწყება ჩაიშალა“**(150,39).** ამის შემდეგ ერეკლე რუსეთთან საბოლოო დაახლოების გზას დაადგა და ახლა მისი საშუალებით ცდილობს ზემოხსენებული საკითხის მოგვარებას. სამწუხაროდ, მან ვერ გაითვალისწინა რუსეთის მზარდი მისწრაფებანი კავკასიაში. თუ შევადარებთ ერთმანეთს 70-იან და 80-იან წლებს, აშკარად, ქართლ-კახეთის სამეფო კარი ერთობის აღსადგენად 70-იან წლებში უფრო აქტიური, თავისთავადი პოლიტიკის გამტარებელი მოჩანს, ვიდრე 80-იან წლებში, კერძოდ, ტრაქტატის დადების შემდეგ. გადამწყვეტ და ხელსაყრელ მომენტში ერეკლე მეფე პასიურია (ერთგვარად შეზღუდულიც). ჩანს, ის თავისი მფარველის ხელით გეგმავს ქვეყნის გაერთიანებას. ამით უნდა აიხსნას მისი დამთმობლური პოლიტიკა მფარველისადმი. ეს უკანასკნელი ხომ დიდი ხანია ცდილობდა თავისი გავლენის დასავლეთ საქართველოშიც განვრცობას. „რუსული დიპლომატიის და პოლიტიკოსთა მანევრებმა, ქართლ-კახეთის მესვეურებს შეუქმნა ილუზია, რომ ქვეყნის გაერთიანებას აღნიშნული ტრაქტატის ფარგლებში მოახერხებდნენ, მაგრამ ჩქარა ამ იმედის უპერსპექტივობა აშკარა გახდა“ **(153,171).**

სოლომონის გარდაცვალებისთანავე ამოქმედდა ერთის მხრივ, თურქეთი და მეორეს მხრივ, რუსეთი. სულთნის კარი სოლომონ I-ის გარდაცვალების შეტყობისთანავეს ენერგიულად შეეცადა იმერეთის საქმეებში ჩარევას. სულეიმან ფა-

შას სტამბოლიდან უბრძანეს არ დარიდებოდა ხაზინის ხარჯვას იმერეთში ოსმალეთის მომხრე ქაიხოსრო აბაშიძის გასაბატონებლად **(134,111).**

რუსეთის საიმპერატორო ტახტმა იმერეთის მეფის გარდაცვალების ამბავი გ. პოტიომკინის 1784 წლის 3 ივნისის წერილით შეიტყო. საგარეო საქმეთა კოლეგია მთელი გულმოდგინებით ადევნებდა თვალს იმერეთის სამეფოში მოვლენების განვითარებას. 1784 წ-ის ივლისით დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში პ. პოტიომკინმა საქართველოში მყოფ რუსეთის რეზიდენტს ს. ბურნაშევს მოთხოვა იმერეთში და მის საზღვრებზე მიმდინარე ამბების ზუსტი ინფორმაცია და დაავალა: „Послать паки прежняго или другаго конфидента в ту сторону, о точном разведывании дел тамошних и сколько денег употребите, я не замедлю к вам прислать“ **(13,24).**

რუსეთის კონსტანტინეპოლელი რეზიდენტი – ბულგაკოვი 1784 წლის ივნისში თავის მთავრობას დაწვრილებით ატყობინებდა თურქეთის ზრახვებს იმერეთის მიმართ, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა იმერეთის ტახტზე მაჰმადიანის გამეფება. რუსეთი შეაშფოთა თურქეთის განზრახვამ. იგი აჩქარებდა ბურნაშევს ქუთაისში გამგზავრებას. პ. პოტიომკინმა მთავრობის დავალებით მაისში ორჯერ გაუგზავნა მას განკარგულება გამგზავრებაზე და თან შეატყობინა თავისი გულისტკივილი ქუთაისში თურქთა ელჩების მოსვლის ცნობის გამო: სირცხვილი იქნება კვლავ დავუშვათ თურქეთი იმერეთშიო **(132, 196).** ამასთან, რუსეთის მთავრობა უბრძანებდა ბულგაკოვს კონსტანტინოპოლში არ დაეშვა თურქეთის კანდიდატის იმერეთში გამეფება. უკიდურეს შემთხვევაში, ეს საკითხი მსჯელობის საქმედ გაეხადა თურქეთსა და რუსეთს შორის. საკითხის გადაწყვეტამდე კი თურქეთს განზრახვაზე ხელი უნდა აეღო **(132,199).**

თურქეთის და რუსეთის მოქმედებანი იმერეთის საქმეების თავის სასარგებლოდ გადაწყვეტის საკითხში სხვადასხვანაირი იყო. რუსეთი მტკიცედ იცავდა ქართლ-კახეთის მშვიდობიანობას, რითაც წინ ეღობებოდა ოსმალეთის ზრახვებს. მაგრამ რაგინდ ბრძნულიც არ უნდა ყოფილიყო მისი საგარეო დიპლომატიური მოქმედებანი, იმერეთის ისეთ რთულ საშინაო საკითხს, როგორიც ტახტზე მეფის დასმის საკითხი იყო, იგი ვერ გადაწყვეტდა. გადამწყვეტი იყო თვით იმერეთში მიმდინარე ბრძოლა და ერეკლე მეორის პოზიცია. რა თქმა უნდა, რუსეთის მოქმედების აქტიურობასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან გეორგიევსკის ტრაქტატით ამიერკავკასიის წამყვანი პოლიტიკური ძალა – ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, რუსეთი მთელ იმედებს

ერეკლე მეორეზე ამყარებდა. ბურნაშევის შუამდგომლობით რუსეთის მთავრობამ ერეკლე მეორე აიძულა მოეხსნა თავისი კანდიდატურა იმერეთის ტახტზე.

რუსეთის ერთგულების დასტურ, რომლისთვისაც სრულიად მისაღები იყო რუსული ორიენტაციის დავით გიორგის ძის გამეფება და იმხანად სრულიად მიუღებელი იმერეთის შინაარეულობა, რათა თურქეთს დასავლეთ საქართველოს (როგორც ქვეშევრდომი ქვეყნის) საშინაო საქმეებში ჩარევის საბაბი არ მისცემოდა, ერეკლე II იმავე რუსეთის მოხელეთა გავლენით თავისი შვილიშვილის კანონიერი უფლებების დასაცავად უარს ამბობს და დავით არჩილის ძის კუთვნილ ტახტზე დავით გიორგის ძის ასვლას ურიგდება. ბურნაშევმა „ზემოქმედება მოახდინა ერეკლე მეფეზე, რომელსაც უარი ათქმევინა დავით არჩილის ძისათვის მხარის დაჭერასა და იმერეთის საქმეებში ჩარევაზე“ **(70,84).**

დიდებულთა ერთი ნაწილის ნებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის რეზიდენტის შუამდგომლობით და ერეკლე მეფის მხრიდან დათმობის გზით იმერეთის ტახტი დავით გიორგის ძემ ჩაიგდო ხელში და რუსეთის კანდიდატიც იგი შეიქმნა. ახალმა მეფემ „ეს ამბავი მაშინვე აცნობა პ. პოტიომკინს და სთხოვა დარიგება და მითითებანი რუსეთისადმი მფარველობის სათხოვნელად**(132,196;134,94).** მეფის აჩქარება განპირობებული იყო რუსეთის მომხრე მსხვილი ფეოდალების ზეწოლით, რომლებმაც მას გამეფებისას პირობა ჩამოართვეს რუსეთის ერთგულებაზე **(132,196;71,82).** იმერეთის დიდებულები 1784 წლის 15 სექტემბრის წერილში რუსეთის იმპერატორს სწერდნენ თითქოს „ანდერძისა მისისაებრ (იგულისხმება სოლომონ I) აირჩიეს მეფედ და პატრონად დავით გიორგის ძე“**(45,II.I,182).** სინამდვილეში კი, ტახტის მემკვიდრედ სოლომონის მიერ დავით არჩილის ძე იყო აღიარებული **(12,22).** დავით გიორგის ძის რეპუტაციის მიზნით – გაანადგურეს სოლომონ I-ის წერილობითი ანდერძი და შეთხზეს ყალბი სიგელი **(152,295-96).**

ერეკლეს დათმობამ ერთგვარად დააწყნარა იმერეთი. დავით მეფე დათანხმდა დავით არჩილის ძის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებას. მეფის ასეთი ნაბიჯი დიპლომატიური მანევრი უფრო იყო. რუსეთის მთავრობამ სწორად შეაფასა ერეკლეს ეს დათმობა. 1784 წ-ის 3 ივნისის წერილში გრ. პოტიომკინი ეკატერინეს წერდა, რომ ერეკლემ „Пожертвовал выгодами своими общему спокойствию: признал царем старшего Давида“, იქვე დასძენდა, რომ დათმობა დროებითი იყო და ნავარაუდევი მხოლოდ შვილიშვილის სრულწლოვანებამდე **(132,197)** .

1784 წ-ს 8 მაისს ერეკლე პავლე პოტიომკინს წერდა: „... რადგან ჩემი შვილიშვილი ჯერ ყმაწვილი არის და ქვეყნის მოვლა არ შეუძლია, მეც ეს ვიფიქრე,

რომ იმერეთში თარაფობა არ შეიქმნას და ოსმალთ მხრისკენ არ მიიწიონ, ამისათვის ეს უმაღლესის კარის საერთგულოთ დავინახე და დავით გიორგის შვილის მეფობას თანახმა ვექმენ და ღმრთის ნებით, როცა ჩემი შვილიშვილი გაიზარდოს, მაშინ რომელიც რუსეთის უმაღლესის კარის ნება იყოს, ასე აღსრულდეს“- **(134,99).**

თავიდანვე ცხადად ჩანს, რომ ერეკლე ამერ-იმერის გაერთიანების ხელსაყრელი შემთხვევის გამოყენებას არც შვილიშვილის და მით უფრო არც თავისი გამეფებით არ აპირებს, რათა რუსეთის მოკავშირე ქართლ-კახეთის სამეფომ ამ საქციელით არ გამოიწვიოს თურქეთი, რომლის ხელდებულადაც ითვლებოდა დასავლეთ საქართველო, და აქ პორტის პოზიციების გამაგრებით არ გაანაწყენოს რუსეთი. (თუმცა შემდეგში 1789 წ-ს გაერთიანების საკითხის გადასაწყვეტად გამართული თათბირის დროს, ეს პრობლემა დღის წესრიგში აღარ იდგა – ოსმალთა მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ არც ერთ მხარეს, გაერთიანების მომხრეებს თუ მოწინაღმდეგეებს არაფერი უხსენებიათ). ეს უკანასკნელი ხომ დიდი ხანია ცდილობდა თავისი გავლენის განვრცობას დასავლეთ საქართველოშიც. 1782 წ-ის დამლევსა და 1783 წ-ის დასაწყისში რუსეთის სამეფო კარზე მარტო ქართლ-კახეთის სამეფოს საკითხი არ იდგა – როგორც „უზენაესად მითითებულ საფუძვლებში“, ისე შავად დაწერილი ტრაქტატის ტექსტში იმერეთის იმერეთის სამეფო და თვით მისი მეფე სოლომონ I ისეა მოხსენებული, როგორც ქართლ-კახეთის სამეფო და მისი მეფე ერეკლე II“ **(183,112).** ივ. ჯავახიშვილი ამის გამო წერს: „თავდაპირველად ისე იყო გადაწყვეტილი, რომ 1783 წ-ის ხელშეკრულება უნდა მთელ დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოსთან ყოფილიყო დადებული და ამ ხელშეკრულების შავად დაწერილი დედანი სწორედ ასეც არის შედგენილი: ყველგან იქ ერეკლე მეფის სახელის გვერდით და ქართლ-კახეთის სამეფოს მოხსენიების დროს დამატებულია „იმერეთის მეფე სოლომონ“ ან „იმერეთის სამეფო“ **(202,27-28).**

1783 წ-ის დასაწყისში იმერეთის სამეფოს შესვლა რუსეთის მფარველობაში დღის წესრიგში იდგა, მაგრამ 1783 წ-ის 8 აპრილს ყირიმის სახანოს შეერთებამ რუსეთთან მთლად შეცვალა პოლიტიკური სიტუაცია ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ, „იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღება თურქეთის აშკარა გამოწვევა იქნებოდა. მართალია, ყირიმის სახანოს შეერთებითაც ირღვეოდა 1774 წ-ის კაინარჯის ტრაქტატი და აინალი-კავაკის 1779 წ-ის კონვენცია, რომლითაც ყირიმის სახანო დამოუკიდებელ ქვეყანად იყო აღიარებული, მაგრამ ყირი-

მის შეერთება მაინც არ ნიშნავდა, რომ რუსეთმა ტრაქტატით კუთვნილი ქვეყანა წაართვა თურქეთს. ამ შემთხვევაში რუსეთი დამოუკიდებელ ქვეყანას იერთებდა, რომლის დამოუკიდებლობა ადრე რუსეთმა და თურქეთმა ერთობლივად სცნეს. იქ მხოლოდ თურქეთის პრესტიჟი ილახებოდა. აქ კი იმერეთის მფარველობაში მიღება თურქეთისათვის თითქმის ქვეშევრდომის წართმევა იქნებოდა“ **(134,69-70).**

ასეთ მდგომარეობაში რუსეთმა თავი შეიკავა 1783 წ-ის ტრაქტატში იმერეთის სამეფოს ჩართვისაგან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ რუსეთი უარს აცხადებდა იმერეთის სამეფოს შეერთებაზე. იგი ხელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებას უცდიდა თავისი მიზნის განსახორციელებლად. ჯერჯერობით კი ცდილობდა მოპოვებულით დაკმაყოფილებულიყო და თურქეთის მთავრობა არ გაეღიზიანებინა, რომელსაც ჯერ აღმოსავლეთ საქართველოს მფარველობაში აყვანაც ვერ მოენელებინა და ომის მუქარით ტრაქტატის გაუქმებას მოითხოვდა. თუმცა რუსეთის მთავრობა მთლად გულხელდაკრეფილიც არ მჯდარა, რადგანაც ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო არ შეეძლო იმერეთის სამეფოსთან ტრაქტატის დადება. ხელიდან რომ არ გამოსცლოდა ეს მხარე, მრავლად აამოქმედა თავისი მოხელეები (აგენტები). ამაზე რუსეთის გაწაფულმა დიპლომატებმა თავიდანვე - გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროს იზრუნეს, როცა ხელშეკრულებაში საგანგებო მუხლი შეიტანეს, რომლის თანახმად ერეკლეს სოლომონ იმერთა მეფესთან თანხმობით ყოფნა ევალებოდა, ხოლო უთანხმოების შემთხვევაში ის რუსეთის ხელმწიფეს „შუამავლად“ ცნობდა და საცილობელ საკითხებს მის მსჯავრს მიანდობდა. ქართველ მეფეთა შერიგება-თანხმობაში ყოფნა იმდენად აწყობდა ეკატერინეს სამეფო კარს, რამდენადაც ეშინოდა ტრაქტატის გაფორმების დაგვიანებით განაწყენებულ იმერთა მეფეს რუსეთის ორიენტაციაზე ხელი არ აეღო და ოსმალთა მხარეს არ მიდრეკილიყო.

სოლომონს ეშინოდა ერეკლეს გაძლიერებისა და ეწინააღმდეგებოდა მისი ხელისუფლების ცენტრალიზაციას. რუსეთის დიპლომატიური ჩარევით მიღწეული იქნა მათი დროებითი შერიგება, მაგრამ შეთანხმება მტკიცე არ იყო. რუსეთის მფარველობაში ერეკლეს შესვლამ სოლომონის შიში კიდევ უფრო გაზარდა. ის ცდილობდა რუსეთის საფარველის მიღებით დაეცვა და მოეზღუდა სამეფო ერეკლე II-საგან. მან მფარველობის თხოვნით არაერთხელ მიმართა რუსეთს, მაგრამ, რადგანაც ამ უკანასკნელს ჯერ არ შეეძლო მისი „თხოვნის“ დაკმაყოფილება, საქართველოში წარმოგზავნილ რუს მოხელეებს დაევალათ მისი მუდმივად დაიმედება, რომ ხელსაყრელი დროის დადგომისთანავე მიიღებდა მფარ-

ველობას. მართალია, „უზენაესად მითითებულ წყაროებში“ და შავად დაწერილ ტრაქტატის ტექსტშიც იმერეთის სამეფო და თვით მისი მეფე სოლომონ I, ისეა მოხსენებული, როგორც ქართლ-კახეთის სამეფო და მისი მეფე ერეკლე II, მაგრამ ეს არ ნიშნავდა ტრაქტატის ერთსა და იმავე დროს ქართლ-კახეთთან და იმერეთთან დადებას. უბრალოდ, ეს იყო დიპლომატიური მანევრი სოლომონის დასაიმედებლად და მისამხრობად. ვიდრე რეალური სიტუაცია რუსეთს მისცემდა საშუალებას ხელშეკრულების დასადებად, რუსეთის დიპლომატია ცდილობდა მუდმივად „დაემშვიდებინა“ სოლომონი. მაგრამ გაურკვეველია, რას უნდა ნიშნავდეს ის უცნაური, რუსეთის მიერ ცალმხრივად შედგენილი პროექტი, რომელიც სოლომონ მეფეს ჩაუტანეს იმერეთში და რომელზე ხელმოწერასაც ასე ითხოვდა რუსეთის მთავრობა.

ჯერ კიდევ ადრე, პ. პოტიომკინმა ერეკლესთან მყოფ თავის რეზიდენტს, პოლკოვნიკ ტამარას, რომელმაც 1783 წლის მაისში ტრაქტატის პროექტი თბილისში ჩამოიტანა, დაავალა იმერეთში გადასულიყო და სოლომონ I –თან მოლაპარაკება ეწარმოებინა **(21,II.6).** მას ევალებოდა სოლომონის დარწმუნება იმაში, რომ რუსთა დედოფალი მოწყალების თვალით უცქერდა სოლომონს და მფარველობაში მიიღებდა იმერეთს; მხოლოდ საჭირო იქნებოდა მის სახელზე თხოვნის გაგზავნა. თხოვნის პროექტი, რომელზედაც ხელი უნდა მოეწერა იმერთა მეფეს, შემუშავებული იყო ქართველი დიპლომატების მონაწილეობის გარეშე, ცალმხრივად. თხოვნის პროექტში ჩამოთვლილი იყო ის მიზეზები, რომლის გამო თითქოს სოლომონ I რუსეთის მფარველობას ეძიებდა. მას თხოვნაში უნდა დაეწერა, რომ მძიმედ დაავადებულს და ავადმყოფს ეშინია იმერეთის ტახტი ახლო მომავალში მცირეწლოვანი და გამოუცდელი მემკვიდრის ამარა არ დარჩენილიყო. თხოვნაზე ხელი უნდა მოეწერათ მეფის ქვეშევრდომების ყველა წოდების წარმომადგენელს- **(21,II,56)**. ტამარა 1783 წლის 5 ივნისს ქუთაისში ჩავიდა, მაგრამ სოლომონის ავადმყოფობის გამო, უნაყოფოდ გამობრუნდა უკან. განმეორებით 1784 წ-ის თებერვალში ტამარა კვლავ გადავიდა იმერეთში და სოლომონთან მოლაპარაკება გამართა იგივე მოთხოვნით. იგი მეფეს აქეზებს დაწეროს მფარველობაში მისაღები თხოვნა, რომ თითქოსდა ზემოთნახსენებ მიზეზთა გამო, იმერეთი ითხოვდა მფარველობაში შესვლას და სამეფო უნდა გადაცემოდა რუსეთს ანუ მისი ქვეშევრდომი გამხდარიყო. სოლომონმა ასეთი საბუთის ხელმოწერაზე იმთავითვე უარი განაცხადა. ის ითხოვდა, ქართლ-კახეთის მსგავსად, რუსეთის მფარველობაში შესვლას. მოლაპარაკება სოლომონსა და ტამარას შორის დრამატულ ვითარებაში

მიმდინარეობდა და სამ კვირას გასტანა. მეფე არ დაეთანხმა რუსეთის მიერ ცალმხრივად შედგენილი ხელშეკრულების პროექტზე ხელმოწერას, რადგანაც დახმარება მომავლისთვის იყო გათვალისწინებული, რასაც შეეძლო თურქეთის აგრესიის გამოწვევა. რუსეთის წარმომადგენლის მტკიცება, რომ ეს აქტი იქნებოდა საიდუმლო და თურქეთი ვერ გაიგებდა, არ შეეფერებოდა სინამდვილეს. თურქეთი ამას აუცილებლად შეიტყობდა, მით უმეტეს, რომ თხოვნაზე ხელი უნდა მოეწერათ მეფის ქვეშევრდომებსაც.

რუსეთის ამ დიპლომატიური მანევრებიდან, კარგად ჩანს იმერეთის სამეფოს ხელში ჩაგდების მზაკვრული პოლიტიკა. რუსეთის მთავრობას ნაკლებად სურს იმერეთთან ისეთი სახის ხელშეკრულების გაფორმება, როგორიც დაიდო ქართლ-კახეთთან. პროექტით, ფაქტობრივად, სოლომონს თავისი სამეფო რუსეთისთვის უნდა გადაეცა, მემკვიდრედ დაასახელებდა რა რუსთა ხელმწიფეს. ამით რუსეთის მთავრობა ორ საქმეს იგვარებდა – იმერეთის შეერთებას უმტკივნეულოდ და ერეკლეს გამაერთიანებელი გეგმის ჩაშლას. ეს იგივე დიპლომატიური სცენარია, იგივე ხელწერა და ტაქტიკა, რომელსაც რუსეთი მიმართავდა ერეკლეს და, საერთოდ, ამიერკავკასიელი მმართველების მიმართ.

ქართველმა მეფეებმა ძალზე ჭკვიანურად მოფიქრებული ნაბიჯით დაიხსნეს თავი ზემოხსენებული ხრიკებისაგან. მათ შუღლი დაივიწყეს და იმერეთის ტახტის მემკვიდრედ, საერთო კანდიდატი – დავით არჩილის ძე დაასახელეს. ეს შემდეგ აცნობეს საიმპერატორო კარს, გააგებინეს, რომ ჰყავდათ მემკვიდრე, რომელიც „ავადმყოფი“ სოლომონის შემდეგ დაიკავებდა ტახტს. ისე, რომ ვიდრე პოტიომკინისაგან გაგზავნილი ბურნაშევი თბილისიდან ქუთაისში გადავიდოდა, 1783 წლის 16 ნოემბერს სოლომონმა დაასწრო და მემკვიდრის დანიშვნის ცნობით, თბილისშივე შეაგება თავისივე წარმომადგენელი. ერეკლემ, თავის მხრივ, ივალდებულა არ ჩარეულიყო იმერეთის საქმეებში. ასევე, მხარს არ დაუჭერდა დადიანს და გურიელს, არ მიიღებდა იმერეთიდან გამოქცეულ დამნაშავეებს. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომდევნო წელს ისევ ეახლა იმერთა მეფეს რუსეთის წარმომადგენელი, ამჯერად უკვე ტამარა და დაჟინებით არწმუნებდა მეფეს, იმერეთი რუსეთისათვის გადაეცა. მაგრამ სოლომონი ისე გარდაიცვალა, რუსმა დიპლომატებმა საწადელი ვერ აისრულეს.

მართალია, მეფის გვირგვინი დავით გიორგის ძემ ირგუნა, მაგრამ ბრძოლა ტახტისათვის ორ პრეტენდენტს შორის ამით არ შეწყვეტილა; ფარულად თუ აშკარად იგი მაინც მიმდინარეობდა. ამ გაუთავებელი შინააშლილობის მოსასპო-

ბად დასავლეთ საქართველოს მოწინავე წრეებში ჩაისახა იდეა ქართლ-კახეთთან იმერეთის შეერთებისა და საქართველოს გაერთიანებისა. „მუდმივმოქმედმა საგარეო ფაქტორმა, განუწყვეტელმა საშინაო და საგარეო ომებმა ქვეყანა ისე შეაწუხა, რომ მოწინავე და მოაზროვნე ფეოდალურმა არისტოკრატიამ ძლიერი ხელისუფლების ხელქვეით ყოფნა ამჯობინა, ასეთად კი იმ დროს სხვებთან შედარებით ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება გამოიყურებოდა, რომელსაც გაერთიანებული საქართველო იმდენ ძალას შეჰმატებდა, რომ იგი გარე და შინაური მტრის პასუხის გამცემად მიაჩნდათ“ **(103,287).** ამგვარად, XVIII ს. ის 80-იან წლების ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე, ერეკლე II-ის წინაშე მთელი სიმძაფრით დადგა საქართველოს გაერთიანების პრობლემა – კერძოდ, იმერეთის სამეფოს ქართლ-კახეთთან შეერთების საკითხი.

1789 წ-ს იმერეთის ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები დელეგაციის სახით ერეკლე მეფესთან ჩავიდნენ. ამ დელეგაციაში გენათელ და ქუთათელ მღვდელმთავრებთან ერთად, შედიოდნენ სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, თავადები იოანე აბაშიძე, სეხნია წულუკიძე, პაატა მიქელაძე, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი და სხვები. მათ ერეკლეს შესთავაზეს „ინებოს და შეიერთოს თვისდა სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა“ **(26,15).**

ეს საკითხი დღემდე დიდ ინტერესს იწვევს ქართულ ისტორიოგრაფიაში. მწირია იმ წყაროთა სია, რომელიც აღნიშნულ ფაქტს შეეხება. გაერთიანების საკითხის ირგვლივ დაწვრილებით ინფორმაციას გვაწვდის XIX ს-ის ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი. შესაბამისად, ამ საკითხის გაშუქებისას სამეცნიერო ბრუნვაში ძირითადად მისი ნაშრომი გამოიყენება. იგივე საკითხს მოკლედ, ფრაგმენტულად, ეხება აგრეთვე ერეკლე II-ის შვილიშვილი ალ. ორბელიანიც – მისი მონათხრობი წარმოადგენს გამოხმაურებას პლ. იოსელიანის ნაშრომზე „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, კერძოდ, იმ ნაწილზე, სადაც საუბარია იმერეთის სამეფოს ქართლ-კახეთთან შეერთების პრობლემაზე. ასევე საყურადღებოა ი. მარუშიძის (ზ. ჭიჭინაძის) ნაშრომი „სოლომონ ლიონიძე, მსაჯული ანუ ვიცე-კანცლერი მეფე ერეკლესი და საქართველოს რუსეთთან შეერთების წვლილნი.“

ერეკლემ საკითხი დარბაზის სამსჯელოდ გაიტანა. დარბაზის სხდომაზე, საქართველოს ერთიანობის საკითხში თავი იჩინა ორმა საპირისპირო პოზიციამ. საქართველოს გაერთიანებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი სოლომონ ლიონიძემ, ჭაბუა ორბელიანმა, ანტონ კათალიკოსმა, სარდალმა დავით ყაფლანიშ-

ვილმა, ქიზიყის მოურავმა ზაქარია ანდრონიკაშვილმა, ტახტის მემკიდრე გიორგიმ და სხვებმა.

თათბირზე საქართველოს გაერთიანების საწინააღმდეგო აზრი ერთადერთმა პიროვნებამ, იოანე მუხრანბატონმა გამოთქვა. მან რაკი დაინახა მეფე დასტურს არ იძლეოდა და იცოდა, ალბათ, დასმულ საკითხზე მეფე-დედოფლის შეხედულება და სურვილი, ამ უკანასკნელთა საამებლად მლიქვნელურად გამოსულა და განუცხადებია: „დაკავშირება იმერეთისა დიახ ძნელია. ჩვენ ქართველთა ვერ მოგვივლია ჩვენთვის, ვითარ მოუაროთ იმერეთსა? რათ ვექმნეთ პატრონად ქვეყანასა, რომელსაცა ჰყავს საკუთარი პატრონი, შვილიშვილი მეფისა?“**(26,16).** იოანე მუხრანბატონის ლაჩრულსა და პირფერულ სიტყვას უკიდურესად აღუშფოთებია ქართლ-კახეთის სამეფოს მთავარსარდალი დავითი, რომელსაც ღირსეული პასუხით ადგილზევე დაუსამარებია იგი: „მართლად აღიარებს მუხრან-ბატონი რომ ვერ მოუვლის იგი დღეს ქვეყანასა თავისის ხმლითა და ბაირაღითა. მოვა დრო და მოსცემს ღმერთი სხვასა მუხრანის ბატონსა რომლისა ხმალი უფრო მჭრელი იქმნება“**(26,16).** მთავარსარდლის სიტყვებით ნაწყენი დარჩენილა მეფე და თათბირი მიუტოვებია. ერთიანობის მოწინააღმდეგე ბანაკს კულისებიდან ზურგს უმაგრებდა დარეჯან დედოფალი. იმერეთის წარმომადგენლებმა, ნახეს რა, რომ საკითხის დადებითად გადაჭრა დარეჯანზე იყო დამოკიდებული, ისინი თურმე სპეციალურად ეახლნენ დედოფალს და სთხოვეს მხარი დაეჭირა საქართველოს გაერთიანებისათვის. „ქუთათელი და გენათელი, აბაშიძე და სხვანი დესპანნი მოუთხრობდეს დედოფალსა იმერეთისა მდგომარეობასა და სრულიად დაღუპვასა, უკეთუ არ მოხდება ერთობა ქართველთა თანა. დედოფალი ბრძანებდა უარსა და იტყოდა ვერ გამოწირვასა იმერეთისა გვირგვინისა შვილიშვილისა ხელთაგან“ **(26,17).** დედოფალმა საქვეყნო-საზოგადოებრივ პოლიტიკას მკვეთრად დაუპირისპირა ფეოდალური საოჯახო ინტერესები. თანაც დედოფალი მტრულად უყურებდა თავის გერს, ერეკლეს უშუალო მემკვიდრეს და პირველ შვილს გიორგის, რომელსაც ერეკლეს შემდეგ კანონით ეკუთვნოდა გამეფება და მისდამი ცივად განწყობილი დედინაცვლის პატივმოყვარეობას ის ანგარიშს არ გაუწევდა. ამიტომ დედოფალი ამჯობინებდა, რომ იმერეთის მეფედ თავისი ასულის ელენეს შვილი დავით არჩილის ძე ეხილა **(191,285).** ამაო გამოდგა იმერეთის დელეგაციის მცდელობა, გაერთიანების მხურვალე მომხრეებმა ვერასგზით შეაცვლევინეს პოზიცია გაჯიუტებულ მეფე-დედოფალს. ერეკლემ საბოლოო სიტყვაში მოკლედ და კონკრეტულად განუცხადა ელჩებს: „თხოვასა ამასა ვერ მივიღებ, მტერი მად-

გას კარსა, ვერ გავიხდი ახალსა მტერსა, რომელიცა უნდა იყოს შვილისშვილი ჩემი იმერთა ტახტისათვის გამზადებული. დესპანნო! წარვედით და იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილისშვილსა ჩემსა და ესრეთისა კავშირით თავით თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა“ **(26,17-18).** სამეფო კარზე გამართული თათბირის დეტალებს ეხება ი. მარუშიძე. მისი მონაცემები ერთგვარად ავსებს პლატონის მონათხრობს. იგი სარგებლობს როგორც პლატონის, ისევე სხვა გადმოცემებითაც, რომელშიც კარგად იკვეთება სოლომონ ლიონიძის პრაქტიკული ღვაწლი გაერთიანების საქმეში. ჯერ კიდევ 1780 წ-ს უცდია სამეფო კარს იმერეთთან ერთობა. „ამისთვის მათ 1780 წ-ს მივმართეთ და ვთხოვეთ ერთობა. მოგეხსენებათ ისიც კარგად, რომ ამისათვის ჩვენ შევადგინეთ შეერთების პირობები, მე გეახელით იმერეთში და ჩვენი ნატვრა ვაუწყეთ ყველას, თან პირობის სახეც გადავეცით. იმერთა გაიცნეს ვითარება, უარი ჰყვეს ჩვენი თხოვნა, შემდეგ ხომ ჩვენი დაუკავშირებაც დაირღვა, დავრჩით ისევ განცალკევებულნი ძველებურად. კეთილ რჩევას ხსოვნა კი არ მოსპობილა მათში. ნელ-ნელა წინ წასულა“**(130,№8,861).** გაერთიანება სოლომონს მიაჩნია ქვეყნის გათავისუფლების პირობად. შთამბეჭდავია მისი მჭევრმეტყველური სიტყვამოწოდება: „მეფეო და დიდებულნო! დღეს ჩვენ გვაბადია ჩვენი სამეფო, მეფე, ერი, მოქალაქეობა, ვაჭრობა, თოფხანა, ლაშქარი, ფული, მწიგნობრობა, სასწავლებლები, შეძლებისდაგვარად აზრის, კერძოდ, რამე ხალხს ვგევართ. მხოლოდ ერთადერთი საუნჯე და ერის ძალა გვაკლია, ეს ერის ძალა და საუნჯე არის ქართველთა ერთობა. ქართველთა ერთობამ თავის დროზე აღმოაცენა კეთილი ნაყოფი, ერთობამ დაბადა ბაგრატი ... დიდებული დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი და მრავალნი სხვანიც. ერთობამვე ძლიერ ჰყო ქართველთა გვარი, განამშვენა იგინი მწიგნობრობით, ენით, სწავლით, მეცნიერებით, ხატვით, კერით, ეკლესიათა შენობის ოსტატობით ... ამიტომ ჰქმენით მეფეო, ერთობა, განძლიერდით მათით, გააძლიერე იგინი“**(130,№8,861-62).** პლ. იოსელიანისაგან განსხვავებით ი. მარუშიძე გადმოგვცემს, რომ თავდაპირველად ერეკლეს თანხმობა განუცხადებია იმერეთის შემოერთებაზე **(იქვე,862),** თუმცა, შემდეგ ამ ამბის დასასრული, მცირეოდენი განსახვავებით, ისევე აქვს აღწერილი როგორც პლ. იოსელიანს. თათბირის შეწყვეტიდან მესამე დღეს, როდესაც ისევ შეიკრიბნენ მისი მონაწილენი კვლავ ასაბუთებდნენ იმერეთის შემოერთების მიზანშეწონილობას, მეფე ერეკლემ თათბირის მონაწილეთ მოკლე საბოლოო სიტყვით მიმართა და უარი განაცხადა იმერეთის სრულ შემოერთებაზე.

ალ. ორბელიანის მონაცემებითაც დასტურდება იმერეთის დელეგაციის ერეკლესთან მისვლის ფაქტი იმერეთის სამეფოს აღმოსავლეთ საქართველოსთან შეერთების თხოვნით. ოღონდ მეფის შვილიშვილი პლ. იოსელიანისაგან განსხვავებულ თვალსაზრისს ავითარებს ერეკლე მეფის გამაერთიანებელი პოლიტიკის შესახებ. იგი კრიტიკული თვალით აფასებს პლატონის ნაამბობს და ერთგვარად, უკმაყოფილებასა და საყვედურსაც კი გამოთქვამს მისი მისამართით. ამ ორი ავტორის მონაცემთა შეჯერება ზოგიერთი საინტერესო დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს.

პლ. იოსელიანის მიხედვით, ერეკლე გაერთიანების წინააღმდეგი იყო. ხოლო ალ. ორბელიანის მიხედვით, ერეკლე იმერეთის შემოერთების წინააღმდეგი არ ყოფილა; პირიქით, სიხარულით და აღტაცებით შეხვედრია ამ ამბავს, რადგან ადრიდანვე იღვწოდა იმერეთის შემოსაერთებლად.

აი, რას გადმოგვცემს ალ. ორბელიანი: „პლატონმა ესეც წამიკითხა თავის ისტორიაში, რომ როდესაც იმერეთიდგან პირველი კაცები მოსვლია მეფეს ირაკლის: იმერეთი მიიღეთო და შეაერთეთ ქართლ-კახეთსა, ამაზედ მეფეს ირაკლისთან კრება იყო და განსჯა როგორ მივიღოთო? მითამ იმ კრებაში სარდალს დავით ორბელიანს ელაპარაკოს: მივიღოთო. მასუკან დივანბეგს ჭაბუა ორბელიანს ქუხილით ელაპარაკოს, კიდევ მიღებაზედ, მაგრამ ბოლოს დედოფალს დარეჯანს და ივანე მუხრანის ბატონს დაემატოსთ: პატარა სოლომონ გავამეფოთო (მეფის ირაკლის და დედოფალ დარეჯანის ქალის ელენეს შვილი სოლომან). სადაცა კიდეც გაამეფეს მეფის ირაკლის ოთხი ათასის ჯარის შემწეობითაო. ამას პლატონ ასე ამბობს, აბა ახლა ჩემი გაიგონეთ! მეფე ირაკლი და დედოფალი დარეჯან, მდინარე ივრის პირას სოფელ ხაშმში მოვიდნენ კახეთითგან..... იმ დროებში მეფის ირაკლის მსაჯულის სოლომონისაგან წიგნი მოუვიდა ხაშმზე: იმერეთიდგან პირუალი კაცები გეახლებიან თქვენთან, იმერეთის მისაცემადო. მეფე ირაკლიმ უეცრად წამოიძახა „ჩემი დიდი ხნის განზრახუა სრულდებაო“ (ეს ადრეც ცხადი იყო, რომ მეფეს ირაკლის იმერეთის დიდი მეფის სოლომონის გადაგდება განეზრახა, იმერეთის და ქართლ-კახეთის შესაერთებლად). მეფე სოლომანს ეს ამბავი შეეტყო და შემოუთვლია: მეფე ირაკლი, შენ გინდა ხლინგ გამიკეთო და მე უფრო ადრე მოგვერდზე წამოგიყვანო. ისიც დიახ კარგი მეფე იყო!“ **(1.2,№1646).** ალ. ორბელიანი კრიტიკულია პლ. იოსელიანის მიმართ და ერთგვარად, უნდობლად განწყობილიც, იგი ეწინააღმდეგება პლატონს, ვერ ეგუება მის მიერ გაერთიანებისათვის მებრძოლი და მზრუნველი ერეკლე მეფის როლის დაკნინებუ-

ლად წარმოჩენას მთელ ამ ისტორიაში. მით უფრო მაშინ, როცა პლატონის მონათხრობში გაერთიანების მხარდამჭერი დავით სარდალი თუ სხვა „პირველი კაცები“ გაერთიანებისათვის უფრო მეტად მზრუნველად არიან წარმოჩენილნი, ვიდრე ერეკლე მეფე - იგი საქართველოს გაერთიანების მოწინააღმდეგე ბანაკში სახელდება დარეჯან დედოფალთან და იოანე მუხრანბატონთან ერთად. ეს მომენტი მეფის შვილიშვილის აშკარა გაღიზიანებას იწვევს. უკმაყოფილო ალ. ორბელიანი იქვე კატეგორიულად აცხადებს: საქართველოს გაერთიანება ერეკლე მეფის დიდი ხნის განზრახვა იყო და ამისთვის დიდად ზრუნავდა კიდეცო; აქ დასტურად მოჰყავს წარსულში ორ მეფეს შორის არსებული დაპირისპირება ერეკლე II – ის მიერ იმერეთის ქართლ-კახეთთან შეერთების მცდელობის გამო. ალ. ორბელიანი ეხება ასევე, მეფესთან თათბირზე წამოჭრილ საკითხებს; თათბირის დასასრულს ერეკლეს საკითხი დაუყენებია, თუ რა პირობით მიეღოთ იმერეთი, ან ვინ დაესვათ იქ. პასუხი ვერავის გაუცია. ადრე იქ ლევან ბატონიშვილს უპირებდნენ გაგზავნას, მაგრამ ეხლა იგი ცოცხალი აღარ იყო. ერეკლეს თავისი სიძის, დავით ორბელიანისთვის, შეუთავაზებია იმერთა მმართველობა, „დავით სარდალი უარზე დამდგარა: იმერლები ვერ მომიხდენენ და გამომაპარღურებენო. ამის შემდეგ ერეკლეს კვლავ უკითხავს ვინ დაესვათ იმერეთში გამგებლად **(1.2,-№1646).** ბოლოს ს. ლიონიძეს უმარჯვნია და წამოუყენებია მისაღები კანდიდატურა „შენი შვილიშვილი სოლომონი გავგზავნოთ. მინამ ცოცხალია მეფეთ იყოს, მაგრამ თქვენს მორჩილებას ქვეშე უნდა გახლდეთ. მას უკან თვენმა მომავალმა მეფემ შეაერთოს იმერეთი ქართლ-კახეთსა. მანამდისინ იმერეთის ხალხიც უფრო კარგად შეეჩვევა ამ აზრს და შემდგომად აღარ გაძნელდება, ადვილად მოუვლის ვისაც დასმენ იქა“**(1.2,№1646)** სოლომონ მსაჯულის ეს აზრი ყველას მოეწონა და მის მერე ადვილად დასვეს პატარა სოლომონი მეფედ იმერეთში. ამ მონაცემებიდან აშკარად ვხედავთ, როგორი აზრთა ჭიდილი გამართულა საკითხის მოსაგვარებლად და კონკრეტული გზების საპოვნელად.

ერთი შეხედვით, ეს ორი ავტორი ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს იძლევა, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით მათ, ისინი ურთიერთს ავსებენ.

პლ. იოსელიანის მიხედვით, იმერეთის დელეგაცია მეფე ერეკლესაგან ითხოვდა იმერეთის უშუალოდ შემოერთებას, ერეკლეს ხელქვეით მოქცევას, რაზეც ერეკლემ უარი განაცხადა და იმერეთში მეფედ დასვა დავით არჩილის ძე. ალ. ორბელიანის თქმით, ერეკლე გაერთიანების წინააღმდეგი არ ყოფილა, პირიქით, ამისთვის ადრეც იღვწოდა. ეს, მართლაც, ასე იყო. საყოველთაოდ ცნობილია,

რომ ზოგადად ერეკლე გაერთიანების მომხრე იყო. ამ კუთხით მისი მცდელობანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარგად გამოვლინდა 60-70-იანი წლების პოლიტიკაში. უბრალოდ, ამ შემთხვევაში პლატონის წყარო აფიქსირებს იმ მომენტს, რომ ერეკლე იმერეთის უშუალოდ შემოერთების წინააღმდგი იყო, თორემ მეფეს ზოგადად რომ გეგმაში ჰქონდა გაერთიანება, ამის უარყოფა ამ წყაროში არც არის დაფიქსირებული.

მაშასადამე, ამ წყაროთა შეჯერებიდან ორი პოზიცია გამოიკვეთა გაერთიანების საკითხის ირგვლივ – იმერეთის უშუალოდ შემოერთება (და ამის წინააღმდეგი ერეკლე მართლაც იყო) და იმერეთის გავლენის ქვეშ მოქცევა იქ თავისი მომხრე პირის დასმით (ეს მეფის ურყევი პოზიცია გახლდათ).

შექმნილ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში, ერეკლე მეფემ ამგვარად გადაწყვიტა ეს პრობლემა და თავიდან აიცილა გართულებები, რაც შეიძლება იმერეთის უშუალოდ შემოერთებას მოჰყოლოდა. ჩანს, ალ. ორბელიანი ამ პოზიციის მომხრეა, პატივს სცემს რა ერეკლეს მიერ საკითხის ამგვარ გადაწყვეტილებას.

ამის შემდეგ, 1790 წ-ს ქართლ-კახეთის 4.000-იანი ჯარის დახმარებით იმერეთის სამეფო ტახტიდან გადააგდეს დავით გიორგის ძე და მეფედ დასვეს დარეჯანის შვილიშვილი დავით არჩილის ძე (სოლომონ II). ერეკლეს ამგვარი გადაწყვეტილება გარდა იმისა, რომ იგი მეფე-დედოფლის პირადი ინტერესებით იყო ნაკარნახევი, რუსეთის მთავრობის წარმომადგენელთა იმ რჩევის გამოძახილიც უნდა იყოს, რომლის მიხედვით დავით გიორგის ძე უნდა ყოფილიყო იმერეთის მეფედ, ვიდრე ერეკლეს შვილიშვილი დავით არჩილის ძე სრულწლოვანი შეიქნებოდა. ხოლო ქართლ-კახეთის მეფის იმერეთის საქმეებში ჩარევას (ამჯერად გამეფებას) ეს ერთგვარი შეთანხმება ნამდვილად არ ითვალისწინებდა. ერეკლეც ხომ ერთმორწმუნე მფარველის ზედმიწევნით დამჯერი და მიმნდობი ქვეშევრდომი იყო. მას თითქოს დაავიწყდა ტრაქტატის დადების ძირითად მიზანს ქართული მიწების შემოერთება და საერთოდ ქვეყნის ძლიერების აღდგენა რომ წარმოადგენდა.

საუბედუროდ, „ქართლ-კახეთის მეფის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ერთი სერიოზული მანკი 80-იან წლებში უდავოდ ისიც იყო, რომ ერეკლე თითქოს უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა თავისი ბატონობის გაფართოებას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ვიდრე საკუთრივ ქართულ მიწებზე ერთმეფობის აღდგენას“**(88,729).** ი. გოგებაშვილი ამ საკითხზე წერდა: „ბევრს ხელმწიფეს უნატრია ამისთანა წადილი დანაწილებულის ერისა, რომელიც საქართველომ გამოუცხადა ერეკლესა, მაგრამ ნატვრა რომ არ ასრულებია - დიდი ხნის განმავლობაში

ხელში ხმალი სჭერია, უღვრია თავისივე ხალხის სისხლის ნაკადულები და ძალ-დატანებით შეუერთებია იგი ერთის სკიპტრის ქვეშა. იტალიის შეერთებას მოუნ-და არა ერთი შინაური ომი. გერმანიამ შეადგინა ერთი იმპერია მხოლოდ მას უკან, რაც ბისმარკმა კრუპის ზარბაზნებით და ბერდანის თოფებით დააჯერა ნე-მეცების ერთობის საჭიროება ... ჩვენში კი წადმა მსვლელობა მიიღო საქმემ; თვი-თონ ხალხმა, თვითონ ერმა იგრძნო ერთობის საჭიროება და მეფისაგან მოითხო-ვა ერთ-მთავრობის დაფუძნება. მაგრამ მეფემ უარი სთქვა იმაზედ, რასაც სხვა გვირგვინოსანნი, მხოლოდ ხანგრძლივი სისხლის ღვრით მოეწეოდნენ ხოლმე... ქვის გული უნდა საქართველოს შვილს, რომ ეს ისტორიული მოვლენა, სავსე ტრაღიკული მნიშვნელობითა, გაიცნოს ისე, რომ დარდით და ნაღველით არ აივ-სოს“**(78,60-61).** დასასრულს, ი. გოგებაშვილს თავისი აზრის გასამტკიცებლად მოჰ-ყავს ერთი სომეხი მწერლის სიტყვები, „რომელსაც ვერავინ ვერ შესწამებს მიდ-გომით მსჯელობას ქართველების მიმართ; გენერალი ქიშმიშოვი თავის ნადირ-შაჰის ისტორიაში ამბობს: „წარსულის საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო იყო ძლიერი სახელმწიფო და მას ემორჩილებოდნენ და ხარკს აძლევდნენ განჯის, ყარაბაღის, ერევნის ხანები. თუ შეერთებული ქართლ-კახეთი ამოდენა ძა-ლას იჩენდა, ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ძლიერების პატრონი შეიქმნებო-და საქართველო, როდესაც ერთი სკიპტრის ქვეშ თავს მოიყრიდნენ იმერეთიც, გურიაც, რაჭაც და სამეგრელოც, თანახმად მაშინდელი დაწინაურებული ქართ-ველების წადილისა“ **(78,60-61),** ამგვარ შეფასებას აძლევდნენ XVIII ს-ის II ნახევ-რის საქართველოში გაერთიანების პერსპექტივებს სხვა სომეხი ისტორიკოსებიც: ლეო (არაქელ ბაბახანიანი) თავის „სომხეთის ისტორიაში“ **(56,201)**, ა. იოანისიანი თავის ნაშრომში „რუსეთი და სომხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა XVIII ს-ის 80-იან წლებში“ **(99,209).** აი, ასე უკუღმართად დაბოლოვდა ეს დიდებული წამოწყება.

ისტორიულ ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისი – ერეკლეს გაუბე-დავი მოქმედების თურქეთის საფრთხით გამართლებისა – მთლად საფუძვლია-ნად ვერ ჩაითვლება. ზოგიერთ ისტორიკოსთა აზრით, შეუძლებელი იყო საქარ-თველოს გაერთიანების საკითხის დადებითად გადაწყვეტა, რადგან ოსმალეთი არ მოითმენდა ამერ-იმერის გაერთიანებას და თავისი კუთვნილი ქვეყნის აღმოსავ-ლეთ საქართველოსთან შეერთებას, რომ შედეგად ამას მოჰყვებოდა კონფლიქტი თურქეთთან. ასე რომ ეფიქრათ საქართველოს გამაერთიანებელ დიდ მეფეებს და ამ საკითხის გადაწყვეტა მტრის სურვილზე მიენდოთ, ვერასოდეს შეძლებდნენ

ქვეყნის გაერთიანებას. ამას გარდა, იმერეთი იმ დროს დამოუკიდებელი სამეფო იყო და იგი სრულებითაც არ ემორჩილებოდა თურქეთს. მართალია, ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთმა იმერეთი თურქეთის გავლენის სფეროდ სცნო, მაგრამ ამ ფაქტს, საქმის რეალური მხარე არ შეუცვლია, ე.ი. ფაქტობრივად იმერეთი თურქეთის გავლენას არ დამორჩილებია, მაგრამ აქ მთავარი მაინც ისაა, რომ თურქეთის საკითხი, როგორც იმერეთის შემოერთების ხელისშემშლელი ფაქტორისა, თათბირზე საერთოდ არც დამდგარა. ხოლო ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ამგვარი საშიშროება თურქეთის მხრივ ანგარიშგასაწევ ფაქტორად არ მიაჩნიათ. 1787-1791 წწ-ში, ე. ი. სწორედ იმ დროს, როცა თბილისში საქართველოს გაერთიანების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, რუსეთსა და ოსმალეთს შორის გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა და ამ ბრძოლაში რუსეთისაგან რამოდენიმეჯერ სასტიკად დამარცხებულ თურქეთს საქართველოს საქმეებში ჩარევა კი არა, საკუთარი ტერიტორიების დაცვა უჭირდა. რუსეთ-თურქეთის ომის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება იყო გაფორმებული ერეკლესა და ოსმალეთის ფაშას შორის (1786წ-ს), ფაშაც და ერეკლეც მას არღვევდა. საფაშოს მხრიდან გახშირებულ თავდასხმებს წარმატებით იგერიებს და ხშირ შემთხვევაში შეტევაზეც კი გადადის ერეკლე მეფე; როგორც თეიმურაზ ბაგრატიონი გადმოგვცემს, 1789 წ-ს დავით ბატონიშვილმა ძევერაზე თავდასხმა მოიგერია, ასევე წარმატებით იქნა მოგერიებული ხელთუბანზე თავდასხმა **(4,61),** იმავე წლის 15 ენკენისთვეს ახალციხის სოფლები წაართვეს მტერს ქართველებმა **(121,167),** ოქტომბრის თვეში დავით ბატონიშვილმა ერეკლეს დავალებით ყარსის მხარეში ილშქრა და აიღო ინჯალარი, ჟუმუშლი, ფალდრევანი და დიდი ნადავლით უკან დაბრუნდა **(4,62).** აშკარად ჩანს, მეფე ერეკლე თავისას ცდილობდა სამცხე-საათაბაგოს შემოერთების საკითხში – იმედოვნებდა რუსეთ-თურქეთის დაზავებისას სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის (თუნდაც ნაწილის) დაბრუნებას. როგორც ვხედავთ, ქართლ-კახეთის სამეფო კარი აქტიურია, მას საკმაო ძალა შესწევს მტერთან გასამკლავებლად – მომხვდურს საკადრის პასუხსაც სცემდა და ინტენსიურ შეტევებსაც ახორციელებდა. თურქეთის მხრიდან რეალური საფრთხე რომ არსებულიყო, განა თვით იმერეთის წარმომადგენლები კი წამოჭრიდნენ აღმოსავლეთ საქართველოსთან გაერთიანების საკითხს? ანდა აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულები ასე დაჟინებით რატომ მოითხოვდნენ იმერეთის შემოერთებას, თუკი ეს შეუძლებელი იყო თურქეთის წინააღმდეგობის გამო? თუ ერეკლეს ესმოდა მხოლოდ მაშინდელი საქართველოს სირთულენი, ხოლო იმერეთისა და აღმოსავლეთ საქარ-

თველოს წარმომადგენლები გრძნობას აყოლილი ფანტაზიორები იყვნენ? თურქეთის მხრივ კიდეც რომ შექმნილიყო საფრთხე, ერეკლეს შეეძლო, საქმის გართულების შემთხვევაში დაეტოვებინა იმერეთი და უარი ეთქვა გაერთიანებული საქართველოს მეფობაზე. აკი მეფე ერეკლეს ურჩია კიდეც იმერეთის დელეგაციის წარმომადგენელმა ქაიხოსრო წერეთელმა, რომ „უკეთუ ვერ დამტკიცდება ერთობა და შეუდგება უწესობა, სავნო ქართლისათვის და მეფობისა თქვენისათვის, – მაშინ დაუტევეთ იმერეთისა მეფობა... ამითი არა დაშავდება რა. სცადეთ რა შეუდგებაო“ **(26,16).** თვით ერეკლემ ყოველგვარი განმარტების – საგარეო თუ საშინაო კონკრეტულ არგუმენტთა მოშველიების გარეშე მიიღო თავისი შვილიშვილის მეფედ დასმის გადაწყვეტილება. ამგვარად, იმის მტკიცება, რომ თითქოს ოსმალეთი კატეგორიული წინააღმდეგი იქნებოდა საქართველოს გაერთიანებისა, მთლად საფუძვლიანი არ უნდა იყოს (ერთიანი საქართველო, როგორც რუსეთის შემაკავებელი ბარიერი და წინაღობა, მისთვის ასე თუ ისე ასატანი იქნებოდა). პირიქით, კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების საშიშროებასთან დაკავშირებით, თურქეთი ყოველთვის მარტო იმას ეხვეწებოდა ქართველ მეფეებს, რომ ისინი რუსეთ-თურქეთის ომის შემთხვევაში რუსებს არ მიმხრობოდნენ და საქართველოში არ შემოეშვათ, სამაგიეროდ, თურქეთის მთავრობა არა მარტო ხელშეუხებლობის გარანტიას იძლეოდა, არამედ უფრო მეტ სიკეთესაც პირდებოდა. თურქეთი არათუ საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგი შეიძლებოდა ყოფილიყო, თუკი საქართველო ჩამოშორდებოდა რუსეთს, არამედ იგი წარსულ საუკუნეებში მიტაცებული ტერიტორიების უკან დაბრუნების პირობასაც კი იძლეოდა. საქართველოს გაერთიანების ხელისშემშლელი ამ შემთხვევაში უკვე ძლიერი რუსეთი იყო და არა დაშლილ-დაუძლურებული ირან-ოსმალეთი, ამ უკანასკნელისათვის უფრო მისაღები იყო მოძლიერებული ქვეყანა, როგორც შემაკავებელი ბარიერი კავკასიაში მოძალებული რუსეთის იმპერიისა.

ასე, რომ 90-იანი წლებისათვის, იმ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში საგარეო ფაქტორი საქართველოს გაერთიანებისთვის შემფერხებელი არ უნდა ყოფილიყო; ეს დელეგაციის წარმომადგენლებსაც მშვენივრად უნდა ჰქონოდათ გააზრებული. „XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში რუსეთის იმპერია კიდევ უფრო მტრულად დაუპირისპირდა ირან-ოსმალეთს, ისიც აქტიურად ჩაება კავკასიის დაუფლებისათვის ბრძოლაში. ქართველ მეფე-მთავრებს საშუალება ჰქონდათ ამ დიდი სახელმწიფოების ჭიდილი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ, დიპლომა-

ტიური ხერხებით აეცილებინათ საქართველოსთვის საგარეო საფრთხე, შეენარ-ჩუნებინათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა“ **(59,134).**

მას შემდეგ, რაც ეს საშვილიშვილო საქმე ჩაიშალა, მეფის მსაჯული, დიდებული მამულიშვილი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი სოლომონ ლიონიძე შეეცადა გარეგნული კავშირი მაინც დამყარებულიყო საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის. ამ მიზნით მან ბევრი იღვაწა. იგი კარიკარ დადიოდა და მეფე-მთავრებს არწმუნებდა, რომ „ერი დაცული გარეთითა უცხოთა ნათესავთაგან მფარველობითა, არის მარადის დამდაბლებული. ერი სხვათა მფლობელობასა შინა ქვეშე შესული არის მონა და მონა მზაკვარი, დაცინებული, მასხრად აგდებული, კარგავს სულისა თვისისა საკუთარსა ძალასა და ღირსებასა. უძლური სულითა, კარგავს სხეულისაცა ძალასა: ენა და მეტყველება მისი, მწერლობა და მწიგნობრობა მოეღება ერსა დამონებულსა უცხოსა ნათესავისა ენითა და ჩვეულებითა“ **(26,24;1.7,№28).** ამიტომ ლიონიძე უპირატესობას შინაგან გაერთიანებას ანიჭებდა და ცდილობდა, შინაკავშირით გაეუქმებინა გარეკავშირი. „სოლომონ ლიონიძე მრავლად დაშვრა, რათა მოეყვანა ერთობასა მტკიცესა ერთნათესაობა ქართველთა, მეცადინებდა შინაკავშირითა გაეუქმებინა გარეკავშირი“ **(26,24).** მისი დიდი ღვაწლითა და თაოსნობით 1790 წ-ს დასავლეთ საქართველოს მფლობელებსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დაიდო ფიცით განმტკიცებული ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ანუ „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა აღწერილი სამეუფოსა ქალაქსა თბილისს 1790 წელს“**(45,II,I,183-5)**. ივერიელთა ერთობის ტრაქტატში ქართველ მფლობელებს შორის უზენაეს ხელისუფლად ქართლ-კახეთის მეფე მოსჩანს. ორიენტაციის საკითხშიც დასავლეთ საქართველოს ხელისუფალთა მხრივ აღიარებულია რუსეთის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთის მეფისადმი მორჩილება. ეს უკანასკნელი ვალდებულებას იღებს უშუამდგომლოს მათ რუსეთის იმპერატორის წინაშე მფარველობის მისაღწევად**(18,501-507).** „ივერიელთა ერთობის“ ხელშეკრულებიდან აშკარად მოსჩანს ქართველ პოლიტიკოსთა სწრაფვა რუსეთის მფარველობის ქვეშ ძლიერი საქართველოს შექმნისა. დიდი მამულიშვილისა და პოლიტიკური მოღვაწის სოლომონ ლიონიძის მიზანსწრაფვა ქართული სამეფო-სამთავროთა გაერთიანებისა და ამგვარი სახით შესვლისა რუსეთის მფარველობაში, ქართული მიწების უცხო ტომელთა (რუსთა და ირან-ოსმალთა) შორის განაწილებისა და მით საბოლოო გათიშვის საშიშროებასაც უღობავდა გზას.

ამავე დროს სხვა სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ შესვლას სოლომონი დროებით ღონისძიებად თვლიდა. სხვა ქვეყნის მფარველობაში ყოფნა მას ერის დამდაბლებად მიაჩნდა. რუსეთის მფარველობაში გაერთიანებული საქართველოს შესვლას, იგი მაჰმადიანთა ბატონობისაგან გასათავისუფლებელ ხელსაყრელ, დროებით ღონისძიებად თვლიდა. საქართველოს მოღონიერების შემდეგ, რუსეთის მფარველობაში დარჩენა სოლომონს საქართველოსათვის საზარალოდ მიაჩნდა, იგი ქართველებისათვის გადაგვარების საშიშროებას ხედავდა ამ ფაქტში.

თავიდან ერთობისკენ მოუწოდებდა ქართველ მოღვაწეებს რუსეთის მთავრობაც. „ადრითგანვე უმაღლესი კარი უდიდებულესისა თქვენისა ყოვლითა წერილითა და პირითა ელჩთათა ნიადაგ ვალდებულ გვყოფდა ამასზედა, რათამცა შეერთებულ ვიქმნეთ ჩვენ, მეფენი ყოვლისა ივერიისანი“ **(45,II,I,112)** – შეახსენებდნენ ივერიელთა ერთობის ტრაქტატის დადების შემდეგ 1793 წ-ს ქართველი მეფე-მთავრები რუსეთის დედოფალს და სთხოვდნენ მფარველობაში შესვლას, „რათა არა განყოფილ იქნას საუკუნოდ ერნი ქართლისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა რუსთა იმპერიისა ზედა მიწერითა, და რათა მსგავსად საქართველოსა მთელი ივერია იყოს მიწერილი იმპერიასა ზედა რუსეთისა, ტრაქტატისა ამის ჩვენისაებრ მფარველობითა თქვენისა უავგუსტესისა კარისათა, და ... შეერთებულნი ესე ყოვლისა ივერიისა მეფენი და მთავარნი... საერთოთა მფარველობითა განვათავისუფლოთ სულთაგან მაჰმადიანთა მონარხთასა“**(45, II,I,113).** მაგრამ ქართველ პოლიტიკოსთა მიზნებს განხორციელება არ ეწერა, რადგან როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის მთავრობას ქართველ მეფე-მთავართა ერთობა მანამდე სურდა, სანამ არ უზრუნველყოფ-განიმტკიცებდა თავის პოზიციებს საქართველოში და, საერთოდ, კავკასიის რეგიონში. აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით, იმ ვითარებაში, როცა რუსეთის მეტოქეები ამიერკავკასიაში სუსტდებოდნენ, ხოლო რუსეთის ინტერესები ამ ქვეყნისადმი იზრდებოდა „ძლიერი და ერთიანი საქართველო რუსეთისათვის საჭირო აღარ იყო“**(61,IV.125).** რუსეთის დიპლომატიას არც მაშინ და მით უფრო, არც შემდეგში არ აწყობდა გაერთიანებულ-გაძლიერებული საქართველო. ეს ცხადად დაადასტურა შემდგომდროინდელმა მოვლენებმა, როცა რუსეთი საქართველოში დამკვიდრების პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდა. „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკის მისთვის ჩვეული მეთოდით მას ერჩივნა ცალკეული სამეფო-სამთავროების სახით წარმოდგენილი საქართველო მიეღო თავის მფარველობაში და არა გაერთიანებული (იმერეთის სამეფოს საპი-

რისპიროდ მას სამეგრელო და სხვა სამთავროები ცალ-ცალკე შეჰყავდა თავის მფარველობა-ქვეშევრდომობაში)“.

მართალია, სოლომონ ლიონიძის თაოსნობით 1790 წ-ს საქართველოს მეფე-მთავართა შორის ერთობის ხელშეკრულება გაფორმდა, „გარნა სადღა იყო ძალი დამაკავშირებელი მათი?“ ისტორიკოს პლატონ იოსელიანის სამართლიანი შენიშვნით „ოდეს მეფემან ირაკლი მეორემან დაკარგა ერთმეფობისა იმერთა თხოვა, დაკარგაცა ძალი კავშირისა“**(26,24).**

მაგრამ რა ამაო იყო სოლომონ ლიონიძის ღვაწლი, მაშინ როცა, ერეკლე მეფემ, სულ მალე, ორიოდე წლის შემდეგ ისეთი კანონები მიიღო, რომ ერის გაერთმთლიანებაზე ზრუნვას ვინ ჩივის, ამ კანონებით თვითონვე აქუცმაცებდა სამწყსოს თავის მრავალრიცხოვან შთამომავლებს შორის და მით აძლიერებდა ფეოდალურ პარტიკულარიზმს, დათრგუნვის მაგიერ.

1791-92 წწ-ში დარეჯან დედოფლის მითითებით, რომლის ხელშიც აღმოჩნდა ბოლო ხანებში ქვეყნის ფაქტიური მმართველობა და ხშირად სახელმწიფო დიდ საქმეებში თავის ნება-სურვილზე ატარებდა გვირგვინოსან მეუღლეს, ერეკლე II-მ ორი ფრიად რეაქციული კანონი დაამტკიცა მემკვიდრეობისა და საუფლისწულოების შესახებ. პირველი კანონით მან შეცვალა მემკვიდრეობის ოდითგანვე არსებული წესი, რომლის მიხედვითაც სამეფო გვირგვინი უფროს შვილს კი აღარ უნდა რგებოდა, არამედ სამეფო გვარში უფროსს. მეორე კანონით მან ისედაც ერთი ბეწო სამეფო მრავალრიცხოვან ბატონიშვილებზე საუფლისწულო სამფლობელოებად დაანაწილა. „ერეკლე II-მ XVIII ს-ის 80-90-იან წლებში სამეფო და სადედოფლო ყმა-მამულების ნაწილი თავის მემკვიდრეებს – ბატონიშვილებს მუდმივ საკუთრებაში გადასცა. საკმაოდ მსხვილი მემამულეები გახდნენ იულონ, ვახტანგ, იოანე, მირიან, ალექსანდრე და ფარნაოზ ბატონიშვილები. ბატონიშვილთა საკუთრებას საუფლისწულოები ეწოდებოდა... მაგრამ მეფემ თავისი მემკვიდრეები პროვინციაში ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით საკუთარ წარმომადგენლებად დანიშნა. სპეციალური ნებართვით მათ სამართალწარმოებაში მონაწილეობის უფლება, სამხედრო ფუნქციები და სხვა უფლება-მოვალეობები დააკისრა **(96,174)**, თუმცა ზოგი უფლებები შეუზღუდა უფლისწულებს ერეკლემ – მათ ეკრძალებოდათ საუფლისწულოში განწესებულ მოურავთა, სარდალთა, მდივანბეგთა წინააღმდეგობა, სამეფოს ფინანსურ და სახელმწიფო მოხელეთა საქმეებში ჩარევა, ლაშქრის შეკრება მეფის ნებართვის გარეშე, მეზობელ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობა და სხვ. **(3,122).**

ამ ღონისძიებებით მეფეს სურდა ესოდენ მრავალრიცხოვანი უფლისწულები სახელმწიფო მოხელეებად ექცია და სამეფო ტახტის გამო მათი ამბიციები შეეკვეცა. აკი მეფე თავად ამბობს 1791 წ-ის თავის მიერ შედგენილ „განწესებულებანში“, რომ მისი სურვილი და მიზანი იყო კეთილგანწყობილებასა, ერთობასა და თანხმობაში ყოფილიყვნენ ბატონიშვილები, ამიტომ თავ-თავისი წილი იმთავითვე გავუჩინე, მათ შორის მტრობა და შფოთი რომ არ შექმნილიყოო: „საკუთარი ნარგები მამული ყველას მისცემია და აქვსთ; და ეს წილი და კერძი მათი ყველა აღმოჩენილი არის, რომ როგორ უნდა ერთად ძმობდნენ... სახლეულობის ჩემისა და შთასრულისა ნათესაობისა ჩემისა და შვილთა მათთათვის აღვწერე, რომ არ გაიყარნენ, ერთ სამეფო იყოს და სიყვარულით იყვნენ და არ მტერობდნენ, ეგრეთვე ქართველთა და კახთათვის, რომ ამ საქმით იყვნენ სიყვარულით დამტკიცებულნი ყოველნი ბატო-ყმანი და ამხანაგნი, რომ თქვენში ღმრთის წინააღმდეგი შური და შერევნა არ მოხდეს რა“. „...თუ სხვაგნიდამ ვინმე შფოთს შემოგიგდებენ, ღმრთით ამ ერთობით, ...კიდეც განზდევნით და ღმერთიც შეგეწევათ სიყვარულსა და ამისთანა ერთობაში ჩემს შვილებსაცა და ქვეყანასაცა“ **(24,I.201-2;1.5,2140;18,507-8).** ხოლო ტახტის მემკვიდრეობის ახალი კანონის მიღებით კი მეფე იმედოვნებდა მრავალრიცხოვან პრეტენდენტთა შორის მეფობა ღირსეულს რგებოდა. მართალია, ერეკლე II-ის მიზანს, მისივე განაცხადით, საკუთარ სახლეულობასა და ქვეყანაში სიმშვიდის დამყარება შეადგენდა, მაგრამ პირიქით კი გამოვიდა. მემკვიდრეობის სახეცვლილმა კანონმა ბატონიშვილთა ამბიციები და პრეტენზიები კვლავ გამოაცოცხლა და ააღორძინა. „რასაც მეფემ პოლიტიკური სტრუქტურის გარდაქმნით ვერ მიაღწია, ნათესაობის საშუალებით გადასწყვიტა მოეწყო. მაგრამ აქ ერეკლემ გაიმეორა ის შეცდომა, რომელიც ისტორიაში არა ერთხელ ყოფილა... ჩვეულებრივი თავადიშვილი მეფეს ისე ადვილად ვერ გაუბედავდა ურჩობას, როგორც მისი შვილი“**(136,119).** ეს კარგად გამოჩნდა 1795 წლის განსაცდელის ჟამს. „მოგვიანებით, ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, ტახტის დაუფლებისათვის გამწვავებულ დინასტიურ ბრძოლაში ბატონიშვილები მინიჭებულ ძალაუფლებას საკუთარი ინტერესებისათვის იყენებდნენ, რამაც აღა-მაჰმად-ხანისაგან დარბეული ქვეყნის კიდევ უფრო დასუსტება გამოიწვია. ამიტომაც, საუფლისწულოთა შექმნა ქართულ ისტორიოგრაფიაში ერეკლე II-ის შეცდომად სამართლიანად არის მიჩნეული“**(96,175).**

ამრიგად, შრომითა და ბრძოლით შექმნილი სამეფო ქონება განკერძოებისაკენ მიდრეკილ და ამბიციებით შეპყრობილ უფლისწულებს ჩაუვარდათ ხელში.

ეს ცვლილებანი უკმაყოფილებას იწვევდა თვით ერეკლეს მომხრეებშიც. ამ ამ-ბის შესახებ პ. იოსელიანი გადმოგვცემს, რომ მეფის ელჩი გარსევანი „...იცნობდა მეფის ძმათა და შვილთა, ოდესმე ასმენდა მათ და ამხელებდა, თვით დედოფალ დარეჯანსა, მწყალობელსა თვისსა, მისწერა წერილი მკვახე სადამე შფოთთათ-ვის დაუცხრომელთა და დიდად არ მოეწონა არცა ანდერძი მეფის ირაკლის, არც მეცადინეობა თვით დედოფლისა, რათა აღვიდეს ტახტსა და მეფობდეს მა-გალითისამებრ ეკატერინისა“**(26,149-50).**

თავიანთ საუფლისწულოებში ბატონიშვილებს თავი ხელმწიფეებად მოჰ-ქონდათ, ისინი თავადური რეაქციის ბურჯებად იქცნენ. თითოეული ბატონიშვი-ლი თავის მომხრე დასს იკრებდა თავის გარშემო და ტახტზე ასვლასა და გამე-ფებაზე ოცნებობდა. ისე, რომ ამ პატარა სამეფოში არსებითად არ არსებობდა ერ-თი ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს დაიცავდა.

საქართველოს გაერთიანების საკითხი, რომელიც ერთიანი სამეფოს დაშ-ლის შემდეგ ყოველი დიდი მეფის საზრუნავს შეადგენდა, XVIII ს-ის 80-იანი წლების ბოლოს ჩაიშალა, რაშიც დიდი როლი ითამაშა გარეშე ძალის აქტიუ-რად ჩარევამ. გადამწყვეტ მომენტში, ქართლ-კახეთის მეფემაც გაუბედაობა გამო-იჩინა – უშუალო შემოერთებას იქ თავისი ხელქვეითის დასმა ამჯობინა. ერეკლე II სხვა გზით – ქართული მიწების რუსეთის საფარველქვეშ შეკრებით იმედოვნებ-და საკითხის გადაწყვეტას. ბუნებრივია, ამ გეგმამაც კრახი განიცადა – არ იქნა გათვალისწინებული „მფარველის“ რეალური მიზან-სწრაფვანი.

ისე, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში ქვეყნის გაერთიანებისა და საგა-რეო ორიენტაციის პრობლემები მჭიდროდ გადაეხლართა ერთმანეთს და საბო-ლოო ჯამში შიდა ეროვნული ძალების მარცხით დასრულდა. საქართველოს გა-ერთიანების ჩაშლას შორსმიმავალი შედეგები მოჰყვა - ამან დააჩქარა ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ნგრევა.

V თავი. კრწანისის ტრაგედია და 1801 წლის მანიფესტი, რუსული იმპერიალიზმი საქართველოს სინამდვილეში

§1. კრწანისის ტრაგედია და 1801 წლის მანიფესტი

XVIII ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სამხრეთელმა მეზობელმა თანდათან მოიკრიბა ძალები და აშკარა სამზადისს შეუდგა „განდგომილი ყმადნაფიცის“ დასაბრუნებლად. 1794 წ-ის ბოლოს აღა-მაჰმად-ხანმა ბოლო მოუღო თავის უკანასკნელ მოწინააღმდეგეს ქერმანში ლუტფ-ალი-ხანს. „1795 წ-ის დასაწყისში კი კვლავ გაგზავნა ელჩი თურქეთში და აცნობა, რომ საქართველოს დასაპყრობად მიდიოდა და თხოვდა, თურქეთი არ ჩარეულიყო ამ საქმეში“-**(14,329).** თურქეთისათვის სასარგებლო იყო აღა-მაჰმად-ხანის მიერ საქართველოს დალაშქვრა, რადგან ამით იგი რუსეთს უპირისპირდებოდა. როგორც ჩანს, უკვე არსებობდა შეთანხმება ირანსა და თურქეთს შორის საქართველოს განაწილების შესახებ“**(179,151).**

მართალია, ქართული მხარისათვის სპარსელთა სამზადისი და მიზნები უცნობი არ ყოფილა, მაგრამ მტრის აგრესიას მოუმზადებელი დახვდა, რაც მთელი რიგი მიზეზებით იყო განპირობებული.

გარდა იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველო ადმინისტრაციულად იყო დაქუცმაცებული, ქვეყანას დიდი ხანია სხვა სენიც ღრღნიდა. ერეკლეს დროის ქართლ-კახეთის სამეფოს მთელი მოწინავე საზოგადოება დაყოფილი იყო ერთიმეორის მოპირისპირე დასებად. რუსეთთან დაკავშირება „ჩვენს ქვეყანას მარტო საერთაშორისო დამოკიდებულებას კი არ უფუჭებდა, მარტო მის გარეშე მტრებს კი არ ათამამებდა, არამედ შინაურ ცხოვრებაშიც არევდარევასა და სხვადასხვა პოლიტიკურ დასთა შორის ბრძოლას ამწვავებდა, მეფისა და მთავრობის პატივისცემისა და უფლების გაქარწყლებას ხალხის თვალში ხელს უწყობდა. ბევრნი ხედავდნენ, რომ მთავრობის მთელი პოლიტიკა საქართველოს უბედურების მეტს არას უმზადებდა და ამის გამო სპარსეთთან და ოსმალეთთან შეთანხმების მომხრენი დაუნდობლად ებრძოდნენ იმ წრეებს, რომელნიც რუსეთის მფარველობისა და მოკავშირეობის მომხრენი და მოთავენი იყვნენ“**(202,56).** ერეკლეს პოლიტიკით გამოწვეული უკმაყოფილების უმაღლესი გამოხატულება იყო ჯერ კიდევ 1765 წ-ს გამოვლენილი „მარკოზაშვილის დარბაზის“ სახელით ცნობილი შეთქმულება. ერეკლეს დროს ძირითადი პოლიტიკური დაჯგუფებები იყო: 1. რუსეთის ორიენტაცი-

ის მომხრეთა ჯგუფი. 2. რუსეთის ორიენტაციის მოწინააღმდგეთა ჯგუფი. 3. სომხური ჯგუფი, რომელიც აგრეთვე რუსების გაბატონებას უწყობდნენ ხელს საქართველოში და თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე ცდილობდნენ საქართველოს ნაოხარზე „დიდი სომხეთი“ აეშენებინათ. სომხეთის ზედა ფენა – ბურჟუაზია, სასულიერო პირები თუ მელიქები ესწრაფოდნენ რა რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობას, ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების მომხრედ გამოდიოდნენ „Убежденными сторонниками русской ориентации были выдающиеся деятели армянского освободительного движения второй половины XVIII века Иосиф Эмин, Мовсес Баграмян, Шаамирян и другие“**(100,XVI).** სომხეთის სახელმწიფოს აღდენის პერსპექტივით აღფრთოვანებული ქართლ-კახეთის სამეფოს და, მათ შორის, თბილისის გავლენიანი სომხობა ერთიანად რუსეთის პროტექტორატის მომხრეთა ბანაკში აღმოჩნდა. „თბილისის მელიქი - დარჩი ბებუთაშვილი სულხან ბეგთაბეგიშვილი, სულხან თუმანიშვილი, მისი ძმა მანუჩარი, სოლომონ არღუთაშვილი, იოსებ ბებუთაშვილი, ოსეფა ყორღანაშვილი და სხვები, რომელთაც სასახლის კარზე დიდი თანამდებობები ეჭირათ, ყველანი რუსული ორიენტაციისანი არიან. ისინი სასახლის რუსოფილური დაჯგუფების მეთაურებად გვევლინებიან და დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდნენ სასახლის კარზე. მათ მუდმივად აქვთ კავშირი რუსეთის მოღვაწე იოსებ არღუთინსკისთან“ **(107,234),** რომელმაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გეორგიევსკის ხელშეკრულების დადებაში. „XVIII ს-ის 80-იანი წლებიდან ქართლ-კახეთის სამეფოს სავაჭრო კაპიტალი ნელ-ნელა დაუპირისპირდა ბაგრატიონთა დინასტიას, რაც ნიშნავდა ქართული ეროვნული სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსვლას... სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის გეზს რუსეთთან უშუალო კავშირზე, ასევე არეგულირებდა რუსეთი“**(169,31).** ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის 1768-74 წწ-ის ომის დროს, 1769 წ-ს, რუსეთში მცხოვრებმა სომეხ მოღვაწეთა ჯგუფმა საგარეო საქმეთა კოლეგიას წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, აღედგინათ სომხური სახელმწიფო რუსეთის მფარველობის ქვეშ. 80-იან წლებში მსგავსი გეგმები მუშავდებოდა ეჩმიაძინის არქიეპისკოპოსის იოსებ არღუთინსკისა და ცნობილი მეწარმისა და მემამულის ლაზარევის მიერ. 1782 წ-ის დეკემბერში „на тайном совещании в Эчмиадзине армянское духовенство и мелики присягнули на верность России и подписали послание к Екатерине II с просьбой взять под свое покровительство Армению и армянский народ“**(100,XVI**). ძალზე ხატოვნად და შთამბეჭდავად აღწერს ერთ-ერთი თურქული წყარო იმ დროის სომხობის საზოგადო განწყობილებასა თუ ხასიათს: „მათთვის

პირადი ინტერესები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მზად იყვნენ მის მისაღწევად ყოველგვარი მსხვერპლი გაეღოთ... როდესაც რუსებმა დაიწყეს წარმატებული წინსვლა და გავლენის მოპოვება კავკასიაში, თავისი ხასიათიდან გამომდინარე ყველაზე ადრე სომხებმა ჩაავლეს ხელი რუსების კალთას, რომლებმაც ისარგებლეს მათი უსუსური მდგომარეობითა და პირმოთნე ხასიათით და მათ სათარჯიმნოდ, ჯაშუშურ და სხვა მსგავსი საქმიანობებისთვის იყენებდნენ. ამის გამო სომხებმა დამამცირებელი მდგომარეობიდან ნელ-ნელა აიწიეს ავტორიტეტულ პოზიციებზე“ **(34,299).** სომხური ჯგუფის საქართველოსადმი განწყობა კარგად გამოვლინდა კრწანისის ომის დროს. მათი ორმაგი დამოკიდებულება და კავშირები ძირს უთხრიდა ქართულ სახელმწიფოებრიობას და ხელს უწყობდა ჩვენს ქვეყანაში უცხო ძალის გაბატონებას. სომეხთა კათალიკოსმა ლუკამ საქართველოს ასაოხრებლად მომავალ „აღა-მაჰმად-ხანს, ალბათ შიშით, სამხედრო ხარჯების დასაფარავად 100.000 მ. მისცა“**(204,38),** მეორეს მხრით, ლტოლვილი სომხობა თავშესაფარს ისევ საქართველოში ეძებდა. თბილისის აოხრების შემდეგ მელიქებმა აბოვმა და მეჯლუმმა საქართველოში დასახლების ნებართვა სთხოვეს ერეკლე მეფეს. მელიქების ნაწილმა კი, პირდაპირ რუსეთის მთავრობას მიმართა ქვეშევრდომობისა და მფარველობის თხოვნით, ასევე ითხოვეს რუსეთში შეხიზვნა ან საქართველოში დასახლების ნებართვა. „უეჭველია, ეს უკვე სრულებით შეუწყნარებელი საქციელი იყო... სომხები თავიანთთვის საქართველოში აუცილებელ განადგურებისაგან თავშესაფარს პოულობდენ, მადლობის მაგიერ-კი საქართველოს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევისათვის ცდილობდენ“; „იდუმალ რუსეთის მფარველობას ამოეფარებოდნენ ხოლმე და რუსეთის მთავრობის დახმარებით საქართველოში თავიანთ საქმეს აკეთებდენ“ **(204,38,37).**

სწორედ ეს შინაგანი ქაოსი და ურთიერთგათიშულობა იყო მთავარი და ძირითადი მიზეზი კრწანისის ტრაგედიისა. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის მომენტში „ერეკლეს ქართლ-კახეთის ყველა ბურჯი და საყრდენი ძირმომპალი და მორღვეული აღმოჩნდა. ამიტომ კრწანისის სამხედრო კატასტროფა ამ ომამდე უკვე მომწიფებული შინაგანი პოლიტიკური კატასტროფის შედეგი და გამოვლინება იყო“**(178,3-4).**

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, სპარსელთა თავდასხმა მოულოდნელი არ ყოფილა და სამეფო კარი დიდი ხანია ინფორმირებული იყო მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, ქართლ-კახეთის სამეფო მტრის შემოსევას გულხელდაკრეფილი შეხვდა. ქართველთა სრული მოუმზადებლობა განპირობებული იყო არა მარტო შინაგანი ანარქიითა და იდეურ-პოლიტიკური დაქსაქსულობით,

როგორც უკვე ითქვა, არამედ რუსეთის დამაიმედებელი პოლიტიკითა და ერთმორწმუნე მფარველის ხელში შემყურე ერეკლე II-ის უმოქმედობით. ამ საბედისწერო ჟამს მეფეც და ერთიან ხელმღვანელობას მოკლებული ერიც ფაქტიურად გულხელდაკრეფილი შეხვდა განგების განაჩენსა და სჯეროდა, რომ რუსეთი ქმედით ღონისძიებებს მიიღებდა და თავს გამოიდებდა „ერთმორწმუნე ძმების“ გადასარჩენად. „იმ დროს, როცა ყაჯართა დინასტიის ფუძემდებელი აღა-მაჰმად-ხანი ირანში მოწინააღმდეგეებზე იმარჯვებდა და აზერბაიჯანის ცალკეული მფლობელებისაგან უბრძოლველად მორჩილებას მოითხოვდა, ხოლო ეს უკანასკნელნი ძალთა გაერთიანებით წინააღმდეგობის გაწევას გეგმავდნენ და ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ სამზადისს ურჩევნენ და მოკავშირეობას სთავაზობდნენ, ერეკლე II სხვას არას აკეთებდა, გარდა იმისა, რომ რუსეთში წერილს წერილზე გზავნიდა და შველას ითხოვდა... რუსეთიდან დახმარების იმედით ქართველმა მეფემ ადგილობრივი ძალების დარაზმვას თავი ვერ მოაბა, იგი მისტიციზმმა სძლია, ეგონა, წმინდანთა მფარველობა უშველიდა და ქვაბთახევის მონასტრიდან „წმინდა ესტატეს“ მუმიფიცირებული ნაწილები თბილისში გადმოატანინა“-ო, აღნიშნავს ბუტკოვი **(14,II,335).**

აღა-მაჰმად-ხანს ჯერ კიდევ მანამდე, სანამ თავის მეტოქე ხანებზე გაიმარჯვებდა და ირანის სრულუფლებიანი მბრძანებელი შეიქნებოდა, აზერბაიჯანზე გაულაშქრია (1791წ). ამ ფაქტთან დაკავშირებით ერეკლე შეფიქრიანებულა, შესაძლოა აღა-მაჰმად-ხანმა საქართველოს წინააღმდეგაც დაიწყოს საომარი მოქმედებაო და ამიტომ რუსეთის მთავრობისათვის 1783 წ-ის ტრაქტატის საფუძველზე მაშველი ჯარის გამოგზავნა მოუთხოვია. 1791 წ-ის ორი აგვისტოს წერილით ერეკლე მეფე ბართლომე სავარსამიძეს ატყობინებდა, რომ აღა-მაჰმად-ხანი, რომელმაც სპარსეთის დიდი ნაწილი დაიპყრო, თბილისამდე ხუთასი კილომეტრის დაშორებით იმყოფება; ამიტომ მეფემ თადარიგი დაიჭირა და გენერალ ანშეფს ზაქარია თურქისტანოვის ხელით წერილი გაუგზავნა, რადგან: „როგორც ტრახტატში გვაქვს აღთქმული, რომ დამჭირნეობის დროს ვინც მანდ მესაზღვრეთ მთავარი იმყოფებოდეს, ჯარით უნდა მოგვეშველოს, ამისთვის ანშეფს ჯარით მოშველება ვსთხოეთ“**(23,№672.183).** ეკატერინე II-მ 1792 წ-ის 8 მაისს საქართველოს მეფეს მოკლედ და ცივად შემოუთვალა, რომ „საქართველოში ჯარის გამოგზავნა ეხლა საჭიროდ არ არის ცნობილი და, სანამ საამისოდ ხელსაყრელი შემთხვევა და ხელშემწყობი პირობები არ შეიქმნება, ჩვენი ჯარების მანდ ყოფნის საკითხი გადადებულიაო“ **(14,II,334).** ისე გამოდიოდა, რომ ხელშეკრულებას მხოლოდ მაშინ

ჰქონდა ძალა, როდესაც ამას რუსეთი საჭიროდ დაინახავდა, და არა მაშინ, როცა საქართველოს უჭირდა“ (203,83).

აღა-მაჰმად-ხანი ამ დროს ჯერ კიდევ თავის მეტოქე ხანებს ებრძოდა და ამიტომ იგი ირანში დაბრუნდა. იმჯერად საქართველო გადარჩა. თუმცა თავდასხმის საშიშროება არ მოხსნილა, ამიტომ აზიურ დიპლომატიაში გაწაფულმა ერეკლე მეფემ ნაცადი ხერხის გამოყენება სცადა და ირანელთა წინააღმდეგ დასახმარებლად ოსმალეთს მიმართა. ერეკლემ ელჩის მეშვეობით წერილი აახლა სულთანს, რომლითაც უსაფრთხოების გარანტიასა და სანაცვლოდ ოსმალეთზე დამოკიდებულების აღიარებას ითხოვდა: „ურწმუნომ აქამდე რამდენჯერმე ითხოვა ემანი (გარანტია უსაფრთხოებაზე), თუმცა, კვლავ დაარღვია ხელშეკრულების პირობები და ეშმაკობას მიმართა. ძალიან კარგი. ეხლა კი ნება დავრთოთ, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი პირობა უნდა წავუყენოთ. მოსკოვის მიერ საქართველოსკენ გაყვანილი გზის დანგრევის მსგავსი, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პირობის წამოყენებაა საჭირო“(34,205). აშკარაა, ოსმალეთის მთავრობა აღარ ენდობა ერეკლეს, მას რუსეთთან დამაკავშირებელი გზის დანგრევა მოსთხოვეს, რაზეც ორჭოფული პასუხი მისცა მეფემ, რომ ეს მის შესაძლებლობებს აღემატებოდა, მაგრამ თუ ამას თავად ოსმალები განახორციელებდნენ, თანახმა იყო. ირანიდან მოსალოდნელი საფრთხის გამანეიტრალებელი ღონისძიებების არსს კარგად ჩაწვდა ოსმალეთი და ერეკლეს აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ დახმარებაზე გაგზავნილი პასუხით უარი ეთქვა; ერეკლესათვის გასაცემ პასუხში აღა-მაჰმად-ხანის სახელის ხსენებასაც კი მოერიდნენ: „სახელმწიფოს დიდებულთაგან განხილულ იქნა საკითხი, რომ თბილისის ხანმა ერეკლემ, სტამბულში კაცი გამოაგზავნა და...აღა-მაჰმად-ხანისაგან დახმარება ითხოვა ... თუ აღა-მაჰმად-ხანი თბილისის წინააღმდეგ გაილაშქრებს და საქართველო ოსმალეთისგან სამხედრო ან სხვა დახმარებას მოითხოვს, ჩვენ თავი უნდა შევიკავოთ... წერილის განხილვისას მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ერეკლე ხანისთვის გასაცემ პასუხში არავითარ შემთხვევაში არ უნდა იხსენიებოდეს აღა-მაჰმად-ხანი და „რადგან ერეკლე ხანი მუდმივად გვიჩვენებს ერთგულებას, ოსმალეთის სახელმწიფოს მხრიდან კარგ მოპყრობასა და კეთილგანწყობას მიიღებს“ მსგავსი ბუნდოვანი გამონათქვამები უნდა იქნეს გამოყენებული“(34,209).

* ***<u>შენიშვნა:</u>*** *ზემოხსენებული თურქული დოკუმენტები დაწვრილებით განხილულია აპ. თაბუაშვილის ნაშრომში „XVIII ს-ის 90-იანი წლების დასაწყისის ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკური ისტორიის საკითხები“, თსუ-ს შრომები, ტ.VI, თბ., 2012, (გვ. 243-245)*

ოსმალეთთან კავშირის მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, ერეკლემ 1793 წლიდან ისევ განაახლა რუსეთთან ინტენსიური დიპლომატიური ურთიერთობა. აღა-მაჰ-მად-ხანის მხრივ საქართველოზე თავდასხმის საშიშროება კვლავ წამოჭრილა 1793 წ-ს. ერეკლეს ისევ რუსეთისათვის მიუმართავს და უთხოვია, რომ დიპლომა-ტიური ჩარევით ხელი აეღებინებინა აღა-მაჰმად-ხანისათვის საქართველოს წინა-აღმდეგ მტრულ მოქმედებაზე. ერეკლეს თხოვნას შედეგად ის მოჰყვა, რომ რუსე-თის მთავრობის მიერ კავკასიის ხაზზე მყოფ გენერალ გუდოვიჩს ქართველი მე-ფის დაიმედება ებრძანა: „რუსეთი ქართლ-კახეთის უზენაესი მფარველი იქნებაო“- **(45,II,II,81).** მართლაც, ერეკლესა და მის თანამოაზრეებს უკანასკნელ დრომდე რუსთა დახმარების იმედი ჰქონდათ. რუსეთის მთავრობის დაპირება, რომ იგი თავისი ხელდებულის მფარველი იქნებოდა, წინასწარ შემუშავებული ბოროტი გეგმის ნაყოფი იყო, რომლის მიხედვითაც რუსეთის მოიმედე ერეკლე აღა-მაჰ-მად-ხანთან ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო მარტოდმარტო და თანაც მოუმზადებე-ლი. ხოლო აღა-მაჰმად-ხანის მიერ განადგურებულ ქვეყანას შემდეგ რუსეთი და-პატრონებოდა. ეს გეგმა ძლიერ ჰგავდა ტოტლებენის ავანტიურისტულ გეგმას. მა-შინ ერთმორწმუნე რუსეთმა ქართლ-კახეთის მეფე თავისი ჯარით თურქეთს მიუგ-დო გასასრესად, მაგრამ იმჯერად საქართველო გადარჩა. ახლა ეკატერინე II-ის სამეფო კარმა, როგორც ჩანს, აღა-მაჰმად-ხანის მზადება საქართველოს წინააღმ-დეგ გასალაშქრებლად ხელსაყრელ მომენტად მიიჩნია იმისათვის, რომ საქართ-ველო სავსებით დაუძლურებულიყო ირანის მბრძანებელთან ბრძოლაში. საქართ-ველოს დაუძლურება რუსეთისათვის იმდენად იყო სასურველი, რომ ამის შემდეგ მას საშუალება ეძლეოდა საქართველოს მეფისა და მოსახლეობისაგან ყოველგ-ვარი წინააღმდეგობის გაუწევლად დაემყარებინა თავისი აბსოლუტური ბატონო-ბა სისხლისაგან დაცლილ ქვეყანაში. ამ მიზნით მისცა თავიდან რუსეთის მთავ-რობამ ყალბი დაპირება საქართველოს მეფეს მფარველობის შესახებ, ხოლო შემ-დეგში აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმის საშიშროებასთან დაკავშირებით, როცა საქ-მე რეალურ დახმარებაზე მიდგა, გადაჭრილ პასუხს აღარ აძლევდა ერეკლეს და ამ ორჭოფული პოზიციით აბრკოლებდა საქართველოს მზადებას მტრის დასახვე-დრად, და ბოლოს, ამავე მიზნით მიატოვა რუსეთის მთავრობამ საქართველო კრწანისის ომში.

რუსეთის დიპლომატებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ აღა-მაჰმად-ხანის სა-ქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიაში გამოლაშქრება არამც და არამც

არ მოასწავებდა დაუძლურებული ირანის მხრივ ამ რეგიონის მკვიდრად დაპყრობას. ისე, რომ რუსეთის ინტერესებს ამ მხარეში არავითარი სერიოზული საფრთხე არ ელოდა, ამიტომ მიუშვა მოვლენათა მსვლელობა თავის ნებაზე. სხვა შემთხვევაში მას მკაცრი დიპლომატიური ტონითაც შეეძლო შეეჩერებინა ირანის მბრძანებელი. აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობანი მხოლოდ დარბევა-თარეშს ნიშნავდა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, აწყობდა კიდეც საიმპერატორო კარს ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების დაუძლურების თვალსაზრისით. აი, სწორედ ამ მოსაზრებით არ მიმართა რუსეთმა რაიმე არსებით ღონისძიებას და არა გართულებული საერთაშორისო ვითარების გამო. თორემ ირანის მბრძანებლის „დაფრთხობა“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორი ბატალიონი რუსული ჯარის გამოგზავნას რომ თავი დავანებოთ, დიპლომატიურ გზითაც შეიძლებოდა. მაგრამ ეს შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში თუ ერთმორწმუნე მფარველი თავისი ხელდებულის დაცვას მართლაც მოინდომებდა. რადგან იმპერიის დიპლომატებს საპირისპირო მიზანსწრაფვანი ამოძრავებდათ, აქედან გამომინარე მოვლენებმაც სხვაგვარი მსვლელობა მიიღო, ვიდრე ამას ერთმორწმუნე მფარველზე გულუბრყვილოდ დაიმედებული ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი წარმოიდგენდნენ. მოგვიანებით, როცა სახელმწიფო საბჭოზე საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი წყდებოდა, აკი თავად რუსი მოხელენი აღნიშნავდნენ, რომ „ამ ბოლო ხანების უძლიერესი მმართველი აღა-მაჰამად-ხანიც კი ვერ გაბედავდა, 1795 წ-ს საქართველოზე თავდასხმას თავისი მრავალრიცხოვანი ბრბოთი, თავის დროზე აქ რუსის ჯარის მცირე რაოდენობაც რომ ყოფილიყო გამოგზავნილი“ **(139,9-10).**

ქართლ-კახეთის დიპლომატებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ აღა-მაჰმად-ხანი საქართველოზე გამოილაშქრებდა და ამიტომ ერეკლე განუწყვეტლივ შიკრიკს შიკრიკზე აგზავნიდა ყიზლარისა და პეტერბურგის გზებზე. ერეკლე მეფე გრძნობდა მოსალოდნელ განსაცდელს და რუსეთს შველას ემუდარებოდა. 1794 წ-ს მან ხელმეორედ გააგზავნა რუსეთის საიმპერატორო კარზე გარსევან ჭავჭავაძე **(14,II.335).** ეს უკანასკნელი შეხვდა ეკატერინე II-ს, ასევე იმპერიის უმაღლესი რანგის არაერთ მოხელეს, მაგალითად, კანცლერ ბეზბოროდკოს, ვიცე-კანცლერ ოსტერმანს და სხვებს. მაგრამ ამაოდ; ერეკლეს დავალების შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა. მისი ყოველგვარი მცდელობა, დაეყოლებინა რუსეთის მთავრობა ტრაქტატით გათვალისწინებული პირობის შესრულებაზე, მარცხით დასრულდა. მას გარკვეული პასუხიც არ გასცეს. არ კარგავდა რა რუსეთის დახმარების იმედს, 1795 წ-ის მაისში აღა-მაჰმად-ხანის მიერ ჯარების შეგროვებით შეშფოთებუ-

ლმა ერეკლემ ახლა კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ გუდოვიჩს მიმართა წერილით და 3.000 ჯარისკაცის გამოგზავნა მოსთხოვა **(14,II,335).** რუსების ინერტულობა მით უფრო გასაკვირი იყო, რომ ერეკლე მეფემ ეკატერინე II-ს ჯერ კიდევ და 1792 წ-ს თავისი ელჩის პირით სთხოვა ჯარი გამოეგზავნა მისთვის, მაგრამ ორივეჯერ უარი მიიღო **(40,187).** 1795 წ-ის 7 მაისს მონაპირე ჯარის უფროსმა, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეეძლო გადაწყვეტილების მიღება, ერეკლეს თხოვნა თავის მთავრობას აცნობა. მაგრამ რუსეთის მთავრობა არ ჩქარობდა: პასუხი არ მოდიოდა. 2 აგვისტოს მონაპირე ჯარის უფროსმა თავის მთავრობას საქართველოს გაჭირვებული მდგომარეობა და ერეკლე მეფის თხოვნა ხელმეორედ აცნობა“ **(14,II,335);** მაგრამ დედაქალაქიდან პასუხი არ მოდიოდა. ერეკლე იმაზეც კი წავიდა, რომ ივნისში რუსეთის მთავრობას ნებართვა სთხოვა, პირადად შეხვედროდა სოფ. ჩიმში ან მოზდოკში გენერალ გუდოვიჩს **(45,II,II,91-2).** ივლისში გ. ჭავჭავაძემ კატეგორიულად მოითხოვა პასუხი, აპირებდა თუ არა რუსეთი საქართველოსათვის დახმარების აღმოჩენას**(45,II,II,272).** რუსეთის მხარე არც ამ კატეგორიულ მოთხოვნას გამოეხმაურა. დახმარებას ვინ ჩივის, იმის მაგიერ, რომ ამ გასაჭირში თავის ქრისტიან მოკავშირეს მიშველებოდა, ეკატერინე II პირიქით, გენერალ გუდოვიჩს 1795 წ-ის 4 სექტემბერს მიწერილობაში ავალებს: მოახერხეო, რომ იმერეთის მეფე არ ჩაერიოს აღა-მაჰმად-ხანსა და ერეკლე II-ის კონფლიქტში**(14,II,330-331).** ხოლო ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით „1795 წ-ს საქართველოს ერის მტერს, აღა-მაჰმად-ხანს ტფილისის აღების დროს დიდძალი რუსის იარაღი აღმოაჩნდა, რაც რუსებს მისთვის საიდუმლოთ დაუხმარებიათ, რომ მტერი მოსულიყო და უფრო მაგრად აეკლო საქართველო“**(189,14)** და კიდევ: „ეკატერინემ 1794 წელს ერთი მილიონი მანეთიანი მოაჭრევინა და ეს ფული სპარსეთის ყეენს გაუგზავნა“**(189,17-18).** სიმართლეს მოკლებული სულაც არ უნდა იყოს სომხური და ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები აღა-მაჰმად-ხანის მიერ გენ. გუდოვიჩის მოსყიდვის თაობაზე. სომხური წყაროების მიხედვით, გუდოვიჩი „წინასწარგანზრახული პოლიტიკური კურსის გამტარებელია: რამეთუ მოსყიდული ჰყავდა საჭურისს მხედართმთავარი რუსთა მოსაზღვრე ქალაქებში შესვლასთან დაკავშირებით, რომელთაც ადრე მისი წინაპრები განაგებდნენ. სერობსაც აქვს აღნიშნული ძღვნით დატვირთული დესპანისა და მასთან ერთად მეგობრული წერილის გაგზავნის ფაქტი“**(D2:55).** ქართული წყაროებიც იგივე აზრს ავითარებენ. ერეკლეს შვილიშვილის ცნობით, აღა-მაჰმად-ხანი დიდძალ საჩუქ-

რებს უგზავნიდა კავკასიაში განლაგებული რუსთა ჯარის სარდალს გენ. გუდოვიჩს და ამიტომაც არ გამოგზავნა მაშველი ჯარიო **(30,45-6).** ისე, რომ რუსეთი არ იყო დაინტერესებული აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის თავიდან აცილებით. გუდოვიჩი ერეკლეს შეტყობინებას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და დაჟინებულ თხოვნას მაშველი ჯარის გამოგზავნის თაობაზე გულდამშვიდებით პასუხობდა: „თუმცა აღა-მაჰმად-ხან ისპაანელმა დაამარცხა ლუტფ-ალიხან შირაზელი... და ჯარს უყრის თავს არდებილში, ყოფს მას და ერთ ნაწილს გზავნის მუღანის სტეპში, ხოლო მეორეს ერევნისკენ, მაგრამ მუღანის ველი ჯერ კიდევ შორსაა საქართველოსგან“ **(45,II,II,88).**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათლად მჟღავნდება რუსეთის მთავრობის მზაკვრული განაზრახი – სრულ იზოლაციაში მოექცია ქართლ-კახეთის სამეფო, რათა ადვილად გაესრისა იგი აღა-მაჰმად-ხანს.

ამასობაში აღა-მაჰმად-ხანი ინფორმირებული თავისი მზვერავებისაგან, რომ რუსეთის ჯარები საქართველოს არ დაეხმარებოდნენ, 35.000-იანი ჯარით სასწრაფოდ თბილისისაკენ გამოემართა. ირანის მბრძანებელმა ერეკლეს ელჩი აახლა და ერთხელ კიდევ მოსთხოვა უარეყო რუსეთის ერთგულება, ეცნო სპარსეთის უზენაესობა. ამ პირობების მიღების შემთხვევაში, ერთგულების დასტურ გამოუგზავნოს თავისი ერთი შვილი და შვილიშვილი. თუ ერეკლე ამ პირობებს მიიღებდა შაჰი უვნებლობას პირდებოდა. ერეკლემ ელჩი დაატყვევა და კარს მომდგარ მტერს არავითარი პასუხი არ გასცა. განრისხებული აღა-მაჰმად-ხანი 10 სექტემბერს თბილისს მოადგა. ერეკლემ მხოლოდ 5.000-მდე მეომარი მიაგება მომხვდურთ, მაშინ როცა გაცილებით მეტი მებრძოლის შეკრება შეიძლებოდა და, თუ ეს ასე არ მოხდა, და ფაქტიურად, საქართველო სამხედრო დაცვის გარეშე აღმოჩნდა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, ეს იმიტომ, რომ „ბატონიშვილები თავიანთ საუფლისწულოებში ისხდნენ და სამშობლოს დაცვაზე არ ზრუნავდნენ. კრწანისის ომში ქართველების დამარცხების მიზეზი თავადურ რეაქციაში უნდა ვეძებოთ“**(77,87)**. ერეკლესავე მიღებული ახალი კანონების შედეგად ბატონიშვილებზე დანაწილებულ ქვეყანაში შინაური ბრძოლა იყო გაჩაღებული და ამ ნიადაგზე კარსმომდგარი საშინელი მტრის წინააღმდეგ სამზადისისათვის თავს არავინ იწუხებდა. ქვეყანას იმ პერიოდში აღარ ჰყავდა ერთპიროვნული მმართველი, მეფე ერეკლე იმ მომენტში ფორმალურადღა ითვლებოდა აბსოლუტურ მონარქად „ფაქტიურად კი მეტად მცირე იყო ფეოდალთა და თვით მეფის ჩამომავალთა რიცხვი, რომელნიც ასეთად თვლიდნენ ერეკლე II-ს“**(178,9).** სტატისტიკური მონაცემ-

ების მიხედვით, ამ რაოდენობის ჯარი (5.000) შეეძლო გამოეყვანა მარტო არაგვის ხეობის სოფლებსა და „მეწინავე სადროშოს“ - საბარათიანოსა და სომხითის პროვინციებს **(178,35).** როგორც წყაროები გადმოგვცემენ, სამეფო კარზე საკმაო რაოდენობის ჯარის შეკრებას ვარაუდობდნენ; ერეკლე მეფე იმედოვნებდა საომარი ძალების შემატებას ყაზახ-შამშადილიდან, ზოგი მონაცემით, თითქოს დაღესტნიდანაც „რომლის თავ-კაცებთან ამის შესახებ წინდაწინვე მოლაპარაკება იყო გაართული“**(106,237)**, მაგრამ ამაოდ; ვერ მოხერხდა ასევე, ადგილობრივი ძალების მობილიზება, აკი თავად მეფეც უკმაყოფილო იყო ჯარის სიმცირით; ბატონიშვილები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მეფე დიდად წუხდა თადარიგის დაუჭერლობის გამო: „იყო ფრიად მწუხარე... სიმცირისათვის სპათასა“**(8,35),** იგივეს ამბობს ბაგრატიც: „იყო მას ჟამსა, უთადარიგოდ“**(7,65).** ერეკლე რახან დიდი რაოდენობის ჯარის მოკრებას ვარაუდობდა, ალბათ, ამიტომ დააყენა თავდაცვისათვის დიდი რაოდენობის - 4000 კაციანი ლაშქარი სიღნაღში, რომლის მეთაურობა გიორგი ბატონიშვილის ჰქონდა ჩაბარებული; თუმცა არც ომის და არც მის შემდეგ ლეკებისაგან თავდასხმას ადგილი არ ჰქონია, ხოლო როცა სიღნაღში მდგომი ჯარის მოშველების საჭიროება დადგა, აქაც ღალატმა იჩინა თავი; როგორც პ. იოსელიანი გადმოგვცემს, შიკრიკს თავისი ფუნქცია არ შეუსრულებია და გიორგისთვის არ უცნობებია ჯარის მიშველების ამბავი **(26,44-5).** ხოლო იულონმა, დარეჯანის საყვარელმა შვილმა და სამეფო ტახტის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა, სწორედ იმ დროს დატოვა თბილისი მეფის ოჯახთან ერთად, როცა აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარი უკვე იაღლუჯის მთებზე იყო გადმომდგარი. „იოანე ბატონიშვილმა, რომელსაც ამ დროს ქსანი ეჭირა, მხოლოდ 50 კაცი მოიყვანა, ვახტანგ ბატონიშვილმა არაგვიდან – 300 და სხვ.“**(106,240).** სავსებით იზოლირებული ერეკლე ერთი მუჭა რაზმის ამარა დარჩა აღა-მაჰმად-ხანის ვეებერთელა ურდოს წინაშე.

ეხებიან რა კრწანისის ომს, ყველა ავტორი – ბატონიშვილები: დავითი – „ახალი ისტორია,“ ბაგრატი – „ახალი მოთხრობა,“ ვახტანგი – „ისტორიებრი აღწერა,“ თეიმურაზი –„აღა-მაჰმად-ხანის მიერ ტფილისის შეპყრობა,“ ერეკლეს შვილიშვილი ალ. ორბელიანი - „აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა საქართველოში,“ ი. ქართველიშვილი - „მემუარები,“ სტეფანე ფარშევანგიშვილი - ჟ. „კვალი,“ იაკობ ბებუთოვი – „თბილისის აღება აღა-მაჰმად-ხანისაგან 1795 წელს“ და სხვა, ერთხმად აღნიშნავს საყოველთაო ღალატისა და განდგომილების შესახებ. მართლაც, დიდ შიდა თუ გარე გამცემლობას ჰქონდა ადგილი ქვეყნისათვის ესოდენ კრიტიკული მდგომარეობის დროს. ალ. ორბელიანი (ერეკლეს შვილიშვილი) კრწანისის ბრძო-

ლაში დამარცხებას ძირითადად სომხებსა და მათ მოღალატურ პოლიტიკას მიაწერს. ასევე, ზოგიერთი ქართველი თავადის დამსახურებაც დიდი იყო ამ საქმეში. თვით ალექსანდრეს მამაც, ვახტანგი, განზე იყო გამდგარი. მამის ამბავს ალექსანდრე არ მალავს და შეულამაზებლად გადმოგვცემს. მისი ცნობით, ყარაბულახში მამასთან რევაზ ანდრონიკაშვილის საიდუმლო კაცი მისულა და უთქვამს, რომ თუ ომში აპირებ წასვლას არ წახვიდე, ასეთია გიორგი ბატონიშვილის ბრძანება და როცა საჭირო იქნება თვითონვე დაგიძახებთო **(51,№39,2).** ალ. ორბელიანი აღნიშნავს, რომ ბატონიშვილ გიორგის აზრადაც არ მოსვლია ასეთი რამ ჩაედინა, ყველაფერი რევაზ ანდრონიკაშვილის და თავადთა იმ წრის მოფიქრებული იყო, რომლებიც რუსეთიდან გამოგზავნილი არაჩნურთის ოქროს ფულებით იყვნენ მოსყიდულნიო. რუსეთიდან არაჩნურთის ფულებს იოსებ არღუთაშვილი რევაზ ანდრონიკაშვილს უგზავნიდა და სომხებმა ერეკლეს კარზე ისე მოაწყვეს საქმე, რომ ძმა ძმას და მამა შვილს გადაკიდეს. მართლაც, დიდი იყო სომეხთა გავლენა ერეკლე II-ის კარზე. ისინი აქტიურად ერეოდნენ ქვეყნის პოლიტიკურ საკითხებშიც. ეს ნათლად ჩანს, თუნდაც, კრწანისის ომის მიმდინარეობიდან, როცა თითქმის უკან გაბრუნებული მტერი მათი მეშვეობით ისევ შემობრუნდა და ააოხრა თბილისი. ალექსანდრეს დასახელებული ჰყავს ის მოღალატეები, რომლებიც ერეკლე II-ის კარზე იყვნენ და დიდად განაპირობეს მისი დამარცხება: „ორქივატერ იოსებ არღუთაშვილის ძმისწული, მეფის მინბაში თავადი სოლომონ არღუთაშვილი და ამის ძმა ავეტიკა, თ-დი აბესალომ ბებუთაშვილი, თ-დი სულხან და ამისი ძმა მანუჩარ თუმანიშვილები, ამ სულხანის შვილი – შიოშ, ოსეფა ყორღანაშვილი და ნამეტნავად არტემ არარანცი, რომელსაც ეძახდნენ არუთინას და ერია მოწინავე გუნდში, როცა აღა-მაჰმახ-ხანი შემოვიდა საქართველოში**(51,№39,2).** ი. ცინცაძეს ასევე სარწმუნოდ ეჩვენება ალექსანდრეს ცნობა არტემ არარატელთან დაკავშირებით **(184,16).** რაც შეეხება კრწანისის ომში იმერთა ღალატს, იგი გამოძახილი უნდა იყოს იმ გამცემლობისა ერეკლე II-ის კარზე რომ გაბატონებულიყო და რაღაც მიზეზების მოძიებით ცდილობდნენ სხვებზე გადაეტანათ ყურადღება, მიეჩქმალათ თავიანთი მზაკვრული განაზრახი. თორემ ამის უარსაყოფად მარტო ის ფაქტიც იკმარებს, რომ იმერთა ჯარი 2-3.000-მდე აღწევდა ამ ომში, ერეკლემაც ამდენზე მეტის შეგროვება ვერ მოახერხა. 10 და 11 სექტემბერს სოლომონი ერეკლე მეფის გვერდითაა, მათ ერთად დატოვეს თბილისი: „ოდეს განვიდა მეფე ტფილისით, განუტევა მეფე იმერეთისა სოლომონ, შვილიშვილი თვისი სამეფოდ თვისად, რომელ ბრძვეს მხედრობაცა მისთა მტერთა სა-

ხელოვნად“**(9,№51).** თუმცა არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ სოლომონს ჯარისთვის მიუცია ნება რომ სურსათი მოეპოვებინათ და ალბათ ეს ამბავი იქცა იმერთაგან ქალაქის დარბევისა და გაძარცვის გამოძახილად. თუმცა იმერლებისაგან ქალაქის დატოვებიდან რამოდენიმე საათში აღა-მაჰმად-ხანის ჯარებმა ძირფესვიანად გაძარცვეს და გადაწვეს დედაქალაქი. ასევე სარწმუნოდ გამოიყურება თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ ზურაბ წერეთელმა თავისი ყმებისაგან შექმნა 40 კაციანი ჯგუფი, რომელსაც თხოვა ჩამოშორებოდა ჯარს, ეძარცვა სოფლები და ნაალაფარი შუაზე გაეყოთ **(9,№51).** იმერთა ღალატისა და დედაქალაქის გაძარცვის შემთხვევებს, მართლაც, შეიძლება ჰქონოდა ადგილი, რომელიც ხალხმა მთელ იმერეთზე გაავრცელა და არად ჩააგდო კრწანისის ველზე დაცემული 1500 იმერის გმირობა და ვაჟკაცობა **(147,324-25).**

11 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანი მთელი თავისი ძალებით იერიშზე გადმოვიდა. სასტიკი, თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად, ერთი მუჭა ქართველებისათვის შეუძლებელი იყო არაჩვეულებრივად ჭარბი მტრის შეჩერება. მართალია, ამ პატარა გუნდმა 16.000 ყიზილბაში გაწყვიტა კრწანისის მინდორზე, მაგრამ თვითონაც ერთიანად განადგურდა – ქართლ-კახეთის 2.700 მეომრიდან 150 კაციღა გავიდა ცოცხალი ბრძოლის ველიდან.

ისტორიაში ბარბაროსობის ისეთი მაგალითი, რაც აღა-მაჰმად-ხანმა თბილისში ჩაიდინა, ძალზედ იშვიათია. მან ჯერ მთლად გაძარცვა, დაანგრია და ბოლოს ცეცხლს მისცა ქალაქი. მოსახლეობა ამოჟლიტა, ნაწილი კი დაატყვევა, თბილისისა და მის ახლო-მახლო რაიონებიდან აღა-მაჰმად-ხანმა 30.000 ტყვე მოაგროვა და ირანში გადაასახლა. სტატისტიკურ მონაცემების მიხედვით 1770 წ-ის აღწერით მარტო „თფილისში ყოფილა 4.000 მცხოვრები კომლი ე.ი. 20.000 სული, კახეთში მხოლოდ ქრისტიანი მოსახლე – 7.000 კომლი“**(46,195).** ამ შემოსევამ ისე გაანადგურა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო, „რომ იმ 61.000 კომლიდან, რომელიც შემოსევამდე მაგალითად, 1783 წელს იყო, 1795 წ-ის შემოსევის შემდეგ 35.000 კომლი ძლივსღა იქნებოდა დარჩენილი“ **(14,II,340).** რიცხობრივი მაჩვენებლების შედარება ცხადყოფს, რომ ამ თავდასხმის შედეგად ქართლ-კახეთის მოსახლეობა საგრძნობლად შემცირებულა.

სატახტო ქალაქის შემდეგ აღა-მაჰმად-ხანმა თავისი მარბიელი ჯარი ქართლს შეუსია, ხოლო ანანურის მონასტერში შეხიზნულ ერეკლეს შუამავლის პირით შეუთვალა, რომ „თუ ის მის უზენაეს უფლებას სცნობდა და ერთ-ერთ ბატონიშვილს მას მძევლად გაუგზავნიდა, მაშინ შაჰი თავის მხრივ ყველა ტყვეს გა-

უთავისუფლებდა, ყველაფერს, რაც თბილისში ომისაგან დაზიანებული იყო შეაკეთებინებდა და მოკავშირეობის ხელშეკრულებასაც დასდებდა“**(14,II,341).** ერეკლემ შაჰის პირობები უარყო და 17 სექტემბერს საჭურისის მოთხოვნები გუდოვიჩს აცნობა, თან კატეგორიულად მოითხოვა: თუ 8 დღის განმავლობაში არ იქნება თქვენგან მიღებული დახმარება, მაშინ იძულებული ვიქნები შევასრულო მისი მოთხოვნებიო **(45,II.II.107).** ამ შეტყობინების შემდეგ გუდოვიჩმა მთავრობისაგან ჯარის გაგზავნის ბრძანება მალევე მიიღო, რადგან რუსეთის სამეფო კარის წინაშე ირანსა და საქართველოს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების საშიშროება დადგა და მის ინტერესებს ამ რეგიონში საფრთხე დაემუქრა.

ამ ამბებამდე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 1786 წ-ს, როცა შაჰის ტახტისათვის გააფთრებული ბრძოლები ისევ წარმოებდა, აღა-მაჰმად-ხანი მეგობრობას სთავაზობდა ერეკლეს. იგი არათუ ქართლ-კახეთის სამეფოს ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდა ერეკლეს, არამედ აზერბაიჯანის გადაცემასაც ჰპირდებოდა. ერეკლემ კი იმის ნაცვლად, რომ ირანის დაუძლურებით ესარგებლა და აღა-მაჰმად-ხანის შემოთავაზება მიეღო, პირიქით კი მოიქცა – მისი შემონათვალი სასწრაფოდ რუსეთის მთავრობას აცნობა და მოუწოდებდა ესარგებლა ირანში მომხდარი არეულობით და დაეპყრო იგი. დიპლომატი მმართველის შემთხვევაში ამ თავდასხმის აცილებაც შეიძლებოდა აღა-მაჰმად-ხანის წინადადების მიღებით და ომის შემთხვევაში შესაფერისი მომზადების შედეგად მისი მოგებაც. აი, რას წერს თავისი მფარველისაგან გაწბილებული და კრწანისის ტრაგედიით თავზარდაცემული ერეკლე გუდოვიჩს: „ჩვენ რომ ყოვლად მოწყალე დედოფლის მიერ დაიმედებული არ ვყოფილიყავით და დარწმუნებული არ ვყოფილიყავით თქვენს დახმარებაში, მაშინ სხვა მხრიდან მოწვეული ჯარებით აღა-მაჰმად-ხანს წინ აღუდგებოდით, ანდა სხვა ხერხით დავიცავდით ჩვენს სამეფოს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით თქვენი უმაღლესი ჯარის დახმარებაში“-ო **(45,II,II,105),** ხოლო მირიან ბატონიშვილისა და გარსევან ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ წერილში ერეკლე წერს: „თქვენ თვითონ იცით, რომ თუ მე უმაღლეს კართან ფიცით არ ვყოფილიყავი მიჯაჭვული, და აღა-მაჰმად-ხანს შევთანხმებოდი, ეს უბედურება არ მოგვივიდოდა“-ო **(45,II.II.106).** აქედან კარგად გამოსჭვივის ერეკლეს პოლიტიკური გულუბრყვილობა და მიამიტობა რუსეთის ჩრდილოელ მეზობელთან დამოკიდებულებაში. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებამ მისი დადების დღიდანვე ცალმხრივი ხასიათი მიიღო და მას არასოდეს ასრულებდა რუსეთის მთავრობა, ერეკლესათვის იგი ფაქტიურად ლაგამი აღმოჩნდა, რომლითაც თავის თავს თვითონ-

ვე იზღუდავდა ირან-ოსმალეთთან წამოჭრილი მწვავე პრობლემების გადაჭრის დროს. ტრაქტატის საფუძველზე დადებული ფიცი რუსეთმა მრავალჯერ დაარღვია თავისი სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ და საქართველოს საზიანოდ. ერეკლემ კი უკიდურესად კრიტიკულ სიტუაციაშიც არ ისურვა „ფიცის გატეხა“ და უკვე ფარატინა ქაღალდად ქცეული ტრაქტატის დარღვევა. ერეკლეს მიერ აღა-მაჰმად-ხანის არცთუ მძიმე პირობების მიუღებლობა და ჯიუტად ბრძოლის გამართვა რუსეთის მთავრობისადმი ერთგულების დადასტურების დემონსტრაცია უფრო იყო. ასე უაზროდ იქნა გაღებული უზარმაზარი და აუნაზღაურებელი მსხვერპლი. კრწანისის ბრძოლის გამართვა დიდი შეცდომა იყო, რადგან დასაწყისშივე ცხადზე-ცხადი იყო ბრძოლის ბოლო უეჭველი მარცხი რომ იქნებოდა. რა თქმა უნდა, ყველაზე სასურველი იყო რომ ქართლ-კახეთის სამეფო სათანადოდ მომზადებული დახვედროდა მტერს და დაემარცხებინა იგი (და ეს სრულიად შესაძლებელი იყო: ქართველებს რომ მთელი თავისი ძალების მობილიზაცია მოეხდინათ, აღა-მაჰმად-ხანი თავის ჯართან ერთად კრწანისთან დასამარდებოდა. მაგრამ მაშინ, როცა უკანასკნელ მომენტში მაინც, არ იყო იმედი გარედან დახმარებისა და რაც მთავარია, ქვეყნის შიდა ძალების დარაზმვისა და მტრისადმი დაპირისპირებისა, ბრძოლის გამართვა უაზრობა იყო, მით უფრო მაშინ, როცა შეიძლებოდა მისი დიპლომატიური გზით თავიდან აცილება. იმ კრიტიკულ სიტუაციაში დიდი წინდახედულება გამოიჩინეს ამიერკავკასიის ხანებმა. როდესაც ნახეს, რომ სხვა გამოსავალი არ იყო თავიანთი სამფლობელოების გადარჩენის მიზნით, აღა-მაჰმად-ხანს მორჩილება გამოუცხადეს. „აღა-მაჰმად-ხანის ძმას დამორჩილდა ერევნის მმართველი მოჰამედ-ხანი და საჩუქრები გაუგზავნა ირანის მბრძანებელს; ეჩმიაძინის პატრიარქმა 100.000 მან. გადაუხადა აღა-მაჰმად-ხანს, ხოლო ყუბელმა შეიხალი-ხანმა 50.000 მან. და საჩუქრები გაუგზავნა მას, რათა გადაერჩინათ თავისი ქვეყნები“**(179,159).** სპარსეთის უზენაესობის აღიარება, რასაც ირანის მბრძანებელი მოითხოვდა ერეკლესაგან, არამც და არამც არ ნიშნავდა სპარსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას, არამედ მის ფორმალურ გავლენაში მოქცევას. XVIIIს-ის II ნახევრის საფუძვლიანად შერყეულ ირანს ძალიანაც რომ სდომებოდა ვერ შესძლებდა საქართველოს მოსპობას. თუკი ირანმა და თურქეთმა თავისი ძლიერების ხანაშიც კი ვერ შესძლეს დაქუცმაცებული საქართველოს დაპყრობა, როგორღა მოახერხებდა ამას ირანი თავისი დაუძლურების პერიოდში? ეხლა უკვე მათი რეალური შესაძლებლობები დიდად ჩამორჩებოდა მათსავე მისწრაფებებს. ირანის უკანასკნელმა ძლიერმა მმართველმა აღა-მაჰმად-ხანმა, მართალია, გააერთიანა

ქვეყანა, მაგრამ ეს ერთობა მტკიცე არ ყოფილა. ასე, რომ ამ დროს სპარსეთი მაინცდამაინც საშიშ ძალას აღარ წარმოადგენდა თუნდაც ორად გაყოფილი საქართველოსათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქართლ-კახეთი საშინელ ანარქიას განიცდიდა, აღა-მაჰმად-ხანმა მაინც ვერ შეძლო მისი დაპყრობა. კრწანისის ბრძოლა ირანის მხრივ იყო მხოლოდ ყაჩაღური თავდასხმა და ნაძარცვ-ნაალაფარით უკან დაბრუნება. „სიკვდილისა, უძლურებისა და თითქმის დედამიწის პირიდან აღგვის ნიშნები ამ ასის წლის წინადაც ეტყობოდა სპარსეთსა, მაგრამ ამას მაშინდელი საქართველო ვერა ჰხედავდა“ **(173,162).** „საქართველო ჩაუვარდა რუსეთს ხელში მონად ისეთ დროს, როცა დამონებულიც კი უნდა განთავისუფლებულიყო“ – წერდა ზ. ჭიჭინაძე **(194,3).**

დიპლომატი მმართველისაგან იმ პირობებში მორჩილების გამოცხადება, მხოლოდ მანევრი იყო და სხვა არაფერი, რომელიც სიტუაციის ცვლილებასთან ერთად, დაკარგავდა თავის მნიშვნელობას. „ერეკლეს შეეძლო დიპლომატიის ამოქმედება, შაჰისათვის მისთვის სასურველი დაპირებების მიცემა, მისი დროებით მაინც მოთვინიერება, მაგრამ ეს არ აკადრა რუსთა ხელმწიფეს. დადებული ფიცის ერთგულება ბოლომდე შეინარჩუნა. გამოიჩინა არა მარტო დაუდევრობა, დიდი შეცდომაც დაუშვა“**(59,144).** ერეკლე მეფეს ხომ კარგად გამოსდიოდა აზიელ მფლობელებთან დიპლომატიური თამაში ყველაზე გართულებულ სიტუაციებშიც კი. გავიხსენოთ თუ როგორ ჩინებულად მოაგვარა ერეკლემ ურთიერთობა ქერიმ-ხანთან XVIII ს-ის 60-იან წლებში. ირანის „სუვერენიტეტის ფორმალურმა აღიარებამ, ხოლო ფაქტიურად, დამოუკიდებელმა მოქმედებამ ხელი შეუწყო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანებას და განჯა-ერევნის ყრმადნაფიცობის პირობაზე დამორჩილებას. მაშ, როგორ მოხდა, რომ ქართლ-კახეთის დიპლომატებმა ამავე საუკუნის 90-იან წლებში აღა-მაჰმად-ხანთან ასეთივე მორიგებისათვის თითქოსდა რეალურად არსებული შესაძლებლობა ხელიდან გაუშვეს“**(87,252).**

XVII-XVIII საუკუნეების მეფეთა ასეთი არასწორი პოლიტიკით ხელოვნურად შექმნილი ხშირი ომიანობა წრეტდა და აკნინებდა ერის სულიერ და ნივთიერ ძალებს და ქვეყანას უსკრულისაკენ მიაქანებდა. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა შემოსევა, რომელიც საქართველომ განიცადა XVII-XVIII საუკუნეებში, გამოწვეული იყო საქართველოს რუსეთთან დაკავშირებით.

ქართლის 8 დღიანი აოხრებისა და ნგრევის შემდგომ, „აღა-მაჰმად-ხანი უკვე კახეთში აპირებდა გალაშქრებას, რომ ერთბაშად საქართველოთგან გასვლა ამჯობინა, რადგან ყარაბაღის ხანი და ზოგი სხვაც დამორჩილებული არა ჰყავდა

და ამის გამო ზურგი უზრუნველყოფილი არა ჰქონდა. საქართველოს სრული განადგურება მან შემდეგი, უფრო მარჯვე დროისათვის გადასდვა“ **(202,42-43).** რაც შეეხება სეირის მაყურებელ ერმორწმუნე მფარველს, აღისრულა რა თავისი საწადელი - მტერთან პირისპირ მიტოვებული საქართველო ხერხემალში გადატეხილიყო, თბილისის აღებიდან 18 დღის შემდეგ უცებ „მოეხსნა“ საგარეო და საშინაო დამაბრკოლებელი მიზეზები და მონაპირე ჯარის უფროსს უბრძანა საქართველოს მეფეს ჯარით „მიშველებოდა“. რუსეთის ეს „მაშველი“ ჯარი უკვე განადგურებულ საქართველოში შემოვიდა 1795 წ-ის დეკემბრის შემდეგ.

სამხედრო დახმარებაში ხელმოცარულმა ერეკლემ სცადა ფინანსური დახმარება მაინც მიეღო მფარველისაგან დანგრეული ქვეყნის აღსადგენად. ამ მიზნით, მან რუსეთის მთავრობას მილიონი მანეთი სთხოვა სესხად, **(176,57).** მაგრამ ამ უკანასკნელმა არათუ სესხი არ მისცა, არამედ სხვა სახელმწიფოებიდან მის მიღებაზედაც ხელი შეუშალა - „ყველანაირად ეცადეთ, რომ მან სხვისგან სესხი არ მიიღოს. დაიმედეთ რომ რუსეთი ყველაფერს გააკეთებს მის სასარგებლოდ“ **(14,III.293)**, – ავალებდნენ გენერალ რიმსკი-კორსაკოვს, რომელიც რუსთა ჯარით განჯისკენ მიემართებოდა 1796 წ-ს.

მართალია, რთული იყო საქართველოს მდგომარეობა ისეთი აგრესორების ხელში, როგორიც ირანი და თურქეთი იყო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ რუსეთთან დაკავშირებამ კი არ გააუმჯობესა საქართველოს მდგომარეობა, არამედ კიდევ უფრო გააუარესა. რამდენადაც რუსეთის დამკვიდრება საქართველოში უდიდესი საშიშროების წინაშე აყენებდა ირანს, თურქეთს და მთელი კავკასიის მაჰმადიანებს, აღნიშნულმა ფაქტმა წარმოუდგენელი რეაქცია გამოიწვია ამ უკანასკნელთა მხრიდან. ისინი ერთიანად აღდგნენ საქართველოს წინააღმდეგ და მიზნად დაისახეს ქართველი ერის მთლიანად აღმოფხვრა, რათა მოესპოთ რუსეთისათვის კავკასიაში დამკვიდრების შესაძლებლობა. ხოლო რუსეთს არა თუ რაიმე დახმარება გაუწევია საქართველოსთვის, იგი, პირიქით, თვითონვე აბამდა ხოლმე საქართველოს თავის ავანტიურისტულ გეგმებში და იყენებდა მას თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრმა იარაღად საკუთარი ინტერესებისათვის. მეტად საინტერესოა რუსული ორიენტაციის ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლის ისტორიკოს ომან ხერხეულიძის აღიარება, რომ როცა „მოვიდა აღა-მაჰმად-ხან და აღაოხრა ტფილისი, მისთვის არა-რა დამიწერიეს ჯერეთ, ვინაითგან მიზეზნი და ვითარებანი გავრცელდებიან **(43,500)** და უხერხულობას გამოიწვევსო. ამ დაუსახელებელ მი-

ზეზებს წარმოადგენდა ღალატი როგორც შინა, ისე გარეშე ძალების მხრიდან. ეს უკანასკნელი გარემოება ხომ აღნიშნული იყო 1801 წ-ის 8 აგვისტოს საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხის განსახილველად მოწვეულ იმპერიის სახელმწიფო საბჭოზეც; იქ აღიარებული იყო, რომ, ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემის ერთ-ერთ მიზეზს, 1783 წ-ის ტრაქტატის პირობების შეუსრულებლობა წარმოადგენდა. როგორც ჩანს, კრწანისის ტრაგედიის ნამდვილი მიზეზების დასახელება XIX საუკუნის დასაწყისში, პოლიტიკურად საჩოთიროდ მიაჩნდათ. შემდგომ ხანებში, როცა უკვე ფაქტის წინაშე დააყენა საქართველო რუსეთმა, იგივენაირ დუმილის ტაქტიკას ამოვიკითხავთ დ. ბატონიშვილის ნათქვამშიც: „უკეთუ წვრილად აღმეწერა მათი (ე.ი. რუსების) მიერ ტირანებაი და კლებაი ქართველთა, ფრიად განვრცელდებოდა ისტორია ესეც და სიგრძისათვის დავიდუმეო“ **(7,75-76).** აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმამ ფაქტიურად, სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა დაუძლურებულ ქვეყანას. „ეს არ იყო უბრალოდ დამარცხება, რაიც ყველა ერის ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს. ეს იყო ნამდვილი კატასტროფა მთელი იმ სოციალურ-პოლიტიკური წყობილებისა, რომლითაც მაშინდელი საქართველო ცხოვრობდა“ **(145,126).**

სწორედ ამ ხანებში (1796 წ.) მოხდა რუსეთ-ირანის კონფლიქტი და ერეკლეც, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩართული აღმოჩნდა ამ დაპირისპირებაში. ამიერკავკასიის ხალხების მოსამხრობად და ომში ჩასათრევად რუსეთის მთავრობამ ჩვეულ ხერხს მიმართა; ეკატერინე II საჯაროდ გამოქვეყნებულ თავის მანიფესტში აცხადებდა, თითქოს სპარსეთს ომი საქართველოს აოხრებისა და ამიერკავკასიის ხანების აფორიაქების გამო გამოუცხადა. სინამდვილეში, როგორც თვით ამ ლაშქრობის მონაწილე, რუსთა ჯარის სარდლის შტაბის ადიუტანტი ბუტკოვი ამბობს: „ეკატერინე დიდის სურვილი იყო, რომ რუსეთს საქართველოს აოხრებისათვის აღა-მაჰმად-ხანის დასჯის მიზეზებით ესარგებლა და სპარსეთთან რუსეთის ვაჭრობა განსაკუთრებით განემტკიცებინა“, რომ ამ ომის „უმთავრესი მიზანი ვაჭრობის გავრცელება“ იყო **(14,II.367-68).** სამხედრო მოქმედება დაიწყო კიდეც, მაგრამ 1796 წ-ის ნოემბერში ეკატერინე II გარდაიცვალა და საომარი მსვლელობაც შეჩერდა. რუსეთის ახალმა მბრძანებელმა პავლე I-მა შეწყვიტა ირანის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება და ჯარი უკან გაიწვია, მაგრამ ზამთრის გამო დარიალზე ჯარების გაყვანის საქმე შეფერხდა; თუმცა დაბრკოლების მიზეზი, როგორც შემდეგში გამოირკვა, მხოლოდ უამინდობა არ იყო. რუსეთის მთავრობას და მის სარდლობას ჯარების სწრაფად გაყვანა არ აწყობდათ პოლი-

ტიკური მოსაზრებით – რადგან სპარსეთის მბრძანებელი თავს ჯერაც ძლიერად გრძნობდა, ჯარების სწრაფად გაყვანა გამოიწვევდა რუსეთის გავლენის დაკარგვას მის მომხრე ერეკლესა და აზერბაიჯანის ხანებზე. ისე, რომ კასპიის კორპუსის უკანასკნელი ნაწილები 1797 წ-ის მარტში იქნა გაყვანილი ... ჯარის ნაწილი ბაქოსკენ დაიძრა, ნაწილი – განჯიდან საქართველოსკენ **(14,II.423).**

ირანის წინააღმდეგ ომში ჩაბმული და რუსეთის ჯარისაგან მიტოვებული საქართველო კვლავ დიდ განსაცდელში ჩავარდა. ერეკლეს მოქმედებით გაცეცხლებული აღა-მაჰმად-ხანი საქართველოს ასაკლებად წამოვიდა. მას ამჯერად გადაწყვეტილი ჰქონდა მცხოვრებლების აყრა და შაჰ-აბასის მსგავსად სპარსეთში გადასახლება. საქართველოს დაღუპვა ფაქტობრივად გარდაუვალი იყო, რომ 1797 წ-ის 4 ივნისს სასიკვდილოდ განწირულ მსახურებს არ მოეკლათ მძინარე აღა-მაჰმად-ხანი.

„ასე სრულებით შემთხვევით გადაურჩა საქართველო აოხრებას და დაღუპვას. თუმცა რუსებმა ეს თავის თვალით ნახეს და კარგად გრძნობდნენ რა განსაცდელშიც იყო საქართველო, მაგრამ მაინც გადაწყვეტილება არ შეუცვლიათ და 1797 წ-ის სექტემბერში თავიანთი ჯარის უკანასკნელი ნაწილიც ჩვენი ქვეყნიდან გაიყვანეს. სპარსეთთან ომის გაგრძელება მათ საჭიროდ აღარ მიაჩნდათ, ხოლო რუსეთის მთავრობა რომ თავის მოქმედებით საქართველოს უსაშინლეს მდგომარეობაში აგდებდა და ჯარის გაყვანა მის მხრივ 1783 წ-ს ხელშეკრულების დარღვევა იყო, ამგვარ მდგომარეობას იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა“**(203,89-90).** 90-იან წლებში რუსეთთან ურთიერთობის მთელი ისტორია უკვე აშკარად მიუთითებდა, რომ ცარიზმი მხოლოდ საკუთარი ინტერესების თვალსაზრისით განიხილავდა საქართველოს „დახმარებას“, რაც საბოლოო ანგარიშში აქ იმპერიის სრული გაბატონებით უნდა დასრულებულიყო. ასეთი ტენდენცია ნათლად გამომჟღავნდა ირანში ზემოხსენებული ლაშქრობის შეწყვეტის დროს. „რუსეთის წარმომადგენელ გენერალ ზუბოვს ცხადად ეტყობოდა ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში ჩარევის ცდა – რუსეთისათვის არასასურველი ბატონიშვილების „გაწვევა“რუსეთში (იულონ ერეკლეს ძის, ალექსანდრე ერეკლეს ძის, დავით გიორგის ძის); თვითმპყრობელური რუსეთის მოხელეები ქართლ-კახეთის საქმეთა „სასურველი მოგვარების“ გეგმებს აწყობდნენ“ **(14,III.293).**

ასეთ მძიმე ვითარებაში იყო ჩავარდნილი საქართველო, როცა 1798 წ-ის 11 იანვარს გარდაიცვალა თავისი პოლიტიკის მარცხით და გაუბედურებული ქვე-

ყნის ბედით გულმოკლული ერეკლე II. მის ცხედართან ერთად დაიმარხა სვეტიცხოვლის ტაძარში საქართველოს თავისუფლებაც.

პოლიტიკურ-ეკონომიკურად დაუძლურებული, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა სამემკვიდრეოდ ერეკლეს უფროს ძეს გიორგი XII-ს ერგო, რომელიც ძალიან სუსტი და ავადმყოფი მმართველი გამოდგა.

თავდაპირველად, რუსეთის უყურადღებობით განაწყენებულმა გიორგი XII-მ, გადაწყვიტა სპარსეთ-ოსმალეთთან დიპლომატიური გზით ურთიერთობის მოგვარება და ელჩები მიავლინა ამ ქვეყნებში, მაგრამ როგორც კი პეტერბურგიდან დავით ბატონიშვილი ჩამოვიდა და პავლე იმპერატორის საქართველოსადმი კეთილგანწყობილების ამბავი ჩამოიტანა, წამსვე ელჩები გზიდან მოაბრუნა. პოლიტიკოსისათვის ზედმეტად მიმნდობი მეფე გიორგი, პავლეს სიტყვიერ მოწყალებას გულუბრყვილოდ მიენდო „იმის მაგივრად, რომ რუსეთ-თურქეთ-სპარსეთთან დიპლომატიური პოლიტიკის წყალობით საქმე გამოესწორებინა და ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის რიგიანი საფუძველი შეექმნა“(122,104-5). ქართველი ელჩების გაბრუნებით განაწყენებულმა ფაშამ უმალ შეკრიბა დაღესტნელი აბრაგები, აგვისტო-სექტემბერში შემოიჭრა ქართლში, რამდენიმე სოფელი გაანადგურა და 700 კაცი ტყვედ წაიყვანა. ხოლო შემდეგში, როცა გიორგის თურქეთის წარმომადგენლები ეახლნენ წინადადებით, რომ საქართველო ჩამოსცილებოდა რუსეთს, სამაგიეროდ კი პირდებოდნენ „ახალციხისაცა და სრულიად სამცხისაცა შეერთებასა სამეფოისათა მეფისა, ვითარცა იყო ძველად; მეფემან იწყინა და უბრძანა სრულიად უარი“ (26,116). გიორგი XII-მ თურქეთის დესპანთა გულის მოსაკლავად დაიბარა თავისი კაცები და უბრძანა წასულიყვნენ და გაეკეთებინათ დარიალის გზა, რომ რუსები შეუფერხებლად მოსულიყვნენ საქართველოში. „მაშინ ჩერქეზიშვილმან, დავით, კაცმან სიტყვამარჯვემან და ახალციხისა ფაშისა მახლობელმან, მოახსენა მეფეს: ბატონო მეფევ და კარისკაცნო დარბაისელნო: რომ აღებთ კავკასიის კარსა შეიძლებთა თვისსა დროს დახშვასა მისსა? – „დახშვა ამისა კარის, უბრძანა მეფემან, – იქნება დახშვა ქრისტიანობისა კარისა, ამისთვის ჯვარი ქრისტესი, რომელსაც ვესავთ, იქმნება თვით მცველად კარისა, რომელსაცა თვით ჯვარცმული მასზედ დახშავს და განაღებს დასაცველად მეფობისა და მეფეთა, ოდეს თვით ჯერ იჩენს საჭიროდ“ (26,116-7) – ასეთი შეუსაბამო პასუხი წარმოთქვა გიორგი XII-მ ჩერქეზიშვილის გონებამახვილური რეპლიკის საპასუხოდ. ამაოდ ცდილობდა თბილისში მყოფი პატრი ნიკოლაც თვალი აეხილა ქართველი მეფისათვის. გულუბრყვილო და ორთოდოქს გიორგის

არ სჯეროდა პატრის სიტყვები, რომ რუსნი, „უცხო ნათესავნი, პატრონად ქვეყანისა მოყვანილი, შეექმნება ერსა მტერად და მდევნელად და მაწუხებლად“; რომ „რუსნი შემოიტანენ პირველადვე მძიმესა უღელსა და დასდებენ ქვეყანისა კისერსა, მოითხოვენ დიდთა ხარკთა“ **(26,152).**

გიორგი XII-ს არც მამის ნიჭი აღმოაჩნდა, არც პირადი სიქველე ჰქონდა და არც საიმისო გავლენა მოეპოვებოდა ხალხში, რომ ესოდენ გართულებული პოლიტიკური მდგომარეობიდან სამშვიდობოს გამოეყვანა ქვეყანა. ტახტის დაკავებისთანავე გიორგიმ დაარღვია ძმებთან მამის სიცოცხლეში დადებული პირობები და მათ საწინააღმდეგოდ „მოიყვანა ჯარი ლეკთა ვიდრე ხუთი ათასადმდე“. როგორც თანამედროვე გადმოგვცემს, ქალაქში ჩაყენებული დაქირავებული ლეკთა ჯარი ავიწროვებდა მოსახლეობას **(44,79-80).** ასეთი ქმედებით კიდევ უფრო დაიძაბა ძმებს შორის დამოკიდებულება. საყოველთაო გათიშულობა, შუღლი და ღალატი სუფევდა ბატონიშვილებსა და მათ გარშემო დაჯგუფებულ დიდგვარიანებში, რომელთა „შორს განუჭვრეტელობა“ მ. ჯანაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, პირდაპირ „საარაკო“ იყო **(206,15)** დედოფალი დარეჯანიც აქტიურად ჩაერთო ამ დაპირისპირებებში. თეკლა ბატონიშვილის გადმოცემით, დარეჯანი და მისი ვაჟები მტრობდნენ გიორგი მეფეს: „ვერ გავამართლებ ვერცა დედასა ჩემსა დედოფალსა დარეჯანსა, ვერც ძმათა და დათა ჩემთა. კარგად ვიცი, აწუხებდნენ მეფესა“**(170,21).** იქვე თეკლა დაასკვნის: „უბედურება იყო მოსული ჩვენსა სახლზედ, ვიყავით ღირსნი დასჯისა და დავისაჯენით“-ო **(იქვე,21).** შინა ქაოსმა და უწესრიგობამ – კულმინაციას მიაღწია. ამან გარეშე მტრები კიდევ უფრო გაათამამა. ამ ვითარებით შესანიშნავად ისარგებლეს რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა. გიორგი XII მათი მუდმივი ზემოქმედებისა და შანტაჟის ქვეშ იმყოფებოდა“**(96,25).** სწორედ რომ ხელსაყრელი დრო დამდგარიყო საქართველოს დასაპყრობად და რუსეთის მთავრობამაც არ დააყოვნა. მას ეხლა მოესურვა ტრაქტატის პირობების დაცვა და ჯარი (გენ. ლაზარევის მეთაურობით), რომელიც ომიანობისა და საჭიროების დროს არასოდეს მიუშველებია თავისი ხელდებულისათვის, 1799 წლის აპრილში გამოუგზავნა. თან ელჩიც – მინისტრი კოვალენსკი გამოაყოლა, ამ უკანასკნელს დავალებული ჰქონდა საიდუმლოდ თვალყური ედევნებინა ქართველი მეფისათვის. ერთმაც და მეორემაც საქართველოში ამავე წლის ნოემბერში მოაღწიეს**(14,II.449,451).** გამორიცხული არ არის, რომ სწორედ მათ ურჩიეს ქართლ-კახეთის მეფეს სამეფოს შენარჩუნების სანაცვლოდ თავისივე ინიციატივით შეეზ-

ღუდა სუვერენული უფლებები“**(94,25).** სუსტი და უნებისყოფო გიორგი მთლიანად ერთმორწმუნე რუსეთის კეთილგანწყობაზე დამოკიდებული აღმოჩნდა. მისი უნიათო პოლიტიკა ამძაფრებდა შინაარეულობას და ტახტის პრეტენდენტებს შორის გაჩაღებულ ბრძოლას კიდევ უფრო ამწვავებდა. გიორგი XII-მ დაარღვია რა, ადრე თავისი სახლის შვილებისადმი მიცემული პირობა, რომ ტახტის მემკვიდრედ იულონს სცნობდა, 1799 წლის 18 აპრილს, რუსეთის იმპერატორისაგან თავისი ძის დავითის მემკვიდრედ დამტკიცებას მიაღწია. მაგრამ არსებულ მდგომარეობაში ეს არაფერს ცვლიდა. რუსეთისათვის და, უკვე საქართველოსთვისაც (ქართლ-კახეთისთვის), მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, თუ ვინ იქნებოდა მომავალში ტახტის მემკვიდრე, რადგან გადაწყვეტილი იყო უკანასკნელ დღეში მყოფი ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია. თუმცა ეს ფორმალური, მხოლოდ ქაღალდზე დატანილი მემკვიდრეობა კარგ საშუალებად იქცა ბატონიშვილთა შორის დაპირისპირების გასაღრმავებლად. ცნობამ იმის შესახებ, რომ იმპერატორმა ტახტის მემკვიდრედ დავითი დაამტკიცა, მისი მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენლები (იულონის დასი) შეაშფოთა. დარეჯან დედოფალი წერილებს აგზავნიდა საიმპერატორო კარზე – უკანონოდ თვლიდა და აპროტესტებდა რა დავითის მეფედ დამტკიცებას, „ითხოვდა ახალი მემკვიდრეობის წესის დაცვას, რომ მისი ძეებიც ყოფილიყვნენ გამოცხადებული მემკვიდრეებად“**(24,III.287).** „თვით ირანის სახელმწიფოც რუსეთის საწინააღმდეგოდ განეწყო, რათა ქართლ-კახეთში ძველი ბატონობა დაეცვა. იგი საომრად გაემზადა“**(131,19).** რუსმა პოლიტიკოსებმა ძველი წესის აღდგენით ხელი შეუწყვეს ქვეყანაში მწვავე შინაომების გაჩაღებას. „ყველა პოლიტიკური ძალის მიერ აღიარებული ახალი წესის განხორციელება ქვეყანაში თანხმობის გარანტია იყო. მისი შეცვლით კონსესუსი დაირღვა და ქართლ-კახეთში, მართლაც, ისეთმა პოლიტიკურმა ქაოსმა დაისადგურა, რომლისგან თავის დაღწევა ქვეყნისთვის ერთობ საეჭვო იყო“**(150,40-41).** ეს ქმედებაც ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობის ეტაპობრივი გეგმის ნაწილი იყო. რუსეთის დიპლომატიამ ოსტატურად გამოიყენა ქართლ-კახეთში შექმნილი ვითარება. რუსეთი უკვე თანმიმდევრულად მოიწევდა ამიერკავკასიისკენ, პატარა სამეფო თანდათან უძლური ხდებოდა თავი დაეცვა. „ცხადია რუსეთის იმპერატორს ერეკლე II-ის სიცოცხლეშიც შეეძლო სამეფო გაეუქმებინა, მაგრამ ეს გაცილებით ადვილი და უმტკივნეულო იქნებოდა მისი მემკვიდრის – გიორგი XII-ის დროს. რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა კარგად უწყოდნენ, თუ რა უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდებოდა ქართლ-

კახეთის სამეფო დედინაცვალთან და ძმებთან დაპირისპირებული, გიორგი XII-ის მეფობის პირველი ხანებიდანვე“ **(94,25).**

ბატონიშვილთა ორ – უფროს (ერეკლესაგან) და უმცროს (გიორგისაგან) შტოების ურთიერთბრძოლა „მიზნად ისახავდა არა მარტო სამეფო ტახტის დაუფლებას, არამედ საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლასაც“ **(86,72).** მებრძოლთაგან ბევრი უეჭველად გრძნობდა, რომ გიორგი მეფის პოლიტიკა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს არსებობას საფრთხეს უქმნიდა. გიორგი XII-ს სიკვდილამდე მიაჩნდა, რომ საქართველოში ქრისტიანობის შენარჩუნება ურუსეთოდ შეუძლებელი იყო. „თუ არა მკლავი რუსთა ხელმწიფისა, ვერ ვინ დაიცავს საქრისტიანოსა. ...სხვა პატრონი არა გვყავს ჩვენ გარდა რუსთა ხელმწიფეთა“, – აცხადებდა იგი **(26,152-3).** მწვავედ გმობდა გიორგი მეფის საგარეო პოლიტიკას იმერეთის მეფე სოლომონი, რომელიც რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „იცის ესე უმაღლესმან კარმან უდიდებულესობისა თქვენისამ, რომ სახლი მეფობისა საქართუელოსა სახლი არს ჩემი, რომელისაცა დაფარვით განცემასა მეფესა გიორგისაგან და დამხობასა სამეფოსა სახლისასა განმწარებულსა მწუხარებასა მათსა შევრაცხ უბედურებად ჩემდა“**(1, I.558).**

იმპერატორისადმი გაგზავნილი ნოტებით მეფე გიორგი, ფაქტიურად, ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევისაკენ აქეზებდა რუსეთის მთავრობას, ხელს უწყობდა და აჩქარებდა თვითმპყრობელობის გეგმათა რეალიზაციას, რომელიც გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტებიც“ რომ არა, ისედაც, დღეს არა, ხვალ, უცილობლად შეისხამდა ხორცს. სნეულმა მეფემ გადაწყვიტა, მაქსიმალურად დაეთმო თავისი ინტერესები, უკიდურესობამდე შეეზღუდა საქართველოს ავტონომია და ამ ვითარების გათვალისწინებით შედგენილი სათხოვარი პუნქტები თავისი ელჩების: გ. ჭავჭავაძის, გ. ავალიშვილის და ელ. ფალავანდიშვილის ხელით რუსეთის იმპერატორთან გააგზავნა. 1799 წლის 7 სექტემბრის „სათხოვარი პუნქტებით“ იგი თავის ელჩებს ავალებდა „მთლიანად გადაეცა“ სამეფო იმპერატორისათვის, რომ ამ დროიდან მოყოლებული, ქართლოსიანთა ქვეყანა რუსეთის კუთვნილებაში იქნებოდა იმ უფლებათა საფუძველზე, რომლებითაც სარგებლობდნენ რუსეთში შემავალი მხარეები. აქვე, გიორგი იმპერატორ პავლესაგან მოითხოვდა წერილობით გარანტიას ბაგრატიონთა სამეფო უფლებების შესანარჩუნებლად, როგორც ეს იყო მისი წინაპარი მეფეების დროს **(45,II,II,287).** თითქმის ამასვე იმეორებდა იგი 1800 წლის 24 ივლისის ნოტაში. იმ განსხვავებით, რომ იგი ცნობდა თავის თავს მეფედ და რუსეთის იმპერატორის ვასალად და წლიურ ჯამაგირსა და რუსეთში

30 ათას სულ გლეხს მოითხოვდა. გიორგი XII, 1800 წლის სექტემბერ-ნოემბერში ქართველი ელჩებისთვის მიცემულ რწმუნებულებაში აცხადებდა, რომ იგი თანახმაა ქართლ-კახეთში გავრცელდეს რუსული კანონები, მაგრამ სანაცვლოდ ამისა მეფე თავისი შთამომავლებისათვის სამეფო ტახტის შენარჩუნებას ითხოვდა. ეს 1783 წლის ხელშეკრულებიდან გადახვევას წარმოადგენდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი მეფის ნაბიჯი სულაც არ იყო „ძლიერი სამხედრო სახელმწიფოს წინაშე დანებების აქტი“, მისი პოლიტიკური ინიციატივა რუსეთის იმპერიაში საქართველოს მიღებაზე ქვეყნის მართვა-გამგეობის შენარჩუნების პირობით, სავსებით შეესაბამებოდა „სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო ურთიერთობათა ნორმებს“**(127,8).**

ამ დროისათვის პავლე იმპერატორს უკვე მიღებული ჰქონდა დაზვერვის მისიით 1799 წლის ოქტომბერში საქართველოში წარმოგზავნილი რეზიდენტის გრაფ მუსინ-პუშკინის საიდუმლო მოხსენება, რომელშიც ეს უკანასკნელი არწმუნებდა იმპერატორს, რომ საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა რუსული ორიენტაციისა იყო და ამ მდიდარი რეგიონის შეერთებით იმპერიას შეემატებოდა ბარაქიანი და ხვავრიელი მიწები. საქართველოს რუსეთთან შეერთება, კერძოდ, გარდა მისი კეთილდღეობისა და ბედნიერებისა, სახელმწიფო პირთა უმრავლესობის აზრით, ხელსაყრელი და აუცილებელი იყო რუსეთის პოლიტიკური მიზნებისათვის. „საქართველოს შემოერთებით: 1) მორჩილებაში იქნებოდნენ მოყვანილნი მთიელი ხალხები და უზრუნველყოფილი იქნებოდა კავკასიის ხაზი ორი მხრიდან. მთიელთა დაუმორჩილებლობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მათი დაშოშმინება შიმშილით, რადგან საკვებს ისინი იძენდნენ ან საქართველოში, ან მოზდოკში. 2) მაშინდელი მონაცემებით საქართველოს შესახებ, შემოერთებული უნდა ყოფილიყო ქვეყანა, მდიდარი ბუნებრივი რესურსებით. 3) ფართოვდებოდა რუსეთის ვაჭრობა სპარსეთთან და ინდოეთთან. 4) თუკი თურქები დაასწრებდნენ რუსეთს და საქართველოს დაეუფლებოდნენ, მაშინ საფრთხე დაემუქრებოდა როგორც კავკასიის ხაზს, ისევე ყირიმს **(20,164).**

მრავალთა და მათ შორის გრაფ მუსინ-პუშკინის აზრით, „ქართლ-კახეთის შეერთებას რუსეთთან მიბაძავდა იმერეთი და მაშინ ამ შენაძენის მნიშვნელობა კიდევ უფრო საგრძნობი გახდებოდა“**(20,164-65).**

გიორგი მეფის სიცოცხლეშივე, 1800 წლის 18 დეკემბერს იმპერატორის კარზე შემუშავდა მანიფესტი საქართველოს შეერთების შესახებ. „დიდმპყრობელურ-

მა დიპლომატიამ ოსტატურად გამოიყენა XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოში შექმნილი ვითარება. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის დაჟინებული მოთხოვნები იმის შესახებ, რომ მას აღმოუჩინონ სამხედრო და მატერიალური დახმარება, რათა შეძლოს საგარეო მტრებისაგან ქვეყნის დაცვა და შეინარჩუნოს სამეფო ხელისუფლება რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, რუსეთის პოლიტიკოსებმა განზრახ „განიხილეს“ როგორც ნებაყოფილობითი უარის თქმა სამეფო უფლებებზე“ **(88,806).**

რუსეთის მთავრობა ესწრაფოდა რა კავკასიაში სრულ გაბატონებას, წინააღმდეგი იყო არათუ 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთებისა, არამედ იმპერიის შემადგენლობაში მისი შეზღუდული ავტონომიის უფლებით შესვლისაც. ამიტომ მათ გიორგი XII-ის ნოტებში ხაზგასმული „ქვეშევრდომობა“, „სრული მორჩილება“, „ქედმოხრილობა“, რაც არსებითად საჭირო დახმარების მიღების მიზნებს ემსახურებოდა და, არამც და არამც არ გულისხმობდა საშინაო დამოუკიდებლობაზე ხელის აღებას, გაიაზრეს თავისივე ზრახვების შესაბამისად. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების წარმოჩინება ქართველი მეფისა და ხალხის ნება-სურვილად ცარიზმს თავისი დამპყრობლური პოლიტიკის შესანიღბავად, საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრისა და ამავე დროს თავისი აგრესიის მსხვერპლის დასაშოშმინებლად სჭირდებოდა. „გიორგი XII-ე არა მარტო შიდა სახელმწიფოებრივმა და საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ აიძულა ეძებნა რუსეთის ქვეშევრდომობა, არამედ თვით რუსეთმაც, რომლის მესვეურთა მიერ საქართველოს საკეთილდღეოდ მიღებული გადაწყვეტილებანი მხოლოდ ფურცელზე რჩებოდა“ **(11,4-5).** ა. ბერჟეს ამ მსჯელობაში ნებით თუ უნებლიეთ სიმართლე დასცდა. ჩვენის მხრივ დავამატებდით, რომ მხოლოდ მეფე გიორგიზე კი არა, იგივე შეიძლება ითქვას ერეკლე მეფეზეც.

1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტის ტექსტი, რომელიც იმავე წლის 18 იანვარს იქნა გამოქვეყნებული პეტერბურგში, საიდუმლოდ გადაუგზავნეს კავკასიაში განლაგებული ჯარების სარდალ გენ. კნორინგს. მანიფესტის გამოქვეყნებიდან ორიოდე დღის შემდეგ იმპერატორმა პავლემ კნორინგს მისწერა: „მე მინდა, რომ საქართველო გადაიქცეს გუბერნიად, ახალვე დაექვემდებაროს იგი სენატსა და სინოდს“**(20,185).** ამაზე ადრე (მანიფესტის შემუშავებამდე) კნორინგს მიღებული ჰქონდა საიდუმლო ბრძანება, რომ სნეული მეფის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ასვლის ნება არავისთვის მიეცა**(1,I.177-78).**

მართლაც, გიორგის გარდაცვალებისთანავე რუსეთის მთავრობა აღარც ხელშეკრულების ცხად დარღვევას, არც სიცრუეს არ მოერიდა და 1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში იმპერატორ პავლეს მანიფესტი შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების აქტი საბოლოოდ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით დამტკიცდა. მან 12 სექტემბერს მოსკოვში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო: „ტახტზე ასვლისას აღმოვაჩინე, რომ საქართველო 1801 წლის 18 იანვარს გამოცხადებული შეთანხმების მიხედვით რუსეთთან არის შეერთებული“-ო **(34,321)** პავლეს მანიფესტს ამოფარებულმა ალექსანდრემ ადვილად შესძლო თავის მართლება, პასუხისმგებლობის საკუთარი კისრიდან მოხსნა და მამის დაწყილ საქმეს შემდგომი მსვლელობა მისცა. „რუსეთის მთავრობის საქციელი შემაძრწუნებელი უპირობა, ფიცისა და აღთქმის დარღვევა და ძალმომრეობა იყო და სხვა არაფერი“ **(202,63).** ალექსანდრე I-ის 1801 წლის 19 აპრილის რესკრიპტით გენერალ კნორინგისადმი, იმპერატორი აღნიშნავდა, რომ იმპერიის თავმოყვარეობა, მათი საზღვრების უსაფრთხოება, „ოტომანთა პორტას განზრახვები“, მთიელი ხალხების თავდასხმები – საქართველოს შემოერთებას აუცილებელს ხდიდა. მაშასადამე, შეერთება აუცილებელია და გადაწყვეტილიც, მაგრამ იმპერატორმა საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალასახვევად ლიბერალის როლი გაითამაშა. „ალექსანდრემ პირველ ხანებში ლიბერალისა და საერთაშორისო სამართლისადმი ერთგულების პოზა მიიღო“ **(53,236)** და კნორინგს დაავალა გაერკვია ნამდვილად იყვნენ თუ არა ქართველნი დარწმუნებულნი იმაში, რომ მათი მიღება რუსეთის იმპერიაში იყო მათი ხსნის ერთადერთი გზა, და თუ ეს ასე იყო, მაშინ მას ევალებოდა შეედგინა საქართველოს მმართველობის გეგმა, იმის გათვალისწინებით, რომ „არა რუსეთისათვის უერთდება ეს ხალხი იმპერიას, არამედ საკუთრივ მათთვის, რომ არა ჩვენ სარგებლობას ვეძებთ, არამედ მხოლოდ მათს სიმშვიდეს და უსაფრთხოებას“ **(10,18).** უმაღლესი ბრძანებით საქართველოში ჩამოსულმა კნორინგმა 22 დღეში „შეისწავლა“ ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა. მუქ ფერებში, „ასახა ქართლ-კახეთში შექმნილი სიტუაცია. მან დამალა ბაგრატიონი უფლისწულების შერიგება და მეფობის შენარჩუნებისათვის ერთად მოქმედების ფაქტი, ხაზგასმით ის აღნიშნა, რომ მოსალოდნელი იყო ტახტის მემკვიდრეობის გამო ატეხილი შუღლი გადაზრდილიყო შინა დინასტიურ ომში“, საბოლოოდ იგი დაასკვნიდა: ქვეყანას რუსეთ-

თან შეერთება გადაარჩენსო **(59,156-57).** ამ დიპლომატიური ფანდის ნამდვილი არსი აქ კარგად იშიფრება, ე.ი. საქართველო რუსეთს უერთდება არა რუსეთის მთავრობის, არამედ ქართველი ხალხის ინიციატივით და მათსავე სასარგებლოდ – მათი გაჭირვებული მდგომარეობის გამო, ჩვენ კი აქ არაფერ შუაში ვართო. ხოლო „იმპერიის თავმოყვარეობა“ (ალექსანდრეს დელიკატური გამოთქმით), უფრო ზუსტად კი „მპყრობელობისმოყვარეობა“, ახალი ტერიტორიების დაპყრობა-მითვისების დაუოკებელი სურვილი და იმპერიალისტური სულისკვეთება მიჩქმალული და დაფარულია პატარა ქვეყნის დახმარების მაღალჰუმანური მისიით. საქმე ისე ჩანდა, რომ ქართველი ხალხი მადლობელიც კი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებლობის გაუქმებისა და რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გამო. ალექსანდრე ცინიზმით აღსავსე მანიფესტით ურცხვად, უტიფრად უცხადებდა ქართველ მოსახლეობას, თითქოსდა ერეკლე მეფე ვერ ართმევდა რა თავს ქვეყნის შინა და გარე უშიშროებას, უფსკრულში ითრევდა მათ, ეხლაც იგივე უფსკრულის პირას დგახართ და გარდაუვლად ჩასცვივდებით, რუსეთის ძლიერმა ხელმა თუ არ გიხსნათო: „ყოველმა მართველობამ მეფე ერეკლეს დროსაც, რომელმაც თვისი სულით და ღირსებით შეაერთა თავისი ხელისუფლების ქვეშ ყველაფერი, ვერ შესძლო დაემყარებია ვერც საგარეო და ვერც შინაგანი უშიშროება; პირიქით, რამდენჯერმე ჩაგითრიათ თქვენ ბოროტების უფსკრულში, რომლის ნაპირზეც თქვენ ახლაც სდგახართ და რომელშიაც ყველა მოსაზრებებით თქვენ უნდა ჩასცვინდეთ, თუ ძლიერი ხელი სამართლიანი უფლებისა ამ დაცემისაგან თქვენ არ გიხსნით“**(37,45).** რუსეთმა ოსტატურად მოირგო კეთილშობილი დამცველის ნიღაბი და მხსნელის როლში მოევლინა დაუძლურებულ ქვეყანას, მაშინ როცა თვითონ ლომის წვლილი მიუძღვოდა ქართლ-კახეთის სამეფოს დაქცევაში. სულ მალე ყველასთვის ცნობილი გახდა რაშიც მდგომარეობდა რუსეთის „მაღალჰუმანური“ მისია. ასეთი დამოკიდებულება და გადამისამართების პოლიტიკა პირველი შემთხევვა არ ყოფილა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. ასე მოხდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრაქტატის დადების დროს, კიდევ უფრო ადრე კი – „ფიცის წიგნის“ მიღების დროს XVI ს-ში – ამ დოკუმენტშიც მთხოვნელად ქართველი მეფეა გამოყვანილი. სინამდვილეში თევდორე ივანეს ძემ შესთავაზა 1585 წელს პოლიტიკური კავშირი და მფარველობა ალექსანდრე კახთა მეფეს, ეძებდა რა მოკავშირეს ოსმალეთის წინააღმდეგ. „რუსი დიპლომატები საგანგებოდ იყვნენ გაფრთხილებულნი, რომ კახეთთან დაახლოების საქმეში მოსკოვის ინიციატივა-

ზე ხმა არ ამოეღოთ“**(208,11; 209,495).** „აუცილებელია ითქვას კიდევ ერთი თვისების შესახებ, რომელიც ახასიათებს ყველა დროის რუსეთს: იგი განგებ მალავს თავის ნამდვილ ზრახვებს და ესწრაფვის საკუთარი სიავე და ბოროტება სხვათა თვალში სათნოებად გაასაღოს; თავად მუდამ მოძალადე და დამპყრობელი მცირერიცხოვან ერთა მოსარჩლედ და მფარველად წარმოჩნდეს“**(208,10).**

საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე დაიწყო ყალბი იდეოლოგიის შეთხზვა ცარიზმის მოხელეთა თუ მკვლევარ-მეცნიერთა მიერ. სანიმუშოდ რამოდენიმე მათგანს მოვიყვანთ: „საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლო და 12 სექტემბრის მანიფესტით საქართველოს სამეფომ არსებობა შეწყვიტა“ **(10,22);** ან კიდევ „შემოერთება ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით გარდაუვალი იყო... რათა დაეცვა ქრისტიანული ცივილიზაცია მუსლიმანი ბარბაროსებისაგან, რუსეთს აიძულებდა ამიერკავკასიაში გადასვლას და რუსეთი გადმოვიდა კავკასიონის მთებზე“**(10,29-30).**

ტახტის მემკვიდრე დავითი, რომელიც იმთავითვე რუს მოხელეთა გავლენის ქვეშ მოექცა, მათივე ჩაგონებით აღსაყდრებისაგან თავს იკავებდა და მეფედ დამტკიცებას პავლე იმპერატორისაგან ელოდებოდა. მართალია, 1801 წ-ის 8 იანვარს დედაქალაქში დაბრუნებულმა ქართველმა ელჩებმა გიორგი მეფის 1800 წ-ის 24 ივნისის ნოტის საფუძველზე დავითი ტახტის მემკვიდრედ და მმართველად გამოაცხადეს, მაგრამ ხელშეკრულების თანახმად, საჭირო იყო იმპერატორის დასტური. დასტური კი იგვიანებდა. სამშობლოს ბედით შეწუხებული მოწინავე ქართველები აშკარად პროტესტს გამოთქვამდნენ დავითის მიმართ. „უბრძნესი და ნათლად მხილველი მყოობადისა და მომავლისა“ სოლომონ ლიონიძე და მასთან ერთად ბევრი სხვა მისი თანამოაზრენიც სთხოვდნენ დავითს არ დალოდებოდა იმპერატორის წყალობას და დაუყოვნებლივ კურთხეულიყო მეფედ. მან კი იმის მაგივრად, რომ ყურად ეღო გონივრული რჩევა სამეფო ტახტისა და ქვეყნის თავდადებული მოღვაწენი დააპატიმრა. ციხეში ჩასვა „თვით უგონიერესი სოლომონ ლიონიძე. ესე თვით საპყრობილესაცა შინა არა დასცხრებოდა სიტყვითა და თქმითა გლოვითითა: „დავითმან დაღუპა ოჯახი მეფეთა, გამოშჭრა ყელი მეფობასა და დაამცირა ერი თვისი და თვით თავი თვისი“ **(26,226).**

დავითი სათანადოდ ვერ გაერკვა შექმნილ ვითარებაში, თავის შინაპოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს დაერია და რაიმე არსებითი ღონისძიება არ მიუღია, რომ ხელისუფლების დაკარგვის საფრთხე აეცდინა **(88,814).**

ცარიზმმა გააუქმა ბაგრატიონთა სამეფო პრეროგატივა და ქართლ-კახეთში, უკვე როგორც იმპერიის რიგით გუბერნიაში, რუსული მმართველობის წესები შემოიღო. რუსეთის ცარიზმმა ქართლ-კახეთში ახალი მმართველობის სისტემა შექმნა. „ეს იყო სამხედრო-საოკუპაციო სისტემა, რომელიც თავის თავში ხალხისათვის ორმაგ სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას გულისხმობდა“ **(160,139),** რაშიც ძალიან მალე დარწმუნდნენ ქართველები. ამგვარად, ქართლ-კახეთმა დაკარგა საერთაშორისო სუბიექტის სტატუსი, რომელსაც იგი ინარჩუნებდა 1783 წ-ის 24 ივლისის ხელშეკრულების და შემდგომში გიორგი XII-ის მიერ სახეცვლილი ტრაქტატის საფუძველზე. რუსეთის მფარველობა-ქვეშევრდომობაში შესვლას ქართველნი მხარს უჭერდნენ, მაგრამ არავინ მოითხოვდა სამეფოს გაუქმებას და რუსეთთან აბსოლუტურ შერწყმას, შეერთებას, ასე, რომ „ელჩებისა და ხალხის სურვილი განუხორციელებელი დარჩა“**(168,239-240).** აღმოსავლეთ საქართველოს ბედი ქართველი ელჩების მონაწილეობის გარეშე გადაწყდა. ამის გამო შეურაცხყოფილნი – გ. ჭავჭავაძე, გ. ავალიშვილი, ს. ფალავანდიშვილი თავად კურაკინს სწერდნენ: „ჩვენ თავს უბედურად ვთვლით. ყველაზე უკეთ თქვენ იცოდით ჩვენი სურვილი, მისწრაფება და საქმის წარმოება. ამიტომ თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ასეთი შეერთების წყალობით დავკარგეთ თანამემამულეთა ნდობა და პატივისცემა“ **(58,28).** ხოლო გარსევან ჭავჭავაძე პეტერბურგიდან საქართველოში გამოგზავნილ წერილში აცხადებდა: „სამეფო გააუქმეს, ქვეშევრდომებადაც კი არ მიგვიღეს. არავინაა ისე დამცირებული, როგორც ქართველი ერი“ **(22,11).**

1801 წლის მანიფესტი და საქართველოს ახალი მმართველობის შესახებ დებულება, თბილისში 7 თვის დაგვიანებით, 1802 წ-ის 12 აპრილს ჯარისა და ზარბაზნების გარემოცვაში ამცნეს იმპერატორის ქვეშევრდომობისა და ერთგულების დასაფიცებლად მოტყუებით მოწვეულ ქართველ წარჩინებულებს.

ეს შემაძრწუნებელი ძალმომრეობა, თანამედროვის, დავით ბატონიშვილის, სიტყვებით რომ ვთქვათ, მოხდა სწორედ XIX საუკუნეში, მცირე ერთა დაცვისა და განთავისუფლების ხანად მიჩნეულ ეპოქაში, როდესაც ფეოდალური ხალხები და ტომები ერებად ყალიბდებიან. „საქართველოს დამოუკიდებლობის მზე სწორედ მაშინ ჩაესვენა, როცა მსოფლიოს ჰორიზონტზე გარიჟრაჟდა ახალი ისტორიული დღე, როცა კაცობრიობა იწყებს გადასვლას თავისი განვითარების ახალ საფეხურზე“ **(1.1,№1496.27).** ქართველმა ხალხმა, ქართულმა სახელმწიფომ „დიდი და ძნელი გზით“ მიაღწია კაცობრიობის იმ ხანის კარიბჭემდე, რომელსაც „ახალი

ისტორიის“ დასაწყისს ეძახიან. და აი, სწორედ იმ ხანებში კაცობრიობის ახალი „მეთაურის“ – ევროპის გულში, საფრანგეთის „ნიადაგ ქვეშ“ უკვე ისმოდა პირველი ყრუ გუგუნი ახალი ცხოვრებისა, სწორედ ამ დროს ღონემიხდილი საქართველოს ისტორიაში ინასკვებოდა იმ ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდის კვანძი, რომელსაც მის ისტორიაში წარმოადგენს XIX საუკუნე. ქართველი ხალხის ტრაგედიის არსი – აღნიშნავს დავითი, იმაში მდგომარეობდა, რომ მას „პოლიტიკურად“ უკვე მომწიფებულს მტერმა ნაძალადევად ჩააცვა პატარა „ბავშვის რკინის პერანგი“, მისი სახელმწიფოებრივი და ეროვნული „სვლა“ უკუღმა შეატრიალა, მონარქიიდან, დამახინჯებულ სამხედრო ბიუროკრატიულ ფეოდალიზმში, გადარეკა. XVIII ს-ის ისტორიის მთავარი ამოცანა დავითის აზრით იყო ის, რომ მოგვეშორებინა თავიდან სპარსეთისა და თურქეთის კირთება. რაც შეეხება მაღალ სახელმწიფოებრივ საფეხურზე ასვლას, ეს საქართველოსათვის არ წარმოადგენდა მისი ისტორიული ცხოვრების გამოცდილებით დიდ პრობლემას. ამ მხრივ, სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოცდილებით, ქართველი ხალხი უფრო მაღლა იდგა, როგორც მის სამხრეთელ, ისე მის ჩრდილოელ მეზობელზე; ისევე როგორც რომაელ-ბიზანტიელნი მაღლა იდგნენ მათ დამყრობელ გერმანელ და ოსმალურ ურდოებზე. მაშასადამე, საქართველოს XVIII ს-ის II ნახევრიდან სჭირდებოდა არა რუსეთის იმპერატორის, ან სპარსეთის სასომიხდილი შაჰების ნაძალადევი პოლიტიკურ-ეროვნული „აღზრდა“, არამედ თავისუფალი განვითარება, ქართველი ხალხის იმდროინდელი მიდრეკილება იყო „ევროპიისაკენ“. დავითმა და მისმა თანამედროვებმა იციან, რომ ევროპის გზა საქართველოსათვის ადრე ნაცადი გზა იყო, მაგრამ ქართველი ხალხის ტრაგედიის ღერძი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მის სწრაფვას დასავლეთის კულტურისაკენ ნაძალადევად ბორკავდა და სჭრიდა გარეშე მტერი **(1.1,№1496.16).** 1783 წლის ხელშეკრულების და საერთოდ რუსეთზე სწრაფვის ერთადერთ მიზანს ქვეყნის მთლიანობის აღდგენა, სპარს-ოსმალთა მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნება წარმოადგენდა და ასევე „თუ პირდაპირ ვერ გაარღვევდა ისლამის ალყას, შორიდან, რუსეთიდან მაინც შემოევლო და ევროპის ცივილიზაციასთან გაწყვეტილი კავშირი აღედგინა. ეს გეგმა რუსეთისათვის გარეგნულად თითქოს მისაღები იყო და კიდევაც მიიღო მან, მაგრამ ნამდვილად მან მხოლოდ ძველი მოძალადის ადგილი დაიკავა“ **(123,41).** ამ მოძალადემ 1801 წლიდან, შეერთების მომენტიდანვე, სამეფო საგვარეულოს თითქმის ყველა წარმომადგენელი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გაიწვია, რომ არ დარ-

ჩენილიყო „ტახტის აღდგენის მოტრფიალე და ამით სამუდამოდ მოხსნილიყო დღის წესრიგიდან სამეფოთა დამოუკიდებლად არსებობაზე ფიქრიც კი“ **(80,5).**

ცარიზმმა მშვენივრად გამოიყენა ამიერკავკასია-ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთდაპირისპირება და XIX საუკუნის დასაწყისისათვის მტკიცე საფუძველი შეიქმნა კავკასიაში გაბატონებისათვის. „ქართველი ხალხი ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის უღელქვეშ მოექცა. დაუძლურებულმა ქვეყანამ ვერ შეძლო თავისი სახელმწიფოებრიობისა და თვითმართველობის დაცვა ჯერ ქართლ-კახეთში, შემდეგ კი იმერეთში. სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაუქმება და უცხო რეჟიმის დამყარება საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში განცდილ დიდ მარცხს მოასწავებდა“ **(85,46).** XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე საქართველო ისტორიის ბედისწერისაგან განწირული აღმოჩნდა. ქვეყანამ 20 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში შენარჩუნებული სახელმწიფოებრიობა დაკარგა და ბაგრატიონთა 1200 წლოვანმა სამეფო დინასტიამ არსებობა შეწყვიტა. საქართველოს პოლიტიკური ხერხემალი გადატყდა და ამიერიდან ქართული სახელმწიფოებრიობის და ქვეყნების არსებობას იურიდიული სუბიექტების შინაარსი გამოეცალა. „ქართლ-კახეთის სამეფო, შემდეგ იმერეთის სამეფო და სამთავროები შეეწირნენ დიდ პოლიტიკას ისე, რომ ამ პოლიტიკას მხოლოდ დიდი ქვეყნები ქმნიდნენ, ხოლო პატარა ქვეყნები – ე.ი. ჩვენი სამეფოები – განაჩენს დახურულ კარს მიღმა ელოდებოდნენ. 1801 წ-ის კატასტროფა პრაქტიკულად არ იყო ქართლ-კახეთის და რუსეთის, ან ქართლ-კახეთის და ირან-თურქეთის ურთიერთობის შედეგი; ეს იყო ირან-თურქეთ-რუსეთის ხანგრძლივ პოლიტიკურ ურთიერთობათა, ხანგრძლივი პოლიტიკური წინააღმდეგობის შედეგი; საქართველომ ამ პოლიტიკურ პროცესში ვერ მიიღო იმ დოზით მონაწილეობა, რომელსაც მას უქმნიდა მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა. რუსეთმა აიძულა თურქეთი და ირანი ხელი აეღოთ ამიერკავკასიაზე – საქართველო ერგო რუსეთს“ **(155,107).**

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული აზრის და მიხედვით, ქართულ-რუსულ ურთიერთობებს განაპირობებდა საერთო ინტერესი და თანხვედრი მიზან-სწრაფვანი. ზოგ საკითხში ასეც იყო: საერთო სარწმუნოებრივი ნიადაგის ქონა, საერთო გარეშე მტრების ყოლა (თუმცა, ამ შემთხვევაშიც, გარეშე ძალასთან დაპირისპირების საფუძველი განსხვავებული იყო - საქართველო განმათავისუფლებელ და თავდაცვით ბრძოლას აწარმოებდა, რუსეთი კი – დამპყრობლურს), მაგრამ პოლიტიკურ ურთიერთობათა მთავარ ღერძს, რაც წარმოადგენდა, არსე-

ბითად განსხვავებული და შეუთავსებელი იყო. ქართველი ხალხის რუსეთთან დაკავშირების მიზანი იყო ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის გადარჩენა, ხოლო რუსეთის მიზანი – კავკასიის დაპყრობა; მართებულად შენიშნავდა შ. ბურჯანაძე: „ქართველი ხალხი რუსეთს უკავშირდებოდა თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითმყოფობის გადარჩენის მიზნით, ხოლო რუსეთი კავკასიისაკენ საქართველოს დასაპყრობად მოიწევდა“ **(72,58).** აქ კი სად ვხედავთ ინტერესთა თანხვედრას? პირიქით, რადიკალურად განსხვავებული მიზნები გააჩნია ორივე მხარეს – საპირისპირო და ურთიერთგამომრიცხავი. განა შეიძლება შეთავსებადი იყოს განმათავისუფლებელი და დამპყრობლური პოლიტიკის მწარმოებელთა ინტერესები? „რუსეთის მოძრაობა საქართველოსაკენ რამდენადაც იგი აქ თურქეთის ბატონობას სპობდა, პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ რამდენადაც ქართული სახელმწიფოს მოსპობასაც ითვალისწინებდა, ამდენადვე მის წინააღმდეგ ბრძოლა გარდაუვალი ხდებოდა“ **(72,58).** ჩნდებოდა საშიშროება იმისა, რომ „დამპყრობლური სახელმწიფოს „დახმარება“ ქვეყანას უნებლიედ წაიყვანდა ამ დამხმარე ძალის დამონების გზით“ **(87,246).** საღი და ლოგიკური აზრის მიხედვით, რომელ ქვეყნებთან ურთიერთობაც აძლევდა ქართველობას საშუალებას, თუნდაც ნომინალურად, შეენარჩუნებინა თვითმყოფადობა (თავისუფლება), იმ კუთხით და ისე უნდა წარმართულიყო ქართული დიპლომატიის მუშაობაც. ძალთა აწონ-დაწონის შედეგად უმჯობესი იყო მეზობლებთან საერთო ენის გამონახვა და არა ერთბაშად ხიდის ჩატეხვა მათთან რუსეთის იმედით.

აი, ამგვარად დაბოლოვდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუკუნის დასასრულს; „აღა-მაჰმად-ხანის მიერ ფიზიკურად განადგურებულ ტფილისში პოლიციურმა რუსეთმა შემოდგა ფეხი, რომ სულიერათაც გაენადგურებინა ის ჯიუტი ხალხი, რომელიც აქამდე ისტორიას უძალიანდებოდა და არ ნებდებოდა“**(117,40).** ახალი, XIX საუკუნის დასაწყისს საქართველო თავისუფლებადაკარგული შეხვდა. ის, რაც საუკუნეთა განმავლობაში მაჰმადიანურმა ირან-ოსმალეთმა ვერ მოახერხა, ერთმორწმუნე რუსეთმა მოკლე დროში ერთი ხელის მოსმით გადაჭრა - XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის მთელი საქართველო რუსეთის იმპერიის სრულ განკარგულებაში აღმოჩნდა. დაიწყო ქართველი ერის ისტორიაში მონობის დიდი ღამე – ცარიზმის და შემდგომ საბჭოთა კოლონიური უღლის ორსაუკუნოვანი პერიოდი. „ის ილუზია, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიის გუბერნიად გადაქცევა ქართველი ერისათვის „ნაკლები ბოროტება“ იყო, მალე დაიმსხვრა.

რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ ნათელი გახადა ის დიდი ეროვნული საფრთხე, რომელიც ერთმორწმუნე რუსეთს „თავშეფარებულ“ უძველეს ქრისტიანულ ერს დაემუქრა. რუსეთის საიმპერატორო კარმა ზედმიწევნით ზუსტად გაანალიზა საქართველოს დაპყრობისათვის ბრძოლაში სპარსეთის შაჰებისა და ოსმალეთის სულთნების მიერ დაშვებული შეცდომები. სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით რუსეთმა მტკიცე საფუძველი შეუქმნა კოლონიურ პოლიტიკას. ...ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა კიდევ უფრო საშიში მოვლენა – საქართველოს ეკლესიის რუსიფიკაცია, ანუ ეროვნული სულის ჩაკვლის მცდელობა ეკლესიაში. ...მითი „ერთმორწმუნე რუსეთის შესახებ“ მკაცრმა სინამდვილემ შესცვალა **(81,14).** არადა რუსეთზე ორიენტაცია მნიშვნელოვანწილად სწორედ „კონფესიური მომენტით განისაზღვრა. ერთმორწმუნეობა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც XVIII საუკუნის ბოლოს განაპირობა ისლამურ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში დაბადებული საქართველოს ისტორიული არჩევანი: მისი პოლიტიკური ორიენტაცია რუსეთისაკენ“**(177,126).**

ფაქტიურად, ტრაქტატი მოსამზადებელი ეტაპი აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოებრიობის დასამხობად. „საერთაშორისო პირობები რომ უფრო ხელსაყრელი ყოფილიყო და პროტექტორატი რომ ყოფილიყო აღიარებული, რამდენიმე მოქიშპე განათლებულ სახელმწიფოთა წინაშე, გარემოება სხვა მსვლელობას მიიღებდა. მაშინ სიუზერენს (რუსეთს) უფრო სინდისიერად უნდა აესრულებინა თავისი ვალდებულებანი. წინაღმდეგ შემთხვევაში, სხვადასხვა მოქიშპე სახელმწიფო ადვილად მიიმხრობდა სიუზერენის მიერ დაჩაგრაულ-დამორჩილებულ სახელმწიფოს (საქართველოს). სწორედ ამგვარი პირობები არ არსებობდა იმ დროს... რუსეთი, როდესაც საქართველოს ბედს წყვეტდა, მარტოოდენ თავის ინტერესებს და თავმოყვარეობას უწევდა ანგარიშს. იგი მაშინ იძულებული არ იყო, ბრძოლა გაეწია ამის გამო დიდ განათლებულ სახელმწიფოთა ამგვარივე სუვილებისათვის. ეს რომ ყოფილიყო, საქართველოს შეერთებას სულ სხვა შედეგი მოჰყვებოდა, იგი სხვა პირობებში და ფორმებში მოხდებოდა“ – აღნიშნავს ზ. ავალიშვილი **(211,130).**

მართლაც, იმ ეპოქის საერთაშორისო განწყობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა როგორც გეორგიევსკის ტრაქტატი, ისე საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შემდგომი მსვლელობა.

პასუხს ითხოვს ერთი მეტად საინტერესო კითხვა: ტრაქტატი მეტისმეტად შორეული მომავლისთვის იქნა დადებული თუ კონკრეტული ისტორიული პირო-

ბებიდან გამოსასვლელად? ალბათ, უპირველეს ყოვლისა, კონკრეტული არასასურველი მდგომარეობიდან თავდასახსნელად. მაგრამ „მარადიული მფარველობა“ სამომავლოდ ამოქმედდა და შედეგად მივიღეთ საქართველოს გაერთიანება რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (ობიექტური დადებითი შედეგები – ცარიზმის ინტერესების მიღმა იყო გამავალი). რაც შეეხება ტრაქტატის კონკრეტულ შედეგებს, მოცემულ დროსა და მოცემულ შემთხვევაში, ის მხოლოდ ქაღალდზე დარჩა (არც ამოქმედებულა). ე.ი. ის უფრო სამომავლოდ დადებული ხელშეკრულება აღმოჩნდა, ვიდრე არსებული კონკრეტული სიტუაციიდან გამოსასვლელი საშუალება. ეს ხელშეკრულება ისე დაირღვა, რომ არც შესრულებულა. მისი უარყოფითი შედეგები, მისმა შემომქმედებმა დაგვიანებით „მიიღეს“, მაშინ, როცა არც თვითონ და არც მათი შთამომავალნი ისტორიის ასპარეზზე კარგა ხანია უკვე აღარ არსებობდნენ; და რაც მთავარია, მიიღეს სულ სხვა ფორმით და სხვა სახით: საქართველო დაცულ იქნა მაჰმადიანთაგან, მაგრამ თვითონ ახალი დამპყრობლის ხელში აღმოჩნდა; საქართველო გაერთიანდა, მაგრამ არა ბაგრატიონთა სკიპტრის ქვეშ, არამედ რუსეთის იმპერიის მფლობელობაში. ყოველივე ეს „სიკეთენი“ მიღწეულ იქნა თავისუფლების დაკარგვის ხარჯზე. რა თქმა უნდა, ასეთ „აღდგომა-გამოხსნაზე“ არ ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები – ამ პოლიტიკის შემომქმედნი; ეს იყო ქართული სახელმწიფოს უდიდესი მარცხი. ჩვენთვის ცნობილია ცარიზმის ბატონობის მძიმე შედეგები, თუ რა დაუნდობელი, სასტიკი და ყოველივე ეროვნულის ძირისძირამდე მომთხრელი გახლდათ იგი. ეს ის შემთხვევაა, როცა სარწმუნოებამ პოლიტიკაში და პოლიტიკამ სარწმუნეობაში საბედისწერო როლი ითამაშა. რა თქმა უნდა, საუკუნეთა განმავლობაში, მაჰმადიან აგრესორთა მიერ მიმძლავრებულ ქვეყანაში აქტიური ხდება სარწმუნოებრივი მომენტის წინ დაყენება და აქედან გამომდინარე, გასაგებია სამხრეთელ მეზობელთაგან თავმობეზრებული ქართველი პოლიტიკოსების ჩრდილოური ორიენტაცია, მაგრამ მოცემულ სიტუაციაში მდგომარეობიდან გამოსასვლელად საქართველოს ესაჭიროებოდა სამხედრო მოკავშირე და არა ე.წ. „სამუდამო მფარველი“ – იმპერიალისტური ნიღბით მოვლენილი ერთმორწმუნე რუსეთი.

განა არ იცოდნენ XVIII საუკუნის საქართველოში, რომ რუსეთის იმპერია იყო მრავალ სხვა ხალხთა ძალით მპყრობელი და შესაძლოა მას ქართველთა, ქართული მიწების დაჭერის სურვილიც გასჩენოდა?! რაღა თქმა უნდა იცოდნენ და მისი აღმოსავლური იმპერიული ამბიციების გამოყენება სურდათ, მაგრამ ერეკლე და მისი მომხრენი ანგარიშში მოტყუვდნენ. როგორც აღვნიშნეთ, ეს

იყო უდიდესი მარცხი, ტრაქტატმა ქართულ მხარეს არ გაუმართლა, რუსულმა მხარემ კი სავსებით მიაღწია თავის მიზანს. რუსეთის მიზნებში სულაც არ შედიოდა ტრაქტატის დაცვა-შესრულება; უბრალოდ, მისთვის ეს ხელშეკრულება იყო დიდი დიპლომატიური მონაპოვარი, იურიდიული იარაღი ევროპელი თუ აზიელი მეტოქეების წინააღმდეგ, ხოლო ერეკლესა და მისი სამეფოსათვის – კარგად დაგებული ხაფანგი აღმოჩნდა. „1783 წ-ის მფარველობით ტრაქტატში რუსეთის იმპერიულმა მონსტრმა იმთავითვე შეგნებულად ჩადო 1801 წ-ის საქართველოს ანექსიის აქტის პოლიტიკური კოდი, რომელიც მან ვერაგობით ეტაპობრივად განახორციელა“ **(79,55)**. ქართლ-კახეთის სამეფოსათვის კრიტიკულ მომენტებში, როცა საჭირო იყო დახმარება, რუსეთს არც ახსენდებოდა ხელშეკრულება, თითქოს არც არსებულიყოს იგი. ზოგადად, ამ ხელშეკრულებას, უფრო სწორად რუსულ ორიენტაციას (რადგან ტრაქტატი ისე გაუქმდა, არც შესრულებულა), მოგვიანებით მოჰყვა რამდენადმე „დადებითი“ ობიექტური შედეგები.

თავს იჩენს მორიგი კითხვა – მაშ რაღა აზრი ჰქონდა ტრაქტატის დადებას, თუკი ერეკლეს თავად უნდა მოეგვარებინა ქართლ-კახეთის პრობლემები? საქმე იმაშია, რომ ეს იყო იძულებითი ნაბიჯი – გამოუვალი სიტუაციიდან ნაკარნახევი, ვიდრე ნებაყოფლობითი, ანუ ერეკლე II ფაქტის წინაშე დააყენეს, რუსეთის მთავრობამ მას სხვა გზა აღარ დაუტოვა. ცარიზმი მშვენივრად იყენებდა ყველა შიდა თუ გარე დაპირისპირებას ქართლ-კახეთის მეფის საწინააღმდეგოდ. მაგალითად, იძულებითი ბერკეტების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა ერეკლეს „არალეგიტიმურობა“. ეს იყო კახელი ბაგრატიონის აქილევსის ქუსლი. ერეკლეს აქვს „მარადიული შიში“ რუსეთში თავშეფარებული ქართლის კანონიერი მემკვიდრეებისა და მშვენივრად აცნობიერებდა იმასაც, რომ რუსეთი, მისი ურჩობის შემთხვევაში, მათ გამოიყენებდა ერეკლეს წინააღმდეგ. აკი გამოიყენა კიდეც არაერთხელ. „ლეგიტიმურობის საფრთხობელა“ იყო ის საშუალება, რომლითაც რუსეთს ხელში ჰყავდა ჩაჭერილი ერეკლე და მორჩილებას აიძულებდა. ერეკლეს და შემდეგ გიორგი XII-ის ერთი უმთავრესი საზრუნავთაგანი იყო ტახტის შენარჩუნება; ტახტის დაკარგვის პანიკურმა შიშმა, ისინი ბევრ დათმობაზე წაიყვანა. აქვე, ერეკლე მეფის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არა მისი სიმამაცე, მკლავის სიმარჯვე და მებრძოლი სული, რუსეთი კიდევ უფრო ადრე შესძლებდა საქართველოში გაბატონებას; ერეკლე მეორე ასეთი დიდი სტრატეგოსი რომ არ ყოფილიყო, რუსეთის იმპერიული მიზნები მის დროსვე განხორციელდებოდა.

ამგვარად, „აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო დაეცა არა მარტო როგორც ქვეყნის შინაური კრიზისის მსხვერპლი, არამედ რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკის წყალობითაც, რომელიც ძველთაგანვე მიისწრაფოდა ამიერკავკასიისა და მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ხელში ჩაგდებას“(187,40). როგორი ნებაყოფლობითიც იყო საქართველოს რუსეთთან შეერთება, ეს კარგად გამოჩნდა სულ მალე, XIX ს-ის დასაწყისშივე, როცა ამბოხება ამბოხებაზე ეწყობოდა და რუსეთს ხელახლა მოუხდა „ნებაყოფლობით“ შეერთებული საქართველოს დაპყრობა. თვით რუსი ისტორიკოსებიც (ბურჟუაზიული თუ საბჭოური ხანის) ვერ მალავდნენ საქართველოს დაპყრობის ფაქტს: „აუცილებელია აღიარებულ იქნას, რომ საქართველო კი არ შეიერთა რუსეთმა, არამედ მოხდა მისი დაპყრობა ჯარის მიერ“ - წერს ბერჟე (10,30). რუსეთის იმპერია „ვასალურ სახელწიფოთა“ შექმნის პოლიტიკიდან ამ ქვეყნის მიწა-წყლის აშკარა ანექსიაზე გადავიდა. „რუსეთი საქართველოს უკვე ამ პერიოდიდან მხოლოდ საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესებით უყურებდა, საქართველო უნდა გადაქცეულიყო ბაზად ახლო აღმოსავლეთის დაპყრობისათვის“ (171,19). ხოლო დაპყრობის პროცესს ყველაზე სასტიკი და უხეში ფორმებით ახორციელებდა: „ცარიზმი არარუს ხალხთა სასტიკ ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრისა და რუსიფიკაციის პოლიტიკას ატარებდა“(66,398). ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია იმ პოლიციურ მმართველობასა და სოციალურ-ეროვნულ ჩაგვრას, რომელიც რუსეთმა მოახვია თავს. საზოგადოებრივი უკმაყოფილება და პროტესტი სხვადასხვა ფორმით იჩენდა თავს „отзвуки которого постоянно доходили до Петербурга“(131,40). პირველ რიგში აღსანიშნავია ალ. ბატონიშვილის შეურიგებელი ბრძოლა და დაუმორჩილებლობა რუსული იმპერიული ძალმომრეობის წინააღმდეგ: მან იმთავითვე მტკიცედ განუცხადა ლაზარევს, რომ ვიდრე საქართველოში მეფობა არ აღსდგებოდა, მანამდე მისი ფეხი არ იქნებოდა ამ ქვეყანაში (22,13). არ ცხრებოდნენ რუსეთს გადასახლებული ბატონიშვილები და პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოშორებულნი ახლა სიტყვით, იდეოლოგიურად ეწინააღმდეგებოდნენ ცარიზმის მიერ საქართველოსა და ბაგრატიონი მეფეების წინაშე ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას. იდეოლოგიური ბრძოლის ნათელი მაგალითია დავით ბატონიშვილის ალექსანდრე I-სადმი მირთმეული ბარათი. აქ არის ვედრებაც, საყვედურიც რუსეთის მთავრობისადმი და ასევე საქართველოს მოწყობის გეგმებიც (90,128-138). იგი ყოველ წამს აგრძნობინებდა თვითმპყრობელობას, რომ „ძველად დიდი და თავისებური ისტორიის მქონე ქართველ ერს და საქართველოს

გაუქმებულ სამეფოს დამოუკიდებელი განვითარების უფლება აქვს და ამ უფლების განხორციელების დროც დაუდგებაო“(74,48). ქართველი ხალხი ვერ ურიგდებოდა მომხდარ ფაქტს, აწყობდა აჯანყებებს ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ საქართველოში, იბრძოდა თავისი ეროვნული ღირსების დასაცავად, რადგან: „...ყოველი ერი მიისწრაფვის შექმნას თავისი სახელმწიფო, განამტკიცოს და გააძლიეროს იგი, ეს ერის საღი ინსტინქტია. სახელმწიფოებრივი ყოფა, ერის ნორმალური ყოფაა. სახელმწიფოებრიობის, დამოუკიდებლობის და სუვერენულობის დაკარგვა ერისთვის უდიდესი უბედურებაა, მძიმე სნეულებაა, რომელიც ამახინჯებს ერის სულს“ (57,31-32). „სახელმწიფოს მეშვეობით გამოავლენს ერი თავის შესაძლებლობებს. მეორე მხრივ, სახელმწიფოს უნდა ქონდეს ეროვნული საფუძველი, ეროვნული ბირთვი, თუმცა ტომობრივი შემადგენლობა ერისა შეიძლება ძალზე რთული და მრავალფეროვანი იყოს“ (57,32-33).

საქართველოს ძვირად დაუჯდა მუსულმანური გარემოცვის გარღვევა და კულტურულ სამყაროსთან დაკავშირების ჩრდილოური გზა. ერთი მოძალადის კლანჭებიდან გაქცეული მეორე უფრო ძლიერ დამპყრობელს ჩაუვარდა ხელში. ქვეყნის დამოუკიდებლობის ფასად აღდგა კავშირი კულტურულ დასავლეთთან, მაგრამ არაპირდაპირ – რუსეთის გავლით, დასავლეთის პროგრესულ მიღწევათა რუსული გადახარშვა-გარდაქმნის გამოვლის გზით. ამდენად ეს მიღწევაც არ ყოფილა სრულფასოვანი. „რუსეთი მხოლოდ მესამე პირი იყო, ერთგვარი გადამცემი პუნქტი. იგი იყო მხოლოდ გეოგრაფიული პირობა, რომლის საშუალებითაც ქართველობა ევროპის გონებრივ თუ ნივთიერ ცხოვრებას ეცნობოდა“ (117,27). მაგრამ აქაც რუსეთის გამტარობაზე – მის ამ როლზეც ნაწილობრივ შეიძლება საუბარი „მთლიანობაში აღებული (იშვიათ გამონაკლის არ ვგულისხმობთ) საქართველოსთვის მიუწვდომელი დარჩა ევროპული განათლება, მეცნიერება და კულტურა. საქართველოს ევროპეიზაციის ხარისხი საკუთრივ რუსეთის ევროპეიზაციის ხარისხზე დაბალი იყო. საქართველო, ჩამორჩენილი რუსეთის კოლონია, კიდევ უფრო ჩამორჩენილი იყო. კულტურული წინსვლის თვალსაზრისით ქართულმა საზოგადოებამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში გარკვეული პროგრესი განიცადა, მაგრამ ეს რუსეთის გზით საქართველოს ევროპეიზაციის შედეგი არ ყოფილა, ყოველივე ეს რუსეთის გარეშეც მოხდებოდა, რადგან მას საფუძველი XVIII ს-ში დაედო“ (81,16).

საქართველო მაშინ მოექცა ცარიზმის კოლონიური უღლის ქვეშ, როცა ფეოდალური წყობიდან ევროპული პროგრესის გზაზე გადადიოდა. დასავლეთისა-

გან განსხვავებით, საქართველოში ეს პროცესი მძიმე ისტორიული ბედის გამო გვიან, XVIII ს-დან ხდება შესამჩნევი და, რაც მთავარია, იგი თვითმყოფადობისა და ქვეყნის შინაგანი ძალისხმევის ნიშნით მიმდინარეობდა. თვითმპყრობელობის მარწუხებში მოქცევამ მთლიანად დაამუხრუჭა XVIII ს-ის II ნახევრის საქართველოს მოწინავე წრეებში დაწყებული ინტენსიური კულტურული მუშაობა და მტკიცე სამზადისი როგორც სახელმწიფო წეს-წყობილების გასაუმჯობესებლად და ევროპულის მსგავსად გარდასაქმნელად, ისე ევროპული მეცნიერების, ფილოსოფიისა და მწერლობის საქართველოში გადმოსანერგავად. ფულად სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების კვალობაზე სამეფო კარზე ბატონყმობის გაუქმების პროექტებიც კი მზადდებოდა. პროგრესულად მოაზროვნეთა დასი პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამდა, რაც მკაფიოდ აისახა სახელმწიფო რეფორმების იმდროინდელ პროექტში. გიორგი XII-მ მოიწონა და 1799 წელს დაამტკიცა კიდეც იოანე ბატონიშვილის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის გაერთიანებას, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას, სწავლა-განათლების გაფართოებას. ახალ სკოლებში უნდა ესწავლათ არა მარტო თავადაზნაურთა, არამედ მოქალაქეთა და გლეხთა შვილებსაც. სკოლები და მასწავლებლები სახელმწიფო ხარჯზე უნდა ყოფილიყვნენ. იოანე მოითხოვდა საერისთავოებისა და სათავადოების გაუქმებას, ყველა თანამდებობის პირის, მათ შორის მეფე-დედოფლის, სახელმწიფო ხარჯზე გადაყვანას და სხვ.**(5,74-78).** ეს კანონპროექტი ერეკლე მეფის მიერ წამოწყებული რეფორმებისა და გარდაქმნების გაგრძელებას წარმოადგენდა და ნიშანდობლივია იმ მხრივ, რომ XVIII ს-ის დასაწყისში დიდი ინერციით დაწყილი ფართო აღმშენებლობითი საქმიანობა კულტურულ-ეკონომიკურ სფეროში – საუკუნის ბოლოს, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისისა, ისევ გრძელდება. ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, თუ რაოდენ სიცოცხლისუნარიანი იყო, ყველაფრის მიუხედავად, ქართული სახელმწიფოებრიობა. თავად რუსულ კულტურას რაც შეეხება, მას არ შეეძლო მასზე უფრო მაღლა მდგომი უძველესი ქართული კულტურის ზეგავლენის ქვეშ მოქცევა. მას არც თუ ეკონომიკურ-საზოგადოებრივ წყობაზე შეეძლო დადებითი გავლენის მოხდენა, როგორც ფეოდალურ ჩამორჩენილ ქვეყანას და როგორც დამპყრობელს; პირიქით, იგი საუკუნეების მანძილზე აფერხებდა საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ და, რაღა თქმა უნდა, პოლიტიკურ განვითარებას. ასე, რომ რუსეთის იმ ცივილიზატორულ როლზე, რომელსაც იგი ასე თუ ისე ასრულებდა კასპიისპირე-

თის, ვოლგისპირეთის, ურალისპირეთის, ციმბირის ხალხების შემთხვევაში, ამიერკავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში ვერაფერს ვიტყვით.

ისე, რომ მართლაც, ისმება რიტორიკული კითხვა „იყო თუ არა რეალური რუსეთის მეშვეობით დასავლეთ სამყაროსთან (ევროპასთან) დაკავშირება? რა როლი შეეძლო ეთამაშა რუსეთს საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში? რამდენად რეალური იყო თვით რუსეთის ევროპეიზაცია? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა XIX საუკუნის დამდეგის საქართველოში, ცხადია, არავის შეეძლო **(81,14-15).** მაგრამ დღეს, პრაქტიკიდან გამომდინარე – ურთიერთობის ორსაუკუნოვანი ისტორიის გადასახედიდან, შეგვიძლია ობიექტურად ვიმსჯელოთ და დასკვნებიც გავაკეთოთ. რუსეთის ევროპეიზაცია პრობლემად რჩება თანამედროვე ეპოქაშიც (ევროპეიზაცია თავისი ტემპებით „ბარბაროსულ“ თურქეთში უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებოდა). ფაქტიურად, საქართველო აღმოსავლეთ ევროპის სივრცეს ვერ გასცდა. მართალია, მან ბარბაროსულ-მაჰმადიანურ გარემოცვას თავი დააღწია, მაგრამ ამჯერად რუსეთის ფეოდალურ, ჩამორჩენილ და სამხედრო დესპოტური სახელმწიფოს დახშულ სივრცეში მოექცა. „ევროპეიზაცია უპირველეს ყოვლისა გულისხმობს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის იდენტურობას“ **(81,16).** ამ მხრივ კი „რუსეთსა და ევროპის სახელმწიფოებს შორის უფსკრული იყო“**(81,17).** რუსეთის ევროპეიზაცია, როგორც ცნობილია XVII ს-დან, პეტრე I-ის დროიდან დაიწყო. მაგრამ „ვერც პეტრე I-ის და ვერც ეკატერინე II-ის დროს რუსეთი ევროპული სივრცის, ევროპული სამყაროს ნაწილი ვერ გახდა. სლავური სამყაროდან რუსეთის გამოყვანა ძალზე ძნელი აღმოჩნდა. პეტრე I რუსეთს განაგებდა, როგორც ტიპიური აზიელი დესპოტი. ეკატერინე II, ევროპის მონარქებისა და განმანათლებლების წინაშე კეკლუცობის მიუხედავად, ასევე დესპოტური მეთოდებით განაგებდა რუსეთს. ამ პერიოდში (XVIII საუკუნეში) რუსეთი არა მარტო ევროპული სივრცის ნაწილი ვერ გახდა, არამედ ევროპისათვის მუდმივ და რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა (ჩრდილოეთის ომი, შვიდწლიანი ომი, პოლონეთის სამი დანაწილება და სხვ)“ **(81,15).**

ვერც მომდევნო, XIX ს-ში, მოხდა რუსეთის ევროპეიზაცია; ევროპეიზაცია დაეტყო მხოლოდ განათლებას, მეცნიერებასა და კულტურას. ისე, რომ „საქართველო რუსეთის მეშვეობით ევროპულ სამყაროს ვერ დაუკავშირდა, ევროპეიზაციის გზაზე სერიოზული ნაბიჯი ვერ გადადგა წინ“ **(81,15-6).** „რუსეთის მეშვეობით საქართველოს ევროპეიზაცია მითი იყო. რუსეთის საიმპერატორო კარს, რუ-

სეთის მთავრობას საქართველოს ევროპეიზაცია დაუშვებლად მიაჩნდა. რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას საქართველოს ევროპეიზაცია იმ დონითაც კი არ სურდა, რა დონითაც თვით რუსეთის (ველიკოროსიის) ევროპეიზაცია მოხდა. რუსეთს არ სურდა საქართველოში განათლების ევროპული სისტემის შექმნა, არ სურდა მეცნიერების კერების დაარსება, ქართულ-ევროპული კულტურული ურთიერთობის განვითარება და გაღრმავება. საბოლოო ჯამში ასეთი შედეგი მივიღეთ: რუსეთის იმედად აზიური სამყაროდან ევროპული სამყაროსაკენ თითქოსდა დაძრული ქართველი ერი, საქართველო იმედგაცრუებული დარჩა, ევროპეიზაციის ნაცვლად უზარმაზარი იმპერიის „განაპირა მხარის“, კოლონიის ხვედრი გვერგო“ **(81,18-19).**

ის არაპირდაპირი, ცარიზმის ინტერესების მიღმა გამავალი ობიექტური დადებითი შედეგებიც, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან მოყოლებული, არარსებითი და უმნიშვნელო მოსჩანს იმ დიდი დანაკარგის ფონზე, რასაც ქვეყნის თავისუფლება ჰქვია.

§2. რუსული იმპერიალიზმის არსი და მისი გამოვლინება საქართველოსთან მიმართებაში

საქართველოს თვისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე უამრავი დამპყრობელი ეხვია გარს, მაგრამ არცერთ მათგანს საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობა არ მოუშლია და ქართველი ხალხის სრული ასიმილაცია არ უცდია. პირველი დამპყრობელი, რომელმაც ასეთი მაზანი დაისახა, მართლმადიდებელი რუსეთი იყო. „საქრისტიანო რუსეთი“ საქართველოს მოევლინა, როგორც მრისხანე ბატონი და არა პატრონი (მფარველი). რთული და წინააღმდეგობრიობით აღსავსე XVIII ს-ის საზოგადოება შინაგანად გაორებული იყო. „მას „ევროპაში დაბრუნებაც“ უნდოდა და „აზიაში დარჩენაც“. რუსეთის ევრაზიული იმპერია კი სწორედ ამ წინააღმდეგობრივი მისწრაფების შესატყვის სახელმწიფო სისტემას განასახიერებდა. რუსი ჩინოვნიკის და ჯარისკაცის მუნდირმა ქართულ ზეპურ საზოგადოებას ქრისტიანული დასავლეთის ნაირსახეობის ილუზია შეუქმნა და მისი „ევროპელობის“ ამბიცია დააკმაყოფილა, სინამდვილეში კი ამ მუნდირის მიღმა... დასავლეთის სრული ანტიპოდი იმალებოდა“ **(209,506).***

რუსეთის დიდმპყრობელური მიზნები კარგად არის ჩამოყალიბებული თავად პეტრე I-ის ანდერძში, რომელიც მან შთამომავლობას დაუტოვა, როგორც ერთგვარი სამოქმედო სტრატეგია. პეტრე I-ის 1709 წ-ს შედგენილი ანდერძი მუდამ იყო რუსეთის სამოქმედო გეგმა: „მაღალი ღმერთი, რომლის ნებიდანაც გადმოდის ჩვენი არსებობა და რომლის მიერ ნაკურთხი გვირგვინი ჩვენს თავს ამკობს, ღვთაებრივის შუქით გვინათებს წინამდებარე გზას, რაც ჩვენ გვაძლევს საშუალებას, სწორად განსვჭვრიტოთ მომავალში რუსი ერის უდიდესი დანიშნულება – მისი ევროპაზე გაბატონებისა. ეს ჩემი წინასწარმეტყველება, გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ევროპის ერებმა მიაღწიეს მოხუცებულობის და დაკნინების ხანას, რომლისკენაც ისინი ჩქარის ნაბიჯით დაექანენ. აქედან გამომდინარეობს, რომ ეს ერები ადვილად შეიძლება დაპყრობილ იქნან ახალი, ახალგაზრდა ხალხის მიერ, როცა ეს უკანასკნელი მიაღწევს მთელს მის სულიერსა და ფიზიკურ განვითარებას. მე მწამს ჩრდილოეთის ერის მიერ დაპყრობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებისა... მე რუსეთი მივიღე, როგორც პატარა ნაკადი; მე მას ვტოვებ, როგორც დიდ მდინარეს. ჩემი მემკვიდრენი გარდაქმნიან მას დიდ ზღვად, რომელმაც გაღა-

***** ***<u>შენიშვნა:</u> ციტირებულია ა. ჯოხაძის ხელნაწერიდან „მსგავსი იზიდავს მსგავსს“.***

ტაკებული ევროპა უნდა გაანოყიეროს **(141,59-60)** და რუსეთიც – ფეოდალური, კაპიტალისტური, სოციალისტური თუ „მოდერნისტული“, დიდის მონდომებით ახორციელებდა (და ახორციელებს) პეტრე I-ის ამ „ველიკოდერჟავული“ სულისკვეთებით განმსჭვალულ ანდერძს – რუსეთს ყველა ეპოქაში სურს მსოფლიო იმპერია იყოს.

სამწუხაროდ, დროის მსვლელობამ რუსეთის მიზან-სწრაფვანი ვერ შეცვალა. მას არ შეუძლია მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობა მეზობელ პატარა ქვეყნებთან, თანასწორუფლებიანობის პრინციპზე აგებული დამოკიდებულება და ურთიერთთანამშრომლობა. იგი კვლავ რჩება იმპერიული, დიდმპყრობელური სულისკვეთების მატარებელ ქვეყნად. მოქმედებს იგივენაირი პრინციპებითა და მეთოდებით: სიცრუე, ორპირობა, ღალატი, მზაკვრობა, ძალადობა. თვალსაჩინოებისა და შედარებისათვის მივმართოთ კონკრეტულ ისტორიულ მაგალითებს. სხვადასხვა დროის, სხვადასხვა რანგის რუს მოხელეთა და პოლიტიკოსთა გამონათქვამებსა და მოქმედებაში ჩვენ ამოვიკითხავთ ერთი და იგივე იმპერიულ სულისკვეთებას.

საყოველთაოდ ცნობილია ერთმორწმუნე ქვეყნის მოსახლეობისადმი რუსი გენერლებისა და სამხედრო მოხელეების უსულგულო, მკაცრი და დესპოტური დამოკიდებულება. რუსეთის მთავრობის მძარცველური პოლიტიკა ქართული ეკლესიების მიმართ, ეროვნული ფასეულობებისა და ღირებულებების ფეხქვეშ გათელვა. სწორედ რუსული იმპერიის ვერაგულმა ღონისძიებებმა და მისწრაფებებმა გამოიწვია საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში მძლავრი სახალხო აჯანყებანი; კერძოდ: 1804 წელს – მთიულეთში, 1811 წელს – ლიახვის ხეობაში, 1812 წელს – კახეთსა და ქართლის ჩრდილო-აღმოსალეთ ნაწილში, 1819-20 წლებში – იმერეთში, ასევე 1832 წლის შეთქმულება. რუსული ოფიციოზის დანაშაულებრივი ქმედებანი ქართველი ხალხის მიმართ ზოგიერთი რუსი მოხელის ცნობიერებაში სინდისის ქენჯნას აღძრავდა და უზენაესი ძალის წინაშე შიშის გრძნობას ბადებდა. მაგალითად, საქართველოს მთავარმმართებელი გენ. რტიშჩევი თავისი სასწაულებრივი გამოცხადების შესახებ საქართველოს ეგზარქოსს ვარლამ ქსნის ერისთავს* წერდა: „მოგროვილი ფულით ცხვარი ვიყიდე და არსმოში[1] დავკალ, მეორე დღეს ცხინვალის ზღუდერის საყდარში წაველ, საცა საღა-

[1] *სიტყვა არსმო“-ს ამოკითხვა გაკრული ხელწერის გამო მეტი სიზუსტით ვერ მოხერხდა.*

მოს ლოცვის შემდეგ ყველა წმინდანები გამომეცხადნენ, წმ. გიორგი და ღვთისმშობელი მახსოვს, სხვები ვერ მომიგონიაო და ასე ბრძანეს: თუ რუსებმა ღვთისა არ შეისმინეს, მართლმსაჯულებით და სიბრალულით არ მოეკიდნენ ხალხს – დავსჯით, საქართველოდგან ისევ რუსეთში გავრეკავთო, ბატონიშვილი ალექსანდრე მოვა და ისევ ქართველების მეფობა დაიწყებაო". ამ ლაპარაკის დროს გენერალი გიჟდებოდა და ჭკუიდან იშლებოდა–გადმოგვცემს პ. კარბელაშვილი თავის ჩანაწერებში **(1.9,№47, უბის წიგნაკი №80: 38)**

1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დარღვევისა და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როცა რამზეი მაკდონალდმა* და ემილ ვანდერველდემ „ოფიციალურად მოითხოვეს ბოლშევიკებისაგან საქართველოს გათავისუფლება, რადეკმა* დაუფარავად განაცხადა, რომ მათ დაარღვიეს საზავო ხელშეკრულება საქართველოსთან და ამ ქვეყანას ომის საშუალებით დაეპატრონენ, რადგან საბჭოთა რუსეთს ნავთი სჭირდებაო"**(116,№15).** ჯერ კიდევ 1920 წ-ის ნოემბერში მოსკოვის პარტიული ორგანიზაციების „მდივნების თათბირზე ლევ ტროცკიმ* ხაზგასმით აღნიშნა, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯერიც დადგა. სულ მოკლე დროში ბათუმს ბაქოს დავუკავშირებთ"-ო **(111,№14;4).** ამ ცნობიდან მჟღავნდება წითელი იმპერიის მიზანი – საქართველოს საზღვაო პორტების საშუალებით ბაქოს ნავთობის გატანა. „საქართველო უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც რუსეთის საგარეო ვაჭრობის ფარი", - აღნიშნავდა ბოლშევიკთა ლიდერი ლენინი და ბათუმის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებდა **(120,119-120).** აქ კიდევ ერთხელ ნათლად იკვეთება საქართველოსადმი ბოლშევიკური რუსეთის, ფორმით სახენაცვალი, არსით კი აბსოლუტურად უცვლელი რუსული იმპერიის ტრადიციული დიდმპყრობელური დამოკიდებულება. წითელმა მოსკოვმა ჯერ კიდევ 1920 წლის შემოდგომაზე განახორციელა საქართველოს ოკუპაციის პირველი სერიოზული მცდელობა ე.წ. „წითელი ხიდის" მხრიდან. პარალელურად ხდებოდა შეთანხმებები და გარიგებები ოსმალეთთან. თურქეთის მხრიდან „მეგობრული ნეიტრალიტეტის დაცვის მიზნით 1921 წლის თებერვალში მოსკოვში შედგა რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკება, რომელიც მთლიანად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას ემყარებოდა. ეს ხელშეკრულება კი იმ დროს რამდენიმეგზის იყო ანულირებული. 1918 წლის 20 სექტემბერს და 13 ნოემბერს, აგრეთვე, მუდროსის საზავო ხელშეკრულების პირობებით იმავე წლის 30 ოქტომბერს, საერთო დაზავებით 11 ნოემბერს, ვერსალის შეთანხმების ძალით კი - 1919 წლის 19 ივ-

ნისს **(138,V).** ორ ქვეყანას შორის საქართველოს წინააღმდეგ მიმართული გარიგების არსებობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ 1920 წლის 2 ივნისს მოსკოვმა სცნო „ოსმალეთის ეროვნული პაქტი“-ს კანონიერება და ამდენად თურქეთის უფლებები ყარს-არტაან-ბათუმის მხარეებზე, რომლებიც პაქტში მოხსენებულია, როგორც თურქეთის კუთვნილი ტერიტორია, ისევ და ისევ ბრესტ-ლიტოვსკის აღარარსებული ხელშეკრულების საფუძველზე **(138,V).** საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის დროს, 1921 წ-ის გაზაფხულზე, „მაშინ, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება და მთავრობა ჯერ კიდევ ბათუმში იმყოფებოდა, საბჭოთა რუსეთმა თურქეთს გადაულოცა 12.000 კვ. კილომეტრის ფართობის ჩვენი ძირძველი ტერიტორია: ბათუმის ოლქის ნაწილი, ართვინისა და არტაანის მხარეები“**(141,№23-24).** მოსკოვმა „გარეშეთათვის მოსაჩვენებლად ე.წ. ამიერკავკასიის მთავრობას 13 ოქტომბერს 1921 წ-ს ქ. ყარსში ახალი ხელშეკრულება დაადებინა, რაც არსებითად მოსკოვის ხელშეკრულების დადასტურება იყო“**(129,17-18)**. ყარსის ხელშეკრულებით რუსეთმა ოსმალეთს დაუთმო ყველა ის ადგილი, „რაც მოიპოვა ძველმა რუსეთმა 1829 წ-ის ადრიანოპოლის ზავის შემდეგ ბათუმის გამოკლებით: ართვინის ოლქი – 3.339 კვ.კმ. ტერიტორია 61.000 მოსახლით, ფოცხოვის თემი - 588 კვ.კმ-ი 15000 მოსახლით, არტაანის ოლქი – 5.137 კვ.კმ. 56.000 მოსახლით, ოლთისის ოლქი - 3051 კვ.კმ-ი ტერიტორია 32.000 მოსახლით; სულ 12.115 კვ. კილომეტრი 16.4000 მოსახლით“**(129,17-18)**. როცა ჩვენ ვსაუბრობთ რუსეთის პროგრესულ როლსა და ობიექტურ დადებით შედეგებზე, არ უნდა დაგვავიწყდეს სტატისტიკური მონაცემებიც. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველომ, მართალია, „დაიბრუნა“ თავისი ძირძველი ტერიტორიები – სამხრეთ საქარველოს ისტორიული მიწები XIX ს-ში რუსეთის მიერ თურქეთთან წარმოებული ომებით, მაგრამ იმავე რუსეთის წყალობით აღნიშნული მიწების ნაწილი ისევ თურქეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა XX ს-ის დასაწყისში. ე.ი. ის, რაც XIX ს-ში რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად „დაუბრუნდა“ საქართველოს სამხრეთით, მომდევნო საუკუნეში ისევ დაკარგა – ბოლშევიკურმა რუსეთმა თურქეთს ლანგრით მიართვა სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი მხარეები. „გარდა აღნიშნული მხარეებისა, ბოლშევიკებმა გაასაჩუქრეს საქართველოს ადგილები აღმოსავლეთითაც და სამხრეთ-აღმოსავლეთითაც. სახელდობრ, ბორჩალოს მაზრის ნაწილი 3812 კვ. კილომეტრი და ზაქათალის ოლქი 3.564 კვ. კილომეტრი.

ამგვარად, ბოლშევიკებმა თურქეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს დაუთმეს საქართველოს ტერიტორიის 19.491 კვ. კილომეტრი სივრცე“ **(129,18).** ამას უნდა დაემატოს შავიზღვისპირეთის ის მიწები, რომლებიც რუსეთის ფედერაციამ დაისაკუთრა ქართველ ბოლშევიკთა წყალობით. ასე ჩამოაჭრეს საქართველოს მისი ძირძველი მიწები – 20.000 კვ. კილომეტრი ფართობი, ანუ მისი ტერიტორიის თითქმის მეოთხედი; და ბოლოს, თუ ამას დავუმატებთ XX ს-ის დასასრულს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ აფხაზეთისა – 8.600 კვ.კმ. და „სამხრეთ ოსეთის“ – 3.900 კვ.კმ. მიტაცებულ ტერიტორიებს (ჯამში – 12.500 კვ.კმ.), რუსეთის დადებით როლზე საუბარი აზრს კარგავს. ისე რომ, ამჟამად საქართველოს დეფაქტოდ შერჩა 57 ათასი კვ.კმ. ტერიტორია ნაცვლად გაეროს და მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ აღიარებული 69.500 კვ.კმ-სა. საზოგადოდ, როცა ჩვენ ვსაუბრობთ რუსეთის „ცივილიზატორულ მისიაზე“ არ უნდა დაგვავიწყდეს შემდეგიც: მართალია, საქართველო გაერთიანდა (XIX საუკუნეში რუსეთთან შეერთების შემდეგ), მაგრამ რუსეთის მფლობელობაში, საქართველო გათავისუფლდა მაჰმადიანთა მიმძლავრებისაგან, მაგრამ დაკარგა თავისუფლება. ქართველობა და ეროვნულიობა ისევ საფრთხის ქვეშ რჩებოდა. ამჯერად, რუსული კოლონიური პოლიტიკის გამო.

გამოხატავდა რა თავისი მთავრობის პოზიციას, ლევ ტროცკიმ, საქართველოს გათავისუფლების შესახებ საერთაშორისო დემოკრატიის მოთხოვნებს სიტყვა-სიტყვით ასე უპასუხა: „ჩვენ განზრახული არ გვაქვს დავტოვოთ საქართველო, მაგრამ თუ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ჩვენ უნდა დავტოვოთ იგი, მაშინ, სანამ დავტოვებთ მას, ისე გავიჯახუნებთ კარს, რომ საქართველოდან არაფერი, ერთი აგურიც კი აღარ დარჩება“-ო **(116,№15)**. ასეთია რუსეთის დღევანდელი განწყობაც. რუსეთი იყო და დღემდე რჩება საქართველოსათვის მეზობელ სახელმწიფოთა შორის ერთადერთ აგრესორად. იგი 1991 წ-დან მოყოლებული დღემდე, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა საქართველო არ განვითარდეს, არ გადაიქცეს თანამედროვე ევროპული ტიპის სახელმწიფოდ და კვლავაც იყოს ეკონომიკურად ისე დაბეჩავებული, რომ ყოველთვის რუსეთს შეჰყურებდეს. რუსეთი ჯერაც სუსლოვისა და მის მსგავს იმპერიალისტთა პრინციპებით მოქმედებს: „...ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხური ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგე-

ბლის როლი უნდა შევასრულოთ“(162,33) – გეგმავდა საბჭოთა იმპერიის პოლიტიკური ხელმძღვანელობა XX ს-ის 70-80-იან წლებში. „კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა, სანამ ეს წებო თავის ძალას, თვისებას დაჰკარგავდეს, მანამდე უნდა ავამუშაოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვანაირი იქნება... პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოდან გაძევების უფლებას მოგვცემს“ (162,33) – აი, ასეთი მზაკვრული ჩანაფიქრი ამოძრავებდა სუსლოვს.* მართლაც, იმპერიის რღვევის საწყის ეტაპზევე ამოქმედდა ეს გეგმა და დღესაც ძალაში რჩება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლისა და რუსეთისთვის მიერთების მცდელობის ერთადერთი ორგანიზატორი რუსეთია;

რუსეთის მცდელობით, საქართველოს დღესაც ემუქრება: პირდაპირი ინტერვენცია და აგრესია; საგრეო – ეკონომიკური და სატრანსპორტო ბლოკადა; საინფორმაციო და პროპაგანდისტული ომის წარმოება საქართველოს საერთაშორისო „ავტორიტეტის“ შელახვისათვის. მდიდარი ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ „პოლიტიკური სახელმწიფო გადატრიალებები არასაკმარისია ხელისუფლების, მისი სიღრმისეული სტრუქტურებისა და ორგანიზაციების ბუნების შესაცვლელად... კომუნიზმის კრახის შემდგომი წლების, „დამცირების წლების“ გადატანის შემდეგ, რუსეთი, რომელიც საბჭოთა (ხოლო ისტორიულად მეფის) იმპერიის სამართალმემკვიდრეა, უკვე ღიად აცხადებს საკუთარი იმპერიული ამბიციების შესახებ“ (112,89). სრულიად ნათელია, რომ დღეს კავკასიაში მიმდინარეობს ბრძოლა გავლენისათვის. რუსეთმა შესანიშნავად იცის, რომ კავკასიის დაკარგვა მისთვის, როგორც დიდი სახელმწიფოსთვის, დიდ სამხედრო-პოლიტიკურ მარცხს ნიშნავს. მეტიც, კავკასიის დაკარგვა მისი ტერიტორიული საზღვრების გადასინჯვას ნიშნავს, რითაც დაიწყება იმპერიის დაშლის ბოლო ეტაპი: I ეტაპი – ე.წ. „სოციალისტური ბანაკის დაშლა, II – სსრ კავშირის დაშლა, III – რუსეთის ფედერაციის დაშლა. აქ შეუძლებელია არ გაგახსენდეს ილია ჭავჭავაძის წინასწარმეტყველური სიტყვები საუკუნის წინანდელი რუსეთის შესახებ: „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ... ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში საითითაოდ, და მერე – როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოსთან. დიდი ხანია

მოსალოდნელი იყო რომ დღესა თუ ხვალე ეს ფრიად რთული და მძიმე საგანი მთელის თავისის სიგრძითა და სიგანით წინ აეყუდებოდა რუსეთს... რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, – თუ სად თავდება უფლება ეროვნობისა და სად იწყება სახელმწიფოსი“(188,V,211-12). ილიას ნათქვამი სავსებით შეესაბამება თანამედროვე რუსეთის ისტორიულ რეალობას.

ჩვენ შევეცადეთ, ზოგად ისტორიულ ჭრილში, კონკრეტული მაგალითებით წარმოგვეჩინა რუსეთის დამოკიდებულების ხასიათი საქართველოს მიმართ XVს-დან დღემდე, რათა თეორიულად გაგვემყარებინა შემდეგი დასკვნა: სხვადასხვა ეპოქაში რუსული პოლიტიკის არსი იგივეობრივია, მისი იმპერიული ბუნება კი უცვლელი რჩება საუკუნეთა განმავლობაში. თვით იმპერიის შექმნამდეც კი (XVIII ს-ის დასაწყისამდე) იმპერიულ სულისკვეთებას ავლენდნენ რუსი მთავრები და მეფეები. მ. სამსონაძის მართებული შენიშვნით: „მონღოლთა სამსაუკუნოვანი ბატონობისაგან თავდახსნილ რუსულ ეთნოსს მემკვიდრეობის მსგავსად გამოჰყვა... მსოფლიო ბატონობისადმი დაუოკებელი მისწრაფება“(151,14). ხოლო იმპერიის სიძლიერესა და მდგრადობას განსაზღვრავდა „სახელმწიფოს უნიტარული ხასიათი, დესპოტიზმი, მკაცრი ცენტრალიზაცია და სამხედრო ძალა“ (209,508).

ისე რომ, რუსული იმპერიალიზმის არსი მდგომარეობს პერმანენტულ ექსპანსიაში მეზობელ სახელმწიფოთა ტერიტორიის მიმართ. მაჰმადიანური ქვეყნების მიმძლავრებისაგან თავდახსნილი საქართველო 1801 წლიდან ახალი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ქართველობა და ეროვნულობა კვლავ საფრთხის ქვეშ რჩებოდა, ამჯერად რუსული იმპერიული და კოლონიური პოლიტიკის გამო.

თანამედროვე, XXI ს-ის საქართველოც იგივე პრობლემების წინაშე დგას – დღესაც ისევე მწვავედ დგას ქვეყნის წინაშე საგარეო ორიენტაციის განსაზღვრის საკითხი, როგორი სიმძაფრითაც იგი დაისვა XVIII ს-ის ბოლოს. საქართველოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ოდითგანვე განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ გარემო-პირობებში უხდებოდა თავისი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება. ეს, ერთის მხრივ, პოზიტიურ როლს თამაშობდა ქართველი ერის ცხოვრებაში, მის საერთო პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესში, მაგრამ მეორეს მხრივ, განაპირობებდა დიდი იმპერიული სახელმწიფოების განუწყვეტელ ზეწოლას – თავისი სამხედრო-პოლიტიკური გავლენისთვის დაემორჩილებინათ ევროპა-აზიის შემაერთებელი ეს სტრა-

ტეგიული რეგიონი. აქედან გამომდინარე, ქვეყნის პოლიტიკურ მესვეურთა მუდმივ საზრუნავსა და ამოცანას წარმოადგენდა, ერთის მხრივ, სხვა ქვეყნებთან და ხალხებთან მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთკავშირის განვითარებისათვის ხელშეწყობა და მეორე მხრივ, განუწყვეტელი იმპერიული აგრესიის მოგერიება. ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლოვანი ისტორია სავსეა როგორც ერთი, ისე მეორე მაგალითებით. როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, ჩვენი ვალია, მხედველობიდან არ გამოგვრჩეს გეოპოლიტიკის ეს ორგვარი მნიშვნელობა ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის. მართლაც, „საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა (ისევე, როგორც მისი წიაღისეული სიმდიდრე), წარმოადგენს ყველაზე დიდ ხიფათს და დაბრკოლებას ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის გზაზე“ **(84,8).** მაგრამ თანამედროვეობაში სწორედ მისი უნიკალური ადგილმდებარეობა უნდა გახდეს საქართველოსა და საერთოდ კავკასიის თავისუფლებისა და დამუკიდებლობის მიზეზი. ეს კარგად ესმოდა ყოველ მოაზროვნე ადამიანს, ევროპელსაც და ქართველსაც. დღესაც, სიცოცხლისუნარიანი და თანადროულია ფრანგი რემონ დიუგეს ნააზრევი: „ორ ზღვას შუა მდებარე, აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი კავკასიის ყელი ცხადად გამოხატულ გეოგრაფიულ ერთიანობას წარმოადგენს. ამასთან ერთად, მას ეკონომიკური ერთიანობაც აქვს... არც ეკონომიკური და არც ფინანსური თვალსაზრისით კავკასია არ უკავშირდება რუსეთს. ამდენად მისი რუსეთთან მიერთება უაზრო. დაახლოებით 12 მილიონი მაცხოვრებლით კავკასია შექმნიდა ძლიერ, სუვერენულ სახელმწიფოს, რომლის აუცილებლობა უკვე იგრძნობა ახლო აღმოსავლეთში... ამ სახელმწიფოს ბუნებრივი სიმდიდრე დიდ იმედებს აღუძრავს მსოფლიო ეკონომიკას“- **(84,27).** ასეთივე ხედვა ჰქონდა ქართველ ნოე რამიშვილსაც გარე სამყაროსათვის საქართველოსა და კავკასიის დამოუკიდებლობის მნიშვნელობის შესახებ: „საქართველოსა და საერთოდ კავკასიის დამოუკიდებლობა მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების იარაღია, ხოლო რუსეთის ბატონობა კავკასიაში, პირიქით, მოწინავე ქვეყნების გზის გადაღობვაა“**(144,25).** საქართველო იყო და არის ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ხიდი. ამ ხიდის გადაკეტვა და საქართველოს ხელოვნურად მოწყვეტა გარესამყაროსთან იწვევდა და დღესაც იწვევს მეზობელი ქვეყნების პროტესტს. ასე მოხდა XVს-ში, როცა თურქებმა გადაკეტეს აზიასთან (საქართველოსთან) დამაკავშირებელი გზები; ასე მოხდა XX ს-ის დასაწყისში, როცა ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია. ასე ხდება დღესაც – რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკა საქართველოში (კავკასიაში) იწვევს ამჯერად,

არა მხოლოდ ევროპის, არამედ ძლიერი პოლიტიკურ-ეკონომიკური პოტენციალის მქონე ამერიკის პროტესტს. თუ წინარე საუკუნეებში პროტესტი პროტესტად დარჩა და პრაქტიკული ნაბიჯები არ გადადგმულა, დღესდღეობით სხვა პოლიტიკური სურათი გვაქვს. დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტს სწორედ დიდი ქვეყნების, პირველ რიგში აშშ-ს იდეოლოგიურ-პოლიტიკური და სამხედრო-ეკონომიკური მხარდაჭერა წარმოადგენს. კავკასიაში იკვეთება და მომავალში კიდევ დიდი ინტენსივობით გადაიკვეთება მსოფლიოს დიდი ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები. სტრატეგიულ ინტერესთა ეს გადაჯაჭვა მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილესა და წინდახედულებას საგარეო ორიენტირის განსაზღვრისას. თუ გვინდა, რომ XXI ს-ის საქართველომაც იგივე ბედი არ გაიზიაროს, როგორიც 1918-21 წწ-ის საქართველოს ხვდა წილად.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზანია სასიკეთოდ გამოიყენოს თავისი გეოპოლიტიკური უპირატესობანი, მაქსიმალურად ჩაერთოს რეგიონალური და გლობალური ინტეგრაციის პროცესებში, რათა კავკასიის რეგიონი იქცეს გახსნილ სივრცედ გარესამყაროსათვის, თავისუფალ (ღია) სავაჭრო-ეკონომიკურ ზონად და ამ გზით დაიბრუნოს თვისი თავდაპირველი დანიშნულება, – როგორც ერთმთლიანმა პოლიტიკურ-ეკონომიურმა და სტრატეგიულმა ობიექტმა. ესაა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანა დღეს. ამ გზაზე გადის მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაც. საქართველოს წარსული ისტორიის ტრაგიკულმა გაკვეთილებმა დღეს მაინც უნდა გვასწავლოს სწორი პოლიტიკის შემუშავება და ქვეყნისათვის ახალი ტრაგედიების თავიდან აცილება. ამდენად, საგარეო კურსის სწორად განსაზღვრა, მისი მართებულად წარმართვა აუცილებელი პირობაა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

დასკვნა

1. საგარეო ორიენტაციის განსაზღვრის საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო, და ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობისაც, მტრებით გარემოცული ისეთი პატარა ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა. აქტუალურია ეს საკითხი თანამედროვეობაშიც, თითქოსდა, იგი მარადიული და თანმდევი პრობლემაა უნიკალური ადგილმდებარეობის – ორ მკვეთრად განსხვავეულ, აზია-ევროპულ, სამყაროს შორის მდებარე საქართველოსათვის.

2. ბიზანტიის დაცემის შემდეგ, მაჰმადიანურ გარემოცვაში მოხვედრილი ქართული სამეფო-სამთავროები, ცდილობდნენ ამ რკალის გარღვევას და ამ მიზნით, უკავშირდებოდნენ ჩრდილოელ მეზობელს. ფიქრობდნენ რა, რომ იგი დაიცავდა განსაცდელში ჩავარდნილ ერთმორწმუნე ქვეყანას.

3. ბოლო 500 წლის მანძილზე საქართველოს სხვადასხვა ეპოქის ხელისუფლებას ხშირად აბნევდა ის გარემოება, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი რუსეთი მართლმადიდებელია და არასწორი დასკვნების გამოტანისკენ უბიძგებდა.

4. XV-XVIII სს-ში რუსეთი ძირითადად დიპლომატიურ ექსპანსიას მიმართავდა კავკასიაში, XVIII ს-დან კი დიპლომატიური ექსპანსია გადაიზარდა პოლიტიკურ ექსპანსიაში.

5. საქართველო რუსეთთან ითხოვდა სამხედრო-პოლიტიკურ კავშირსა და არა ე.წ „სამუდამო მფარველობას“, რაც რუსული იმპერიალიზმის ენაზე ფაქტიურად დაპყრობას ნიშნავდა. ერთმორწმუნე რუსეთი საქართველოს მოევლინა არა როგორც მფარველი და პატრონი არამედ, როგორც მრისხანე (მკაცრი) ბატონი.

6. რუსეთზე ორიენტირი უდავოდ სწორი იყო, მაგრამ ტაქტიკა - მცდარი-მკვეთრი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა და ცალსახად მასზე გეზის აღება მიზანშეწონილი არ იყო.

7. სარწმუნოებრივი პრინციპით ხელმძღვანელობა პოლიტიკაში პოლიტიკურ უმწიფრობად და გულუბრყვილობად უნდა ჩაითვალოს. რელიგიურ დოგმებზე აგებული პოლიტიკის უარყოფითი შედეგები არაერთხელ მწარედ იგემა ქართულმა პოლიტიკურმა ერთეულებმა.

8. მე-18 საუკუნე ერთ-ერთი ურთულესი ხანაა საქართველოს ისტორიაში. იგი ორმაგი წინააღმდეგობრივი და რთული ხასიათით გამოირჩევა. ეს იყო გაერთიანება-აღმშენებლობის და იმავდროულად რღვევისა და დაცემის ეპოქა. რაღა თქმა უნდა, აქ გადამწყვეტი როლი გარეშე ფაქტორმა ითამაშა. თვითმპყრობელი

რუსეთი კავკასიას მოადგა და მისმა იმპერიულმა ამბიციურობამ კავკასიის დამოუკიდელი განვითარების ხაზი გადაჭრა.

9. XVIII ს-ის 80-იანი წლების მიწურულს ქართლ-კახეთის სამეფო ღრმა პოლიტიკურ კრიზისულ მდგომარეობაში შედის, რაც ლოგიკური შედეგი იყო არა მარტო შექმნილი რთული საგარეო სიტუაციისა, არამედ მმართველი წრის არასწორი პოლიტიკისაც. 1783 წ-ის გეორგიევსკის ტრაქტატმა - საგარეო ორიენტაციის ცვლილებამ სპარსეთიდან რუსეთზე - მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ მკვეთრად გააუარესა. აღმავლობის გზით მიმავალი ქართლ-კახეთის სამეფო ფიზიკური დაუძლურებისა და ეკონომიკური გაჩანაგების გზით წავიდა. ფაქტიურად, ტრაქტატი მოსამზადებელი ეტაპი აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოებრიობის დასამხობად.

10. ტრაქტატი უფრო სამომავლოდ დადებული ხელშეკრულება აღმოჩნდა, ვიდრე არსებული კონკრეტული სიტუაციიდან გამოსასვლელი საშუალება. ეს ხელშეკრულება ისე დაირღვა, რომ არც შესრულებულა. მისი შედეგები, მისმა შემომქმედებმა დაგვიანებით „მიიღეს“, მაშინ, როცა არც თვითონ და არც მათი შთამომავალნი ისტორიის ასპარეზზე კარგა ხანია უკვე აღარ არსებობდნენ; და რაც მთავარია, მიიღეს სულ სხვა ფორმით და სხვა სახით: საქართველო დაცულ იქნა მაჰმადიანთაგან, მაგრამ თვითონ ახალი დამპყრობლის ხელში აღმოჩნდა; საქართველო გაერთიანდა, მაგრამ არა ბაგრატიონთა სკიპტრის ქვეშ, არამედ რუსეთის იმპერიის მფლობელობაში. ყოველივე ეს „სიკეთენი“ მიღწეულ იქნა თავისუფლების დაკარგვის ხარჯზე. რა თქმა უნდა, ასეთ „აღდგომა-გამოხსნაზე“ არ ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები – ამ პოლიტიკის შემოქმედნი; ეს იყო ქართული სახელმწიფოს უდიდესი მარცხი.

11. ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთზე ორიენტაციას იმთავითვე ჰყავდა მოწინააღმდეგე დასიც, რომელიც XVIII ს-ის II ნახევრის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებას რუსეთზე ორიენტირის ნაყოფად თვლიდა. ხსნას ისინი ქვეყნის გაერთიანებას, შინაგან ძალებზე დაყრდნობასა და ყოველმხრივ მოჯარული მტრის მიმართ მანევრირებადი საგარეო პოლიტიკის წარმოებაში ხედავდნენ.

12. XVIII ს-ის II ნახევარში საქართველოს გაერთიანება შემზადებულ იქნა არამარტო იდეურად, არამედ იგი ხორცს ისხამდა პრაქტიკულადაც. ერეკლე II-ის და სოლომონ I-ის მოღვაწეობის პირველ პერიოდში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო ძირითადად უკვე გაერთიანდა ცალ-ცალკე ამ უკანასკნელთა ძალა-

უფლების ქვეშ. საჭირო იყო, ორივე სამეფოს შეერთებაღა და ამ ნიადაგზე გაერთიანებული საქართველოს აღდგენა.

13. საქართველოს გაერთიანებისათვის რეალურად ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა უმემკვიდრეო იმერეთის მეფის სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ 1784 წელს. მან სიცოცხლეშივე მემკვიდრედ გამოაცხადა თავისი ძმის არჩილის ვაჟი - დავითი, რომელიც იმავდროულად ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის შვილიშვილიც იყო. ერეკლე II-მ რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის ბურნაშევის ზეგავლენით შვილიშვილის კუთვნილი ტახტი სოლომონ I-ის ბიძაშვილს დავით გიორგის ძეს დაუთმო.

14. რუსეთის მთავრობამ ამ შეთანხმებით ორმაგ მიზანს მიაღწია - საქართველოს გაერთიანებისაკენ მიმავალი გზაც გადაკეტა და იმავდროულად რუსეთის მოკავშირე ქართლ-კახეთის მეფის იმერეთის საქმეებში ჩაურევლობით უზრუნველყო თავი თურქეთის მხრიდან შესაძლო აგრესიისაგან. ამ უკანასკნელს ხომ ჯერ აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის მფარველობაში აყვანაც ვერ მოენელებინა და ომის მუქარით ტრაქტატის გაუქმებას მოითხოვდა. მართალია, დაგეგმილი იყო ტრაქტატში იმერეთის სამეფოს ჩართვაც, მაგრამ, იმჟამად, რუსეთის მთავრობამ თავი შეიკავა და საამისოდ რეალურად ხელსაყრელ მომენტს დაელოდა.

15. 80-იანი წლების მიწურულს იმერეთის სამეფოში შინაარეულობის მოსასპობად დასავლეთ საქართველოს მოწინავე წრეში ჩაისახა იდეა ქართლ-კახეთთან იმერეთის შეერთებისა. 1789 წელს იმერეთის ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები დელეგაციის სახით გამოცხადდნენ ერეკლე მეფის კარზე – იმერეთის სამეფოს ქართლ-კახეთის სამეფოსთან შეერთების მოთხოვნით.

16. ერეკლე II-მ იმერეთის უშუალოდ შემოერთებაზე უარი თქვა და გაერთიანების საკითხი იმით მოაგვარა, რომ იმერეთის ტახტზე თვისი შვილიშვილის დასმის გადაწყვეტილება მიიღო. 1790 წელს ქართლ-კახეთის 4000-იანი ჯარის დახმარებით იმერეთის სამეფო ტახტიდან გადააგდეს დავით გიორგის ძე და მეფედ დასვეს დავით არჩილის ძე (სოლომონ II). ერეკლე მეფის გაერთიანებაზე უარის თქმა რუსეთის მთავრობის წარმომადგენელთა რჩევის შედეგიც იყო. საქართველოს გაერთიანების ჩაშლა ერეკლე II-ის უდიდესი და საბედისწერო შეცდომა იყო, რომელსაც შორსმიმავალი შედეგები მოჰყვა - ამან დააჩქარა ქართლ-კახეთის სამეფოს, და არა მარტო ქართლ-კახეთის სამეფოს, პოლიტიკური კრახი.

17. მართალია, რთული იყო საქართველოს მდგომარეობა ისეთი აგრესორების ხელში, როგორიც ირანი და თურქეთი იყო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ რუსეთთან დაკავშირებამ კი არ გააუმჯობესა საქართველოს მდგომარეობა, არამედ კიდევ უფრო გააუარესა. რამდენადაც რუსეთის დამკვიდრება საქართველოში უდიდესი საშიშროების წინაშე აყენებდა ირანს, თურქეთს და მთელი კავკასიის მაჰმადიანებს, აღნიშნულმა ფაქტმა წარმოუდგენელი რეაქცია გამოიწვია ამ უკანასკნელთა მხრიდან. ისინი ერთიანად აღდგნენ საქართველოს წინააღმდეგ და მიზნად დაისახეს ქართველი ერის მთლიანად აღმოფხვრა, რათა მოესპოთ რუსეთისათვის კავკასიაში დამკვიდრების შესაძლებლობა. ხოლო რუსეთს არა თუ რაიმე დახმარება გაუწევია საქართველოსთვის, იგი, პირიქით, თვითონვე აბამდა ხოლმე საქართველოს თავის ავნტიურისტულ გეგმებში და იყენებდა მას თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრმა იარაღად საკუთარი ინტერესებისათვის.

18. 1801 წ-ის მანიფესტით ცარიზმმა განახორციელა საქართველოს რუსეთთან თვითნებური მიერთება, რითაც თვითვე დაარღვია 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, მოსპო მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და განახორციელა საქართველოს სრული ანექსია. როგორც ვნახეთ, იგი დიდი ხნის წინათ ნამზადები აქტი იყო, რომლისკენაც თავისი ცბიერი პოლიტიკით ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავდა საქართველო რუსეთის იმპერიას.

19. რუსეთის საიმპერატორო კარმა ზედმიწევნით ზუსტად გაანალიზა საქართველოს დაპყრობისათვის ბრძოლაში სპარსეთის შაჰებისა და ოსმალეთის სულთნების მიერ დაშვებული შეცდომები. სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით რუსეთმა მტკიცე საფუძველი შეუქმნა კოლონიურ პოლიტიკას. მართალია, საქართველომ ბარბაროსულ-მაჰმადიანურ გარემოს თავი დააღწია, მაგრამ ამჯერად, ფეოდალურად ჩამორჩენილ და სამხედრო-დესპოტური სახელმწიფოს დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. საქართველო აღმოსავლეთ ევროპის ჩაკეტილ სივრცეში მოექცა და მისი „ევროპეიზაციის“ ხარისხიც თვით რუსეთის „ევროპეიზაციაზე“ აღმოჩნდა დამოკიდებული.

20. სამწუხაროდ, სხვადასხვა ეპოქაში რუსული პოლიტიკის არსი იგივეობრივია, მისი იმპერიული ბუნება უცვლელი რჩება საუკუნეთა განმავლობაში. რუსული იმპერიალიზმის არსი მდგომარეობს პერმანენტულ ექსპანსიაში მეზობელ სახელმწიფოთა ტერიტორიის მიმართ.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობარი
V-ე თავის მეორე პარაგრაფისათვის

1. ვარლამ ქსნის ერისთავი დავითის ძე (1763/8-1830) – საქართველოს ეგზარქოსი 1811-1814წწ-ში. 1801-08 წწ-ში იყო რუსეთის სინოდის წევრი. 1811წ.ს ანტონ II-ის რუსეთში გაწვევის შემდეგ დაინიშნა აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის მმართველად; ვარლამი ჯერ გახდა საქართველოს ეგზარქოსი და მასთან მიტროპოლიტი, შემდეგ 1814წ-ს საქართველო-იმერეთის ეგზარქოსი. შემდეგ იგი თეოფილაქტე რუსანოვით შეცვალეს. 1817 წ-ს ვარლამი პეტერბურგში გაიწვიეს სინოდში, სადაც 1825წ-მდე დარჩა. 1825-1830წწ-ში განაგებდა მოსკოვის დანიელის მონასტერს (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, რედ-რი ირ. აბაშიძე, ტ. 4, გვ. 304, თბ., 1979).
2. ვანდერველდე ემილ (1866-1936) – ბელგიის პოლიტიკური მოღვაწე, მემარჯვენე სოციალისტი, II ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი, განათლებით იურისტი, პოლიტ-ეკონომიის პროფესორი ბრუისელის უნივერსიტეტში (1924); ბელგიის სოციალისტური პარტიის წევრი დაარსებიდანვე (1885); 1900 წ-დან II ინტერნაციონალის საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს თავმჯდომარე. 1914-1937 წწ-ში ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის, იუსტიციის მინისტრისა და სხვა პოსტები (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, გვ. 290, თბ., 1979).
3. მაკდონალდი რამზეი (1866-1937) – დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, 1924 და 1929-31 წწ-ში ლეიბორისტული მთავრობების პრემიერ-მინისტრია. 1924წ-ის თებერვალში მაკდონალდის მთავრობამ იურიდიულად ცნო საბჭოთა მთავრობა, ხოლო 1929წ-ს დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა სსრ კავშირთან (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, გვ. 371, თბ., 1983).
4. რადეკი კარლ (1885-1939) – საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მოღვაწე, 1919-24 წწ-ში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1927 წ-ს კომუნისტური პარტიის XV ყრილობაზე გარიცხეს პარტიიდან როგორც ტროცკისტული ოპოზიციის აქტიური მოღვაწე. 1828-29 წწ-ში იმყოფებოდა გადასახლებაში როგორც ოპოზიციონერი. 1929წ-ს აღადგინეს პარტიაში. 1936 წ-ს დააპატიმრეს და 10 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. 1939 წ-ს მოკლული იქნა ციხეში («Россия XX веке», под редакцией акакдемика А.Н.Яковлева; стр. 450-51, М., 2000).

5. რტიშჩევი ნიკოლოზ თევდორეს ძე (1754-1835) – გენერალი,საქართველოს მთავარმმართებელი 1812-1817 წწ-ში. 1811 წ-ს დაინიშნა საქართველოს მთავარმმართებლად. 1804-13წ-ის რუსეთ-ირანის ომის დასასრულს რუსეთის სახელით ხელი მოაწერა გულისტანის ზავს. 1816 წ-ს თავისი თხოვნის საფუძველზე გაანთავისუფლეს, გადადგა, მაგრამ 1817წ-მდე მართავდა მხარეს მისი შემცვლელის ა. პ. ერმოლოვის მოსვლამდე. («Русскый биографическый словарь», изд. Русским историческим обществом, стр. 233-34, Петроград., 1918).
6. სუსლოვი მიხეილ ანდრიას ძე (1902-1982) – კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი (1962, 1972). სკკპ წევრი 1921 წ-დან. აქტიურად იბრძოდა ტროცკისტულ – ზინოვიევური ანტიპარტიული ბლოკისა და საკ.კპ (ბ)-ში მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ. 19-46 წ-დან მუშაობდა პარტიის ცკ-ის აპარატში, 1947 წ-დან იყო ცკ-ის მდივანი, იმავდროულად (1949-50) – გაზ. „პრავდის“ მთავარი რედაქტორი, 1950 წ-დან იყო სსრკ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, 1954 წ-დან – კავშირის საბჭოს უცხოეთის საქმეების კომისიის თავმჯდომარე. 1955 წ-დან სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის, ხოლო 1966 წ-დან სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, გვ. 613-14, თბ., 1985).
7. ტროცკი ლევ დავითის ძე (1879-1940) – ტროცკიზმის ფუძემდებელი, საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე; 1896 წ-დან ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, 1898 წ-ს დააპატიმრეს. 1902 წ-ს გაიქცა საზღვარგარეთ, სადაც გაიცნო ლენინი, გახდა „ისკრის“ თანამშრომელი. 1917 წ-ს შევიდა რსდმ(ბ) პარტიაში, მონაწილეობდა ოქტომბრის გადატრიალების მზადებაში, ასევე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაში. 1918 წ-ს დაინიშნა სახალხო კომისრად სამხედრო და საზღვაო საქმეში. ტროცკიმ წააგო შიდაპარტიული ბრძოლა: 1925 წ-ს გათავისუფლებულ იქნა სახალხო კომისრის მოვალეობიდან, 1926 წ-ს გაყვანილ იქნა პოლიტბიუროს შემადგენლობიდან, 1927 წ-ს გარიცხეს პარტიიდან, 1932 წ-ს ჩამოერთვა საბჭოთა მოქალაქეობა. იგი საზღვარგარეთ აფარებდა თავს, მაგრამ 1940 წ-ს საბჭოთა აგენტურამ სტალინის ბრძანებით ესპანელ კომუნისტს მოაკვლევინა («Кто есть кто в Рооссииской истории» - биографический словарь – справочник; А. Шикман. стр. 555-57, М., 2003.

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია

ა) წყაროები

1. Акты собранные Кавказскою Археографическою коммиссиею, под редакцией Ад. Берже, Тифлис, тип. главного Управления Наместника Кавказскаго,1866-1904 гг. Т. I-1866; Т. II-1868.
2. აღმოსავლეთ საქართველოს შიდა კავკასიური პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობები (XVIII ს-ის 60-იანი წლების ბოლო - 90-იანი წლების დასაწყისი), დოკუმენტები და მასალები, II ნაკვეთი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ვ. გამრეკელმა თბ., მეცნიერება, 1991.
3. ბაგრატიონი დავითი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, აპ. როგავას რედაქციით და გამოკვლევებით, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959.
4. ბაგრატიონი თეიმურაზი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., მეცნიერება, 1983.
5. ბაგრატიონი იოანე, „სჯულდება“ (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, თბ., თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1957.
6. ბარათაშვილი იესე, ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონით და საძიებლებით ა. იოსელიანმა, მსკი, ნაკვ. 28, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1950.
7. ბატონიშვილი დავით, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941.
8. ბატონიშვილი ვახტანგ, ისტორიებრი აღწერა, ს. კაკაბაძის გამოცემა, ტფ., ბართლომე კილაძის სტამბა, 1914.
9. ბატონიშვილი თეიმურაზი, „აღა-მაჰმად-ხანის მიერ შეპყრობა ტფილისისა“, გაზ. „ივერია“ №51-56. თბ. 1891.

10. Берже А. П. Записка статского советника Коваленского о Грузии, ж. ,,Кавказский календарь“ на 1864 г. Тиф., тип. главнаго Управления Наместника Кавказскаго, 1863.
11. Берже А. П. Присоединение Грузии к России 1799-1831 гг. Историческое исследование („Русская старина“, кн. V-VI), СПБ., тип. В. С. Балашева, 1880.
12. Бурнашев С. Д. Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго, Тиф., тип. И. А. Мартиросианца, 1896.
13. Бурнашев С. Н. Новые материалы для жизнеописания и деиательности С. Д. Бурнашева бывшаго в Грузии с 1783 по 1787 г. Под редакцией проф. А.А. Цагарели, СПБ., Государственная типография, 1901.
14. Бутков П. Г. Материалы для новой истории Кавказа ч.I-II-III, СПБ., Энфянджянца и комп. 1869.
15. Броссе М. Переписка на инностранных языках грузинских царей с российскими государями от 1659 по 1770. СПБ., напечатано по распоряжению Императорской Академии наук, 1861.
16. გიულდენშტედტი ი. ა. მოგზაურობა საქართველოში, თარგმანი გ. გელაშვილისა, საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია, ტ. I, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962;
17. დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები, თბ., მეცნიერება, 1985.
18. დოლიძე ი. ქართული სამართლის ძეგლები (X-XIXსს.), ტ. II, თბ., მეცნიერება, 1965.
19. Джевдет-паша, описание событий в Грузии и Черкесии по отношению к Османской империи от 1192 года по 1202 г хиджры (1775-1784), «Русский архив», т. I, М. 1888.
20. Дубровин Н. Георгий XII последний царь Грузии и присоединение её к России, СПБ., типография Д. В. Чичинадзе, 1897.
21. Дубровин Н. История войны и владычества Русских на Кавказе, т. II, СПБ., типография И. Н. Скороходова, 1886.
22. Дубровин Н. Тысяча восемьсот второй год в Грузии, СПБ., тип. М.М. Стасюлевича, 1894.

23. ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები, 1736-1797 წწ. ავტორ-შემდგენელი მანანა ჭუმბურიძე, საბუთების მომზადება და ანოტირება ნინო თარხნიშვილი, წიგნი გამოსაცემად მოამზადა გიორგი სოფრომაძემ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ეროვნული არქივი; თბ., ტორი პლუსი, 2008.
24. თაყაიშვილი ე. საქართველოს სიძველენი, გამოცემა მეორე, ტომი I, 1920 წ, ტომი III, თბ., საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1910.
25. იოსელიანი ავთ. დოკუმენტები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან, საისტორიო მოამბე, №2, თბ., სსრ შსს საარქივო სამმართველოს გამომცემლობა, 1946.
26. ბატონიშვილი დავით, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., საბჭოთა საქართველო, 1978.
27. Исторический очерк; Кавказская война, их начало до присоединении Грузии, под редакцией генерал-майора Потто, ТФ., издание военно-историческаго отдела, 1899.
28. კანდელაკი დ. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხები გერმანულ წყაროებში, თბ., უნივერსალი, 2003.
29. „კარმელიტების ქრონიკა“ საქართველოზე (XVII-XVIII სს.), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ქეთევან პავლიაშვილისა, რედაქტორი ო. ჟორდანია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., ირმისა, 1999.
30. მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილების დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა (1744-1840), მ. ჯანაშვილის რედაქტორობით, ტფ., გამომც. ქართ. ამხანაგობისა, 1905.
31. მაჭარაძე ვ. გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა დოკუმენტები, ფოტოპირები, თბ., ხელოვნება, 1983.
32. Мачарадзе В. Грузинские документы по истории Грузино-Курдско-Ассирийско-Русских взаимоотношений 60-70-е гг. XVIII века, Тб., Сабчота Сакартвело, 1989.
33. მაჭარაძე ვ. მასალები XVIII ს-ის II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. II, თბ., 1968; ნაწ. III, ნკვ. I, თბ., 1988; ნაწ. III, ნკვ. II, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997.
34. მუმინ ილდიზთაში, საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, მთარგმნელები: გ. გუნიავა, ი. ართმელაძე, სტამბული, საქართველოსთან მეგობრობის ასოციაცია, 2012.

35.ორბელიანი ალ. სიტყვა მამულის ტრაპესზედ, შემდგენელი ნ. ვახანია, თბ., ლომისი, 1999.

36.რაინეგსი ი. მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., არტანუჯი, 2002.

37.საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები, შეადგინა და კომენტარები დაურთო დ. ენუქიძემ, თბ., სტალინის სახელობის თსუ-ს გამომცემლობა, 1949,

38. Санкт-Петербургские ведомости, № 57, СПБ., изданние Академии наук, 1861.

39. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა, თბ., საბჭოთა საქართველო, 1980.

40. Тивадзе Т. Материалы по внешнеполитической истории Грузии первой Половины XVII века, содержащиеся в архивном фонде „Сношения России с Персией“, კრებულში: „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, II, თბ., მეცნიერება, 1973.

41. Полиевктов М. А. Материали по истории грузино-русских взоимоотношений в 1615-1640 гг. Тб., тип. Госунта, 1937.

42.Потто В. Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, т. I, от древнейших времен до Ермолова, вып. I-й, СПБ., тип. Р. Голике,1885.

43.ქართლის ცხოვრება, ახალი მოთხრობა 1469 წ-დან 1800 წ-მდე, II ნაწ. დ. ჩუბინოვის რედაქციით, სანკტპეტერბურღი, 1854.

44.ქართველიშვილი ი. მემუარები, ა. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., სახელმწიფო გამომცემლობა, 1952.

45.Цагарели А. А. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии т. I. СПБ., тип. В. Киршбаума, 1891 г; т. II, вып. I, СПБ., 1898 г; т. II, вып. II, СПБ., тип. В. Киршбаума, 1902.

46.ხახანაშვილი ალ. „ქართლ-კახეთის მოსახლეობა 1770 წ-ს“, (საქართველოს წარსულის სასტატისტიკო და საეკონომიო შესასწავლად), ჟ. „კვალი“, №11, თბ., სტამბა მ. დ. როტინიანცისა, 1898.

47.ხერხეულიძე ო. მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლ. მიქიაშვილმა, საქართ-

ველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., მეცნიერება, 1989.

48.Юзефович Т. Договоры России с Востоком, политические и торговые, СПБ., типография О. И. Бакста, 1869.

49.წერეთელი გ. მეორე ხანა ირაკლი მეფის ცხოვრებისა (ბუტკოვის წერილების მიხედვით შედგენილი), გაზეთი „კვალი“, №39, ტფ., სტამბა მ. დ. როტინიანცისა, 1895.

50.ჭეიშვილი ა. ერევნის ხანების მიერ საქართველოში გამოგზავნილი წერილები (მე-18 საუკუნის II ნახევარი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტი, თბ., მეცნიერება, 1982.

51. ჯამბაკურ-ორბელიანი ალ. ვახ-ის ძე, ირაკლი II-ის შვილიშვილის თ-ად ჯამბაკურ-ორბელიანის დღიურიდან, გაზეთი „კვალი“, №39, ტფ., სტამბა მ. დ. როტინიანცისა, 1895.

ბ) ლიტერატურა

52. Авалов З. Присоединение Грузии к России, изд. 2-е, СПБ., тип. Монтвида, 1906.

53.ალექსიძე ლ. საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII სს-ში, თბ., საბჭოთა საქართველო, 1983.

54. ალიმბარაშვილი ი. ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., უნივერსალი, 2011.

55. ანთაძე კ. ანტონ I კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი (თ. ჟორდანიასი რუსულიდამ) ჟ. „მოგზაური“, №11, ნოემბერი, თბ., 1901; №12, ქრისტეშობისთვე, თბ., სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, 1901.

56. Бабаханян Лео (Аракел), история Армении, т. 3, Ереван, 1946.

57. ბერდიაევი ნ. ერი და კაცობრიობა, მთარგმნელი ზ. კიკნაძე, თბ., ლომისი, 1993.

58.ბენდიანიშვილი ალ. ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., მეცნიერება, 1980.

59.ბენდიანიშვილი ალ. ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., მემატიანე, 2006.

60. ბენდიანიშვილი ალ. რუსეთის აგრესია საქართველოში და დიდმპყრობელური პოლიტიკის I პერიოდი (XVI-XIX სს.); რუსეთი და საქართველო: აგრესიის გაკვეთილები, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბ., საგამომცემლო ანალიტიკური ცენტრი „ახალი აზრი“, 2008.

61. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965; ტ. III, თბ., 1966; ტ. IV, თბ., 1967; ტ VI. თბ., მეცნიერება, 1973.

62.ბერძენიშვილი ნ. ჯანაშია ს. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს-ის დამდეგამდე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინ-ტი, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., სახელგამი, 1943.

63. ბერძენიშვილი ნ. მე-18 ს-ის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1944.

64. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, ჟ. „მნათობი“, №6, თბ., სახელგამი, 1954.

65.ბერძენიშვილი ნ. შეხვედრა სტალინთან, (ნ. ბერძენიშვილის დღიურიდან), ჟ. „ცისკარი“, №1, ე. ხოშტარია-ბროსეს წინასიტყვაობით, თბ., საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობა, 1998.

66.ბერძენიშვილი ნ. დონდუა ვ. დუმბაძე მ. მელიქიშვილი გ. მესხია შ. რატიანი პ. საქართველოს ისტორია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს-ის დასასრულამდე, I, თბ., საბჭოთა საქართველო, 1958.

67.ბერძენიშვილი ნ. ჯავახიშვილი ივ. ჯანაშია ს. საქართველოს ისტორია, ნაწ. I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი, თბ., სახელგამი, 1946.

68. ბოცვაძე თ. საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.

69. Броневский С. М. Исторические выписки о сношениях России с Персиею, Грузиею и вообще с горскими народами, в Кавкавзе обитающими со времён Ивана Васильевича доныне, წიგნში: „Новейшия известия о Кавказе, собранныя и пополненныя Семеном Броневским“, СПБ., изд. „Петербургское Востоковедение“, 2004.

70.ბურჯანაძე შ. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784-1789.

წიგნში: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.

71. ბურჯანაძე შ. სოლომონ I-ის მეფობის I პერიოდი (1752-1768წწ.), XLI (41), თსუ-ს შრომები, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1950.

72. ბურჯანაძე შ. სოლომონ I-ის ურთიერთობა რუსეთთან, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV-B. თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1948.

73. გაბაშვილი ვ. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მსკი, ნკვ. 31, თბ., მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1954.

74. გაფრინდაშვილი მ. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, III, თბ., საბჭოთა საქართველო, 1988.

75. გაჩეჩილაძე გ. სამდღიანი დიალოგი პოლიტიკური ტექნოლოგიის მაესტროსთან, (ი. სტალინი-ჯუღაშვილი, ნ. ბერძენიშვილი) ჟ. „საისტორიო ვერტიკალები“, №8, თბ., საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005.

76. გელეიშვილი პ. XVIII ს-ის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, ალ. ამილახორი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და მოაზროვნე, ტფ., „ზარია ვოსტოკას“ ა. ფ. მიასნიკოვის სახელობის წითელდროშოვანი სტამბა, 1936.

77. გვრიტიშვილი დ. მესხია შ. თბილისის ისტორია, თბ., საბლიტგამი, 1952.

78. გოგებაშვილი ი. რანი ვიყავით გუშინ ? ტფ., ქართველთა ამხანაგობის სტამბა, 1892.

79. გოგოლაძე დ. ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ კონცეფციისათვის, წიგნში: ისტორიის ინსტიტუტი 60 წლისაა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., მემატიანე, 2001.

80. გონიკიშვილი მ, ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., მეცნიერება, 1986.

81. გურული ვ. ეროვნული ცნობიერება, სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური ორიენტაცია, თბ., უნივერსალი, 2008.

82. გურული ვ. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1801), გამომცემლობა თბ., უნივერსალი, 2009.

83. გურული ვ. გეორგიევსკის ტრაქტატი, თბ., უნივერსალი, 2013.

84.დიუგე რემონ, მოსკოვი და წამებული საქართველო, ფრანგულიდან თარგმნეს მზია და აკაკი ბაქრაძეებმა, თბ., ჯისიაი, 1994.
85.დუმბაძე მ. დასავლეთ საქართველო XIX ს-ის I ნახევარში, (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება), თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957.
86.დუმბაძე მ. ერეკლე მეორის პიროვნება (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგ. ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის თეზისები), თელავი, 1971.
87.დუმბაძე მ. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, (პროფ. ი. ცინცაძის წიგნის გამო), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნკვ. 33, თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.
88. დუმბაძე მ. ქართული სამეფოები დაქვეითების გზაზე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., საბჭოთა საქართველო, 1973.
89.Эсадзе С. К 300-летию дома Романовых, исторический очерк распространения русской власти на Казказе, Тиф., тип. канцелярии наместника Е. И. В. на Кавказе,1913.
90.Ениколопов И. Две записки царевича Давида „о лучшем устройстве Грузии“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორისათვის, ნკვ. I, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1942.
91. Ениколопов И. Царевич Давид о Рейнегсе, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორისათვის, ნკვ. 29. თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1951.
92. Епископ Кирион II. Культурная роль Иверии в истории Руси, Тб., Тип. К. П. Козловского, 1910.
93. ვაჩნაძე მ. გურული ვ. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. ისტორია. შედეგები. გაკვეთილები. თბ., 2001.
94. ვაჩნაძე მ. გურული ვ. რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ, თბ., არტანუჯი, 2007.
95. ვეშაპელი გ. საქართველო და რუსეთი, თბ., საქართველოს რედაქცია, 1918.
96. თაბუაშვილი აპ. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, თბ., უნივერსალი, 2010.
97. თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX ს-მდე, ტფ., ქართველთა ამხანაგობის სტამბა, 1902.

98. თამარაშვილი მ. ქართული ეკლესიის ისტორია, (ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე), თბ., ქართველთა ამხანაგობის სტამბა, 1995.
99. Иоаннисян А. Р. Россия и армянсское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, Ереван, 1947.
100. Иоаннисян А. Р. Присоединение Закавказья к России и международные Отношения в начале XIX столетия, Ереван, изд. Академии Наук Армянской ССР, 1958.
101. იობაშვილი გ. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან, (1783 წლის ტრაქტატი და ქართველი საზოგადოება) თსუ-ს შრომები, ტ. 246, ისტორიის სერია, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1984.
102. იობაშვილი გ. ალექსანდრე ამილახვარი, გვიანფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი, თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997.
103. იობაშვილი გ. ქართულ სამეფო-სამთვროთა დიპლომატიური აქტიურობა საერთო-ქართული სახელმწიფოებრივი ერთობის მისაღწევად XVIII საუკუნის მიწურულს, სოლომონ ლიონიძე. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ტ. II, რედ-რი რ. მეტრეველი, თსუ, ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის კვლევითი ცენტრი, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1998.
104. კაკაბაძე ს. კრწანისის ომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., მეცნიერება, 1991.
105. კაკაბაძე ს. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნკვ. 33, თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.
106. კაკაბაძე ს. საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810), ტფ., ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, 1922.
107. კაკაბაძე ს. საქართველოს ისტორია, თბ., 1923.
108. კაკაბაძე ს. საქართველოს მოკლე ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფ., საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის გამოცემა №24, 1920.
109. კაკაბაძე ს. საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 ს-ში, ჟ. „მნათობი“, №3, ტფ., სტამბა პოლიგრაფსკოლისა, 1924.
110. კაკაბაძე ს. საქართველო ერეკლე II-ის დროს, ჟ. „შვიდი მნათობი“, აპრილი, №2, თბ., ამიერკავკასიის კოოპერ. კავშირის გამომცემლობა, 1919.

111. კალანდაძე შ. 50 წლისთავი (საქართველოს ანექსიის), ჟ. „ივერია“, №14, მაისი, ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო, პარიზი, 1971.

112. კეშელავა ვ. რუსულ-ქართული ურთიერთობები წარსულის ტყვეობაში, წიგნიდან: რუსეთი და საქართველო: აგრესიის გაკვეთილები, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბ., ახალი აზრი, 2008.

113. კიკნაძე ვ. ალექსანდრე ამილახვარი, ბრძენი აღმოსავლეთისა, თბ., ლომისი, 1997.

114. კიკნაძე ზ. ბიზანტიური მემკვიდრეობა, ჟ. „სკოლა“, №4, დეკემბერი, რედაქტორი ზ. მიმინოშვილი, თბ., 2004.

115. Киняпина Н.С. Блиев М.М. Дегоев В.В. Кавказ и Средняя Азиа во внешней политике России, вторая половина XVIII - 80-е годы XIX в. М.,изд. МГУ, 1984.

116. კირთაძე ნ. საქართველოს ოკუპაცია და ევროპა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №15, IV, აპრილი, თბ., 1991.

117. კოტეტიშვილი ვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX ს-დან დღევანდლამდე, ნაწ. I, ქუთაისი, კანზე ტფილისი, ადგილობრივი მეურნეობის სტამბა, 1925.

118. ლაისტი ა. საქართველოს გული, თბ., ლიტერატურა და ხელოვნება, 1963.

119. ლენგი დ. საქრთველოს სამეფოს უკანასკნელი წლები, თარგმანი მ. გამყრელიძისა, თბ., ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2003.

120. ლენინი, თხზულებანი, ტ. 45, 1920წ-ის ნოემბერი - 1923 წ-ის მარტი; თბ., საბჭოთა საქართველო, 1974.

121. ლომსაძე შ. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., მეცნიერება, 1979.

122. ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს-ის შუაწლებიდან XIX ს-ის შუაწლებამდე, თბ., მეცნიერება, 1975.

123. ლორთქიფანიძე გრ. ფიქრები საქართველოზე, რედაქტორ-შემდგენელი პ. სურგულაძე, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1995.

124. ლორთქიფანიძე იასე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 ს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, თბ., ტექნიკა და შრომას სტამბა, 1940.

125. Лысцов В. П. Персидский поход Петра I 1722-1723, М., изд. МГУ, 1951.

126. ლუი ლე ფური, საქართველო და საერთაშორისო უფლება (ქართული თარგმანი), პარიზი, დამოუკიდებელი საქართველოს გამოცემა, 1933.
127. მაგაროტო ლ. საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783-1801), იტალიურიდან თარგმნა ს. კენჭოშვილმა, თბ., მწიგნობარი, 2008.
128. მანველიშვილი ალ. ნარკვევები და წერილები, სან ფრანცისკო, 1990.
129. მანველიშვილი ალ. საქართველოს საზღვრები, პარიზი, გაზეთ „მომავლის“ გამოცემა, 1938.
130. მარუშიძე ი. სოლომონ ლიონიძე, მსაჯული ანუ ვიცე-კანცლერი მეფე ერეკლესი და საქართველოს რუსეთთან შეერთების წვლილნი. ჟ. „მოგზაური“, №8, რედაქტორი ივ. როსტომაშვილი, თბ., სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, 1901.
131. Маркова О. П. Восстание в Кахетии 1812, Москва, Академии наук СССР, 1951.
132. Маркова О. П. Россия, Закавказые и международные отношения в XVIII веке, М., наука, 1966.
133. მაჭარაძე ვ. ასპინძის ბრძოლა, თბ., სახელგამი, 1957.
134. მაჭარაძე ვ. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., მერანი, 1968.
135. Месхия Ш. Цинцадзе Я. Из истории русско-грузинских взаимоотношений X-XVIII вв. Тб., Заря востока, 1958.
136. ნათაძე გ. საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ნაწ. II, VIII-XIX სს. ქუთაისი, ადგილობრივი მეურნეობის სტამბა, 1925.
137. ნინიძე დ. ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII სს-ში), თბ., მერიდიანი, 2004.
138. ნოზაძე ვ. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა, ჟ. „საქართველო“, მაისი, პარიზი, 1930.
139. ორჯონიკიძე ე. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., მეცნიერება, 1992.
140. პაიჭაძე გ. ვახტანგ VI, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., მეცნიერება, 1981.
141. პატარიძე ე. პეტრე დიდის ანდერძი და ისტორიის განაჩენი, ჟურნ. „სამშობლო“, №21-22, პარიზი, 1937. საქართველოს ტერიტორიის საკითხი, ჟ. „სამ-

შობლო“, №23-24, პარიზი, 1938. (საქ-ოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პერიოდული ორგანო).

142. Полиевктов М. А. Европейские путешественники XIII-XVIII вв. По Кавказу, Тиф., Сахелгами, 1935.

143. ჟუჟუნაშვილი გ. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხები, თბ., უნივერსალი, 2009.

144. რამიშვილი ნ. საქართველო და რუსეთი, რედ-რი გ. ყორანაშვილი, თბ., არტანუჯი, 2006.

145. რაჭველიშვილი ქრ. საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია, თბ., სახელგამი, 1926.

146. რევიშვილი შ. ნარკვევები გერმანულ-ქართული ლიტერატურული კავშირებიდან, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1987.

147. რეხვიაშვილი მ. იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ), თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1989.

148. როსტომაშვილი ივ. რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი, ტ. I, (წ. I), თბ., ე. ხელაძის სტამბა, 1898.

149. რუსეთის დამყარება საქართველოში, შემდგენლის წინასიტყვაობით, შემოკლებული ცნობები ვ. ივანენკოს ნარკვევიდან, თბ., წიგნის მაღაზია „ცოდნას“ გამოცემა, 1905.

150. სამსონაძე მ. „რუსეთი და საქართველოს სახელმწიფოებრიობა XVIII საუკუნეში, წიგნში: ისტორიის ინსტიტუტი 60 წლისაა (60 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია), საქ-ოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., მემატიანე, 2001.

151. სამსონაძე მ. „რუსეთის ინტერესები საქართველოში XVI-XVII სს-ში“, წიგნში: რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, ალ. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე. თბ., უნივერსალი, 2008.

152. სამსონაძე მ. საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII ს-ში, თბ., საბჭოთა საქართველო, 1988.

153. სამსონაძე მ. საქართველოს გაერთიანების სირთულეები XVIII ს-ის II ნახევარში, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო (კრებული ეძღვნება კარლო

კუციას დაბადებიდან 70 წლისთავს), თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 2005.

154. საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან XIX ს-ის დამდეგამდე ნაწ. I, თბ., სახელგამი, 1948.

155. სილაგაძე აპ. გურული ვ. ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევები, თბ., არტანუჯი, 2001.

156. სილაგაძე აპ. გურული ვ. სამი ისტორიულ-პოლიტიკური ესე, თბ., სამშობლო, 1996.

157. სიხარულიძე ფ. მოსკოვის ქართული ახალშენის როლი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში (მე-18 საუკუნის პირველი მეოთხედი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო შრომების კრებული, რედაქტორი ე. მენაბდე, თბ., მეცნიერება, 1968.

158. Смирнов И. А. Политика России на Кавказе в XVI - XIX вв. Москва, 1958.

159. Соловьев С. М. История России с древнейших времен, кн. IX, т. 18, М.,1963 г; кн. XIV, т. 27, М., изд. Академии Наук СССР, 1965;

160. სურგულაძე ა. რუსეთი XIX ს-ის პირველ ნახევარში, თბ., საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობა, 1963.

161. სურგულაძე ივ. საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1985.

162. სუსლოვის სული ჟ. „მებრძოლი საქართველო“ (ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო), №32 (50), გვ. 13, I იანვარი, პარიზი, 2003.

163. ტაბაღუა ი. საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, ტ. IV-V, თბ., მეცნიერება, 1999.

164. ტარტარაშვილი ვ. რუსეთ-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII ს-ის 70-იანი წლები), თბ., საბჭოთა საქართველო, 1968.

165. ტივაძე თ. თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, საქ-ოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., მეცნიერება, 1990.

166. ტივაძე თ. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიითვის XVII ს-ის II ნახევარში, „საისტორიო მოამბე“, №45-46, საქართველოს სსრ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო, თბ., მეცნიერება, 1982.

167. ტუხაშვილი ლ. ეროვნული ხსნის გზაგასაყართან, ჟ. „ცისკარი“ №9, თბ., 1983.

168. ტუხაშვილი ლ. ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან XVIII ს-ის II ნახ-ში, წიგნში „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, ტ. 2, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., მეცნიერება, 1972.

169. ტუხაშვილი ლ. რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (XVIII ს-ის მეორე ნახევარი), თბ., მეცნიერება, 1983.

170. უთურაშვილი ი. თეკლა ბაგრატიონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., მეცნიერება, 1991.

171. Фадеев А. В. Россия и Кавказ первой трети XIX в. М., изд. Академии Наук СССР, 1960.

172. ფირცხალაიშვილი ალ. საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII ს-ის II ნახევარში, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 2000.

173. ფრონელი ალ. მთიულეთი 1804 წ. ტფ., ქართველთა ამხანაგობის სტამბა, 1896.

174. ფურცელაძე ა. სააკაძე და მისი დრო, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., ელექტრო-მბეჭდავი კერესელიძისა, 1911.

175. ქიქოძე გ. ერეკლე მეორე, მესამე გამოცემა, თბ., საბლიტგამი, 1958.

176. ქორიძე თ. ჟამი ხსნისა, ნაწილი პირველი, თბ., ისტორიული მემკვიდრეობა, 2009.

177. ქოქრაშვილი ხ. რუსეთის რელიგიური პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარში), წიგნში: საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიის ნარკვევები, წ. I. (ნაშრომი შესრულდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტით) თბ., უნივერსალი, 2007.

178. შაიშმელაშვილი ივ. კრწანისის ომი, თბ., საბჭოთა საქართველო, 1965.

179. შარაშენიძე ზ. ირანი XVIII ს-ის II ნახევარში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბ., მეცნიერება, 1970.

180. შველიძე დ. საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ინსტიტუტი, თბ., მერიდიანი, 2014.

181. Цагарели А. А. Непререкаемыя права Грузии на признание ея независимости и на возстановление ея Государственных границ. Тифлис, изд. книгоиздательства А. Арабидзе, государственная типография, 1919.

182. Цагарели А. А. Сношения России с Кавказом в XVI- XVIII столетиях. СПБ., типография В. Киршбаума,1891.

183. ცინცაძე ი. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., საბჭოთა საქართველო, 1960.

184. ცინცაძე ი. აღა-მაჰმად ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795წ.), თბ., ცოდნა, 1963.

185. ცინცაძე ი. რამდენიმე ცნობა რუსეთის თვითმპყრობელობის დაზვერვისა და მისი აგენტების საქმიანობის შესახებ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი, ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. II, ქუთაისი, გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისის“ სტამბა, 1941.

186. ცინცაძე ი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან (XVIIს), მიმომხილველი II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, თბ., მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1951.

187. ცქიტიშვილი ზ. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., მეცნიერება, 1982.

188. ჭავჭავაძე ი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, თბ., საბჭოთა საქართველო, 1987.

189. ჭიჭინაძე ზ. აღა-მაჰმად-ხანის მეორედ შემოსევა და მისი წამქეზებელნი 1797 წ. ტფ. სტამბა ამხ. „შრომა“, 1920.

190. ჭიჭნაძე ზ. რუსეთის გენერალ სუხოტინმა როგორ მოატყუა იმერეთის მეფე სოლომონ მეორე. თბ., პიტნავას სტამბა „განათლება“, 1920.

191. ჭიჭინაძე ზ. საქართველოს გაერთიანების აზრი XVIII ს-ში, ჟ. „მწყემსი“, 1902წ. №6, წიგნში: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ტ. II, რედ-რი რ. მეტრეველი, თსუ, ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის კვლევითი ცენტრი, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1998.
192. ჭიჭინაძე ზ. საქართველოს შესახებ ევროპიელთა მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები, ვახტანგ მეფის წერილები საფრანგეთის მეფესთან და მეფის ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის წარმომადგენელთან, თბ., სტამბა გრ. ჩარკვიანისა, 1895.
193. ჭიჭინაძე ზ. სოლომონ ლეონიძე, მსაჯული ანუ ვიცე-კანცლერი მეფე ერეკლე და სოლომონ იმერთა მეფისა, თფილისი, ელეკტრო-მბეჭდავი „ნადეჟდა“, 1910.
194. ჭიჭინაძე ზ. ფარული საზოგადოების დაარსების მიზეზები. თბ., სტამბა „განათლება“ დ. ლ. პიტნავასი, 1919.
195. ჭიჭინაძე ზ. გერმანელი დოკტორ იაკობ რეინგესი, მეფე ერეკლეს კარზედ, რუსთაგან კომისრათ და მინისტრათ დანიშნული საქართველოში, ტფ., სტამბა ამხ. „შრომა“, 1920.
196. ხაჭაპურიძე გ. საქართველოს შეერთება მეფის რუსეთთან, თსუ-ს შრომები, X, თბ., სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ-ოს ფილიალის სტამბა, 1939.
197. ხახანაშვილი ალ. სოლომონ II, იმერეთის მეფე (1810-1910), თბ., გამომცემლობა „ცოდნა“, 1911.
198. Хаханов А. К столетию присоединения Грузии к России, журн. «Русская мысль», январь, М., 1901.
199. Хаханов А. Очерки по истории грузинской словесности, вып. 3, М., тип. И. Н. Кушнерев, 1901.
200. Хелтуплишвили М. Вступление Грузии в состав Россииской империи, Кутаиси., тип. Киладзе и Хеладзе, 1901.
201. ხოსიტაშვილი ს. ასპინძის ომი, თბ., განათლება, 1972.
202. ჯავახიშვილი ივ. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII ს-ში, თბ., ქართული კლუბის გამოცემა, 1919.
203. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, ტ. V, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1953.

204. ჯავახიშვილი ივ. სურგულაზე პ. პროფ. ლისტი, ისტორიული რარიტეტები, თბ., საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი, 1989.

205. ჯანაშვილი მ. მეფე ერეკლე, თბ., სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის, 1898.

206. ჯანაშვილი მ. მეფე ერეკლეს სახსოვარი, ტფ., „ცნობის-ფურცლის“ გამოცემა, 1898.

207. ჯანაშვილი მ. საქართველოს ისტორია, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის, 1894.

208. ჯანელიძე ო. ორი რუსეთი (მითი და რეალობა), საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიის ნარკვევები, წ. I, თბ., უნივერსალი, 2007.

209. ჯანელიძე ო. „რუსული კოლონიალიზმის არსი“, წიგნში: რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, ალ. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, თბ., უნივერსალი, 2008.

210. ჯაფარიძე ა. (მიტროპლიტი) საქართველოს დედა ეკლესია, თბ., ციცინათელა, 2006.

211. ჯორჯაძე ა. სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1990.

საარქივო მასალები

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ფონდები:

1.1 **H**: №1496; დავით ბაგრატიონის ფონდი;

1.2 **S**: №1646 ალ. ორბელიანის ფონდი;

1.3 **№5** ს. ლიონიძის ფონდი

1.4 **Sd** №2272 წერილი №9; №10; №13; №18; №24 პ. პოტიომკინის მიერ ერეკლე მეფისადმი გამოგზავნილი წერილები;

1.5 **Sd** №2140 განწესებანი მეფის ირაკლისა 1791 წ;

1.6 **Hd** №1335 ევერიელთა ერთობის ტრაქტატი 1790 წ;

1.7 **№28** პ. იოსელიანის ფონდი;

1.8 **H** №2196 ფ. 45 იოანე ბატონიშვილის „სჯულდება“.

ცენტრალური საისტორიო არქივი

1.9 პ. კარბელაშვილის ფონდი № 1461
საქმე №16, №31, № 47 – უბის წიგნაკი № 80

1.10 გ. ჭავჭავაძის ფონდი №1449 აღწ. I, საქმე №2874

დისერტაციები

D.1 მაჭარაძე გიორგი, ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა აზერბაიჯანის სახანოებთან XVIII ს-ის II ნახევარში (D 5698 - საკანდიდატო, 1984).

D.2 ჭუბაბრია რუსუდანი, სომხური წყაროები აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წ-ის 11 სექტემბერს თბილისის აოხრებასთან დაკავშირებით (დ 370/4 – საკანდიდატო, 1994.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი ---------- 2

წყაროები და ისტორიოგრაფია ---------- 14

I თავი. საგარეო ურთიერთობათა ძირითადი შტრიხები საქართველოს დაშლიდან XVIII ს-ის II ნახ-მდე ---------- 27

§.1. საგარეო ორიენტაციის პრობლემები XV ს-დან XVIII ს-ის I ნახევრამდე ---------- 27

§.2. საგარეო ორიენტირი ვახტანგ VI-ის პოლიტიკაში; თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მეფობის დასაწყისი ---------- 43

II თავი. რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო ---------- 60

III თავი. გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი შედეგები---------- 85

§.1. საერთაშორისო ვითარება ტრაქტატის დადებამდე---------- 85

§.2. გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება ---------- 104

§.3. ტრაქტატის შედეგები---------- 121

IV თავი. საქართველოს გაერთიანების საკითხი XVIII ს-ის 80-იანი წლების მიწურულს---------- 136

V თავი. კრწანისის ტრაგედია და 1801 წ-ის მანიფესტი, რუსული იმპერიალიზმი საქართველოს სინამდვილეში---------- 160

§1. კრწანისის ტრაგედია და 1801 წ-ის მანიფესტი---------- 160

§.2. რუსული იმპერიალიზმის არსი და მისი გამოვლინება საქართველოსთან მიმართებაში ---------- 199

დასკვნა---------- 208

მოკლე ბიოგრაფიული ცნობარი V თავის მეორე პარაგრაფისათვის---------- 212

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია ---------- 214